



გიგი სომხიშვილი

სომხურ სახატაზე



თბილისი
2010



ავტორისაგან

დედამიწა მასზე დასახლებული ყველა არსების სამშობლოა. ვინც იბადება – კვლება. ამ ლამაზ პლანეფაზე ყველა ერთმანეთს ებრძვის, კლავს და ჭამს; ბოლოს კი შეუჭმელი არც სუსტი და არც ძლიერი არ რჩება.

სხეული მიწის პროდუქტია და ღრუებით ფლობს მას, რათა შემდგომში სხვამ გამოიყენოს იგი. ამიგომ გაუმაძღრობას და სიძულვილს, საშინელ ცხოველურ თვისებებს თუ დათრგუნავ და ბოროტებას უარყოფ, ამქვეყნად სფურობა შეიძლება საამოდ აქციო.

ვინც ცოდვა ამრავლა, ხსოვნას სირცხვილად შერჩენილი შეუერთდა სხეულის დამიწების წრებრუნვას.

ამ წიგნში წარმოდგენილი მოთხოვების და რომანის ბევრი სიუჟეტი ნამდვილად მომხდარი ამბის ნაყოფია. ამით ვცადე, რომ ყველას შევახსენ: ბედნიერია ის, ვინც ამ წუთისოფელში სიკეთით და სიყვარულით გაიელვა.

გ. ს.

რედაქტორი: თემურ ქორიძე

მხატვრები:
[**ვახტანგ პუცია**]
ვახტანგ ბაცაცაშვილი
ტარიელ გარიშვილი

დამკაბადონებელი: ილია თიღილაური

მწირე ნინაზიჭურამართი

„მე არ ვენდობი მწერალს, რომელიც უამრავ ხალხს მოსწონს, ისევე, როგორც არ ვენდობი უამრავ ხალხს“, — პოლ ვალერის ეს გაბედული კრიტიციზმი ყველა დროის ლიტერატურული სწობიზმის ნინააღმდეგ არის მიმართული.

„უამრავი ხალხის“ მიერ ამა თუ იმ ქმნილების აღიარება, ხშირ შემთხვევაში, სრულიადაც არ ადასტურებს გავრცელებული აზრის ჭეშმარიტებას.

კარგი მკითხველისათვის ნაკლებად მნიშვნელოვანია ისეთი ცნებები, როგორიცაა „თანამედროვე მწერალი“, „მოდური სტილი“ და ა.შ. მას მუდამ იზიდავს ხანგრძლივი არსებობისთვის შექმნილი ტილოები, რომლებიც წარუშლელ შთაბეჭდილებებს აღძრავენ სხვადასხვა თაობის ადამიანებში. ალბათ, არ მოიძებნება მწერალი, ვისაც ერთი ასეთი წიგნის, ან თუნდაც მხატვრული სტრიქონის დაწერაზე არ უოცნებია.

არ ვიცი, ბატონ გივი სომხიშვილისთვის რამდენად მახლობელია მსგავსი განცდები, მაგრამ ის კი დაბეჯითებით შემიძლია ვთქვა, რომ მისი პერსონაჟები გულგრილი დამკვირვებლების როლში ნამდვილად არ გვტოვებენ. ცხოვრების მღვრიე მორევიდან ისინი მძიმე ნაბიჯებით მიიკვლევენ გზას ცოდვა-მადლის მიჯნისაკენ და ამ უძნელეს გზაზე სასწაულებრივ მეტამორფოზას განიცდიან. სწორედ ასე ემართება „უფლის სამსჯავროს“ პერსონაჟს, რომელიც ბოლომდე გაივლის მიწიერი ჯოვანეთის ყველა გარსს და ღრმა სულიერი კათარზისით ამაღლებული, შვებითა და სიხარულით ემიჯნება თავისსავე სხეულს. „მადლობა,

უფალო, რომ შეისმინე ჩემი ვედრება და დამაღწიე ამ ტანჯვის და მუხთლობის ცქერას! — უკანასკნელად ფიქრობს ლეშიდან ამოძრომისას. სულეთის გამცილებლები ამოუდგნენ მხარში. ლოპიანამ ერთხელ კიდევ დახედა თავის დედამიწისეულ სხეულს, ტაძრის შუაში მუხლებზე დამდგარი ზეწარშემოხვეული რომ გაყინულიყო. „ბოლოს ხომ გავიმარჯვე შენზე“, — გაიფიქრა ლოპიანამ და უფლის განაჩენის ალსასრულებლად შვებით შეერია სივრცეს“. ასეთია ამ ჩინებული მოთხრობის ფინალი, — ფინალი, საიდანაც პერსონაჟის სრულიად ახალი, ჭეშმარიტად ამაღლებული ცხოვრება უნდა დაიწყოს.

გივი სომხიშვილის მიერ დახატული პერსონაჟები ცხოვრებისეული დრამის აქტიური მონაწილენი არიან. ამიტომ მათი შინაგანი სამყარო თვალშისაცემი სიმძაფრითა და დინაზმით ხასიათდება. მათ არ ძალუდთ პასიური მაყურებლის როლში დარჩენა. ისინი ზოგჯერ ეცემიან კიდეც, მაგრამ ზნეობრივი ძალის შეწევნით კვლავ ფეხზე დგებიან და ბრძოლას აგრძელებენ. ეს ბრძოლა კი, არსებითად, თავის თავთან, საკუთარ ვნებებთან და მანკიერებებთან ბრძოლაა.

საგულისხმოა, რომ ამ წიგნის ავტორი თავად არაერთხელ დამდგარა უსამართლობის პირისპირ. მან ვაჟკაცურად გაუძლო რეპრესიების გამანადგურებელ შემოტევებსაც. მიუხედავად ამისა, ბატონმა გივი სომხიშვილმა სულის ისეთი სიმშვიდე და სისპეტაკე შეინარჩუნა, როგორიც გადავლილი ქარიშხლის შემდეგ ეუფლება ხოლმე ბუნებას.

ამბობენ, ქარიშხალს შეუძლია მიწასთან გაასწოროს ქალაქები, მაგრამ მას არ შეუძლია გახსნას კონვერტი... ეს წიგნი, ალბათ, სწორედ ასეთი „კონვერტი“ იქნება, რომელსაც დროის ქარიშხალი ვერაფერს დააკლებს.

თემურ ქორიძე.

უფლის სამსჯავრო

ღამე დიდი ხნის მგლოვიარე ქალის კაბასავით გახუნდა. ყვავების გუნდებმა ყრანტალით მიაშურეს სადღაც, ქალაქის განაპირას მოწყობილ სანაგვეს. მარშის საზარელმა ჭყვიტინმა გათხელებული ნერვების სიმი გაწყვეტამდე დაჭიმა. შავად ჩაცმული ადამიანები აბორიალდნენ მდუმარე ბარაკებს შორის. საზარელი მარში ყველას სამუშაოდ ერეკება. მთავარ გასასვლელთან რაზმეულებად ეწყობიან. რეჟიმის მუშაკები, ზედამხედველები და რაზმეულის უფროსები ხუთ ხუთს ითვლიან. დათვლილი რაზმეული მოძრავი შავი ხოჭოსავით გახოხდა სამუშაო ზონისკენ და თან წაიღო ამ უზარმაზარი სხეულის უკრედთა ოხვრა და გმინვა. ახლა სხვა ჩადგა რიგში. სუსტი გონების ზედამხედველნი რის ვაიგაგლახით ძლიერ ითვლიან ხუთეულებს, ანგარიში კი მაშინ ერევათ, თუ ბოლო რიგში ხუთზე ნაკლები დგას. უჭირთ ხუთეული-სათვის ოთხეულის ან სამეულის მიმატება. შავად სხეულშებოლილი რაზმეულება გამურული სულით და უფრო ბნელი მოძავლით, ლანდგა-გონებით, კვნესით და წყეგლა-კრულვით მიიზლაზნებიან სამუშაო ზონისაკენ. გახოხდა უკანასკნელი რაზმეული და ხმაურით დახურეს დიდი ალაყაფის კარები. მარშმა რამდენიმეჯერ კიდევ შეუღრინა ბედის ტყვე შაონებს და დაასვენა გაწყვეტაზე მისული ნერვები.

ფრთხილად გამოაღო კარი და ვირთხასავით გამომვრა გარეთ, ეზო მოათვალიერა, სულიერი არ ჭაჭანებდა; საეჭვო ხმაურის გაგონებაზე მზად იყო, უკანვე შემძვრალიყო და კარი საიმედოდ დაეკეტა. ყველაფრი რიგზეა, პატიმრები სამუშაოდ გარეკეს, საცხოვრებელ ზონაში ინვალიდები და ყველა ჯურის სიმულიანტები დარჩნენ, თანაც დღისით აშკარა თავდასხმას ვერავინ გაბედავს. ისევ შეძვრა თავის სოროში. სამი მეტრა სიგრძის და მეტრანასხევარი სიგანის ამ ჯურდმულს პატარა ოთხკუთხა, გისოსებიანი სარკმელი აქვს დატანებული, ხის ვიწრო ტახტის ბოლოში ჭუჭყიანი, ფანერაგადაფარებული ვედრო დგას, მის გვერდით პატარა ხის ყუთზე პურის ნაჭრები, ჩაიდანი და ალუმინის ჭიქა დევს. მაღლა, პატარა სარკმელზე ნაბდის ნაგლეჯია მიფარებული. ტახტი სარკმლის საპირისპირო კედელთან არის მიცურებული ისე, რომ ტახტის მფლობელს კედელზე მიყედებული

თաვոտ Շեշմլօս Սարգմելնչյ մոյարեծուլո նաձդօս նացլեջօս յուրեօս. Ծածքութան եղլօս ցավալնանչյ մշեօս կարեծուան մոյուլեծուլոս նոհածօ, եօս Ծարուան լուսէ, ունշյուն այանդանի; Օյզը ճիշցուա մյրալոս, կոչքպուան ճինցցօն, յրտ ամուսնության և ունուան այտուեծուլո և յնուու ռոմ ավետէս.

Ճածերը Վարմաթիւնու հիաբարձա. յիշուն արաւոն ոյո. Սկզբ կար- ցած օնատա. աելու Շեշմլօս աօլուս տավուս օնսթրումենթիւնու լա և այմես Շեշմլօս.

— լոռէանա! — զօրացամ լասանա լա Ծածքնչյ մշջալոմի ցալնակնո- ցոտ Շեշերա, — լոռէանա, նյ ռերու, ռաս ացջուսար ամջեն եանս?!

Եմա օյնու լա ռաջալու ցալնուրու և օնամունենուսացան Տանարլագ լա օլ- րոյչա, յն մուս լումունու ոյո. աելու Սկզբ ոյոս, ռոմ մոյլու լուս ցանմացլունամի մուս մյրալու և օնուցելուս աջարաւոն ճայթյուրըն. նոհածօ, լուսէ լա այանդանի օլունամի ամուսիարա լա կարցին ցալու.

Տանաշալուն լուրյուլու օյնուր ցալու. ցալուրուիչա.

— լուսէալու եար, լոռէանա? — քուտես գայմա.

— լուսէալու զար, լուսէալու! — Տանաշալու լա օնսետու Տոնե- րուլուու սաւասյա լոռէանամ, տոտյուն աելուսան ցամույցան Վյալնի հիարժանուու կացու լա ցալարհինուու և օնուցելուսատցուս չունդու ցլո- ւածառ.

— Վյելալու եռմ ար մոցակուտեյս Շենմա մմակացեծմա?

— ռուուր արա, Տանու կյա մեսրուուս, մացրամ նաձդօս մշյուլամ լա օլու- րա լա օագրակնչյ լացարնա մեռուու, ցահցնո՞ — օնսեց ցալուրուիչա.

— տավոտ լա օլու ծալունուս մացուր.

— կարցի օյնեմա? — ցայցուրու լոռէանամ.

— կարցի լա ցաւելու նյի, լաալաց լուրուու, տորու ցոյկարու տավոտ կարցերմո! — լա յուլուու լա նութելու ցալացալուրուտես.

— աելուց, աելուց! — լա յուլուրու լոռէանա լա յիշուս կյատեմի մոցցելու սրնուսացն ցամունխուլու. յուցը և յունուս Շեշետցա օցրմեն, եցելա այլուց, օյզը հիացձա լա կարցա եանս օերուալա.

— եռիուա լա արցարհինա! — մուսանա յայմա լա մյուրու Տանուլու- նչյ ասցլա լա օլու.

լոռէանաս լա յուլուրա աստմուս Շեշմլօս. յուրուամի հիաճյու տավուս օնս- թրումենթիւնու, նյունուս կյատեստան մացրուր լա նուց աֆրու Շեցրուուու նացուս հիալուորուց օլու.

լոռէանաս ծոյնաց կագումարտա որսարտուլուան პրոցեսան կալու լուրու օնս- թրուու և օնուցու օնսթրումենթիւնուս Տանուլու մուսանա մուազե-

ბული. ეს სასწავლებელი მთავარი შემოსასვლელის მარჯვნივ არის, ღობის შიგნით. ღობის გარეთ მის გაგრძელებაზე, პედარასტების ორ-სართულიანი ბარაკია. სამუშაოდ მიმავალი რაზმეულები ამ ბარაკს ჩა-უვლიან გვერდით და ოცდახუთიოდე მეტრში სამუშაო ზონის მთავარ შესასვლელში უჩინარდებიან. პედარასტების საერთო საცხოვრებელი სხვებისგან იზოლიერებულია, მაგრამ სამუშაო ზონაში ყველა ერთად ქაჩავს დაჭიმული ნერვების ძაფს.

საცხოვრებელი ზონის მთავარი შესასვლელის მარცხნივ საავადმყოფოა, მერე – პირველი რაზმეულის ბარაკი და ასე, ფართე ქუჩის, პატიმრები ტრასას რომ ეძახიან, ორივე მხარეს ბარაკებია ჩამწკრივებული, სულ ბოლოს მარცხნივ კლუბია, მის ქვევით კი სასადილო, აბანო და სხვა საყოფაცხოვრებო ობიექტებია.

ლოპანა სულ საცხოვრებელ ზონაშია, დამლაგებელია, „შნირი“ სასწავლებლის შენობას ასუფთავებს, ღამით კი თავის სოროში შემგრალი კანკალით ელოდება გათენებას.

ვის უყვარს ღამე, მაგრამ ლოპანას მთისხელა მიზეზი აქვს, ღამე და სიკვდილის ზმანება მისთვის განუყოფელი რომ იყოს. ყველა ღამე ახალი ტანკვის დასაწყისია. როცა მთელი დღის დაბაბული დავიდარაბით დაღლილი პატიმრები ბარაკებში შეიყუჯებიან, მოთამაშები ერთიმეორეს სულის ამოსაძრობად შეეჭიდებიან, ლოპანას ბუნაგს მიადგებიან „გამრთობები“ და პირველ შეტევას კარებიდან იწყებენ. ჯერ სიტყვით და იდუმალი ბარიტონით, მღვდლის გალობის მსგავსად, მის მიერ ჩადენილ ცოდვებს ახსენებენ, მერე პატარა სარკმლიდან ნაბდის ნაგლეჯს ჩამოაგდებენ, ეღრიჭებიან, ქვის და აგურის ნამტვრევებით უტევენ მოპირდაპირე კუთხეში სოროში გამომწყვდეულ ვირთხასავით შეყუულ ლოპანას. ღამის დათვლის წინ მიწყნარდებიან, მოეშვება ლოპანასაც ნერვების დაბაბულობა. გათენებისას შეიძლება კიდევ შეასხნონ თავი. ისეთი დღეებიც არის, როცა ივიწყებენ მისი „გამრთობები“, ამ ღროს უშფოთველად ჩამინებულს კოშმარული სიზმრები აკითხებენ და, აბა, მაშინ ნახე შიშის მთქნარება. ამდენი განცდების, საზარელი კოშმარული დღეების გადატანის შემდეგ ლოპანა დევნილ ვირთხას დაემსგავსა, თავის უბადრუკი სიცოცხლის გადასარჩენად ყველაფერს რომ იკადრებს.

ლოპანა პატიმარია, მისი სასჯელი მკაცრი რეჟიმის კოლონიაში თოთხმეტი წლის გამოკეტვას ითვალისწინებს. ჯერ მხოლოდ ხუთი წელია გასული და ისე მიეჩვია თავის ყოფას, თითქოს ამ მყრალ სოროში დაიბადა და ყველი მომდევნო უგემურ სიცოცხლის დღეებსაც

ერთგვარი უშფოთველობით აქრობს. იყი ყველაფრის ფასად სიცოცხლეზე ჩაბდაუჭებული ვირთხაა; მობუზული, დატუქსული, დამფრთხალი, ყოველგვარ ხმაურზე დასამალად მომართული სასოწარკვეთით ჩაბდაუჭებია საზარელ სიცოცხლეს.

ლოპიანა მკვლელია, ხუთი ადამიანი გაისტუმრა იმ ნეტარ ქვეყაში, ადამიანებად აქ სასჯელის მოსახლელად რომ აგზავნიან. ლოპიანა კი თვითმარქვია მსაჯულივით თვითონ უცხადებდა ამნისტიას და უჩუმრად აგზავნიდა იქ, საიდანაც მოვიდნენ.

მატყლის დამამზადებელი იყო, ფულიანი და განებივრებული. მამალ ბუზს არ ისვამდა თავზე, სულ მეტსა და მეტს იხვეჭდა და მაინც, ის მეტიც, ეცოტავებოდა. ალაზნის ჭალაში მოქრთამვით, საიდუმლოდ ორასამდე ღორს ამწყემსინებდა დაქირავებულ კაცებს; მისი ღორები დაუსჯელად დაშლიგინებდნენ. მუხის რკო და სხვა ბუნებრივი საჭმელი იმდენი ჰქონდათ, რომ მათი შენახვა თითქმის არაფერი უჯდებიდა ლოპიანას. სამაგიეროდ ღორებიდან შემოსავალი კარგა მსუსე და უზრუნველი იყო. ბევრი ჰქონდა ლოპიანას, მაგრამ მისი მადა სიმდიდრის ზრდასთან ერთად იზრდებოდა. აღარაფერი ჰყოფნიდა, ვერაფრით კამაყოფილდებოდა, ახლა ძროხა და კაშეჩი გაიჩინა და მიუსია ჭალას. ღორების სულადობასაც ზრდიდა, მაინც არ ჰყოფნიდა. იყო ნებიერი ბედის და წუთისოფელიც მისთვის თაფლად და შაქრად ბრუნავდა. მის უზარმაზარ ბინაში ოთახებს ვერ ითვლიდნენ. თვითონ კენჭის გადაბრუნება ეზარებოდა, სავარძელში ჩანებივრებულს ემსახურებოდნენ, საჭმელსაც აჭმევდნენ, წინდებს ხდიდნენ და აცმევდნენ, ფეხებს ბანდენ, ქოშებსაც სხვები აცმევდნენ. ლოპიანა ჰერცოგი არ იყო, ან რომელიმე აღზევებული გვარის წარმომადგენელი, მაგრამ იყო ბედნიერი ადამიანი, ამქეცხნად ცხოვრება ელიზიუმად რომ გადაქცეოდა. ბედნიერების დაშაქრულ ნეტარს წოვდა ათასი ტანჯვა-წამებით დამძიმებულ ამქეცხნურ ყოფას. თითში რომ ეკალი შერჭობიდა, ქვეყანას ყრიდა, ოჯახში და ახლობლებში განგაშს ტეხდნენ; ბედის ნებიერი ლოპიანა სიცოცხლეს დამწვარი თითივით უფრთხილდებოდა, სხვისთვის კი სიკვდილი არ ეზოგებოდა. ქალებთან ურთიერთობაშიც მანიაკი იყო, ბავშვი, ახლობელი, შინაური, ნათესავი არ გაეგებოდა.

ერთხელ, შებინდებისას სოფლის ბოლოს მშვენიერ, ჰაეროვან, თხელ, პეპელასავით მოფარფატე ათიოდე წლის გოგონას შეხვდა. ირგვლივ კაცის შვილი არ ჭაჭანებდა. ლოპიანამ კიდევ დავზერა მიდამო და სიცოცხლეს რომ შეხაროდა უცოდველი კრავი შერჩა ხელში, ლოპიანას გაუსწორდა და შესცინა. ნამდვილ მგელსაც მოაჯადოებდა

ასეთი უშემოთველი, ნაზი და უსუსური სიცოცხლის სხივი, მაგრამ ლობიანას სიკეთის ყველა გრძნობა ჩაუანგულ, ჩამპალ, ჩაშმორქულ ნერვებში გამქრალიყო. გოგონას ზელი სტაცა, დამფრთხალმა და შეშინებულმა ისეთი ოვალებით შესხდა, ყვავილებით მოჩითულ მდელოზე უხსესებლის გამოჩენას რომ აღძრავს. შეკივლების უნარიც დაკარგა, პირი გააღო და ბერა ვერ ამოსცდა მის ენძლასავით ქორფა ბაგეს. ლობიანამ პირი და ცხვირი ზელის გულით დაუხშო, ბილიკიდან გადაათრია და აფართხალებული გოგო არ გაუშვა სანამ მჩვარივით არ დაეკიდა ზელზე. გაგუდული დაბლა დააგდო და ბოროტი ღიმილით, სატანური სიამოვნებანაგემი დაჰყურებდა ამ უმანკო არსების სულგაფრენილ სხეულს. — ეს ერთი, — ჩაილაპარაკა, იქვე მშენებლის მიერ დაგდებულ მსხვილ მიღმი შეაცურა და დიდი ქვა მიაფარა. ორი კვირის შემდეგ იპოვეს მიღმი გაჩრილი გოგონას სხეული. საწყალი შემდგრალა და შიგ გაგუდულაო, თქვეს და არავითარი ეჭვი არ აღდვრიათ თავიანთი გერლით გამხეცებული ადამიანის არსებობაზე.

მალე ერთი მწყემსი გადაჩესა ხრამში, მერე თვითონვე ჩავიდა, დამტკრეულ-დასახიჩრებულს ქვა ჩაარტყა თავში და მოუთავა სიცოცხლე. მერე ქვეყნა შეყარა, კაცი გადავარდაო ხრამში. კაცები მოვიდნენ, თვითონაც მიეშველა და მაღლობაც დაიმსახურა, უბედურის მისახმარებლად ესოდენ თავდადებით რომ გაისარვა.

ადამიანის საიქიოში გაგზავნის ფარულად მოწყობის შესაძლებლობას ზელიდან არ უშვებდა, ახალი მკვლელობის მოლოდინში წინა მკვლელობის სიამოვნებით ტკბებოდა.

ერთხელ მინდორში ცხენიან კაცს გადაეყარა, შორიდან თოფი ესროლა და იქაურობას გასცილდა. იმ დაქირავებული მწყემსის მკვლელის ძებნით არავის შეუწებებია თავი. უღიმოდა ბედის ვარსკვლავი და ისიც ვალში არ რჩებოდა თავის კაცისჭამია სულს.

მელორეობაში ამუშავებდა საიდნელაც გაღმოხვეწილ ლოთებს, არყის ბოთლი რომ იყო მათი სიცოცხლის მიზანი. არც გასამრჯელოს თხოულობდნენ, არც ჩაცმა დახურვას. ლობიანა არავს არ აკლებდათ, ისინიც მიათრევდნენ სპირტით გაეჯენთილ გვამს სიცოცხლის დაისის შესახვედრად. ორი ასეთი მწყემსი ჰყავდა, მესამის მოყვანაც გადაწყვიტა. ლორის სულადობა გაზარდა და მუქთა მწყემსების სიმრავლე მის ჯიბეს საზრუნავს არ გაუჩენდა.

ერთხელ მწყემსებმა მესამე კაცი დაახვედრეს ბინაში.

მარკ პეტროვიჩი, — გაეცნო ორმოცდათ წელს გადაცილებული კაცი. ლოთი არა ვარ, არც გასამრჯელოს გთხოვ: ერთი წელი დავრ-

ჩები აქ, მერე წავალ ჩემი გზით, — უთხრა და ლოპიანაც სიამოვნებით დაეთანხმა.

კაცი წესიერი და მწიგნობარი ჩანდა. ლოპაინამ უჩქრება გაუჩხრი-
კა ჩემოდანი. პირის საპარსი, ფოტოაპარატი, დანა, მაკრატელი, რა-
დიომიძღვი, ათიოდე წიგნი და მამაკაცის სხვა აუცილებელი ნივთები
კარგად მოვლილი და სუფთად ჩაწყობილი ნახა. აშკარა იყო, ცეკი-
ლიზაციის ტენისაკებს გამოქცეული მარკ პეტროვიჩი ერთი წლით
ლოპაინას მეღორეულთან აპირებდა ნაჟაფი გონების დასკანებას.

რა კარგია, ვინ რა იცის, საიდან მოვიდა, ან ვინ არის მომეტოხავი, ჩემოდანიც ჩემი იქნება და მისი შიგთავსიც, — გაიხარა ლოპაინაძ. ცივილიზაციის ტვინსაკებს გამოქცეული მარკ პეტროვიჩი ლოპაინას საიქონში გასაგზავნ პუნქტში მოხვდა.

ალაზანი გადარეული მოყენდა, ძირიანად მოთხრილ ხეებს ასან-
თის ღერობივით მოათამაშებდა, ჭახანით და ზათქით ეხეოქებოდა
ნაპირს, დუღლა, ტრიალებდა, ყალყუჩე დგებოდა და აჯილდასავით
მიექანებოდა ქვევით. ლოთი მწყებსები ისე გაუღენთა არყით, ურთი
დღე-ღამე ვერ აუდგებოდნენ ბახუსის სიმბიმეს. ახლა მარკ პეტრო-
ვიჩს აჩვენებს გადარეულ მდინარეს და...

— საშინელებაა პირდაპირ, — თქვა მარკ პეტროვიჩმა, გაცოფებულ
სტიქიას მაჯვენა ნაპირის ამაღლებული ბორცვიდან რომ ჩახდა.
თაგბრუ დაუსხა და უკან დაიწია.

ახლა პერავს ხელს და მოგჭამა ჭირი მარკ პეტროვიჩიმა, მაგრამ ვინ იცის, იქნებ ისეთი მოცურავეა, რომ თავის დაღწევა შეძლოს. არა, ლომიანას საეჭვოდ გაეკოტებული საქმე არ უყვარს. ხელში პურის საჭრელი დანა ეჭირა და ჯოხს თლიდა. მარკ პეტროვიჩს ზურგში გაუყარა და ხელი პერა. ზურგში დანაგარჭობილი მარკ პეტროვიჩი ალაზნის აღულებულმა მორევმა ჩაყლაპა.

ორი გალეშილი მეღორე ხრიალით შებმოდა ძილს. როგორ უნდოდა მათთვის ყელი გამოედადრა და მდინარეში გადაეყარა, მაგრამ ლორებს უმწყეშებოდ ხომ ვერ დატოვებდა. მარკ პეტროვიჩის ჩემოდანი ჩადო მანქანაში და სახლისაკენ გააქროლა. ერთი კვირის შემდეგ იმ მაწანწალა ლოთებმა მოახსენეს, მარკ პეტროვიჩმა ისე დაგვტოვა, არც ერ გამოგვითხოვა.

ეს მკვლელობაც შერჩა ლოპიანას და ისე გაღადა, თავი ყოვლისშემძლე ეგონა. მოსამართლეც იყო და განაჩენის სისრულეში მომყვანიც. უნდა ეშინოდეთ მისი, რადგან დაუნდობლად აგზაგნის გრძელ სოფელში ვისაც თვალს დაადგამს. მის ქრიმანლობას და ავტობას

საზღვარი არა აქვს. ლოპიანა თავის დიდების ზენიტშია. თვალებში შეჰყურებენ და კუდს უქიცინებენ ამ ფულიან, მდიდარ, სულში გამბვინვარებულ მხეცხაბუდებულ კაცს.

ალაზნის ჭალაში ეგერად მუშაობს უბადლო ვაჟკაცობის, ფიზიკური ძალის, გამხმარ მუხასავით მაგარი ახალგაზრდა კაცი, ისეთი თავმდაბალი და კეთილი, როგორიც შეიძლება იყოს დიდი ფიზიკური ძალის ადამიანი. საზამთროს ბალს სანაქებოლ უვლის. არმაზი, მისი სახელი მთელ ამ მხარეში მმობის და მეგობრობის სინონიმია. მეგობრობას, სიყვარულს და სიკეთეს ემსახურება არმაზი მთელი თავისი სიცოცხლის გზაზე. ამ ვაჟკაცის ბალს შეესივნენ ლოპიანას გატყიურებული ღორები. რამდენიმეჯერ გააფრთხილა არყით გადაშტერებული მწყებები, ღორები მომაცილეთო, მაგრამ არავერი გამოუვიდა: მერე ორივეს აუწია ყურები და ღორებიანად იქიდან გაძევებას დაემუქრა. მათ კი ველაფერი ლოპიანას მოახსენეს და ეს დიდების ზენიტზე მჯდომი კაცი გადაირა, როგორ მაკადრეს ასეთი რამეო. ლოპიანას მორიგი მსხვერპლის ადგილი არმაზმა დაიკავა. ახლა მხოლოდ მომენტის შერჩევა იყო საჭირო. იცის, რომ არმაზი ჭალაში მარტო დადის უთოფორო.

ლოპიანასაც ეს უნდა, ჩაუსაფრდება, ვინ რას გაიგებს, ერთის მაგიერ ორჯერ დასცემს ჟაკანს; ამის მეტი კი შერჩენა.

არმაზმა ბაღიდან ღორები გამორეკა და პირდაპირ მეღორეებთან მივიდა: — ეხლა როგორ გინდათ, შეგძლდეთ, ერთმანეთს?! — უთხრა მეღორეებს და რაკი ლოპიანაც იქ დახვდა, ისაც გააფრთხილა, ღორები არ დამახოცინო.

ლოპიანა ბრაზისგან გაფითოდა. ნახეთ, რას უბედავენ, თავი მოსულებია; გამბვინვარებისაგან სახე მოეღრიცა.

— რას იღრიშები ყველის ვაჭარივით, ხომ არ გინდა, ბოდიში მოგხადო?!! — დამცინავად უთხრა არმაზმა.

— ბოდიში კი არა ძაღლებს ვაჯიჯვნინებ შენს ლეშს, — კბილების ღრჭენით შეულრინა ლოპიანა.

არმაზს გაკვირვებისაგან თვალები გაუფართოვდა.

— გაიმეორე ეგ მუქარა, შე ბაღლინჯო! — კისერში დაავლო ხელი და ისე ასწია, ფეხები მიწას მოაცილებინა. ლოპიანა აფართხალდა. არმაზმა დაიქნია და კუთხეში მჩვარად მიავდო.

— რომელი ღორიც ბაღში შემოვა, ამ საღორეში ვეღარ დაბრუნდება, გაიგე?! — უთხრა და უკან გაბრუნებული გაკვირვებით ფიქრობდა, ეს რა არაჩვეულებრივი პარაზიტი ვნახეო.

մոշանքուղու լոռականա կը տաքու շախարհինուղա. մծլաշրմա եղլմա Շյամինա. օւյ Շյեմլու լոռականաս մոշանքա, Ռողորու ման մոշանքա զոցոնա. „Ռաֆոմ առ դամաթրի՞“, ոյիշրոնձա լոռականա, „Ռա մոմենքու գայ՛շվա. մեց, ամ լոռու մեղորշեցաւ մ՛շրեցիզուու գագց- ևրեսօնա, առու արազոն դայշվածէնուու; յրտու մազուս չանու մոմբա, Ռաս զամրավլեծու մոմեցրիալ-մոշանքուղա!“ ամ ոյիշրի նել-եղլա գայա- ռա Շոմիս; տաշոյզարկոնիս դա Տօմապուս մարզուս ոյետյշա օշրմոն. Ռո- շոր էյաժրուել լոռականաս անտու Շյարացեցոյա?! մոշալաց. յշելաս յշո- նու լոռականասու, օւյան, դայնճոնելուու Ռոմաս դա Տօկազուլս Շյեպրուս. էռուու, արմաթմաց գամուցինա տազու տազս գանաթին; Խալ լոռականա հայսագործուու դա յրտուս մազուր, յշվս կարթիին դասելուս. մարտալուս, մլոյրու դա այանասազուտ Նվրացուս, մաշրամ տողուս Վոնա՛շյ յշելա դա յշելայշրու շմլուրու. առու արմաթու ազաթա դա առու լոռականա քուրունա թշր. մանց ը արուս ազամունա, ծյոնեցու կանոնեցու Տյուլ տաշագուրա այշե դայնենելուու. լոռմիս մանեց Տյուլսի դա լշարմծունա լոռմի զերա- յշրու դակլուցես, ցոնդ հայսագործու դա ցոնդ մուլունցելա դայնեսաս տազս, րապ ծյոնեցամ արշանա կծունու դա ծրկշպալուս մալա ծագոնօնես. մշետլունա, դալագի, զերացուս, դամենա, Ցյուրշի դանուս հացեմա մեռ- լոռու ազամունուս մոաթրուցնե թշոնուս մոշոնուլուս, օշուզ թշոնուս նա- պուգունարու տազուսուզ մուցգուս մուսայլուցի շամրազու Տօկազուլուս օարալու. լոռականա ազամունու, ծրկշպալու դա շմշու արա Տքուրծուու, այշե տողու դա տաշե Տապուրու Տօմեյտուլու – մմիմարա դա դայնճոնելուու, ասեարյես Տեցուսու թանշվա. տզուուն եկլուս Շյեսօնա գյուլու մուսուս, յշելատուուս Շյուրս Տօպուշելու, ցուունուս Վարտազաս, մուսիւրուս օւյ, տազուսաս Ռոմ արացերու աշնոս. ցցուստու դա Տարծու լոռականա. Ցեռաշել- տա Տամպարու մաս այսմա դաշլուցանեն, դաշլուցունեն, յարս շապանմ- նեն մուս ծյումելուս, մաշրամ լոռականա ազամունուս դա ազամունու մուցգուս մանկուրցեատա նոաճացի մուսելու մանկուրու Տյուլուս.

լոռականա ծարդու Ցու դա յլուուցե արմաթուս շամրանաս. օւյուս, ջուլուու ամ ծուլուցի այսպուլուցելուա շնեա գաւառուս. յմոնուս, զաւ, ոյ այսուցես, մամուն Ռոմ ցանցիւազ, Ռողորու մումուն ծյուրաս. յմոնուս, մաշ- րամ յուրու մլոյրու Տյուրցուլու Տրյուլպուուու ազամունուս Տօսելուու դատրունուսա.

արմաթուս տազուս ծոնա շմանա մմակացեցու դաշեգնեն, Վակայրմարուլուս. առ- մաթու մույզա ամ Տամինելու ազամունուս Շյեսեց, մեղորշեցուս յոյրուս Ռոմ արուս դա Ռալապ արաաձամունյրու ծորուցի դա Տօմեյտուլու Ռոմ Շյաթպու.



— ლოპიანაა ეგ სულიერი, ბოროტი და დაუნდობელია, როგორც ყველა ლაჩარი და მშიშარა, ყველაფრის მკადრებელია, არც კაცის მოკვლა მოერიდება, თუ მომწნტი იგდო ხელთ, — თქვა ერთმა.

— ვინ უნდა მოკლას მაგ ღვარძლის გუდამ! — აღელდნენ დანარჩენები.

— სწორედ ღვარძლის გუდა და არაკაცია მკვლელი, აბა, სიკეთით სავსე ადამიანი როდის კადრულობს ამგვარ რამეს.

— ეგც არის, — დაუდასტურეს დანარჩენებმა...

ახლა არმაზი ბილიქს მიუყვება და ათვალიერებს ჭალას, ბრაკონიერი ხომ არ შეეპარა, მერე მივა ამხანაგებთან და დაწყებულ დროსტარებას გააგრძელებს. ლოპიანაზე ფიქრი აეკვითატა. მისი დაღმანჭილი სიფათი რაღაც არაამქვეყნიურ, საზარელ ქმნილებას აგონებდა. მრავალფეროვანია ცხოველთა სამყარო, სუსტიანი და დაუნდობელია, მაგრამ ამ სამყაროში ადამიანი — ყველა სულიერის შიში და ძრწოლაა, ადამიანს კი თვითონ ადამიანი სპობს და ანადგურებს. ფიქრის ბორბალი უცებ გაუჩერდა, გაიყინა, ზედიზედ ორმა გასროლამ შეარყია ცა და დააფრთხო მუხის ტოტებში შეფარებული მტრედები. მკერდში ორმა ძლიერმა საშინელი ძალის დარტყმამა მოცელა არმაზი, თანატოსმა სახეში ჩახედა და ლურჯი ცა გაუშავა. ლოპიანამ კიდევ დატენა

თოფი, ორ გასროლას არ ენდობა, საიმედოდ უნდა მოკლას. აგერ, არმაზი მუხლებზე წამომდგარა, თავი მკერდზე ჩამოვარდნია, მანც ცდილობს მარჯვენა ხელით სანადირო დანის ბუდიდან ამოღებას.

— უყურე შენ, რაებსა ბედავს, ჩემი მოკვლა უნდა. დანას იღებს!

— კბილებში გამოსცრა ლოპიანამ, ორი კიდევ დაახალა უკვე სიკვდილის ბრჭყალებში მოქცეულ სულიერს. კიდევ გატენა თოფი და თავზე დაადგა. არმაზს დანის ამოღება მოეხერხებინა და სიკვდილის სამფლობელოში შესულს თითები მის ტარზე გაყინოდა.

— ჩემი მოკვლა გინდოდა, აპა, ესეც შენ! — ლოპიანამ კიდევ და-ახალა ორი ზედიზედ, მერე ხელიდან გამოგლიჯა დანა და ტყვიით დაგლევილი სხეულის აჩეხვა დაიწყო. დროის შეგრძება დაკარგა, ჩამუხლული დიდი სიამოვნებით კუწავდა ადამიანის ხორცს.

— არმაზ, საითა ხარ, არმაზ! — ვიღაცები იძახოდნენ. ეტყობა, ამ ბილიკს მოუყვებოდნენ; ხმები ახლოვდებოდა.

— ალაზნში გადავავდებ და ვეღარც იპოვიან, — ჩაილაპარაკა ლოპიანამ და ფეხში მოჰყიდა ხელი. აჩეხილი სხეული მიწაზე დარჩა, ფეხი მოძრა და ლოპიანას შერჩა ხელში. ნაწილ-ნაწილ წალების დრო აღარ იყო, ხმაური ახლოვდებოდა. ლოპიანამ ფეხი დააგდო, თოფს წაავლო ხელი და გაიქცა.

— ბიჭებო, ლოპიანა გარბის! — წამოიძახა ერთმა და ყველა გამოეკიდა.

არმაზის დასასიჩრებულ-დაჩეხილ სხეულს მოულოდნელად წაადგნენ და საშინელმა ღრიალმა სისხლი ძარღვში გაყინა.

— არ გაუშვათ ეგ უხსენებელი! — აღრიალდა ვიღაც და ლოპიანას კვალზე ოთხი გაშმაგებული კაცი გაეკიდა.

— სასწრაფოდ დამმალეთ! — ღრიალით შევარდა მეღორეებთან შიშით გონებადაბნეული ლოპიანა.

— დამმალეთ და დამმალეთო, — ჩაიღილინა გამობრუულმა მეღორემ. — წამოდი, ჩემს არყის ბოთლოთან ჩაგკიდებ, უშმაკიც ვერ გიპოვის, — ლოთი რაცრაცით და ღიღინით წავიდა ფეხისადგილისაკენ.

— ჩქარა! ჩქარა!!! — ხელის კვრით აჩქარებდა ლოპიანა. თოფი ბარდებში მოისრიალა და ლოთს ტუალეტში შეჰყვა.

ოთხი ვაჟეაცი გრიგალივით შეიჭრა ეზოში. ქოხში უნდა შევარდნილიყვნენ. უცებ ერთმა დაიღრიალა: — აგერ, მანქანა, შიგ იჯდება, არ გაგვასწროს!

— დამმალე და დამმალე, ჩქარა და ჩქარა, — ლოთმა ღიღინით ახადა ტუალეტის ფიცრები. საზარელ მყრალ მასას ნახევარი მეტრი-

და აკლდა პირამდე რომ გაევსო. ძაფით ჩაკიდული ბოთლი ამოიღო, რამდენიმე ყლუბი დალია და ისევ შიგ ჩაკიდა.

— ჩაჯექ, რკინას ჩაავლე ხელი, რომ არ ჩაიძირო. არაყი არ დამიღიო, თორე ორმაგად მოვითხოვ, — უთხრა ლოპიანას და ტუალეტის კედელს მიეყუდა.

შიშისგან გაოგნებული ლოპიანა ისეთი შევბით ჩახტა სიბინძურით სავსე ორმოში, როგორც რევმატიზმებით შეწუხებული ადამიანი გოგირდის აბაზანაში. რკინას ჩაავლო ხელი და ნიკაპამდე ჩაიძირა.

— არ მოიწყინო, — უთხრა ლოთმა და ფიცრები დააფარა.

ახლა თავისი საჭიროებაც გაახსენდა, ზედ დააშარდა და ჩქარა, ჩქარას ღილინით გარეთ გავიდა.

ლოპიანა მანქანაში რომ ვერ ნახეს, ქონიც გაჩხრიკეს, მიყარ-მოყარეს იქაურობა და ხელმოცარულები ახლა ეზოს აქოთებდნენ.

— მანდ რა დღეში ხართ! — დაიძახა შარვლის ღილების შეკვრით გართულმა ლოთმა. ახლა მოჰკრეს თვალი და მისებნ გაიქცნენ.

— რა იქნა ლოპიანა, შე შობელძაღლო! — იღრიალა ერთმა და ისეთი სიმძლავრით ჩასცხო მუშტი თავში, რომ ლოთი მიწაზე დაამხო. მეორემ წიხლი მიაყოლა.

— მოიცათ, არ შემოგაკვდეთ, — ერთმა კისერში ჩაავლო ხელი და ფეხზე წამოაყენა.

— ლოპიანი, ლოპიანი არ ვიცი მე, — ენის ბორძიკით ძლივს თქვა ლოთმა, — თუ კაცები ხართ, არაყი დამალევინეთ, თუ არა და, თქვენი დედაც...

— ამისგან ვერაფერს გავიგებთ, — თქვეს, სათითაო უთაქეს და ლოთი გუდურასავით მიაგდეს.

— ტუალეტში არ იმალებოდეს, — ერთმა კარი გამოაღო და კინაღამ გული შეუღონდა, — ეს რა საზარელი სიმყრალეა, გავიგუდე კაცი, — თქვა უკან გამოქცეულმა.

— ვიპოვოთ ლოპიანა და მაგ სიბინძურეში ჩავკიდოთ.

— ლოპიანა იგრეც ჩაკიდებულია, — ბურტყუნებდა ლოთი და ვაივაგლახით დგებოდა. ორმა მანქანა დაქოქა.

— ჩვენ შარაზე გავალთ, იქნებ გადავეყაროთ სადმე, — დაუბარეს დანარჩენებს.

— სად მიგაქოთ, ე, ლოპიანასია! — რაცრაცით გაეკიდა ლოთი და მაგარი ჭიტლაყიც დაიმსახურა.

მთელი დღე იჯდა ლოპიანა ტუალეტის სიბინძურეში, ნიკაპთან მომდგარი სითხიდან მატლები სახეზე აცოცდნებოდნენ, პირში, ნესტო-

յմի, ցուրեցն და თვալեցն շաբախնեն; გամուշուրտեցու, ფրշտի-նոտ და შებերցու յերմու ამ სიմֆոնիա մաტլցებს.

ის კაცები კარგა ხანი წաշտեნ, ეზოში Տեղական օյու, մաշրած აմուսնომა ვერ გაეტედა, ვაստუ აქ, საღმე Տեղակ და մելոდებიანო. ნաცემი ლოთი ქოხში შეძვრა და მკვდარივու ჩაეძინა. შუადღე გადა-სული օյու, მეორემ რომ გაიღვიძა. მიնგრշულ-მონგრշული კარადა და მაგიდა რომ ნახა არ გაკვირვებია, არყის ბოთლის გატეხა ეწყი-ნა. ყელი ვერ გაისველა. ბაնცალ-ბაնცალით წაշտდა ტუალეტիსკენ, ფიცრები ახალა, არყის ბოთლი ამოიღო და მოიყუდა. ისევ ჩაკიდა და ახლა დაინახა მატლებით თეთრად გაპოპკილი մრგვალი რაღაც, ზედ დაմარადა, მატლები ჩაմოւրցხა და შავი, თმიანი თავი გამოჩნდა. ლოთმა ფიცრები ისევ დააფარა და ჩაიღიღინა:

— კომბოსტო օյու ზღარბი, თუ ზღარბი օյოւ კომბოსტო.

ლოპიანამ ხმა არ ამოიღო, შეშინებულმა ყვირილი არ დაიწყოს და არ გამცესო. ოღონდ გადარჩენილი օյու და მზად օյու ამ სიմֆոնիაში იმ კაცის შესვლის დროს რომ ჩაყვინთა კიდევ გაემეռობინა.

შებინდდა. ლოპიანამ ფიცრები გადაყარა. ძლიერს, ვაი-ვაგლახით ამოძრა, ტუალეტიდან ხოხვით გამოვიდა და ლოკოკინასავით სველი კვალი გაიყოლა. სახლში წასვლა გადაწყვიტა, უჩუმრა შეიპარება და დაიმალება. ქურდულად შეძვრა სოფელში. თავის სახლს რომ მიუ-ახლოვდა, ელდა ეცა, უამრავი ხალხი შემოსეოდა მის კარმიდამოს და ღრიანცელით იკლებდნენ იქურობას. დამფრთხალი ლოპიანა პირ-დაპირ პოლուպიაში გამოცხადდა და თავის სიմֆոնით გულուշրევით დააռსა დამხვდლერნი.

სასაմართლოზე ლოპიანა შემოღობილში იჯდა, მაგრამ მისი მოკ-ვლა არავის უცდია. დახვრეტა არ მიუსაշოთო, ითხოვდნენ არმაზის ნათეսავ-მეგობრები. მაგისთვის დახვრეტა ხილია, სიცოცხლე ჯოჯო-ხეთად უნდა ექცეს, მაგ ცოდვის შვილსო. თოთხმეტი წელი მკაცრი რეյიმის კოლონიაში მოხდა მიუსაჯეს ლოპიანას. ციხეში რაც იმას დღე აჩვენეს, ეგონა, უკან დარჩაო და შვებით ამოისუნთქა. დაისვენა, დამშვიდდა, ცა გაუნათდა, აღარც არავინ აწუხებდა. ახლა კოლონია-შია, ბარაკში Տավոლზე წაմოწოლილა და თავის ფიქრებს მისცემია: კიდევ კაրგია, ის ოთხი ვერ გაიგეს, თორემ დამხვრეტდნენ ნამდვი-ლად, გადავრჩი, — ელიმბა ლოპიანას და უხარია, რომ ცოცხალია.

— ლოპიანა, აბა ერთი აქეთ გამოდი, — ვიღაცამ მხარში ჩაպահ ხեლո და Տավոլու დან წაմოაგდო.

— რა გინდა?! — საშინელმა წინատշրմნობაմ შეաշխատ



— რაც გვინდა, ეხლა გაიგებ, — იმ ერთს სამნიც მიეშველნენ და ლოპიანა გასასვლელისაკენ გაათრიეს.

— სად მიგყავართ?! — იღრიალა ლოპიანამ და გაუძალიანდათ.
— არსად, აქვე უნდა გაგაპედერასტოთ, — ლოპიანა წალუნეს, შარვალი კი არ ჩახადეს, ქამრიანად უბეზე გადაუჭრეს ისე, რომ ტოტები ცალ-ცალკე დაეკიდა. — ახლა დავიწყოთ, — თქვეს და ლოპიანამაც იღრიალა. რაღაც არაადამიანური ენერგიით გაიბრძოლა, ხელიდან გაეშვათ და ფეხებში გაბლანდული შარვლის ტოტების ფლარტუნით გარეთ გავარდა. მთავარი შამოსასვლელისაკენ მირბოდა ტატრაუნა კაცი ღრიალით და შარვლის ტოტების თრევით, ხან ფეხს ადგამდა, წაიქცეოდა, იფართხალებდა, ძლიერს წამოდგებოდა და გარბოდა, რომ ისევ წაქცეულიყო და გაკვირვებული პატიმრების დამძარებულ სახე-ებზე ღიმილი ებარტყებინა.

ლოპიანას საერთო ბარაკში ცხოვრება არ შეიძლებოდა და კოლონის ადმინისტრაციამ გარედან ცხიმიანი მოქრთამგის წყალობით, საკუთარი ჯურლმული და შესაფერისი სამუშაო გამოუძებნა. ახლა ლოპიანას თავისი ციხესიმაგრე აქვს. მართალია, ღამ-ღამობით აწუხებენ და სიმშვიდეს უშფოთებენ, მაგრამ ვერაფერს აკლებენ, სამაგიეროდ დღისით არავინ ერჩის. პატიმრებს გაურბის, შორიდან უვლის, თუ რამე საეჭვო შეატყო, გაიქცევა და თავის სოროში შეძვრება. იცის, რა ძვირად დაუჯდება გათამამება. ერთხელ ტრასაზე მოსეირნე პატიმრებში გაერია და მაშინვე ისეთი ჭიტლაყი მოხვდა, კინაღამ კისერი

ელრძო. უკან რომ მოიხედა, ახლა ქეჩოში მოხვდა მჯიდი, კიდევ ჭიტ-ლაყი, კაღევ მჯიდი და იმდენი მოხვდა, ხოხვით შევიდა თავის ჯურლ-მულში. პურის ასაღებად სასადილოში მისულ ლოპიანას ორზე მეტი ჭიტლაყი თუ არ მოხვდა, ის დღე მისთვის საზეიმოდ ითვლება.

კვლავ აჭყვიტინდა საზარელი მარში. ახლა სამუშაო ზორიდან ხუთორიგად დაწყობილი რაზმეულები დაიძერებოდნენ. ოხვრა და გმინ-ვა მოჰყვებათ თან. შავი, გაბოროტებული მასა მოედება ბარაკებს და გზებს. მათ დამნაშავები პქვიათ, სასჯელს იხდიან, რომელიც ცოდვილმა ადამიანებმა მოუსაჯეს. კანონებიც ცოდვილი ადამიანების მოგონილია. ამ მექრთამეობის ქვეყნაში ქრთამი აკრძალულია, არადა, მექრთამეა ყველა, ქვეყნის მთლად უფროსი მბრძანებლიდან ყველაზე უკანასკნელ კოლონის ზედამხედველობიდან. ამ პატიმართა ლაშქრმა ყველაზე უპეტესად იცის ქრთამის ძალა დაპატიმრებიდან კოლონი-თურთ. ქრთამის სიდიდეც დაკავებული სკამის სიმაღლით იზომება. ყველა პატიმარი მექრთამე კანონის დამცველთა მიერ გაძარცული და გატყავებულია. თვითონ კოლონიაც ხომ მექრთამეობის სიბინძურეში ფართხალებს. აქ შეუყრიათ მკვლელები, ყაჩაღები, ქურდები, მექრ-თამები, კომბინატორები და ათასი ჯურის დამნაშავენი. აქვე არიან უდანაშაულონი, დანაშაულ-დაბრალებულნი, მართალი სიტყვის თქმი-სათვის უსამართლობაშეყრილი, დიდ სკამზე გაბლენძილ წმინდანთა ნიღბებში შემძვრალ ცოდვილთა მხილებისთვის იმათვე ცოდვაწამო-კიდებულნი; სპეტაკი სულისა და უნგარო ცხოვრებისთვის სიბინძუ-რესა და ანგარებაში შეკეტილები. იციან პატიმრებმა, რომ ყველაზე დიდი მკვლელები, ყაჩაღები, ქურდები, მექრთამები, კომბინატორები და ყველა ჯურის დამნაშავენი გარეთ არიან და სწორეთ იმათ გამო-უწერეს კოლონიაში ყოფნის სამსალა სხვადასხვა დოზით. უპყრიათ ხელში ქვეყნის მართვის სადაცები, იჭერენ წვრილმან დამნაშავებს, რათა შსხვილმანში მათზე ეჭვი არავინ აიღოს. ეჭვი რაა, როცა ყვე-ლამ იცის მათი შავი საქმეების შესახებ, მაგრამ შიშით ენა აქვთ გადაყლაპული. თუ ვინმე რამის თქმას გაბედავს, კოლონიაშია მათი ადგილი. სიმართლის მთქმელობა დამნაშაულია დამნაშავეთა სამთავრო-ში. თვალომაქცობის ქვეყნის შვილები თვალომაქცობის ყველაზე მწა-რე მოსავალს აქ, კოლონიაში იმკიან. კოლონიაშიც აქვთ თავისებური კანონები და ისეთი დამნაშავებს, როგორიც ლოპიანაა, თავისებურად უსწორდებიან: ახრჩობენ, ფეხებით თავდაყირა პკიდებენ ვირთხებით საგსე ორმოში, ღამე ნამინარევს სახეზე დანას დაუსვამენ, ან ყელს გამოჭრიან, აუპატიორებენ და პედერასტების ბარაკში გადაბარგებენ.

მოკლედ, აქაც თავისებური კანონი და სასჯელის ფორმები აქვთ. არც ლოპიანას ასცდებოდა რომელიმე მათგანის ბედი, კოლონის მექრთამე ადმინისტრაციას მისთვის იზოლირებული სორო რომ არ გამოეყო.

დაბრუნდნენ პატიმრები და საცხოვრებელი ზონა გნიასით გაიცის. ისინი ყველგან არიან, დადიან, დაობენ, კინკლაობენ, იგინებიან, იღ-რინებიან. ახლა სჭირდება განსაკუთრებული სიფრთხილე ლოპიანას. ყველას ერიდება, გაურბის, შებინდებამდე შეძრება თავის სოროში და გათენებამდე ყორნისფერი იდუმალების ტყვეობაში ითვლის უბადრუკი სიცოცხლის მაჯისცემას.

დაბამდა. კოლონიაში ხმაური შეწყდა. ყველა თავის ბარაკში შეიყუჯა. მთელი დღის გაწამაწით დაოსებულნი საწოლებზე მიეყარნენ. თავის ტახტზე წამოწოლილა ლოპიანაც და გულის ფანცქალით ღამის შემოტევის დაწყებას ელოდება. ჩათვლიმა და, აგერ, კიდეც მოაკითხეს, მაგრამ ესენი სულ სხვა სახის და შესაძლებლობის არსებანი არიან. მათ ვერ აკავებს ლოპიანას ურდულგაყრილი კარები, ვერც გისოსებიანი სარგმელი და ვერც ნაწევარი მეტრის სისქის კედელი. დაუკითხავად ჩავლეს ხელი და მოკუნტული სხეულიდან ამოაძვრეს სული, მერე ჭერში გაიარეს და ცისკნ გაფრინდნენ. ლოპიანამ უკან მოიხედა, ტახტზე მოკუნტული თავისი სხეული დაინახა, საკრმლიდან შავსაცმელიანი კაცები ქვას და აგურის ნამტვრევებს რომ ესროლენენ.

- სად მიგყავართ? — მოკრძალებით იკითხა.
- სადაც შენი მსგავსების აღვილია! — მიიღო პასუხი.

ორი მძლავრი ფრთოსანი სული თუ ანგელოზი ლოპიანას სადღაც, სივრცეში მიაქროლებდა. მაღლა სილამაზის, სიმწვიდის, კეთილსურნელების, მომხიბლავი ფერების, მუსიკის რაღაც საუფლო სიამოვნების სამყაროს კარიბჭეს მიაღწენ.

— სად მიგყავთ ეგ ბინძური ცოდვილი?! — მოესმა სავერდოვანი, ყოვლის მომწუსხველი ხმა.

— უფლის სამსჯავრო ხომ არ ინებებდა ამის ნახვას? — იკითხეს ლოპიანას სულის მეგზურებმა.

— მიიყვანეთ, აჩვენეთ, სადაც მაგის მსგავსების ადგილია და ისევ ჩაასახლეთ ცოდვიან სხეულში! — მიიღეს ბრძანება და ლოპიანა სადღაც, დაბლა ჯურლმულში დააქანეს.

ფართე ჭაობის მსგავს, სიმყრალით გაჟღენთილ ველზე დაეშვნენ. ზედაპირი დუღდა და შიგ რაღაცანი ფუთფუთებდნენ. პატარა, მშრალ ბილიკზე მიაცილებდნენ ლოპიანას სულეთის მეგზურები. მიწიდან

საშინლად დაღმაჭილ ადამიანთა ზოგან მარტო თავი ჩანდა, ზოგან წელს ზევით ამოზიდულიყვნენ და საშინელ მყრალ სითხეში ჩაძირ-ვას ებრძოდნენ; ზოგი ჩაძირული ისევ ზევით ამოდიოდა, გამსკვარი თავის ქალიდან გამოჩრილი ტვინით. ერთმანეთს ებლაუჭებოდნენ, შვე-ლას ითხოვდნენ, სითხეში იძირებოდნენ, მერე ნაწილებად ამოდიოდ-ნენ, ისევ მთელდებოდნენ და საშინელი სიცხისა თუ რაღაც შინაგანი დაძაბულობით სკდებოდნენ, ისევ მთელდებოდნენ. ერთმანეთს კიდუ-რებს აგლეჯდნენ, ღრიალებოდნენ, საკუთარ კიდურებს ჰკარგავდნენ და დაღრღნილ-დასახიჩრებულს ისევ იბრუნებოდნენ; ხორცი სცვიოდათ, ძვლებშერჩენილები საშინელი ღრიალით ებებდნენ საკუთარ ხორცს. რაც ღრმად შედიოდნენ, უფრო და უფრო საშინელი ხდებოდა იქაუ-რობა. აღრე ჭაობს რომ მიამსგავსა, თურმე ეს სულ ადამიანთა ხორ-ცი და ძვალი ყოფილა, დუღდა და ბორგავდა ამხელა მასა, ებებდნენ საკუთარ კიდურებს, ხორცს, ძვლებს, ტვინს, პოულობოდნენ, მთელ-დებოდნენ, მერე ისევ იგლიჯებოდნენ, იფლითებოდნენ, სკდებოდნენ, იხარშებოდნენ და ახლიდან მთელდებოდნენ; საშინელი ტკივილი და საზარელი წამება დათარეშობდა ამ ველზე.

— მუდმივი ტანჯვის ველია შენისთანებისთვის, — უთხრა ერთმა მეგზურმა და დაუმატა: — სად ისურვებდი ჩაჯდომას?

ლოპიანა შიშისგან გაქვავდა. ამ დროს მბორგავი მასიდან ხელი ამოიმართა ლოპიანას ფეხში ჩაეჭიდა, ხელს თავის მოჰყვა, — მეორე ხელიც და ჩაეჭიდა მეორე ფეხს.

— ამომიყვა! აქედან ამომიყვა! ან შენც აქ ჩამოდი! — გაწამებული თავი ახარხარდა: — დააბრუნეთ უკან და სულ სიკეთეს ვემსახურები, დამაბ... — სიტყვა ვეღარ დაამთავრა, თავი გაუბრტყელდა, მერე გაე-ბერა და გასკდა. სხეული დაეშალა, ლოპიანას ფეხებზე მოჭიდებული ორი ხელი დარჩა, დანარჩენი მოთუხთუხე მასაში გაქრა.

მერე თავი გამოჩნდა, ნახევარი ტვინი შუბლზე ეკიდა.

— მომეცი ჩემი ხელი! — დაეჯლანა ლოპიანას და მარცხენა ხელს კბილებით ჩაეჭიდა, მხარზე მიიბა, მეორე ხელიც შეიერთა ღრიალით და გოდებით, კვნესით და წყევლით ჩაიტენა გამონთხული ტვინი თა-ვის ქალაში და ისევ მოჰყვა მოთქმას:

— დააბრუნეთ უკან და სიკეთედ ვიქცევი! დამაბრუნეთ! დამაბრ... — სიტყვა ვეღარ დაამთავრა, ისევ გაუსივდა თავი, დაეშალა სხეული, ისევ გამთელდა და ისევ აღრიალდა: — სიკეთედ, სიხარულად. ბედი-ერებად, სიცოცხლედ დავბრუნდები!

— ვინ არი? — ძრწოლვით იკითხა ლოპიანამ.



— ნერონია. ორი ათასი წელი ამ დღეშია და არავინ იცის რამდენი ხანი იქნება ასე. იქ ხალხი აწამა, სხეულიდან სულები გამოაძევა. ბოროტება და ღვარძლი ამრავლა სულ რაღაც უმნიშვნელო სიცოცხლის გამბავლობაში და დიდი ხნით დაიმკვიდრა ის, რასაც იმსახურებს, — მიიღო პასუხი.

— ახლა ჩავუშვათ, — თქვეს და ლოპიანა მუხლებამდე ჩააღრმავეს ბობოქარ მასაში.

საშინელი ტკივილით გადარეული ლოპიანა აბლვლდა ისე, აზლად სხეულაწყობილი ნერონიც კი გააჩუმა. ლოპიანა ბლაოდა, ფეხები მოსძრა, ახლა ძვალმა გამოხია მკერდი და გრძლებად გამოეჩირა. ტკივილისგან თავის ქალა გაებერა და შუბლიდან გამოხეთქილი მვლიდან ტვინმა გამოიხედა, ლოპიანა კი ბლაოდა, ნელ-ნელა იძირებოდა.

— ახალია და რა მაგრად ყვირის, — ჩაილაპარაკა დაღრეჯილმა ნერონმა და გოდებით დაიწყო ძვლებიდან ჩამოცვენილი ხორცის აკრეფა. ლოპიანა ნიკაპამდე ჩაიძირა, დაიშალა, დაიფანტა, საშინელმა ტკივილმა შთანთქა მისი არსებობა. ახლა თავიც ჩაიძირება და ბლავილის შევბაც ტკივილს მიემატება.

— მეყოფა ტუალეტში ჩამაგდეთ, რა ბედნიერება იქნება, ეს რომ შემისრულოთ! — ბლავის ლოპიანა და იძირება.

— ეყოფა, თავის სხეუს დაუბრუნეთ! — ესმის რაღაც იდუმალი

ბრძანება და გამთელებული ლოპიანა, ნერონის ველიდან კოლონაში გააფრინეს. მისი სხეული მოკუნტული დევს ტანტზე. სული ჩავიდა ჭერიდან და შეძვრა შიგ. რამხელა შვება იგრძნო იმ ტანჯვიდან თავ-დაღწეულმა. დაღლილს ჩათვლიმა, მაგრამ შიშისგან ისევ გამოვხიზ-ლდა, ვაი, თუ მოვიდნენ და წამიყვანონო. ის დამეული ქვისროლიები მაინც რა იქნენ, მოვიდნენ, გაუტეხონ თავი და დაულურჯონ გვერ-დები, ოღონდ ამით ისიამოვნონ, ლოპიანა მზად არის, ყველას მოეფე-როს, მიეხმაროს, ტკივილი შეუმსუბუქოს, სიკეთედ სიხარულად და ბედნიერებად დაიღვრება.

გათენდა. საზარელი მარშის ხმაშ ცივი, ყინულის ეკლებით მოი-თარეშა ბედშავ პატიმართა სხეულები. გაბოროტებული, გაავებული, დათრგუნულ-დაწისლული ადამინები ოხვრით და წყევლა-კრულვით რაზმეულებად ეწყობიან.

ლოპიანა ადგა, სარკმელზე მიფარებული ნაბდის ნაგლეჯი მოხს-ნა, კარები გააღო, უშიშრად გავიდა გარეთ და პატიმრებში გაერია. ყველას უღიმოდა, უნდოდა, მათოვის როგორმე ტანჯვის სიმბიმე შე-ემსუბუქებინა. ასეთი სურვილი ჰქონდა, მაგრამ რა შეეძლო. პატიმრე-ბი კი ერიდებოდნენ და შეშინებულები მეორე მხარეს გადადიოდნენ. ლოპიანა მათში გარევას ცდილობდა და როგორც მგელი ცხვარს, ისე აფრთხობდათ.

წავიდნენ რაზმეულები, შთაინთქნენ სამუშაო ზონის ფართე სტო-მაქში. ლოპიანა სასადილოში შვებია, ჩვეულებრივ პურს აიღებს, სუპს თავის ქვაბუაში ჩაასხმევინებს და სასწრაფოდ გამობრუნდება, რომ ცხელი წვნიანი ჯამი თავზე არ წამოაფარონ. პურის ასაღებად მდგარ ლოპიანას მაგარი ჭიტლაყი მოხვდა, მაშინვე მობრუნდა და ღიმილით მიაჩერდა ამის ჩამდენს.

— კიდევ მომარტყით, თუ ეს შვებას მოგცემს, — უთხრა.

ჭიტლაყის ამომკვრელი დაფრთხა, უკნ-უკან წავიდა და სხვების ზურგს ამოეფარა. ლოპიანა ახლა დანარჩენებს მიუბრუნდა, ესოდენ შიშით რომ მისჩერებოდნენ.

— დამარტყით, მცემეთ, ხორცები დამაგლიჯეთ, მაწამეთ, თუ თქვენ ეს სიამეს მოგაგრით, მე ბედნიერი ვიქნები, — ლოპიანა ყველასთან მიდიოდა სათნო ღიმილით, ისინი კი შეშინებული და თავზარდაცე-მულები გაურობდნენ. მალე სასადილო მთლად დაიცალა. ლოპიანამ პური და ცხელი საჭმელი აიღო. თავის სოროში კი არ წასულა, იქვე მაგიდასთან დაჯდა და შეექცა ულუფას. რამდენიმე პატიმარი შევიდა სასადილოში. ლოპიანა ადგა: — მობრძანდით, თქვნი ჭირიმე, მაგი-

დასთან დაბრძანდით, მე მოგიტანთ պատրաժერს, — თქვა და კეთილი ღიმილით პურის ასაღებად მივიდა, რომ იმ პატიმრებისთვის სუյრა გაეწყო. ახლა შეხედა შიშისგან დაზაფრულ პურის დამრიგებელს.

- რაშია საქმე, ცუდი ხომ არაფერია, მმაო? — შეეკითხა.
- არაფერი! — ძლივს მოახერხა ამის თქმა, უკან-უკან წავიდა და პურის თაროს ამოეფარა.

ლოპანა ახლა მაგიდასთან მივიდა, პური დადო და ცხელი კერძის ასაღებად გაემართა, ქანდაკებად ქცეული პატიმრები შიშისაგან ენას ვეღარ ძრავდნენ. ლოპანა რომ მობრუნდა, აღარც ერთი აღარ იჯდა იქ.

- ნეტა რა ვაწყენინგ? — გულდაწყვეტილმა ჩაილაპარაკა.

სულეთიდან დაბრუნებული ლოპანა მხოლოდ შეძვრა თავის სხეულში, მაგრამ გვამს ისევ უსიცოცხლო ფერი ედო. ცხედარი დადიოდა საიქიოდან მოსულივით რაღაც არამქვეყრნიური მოძრაობით. კოლონიაში დადიოდა მოჩვენება, რომელსაც მართავდა ზეადამიანური სიკეთენაზიარები სული.

მთელი დღე არ მოისვენა, ვინც დაინახა, მისვლა და მოფერება დააპირა, ყველა ძრწოლვით და შიშით გაექცა. აგერ რაზმეულებიც დაბრუნდნენ სამუშაო ზონიდან. მათაც იცოდნენ, ლოპანას სიკვდილის მოციქულად გადაქცევის შესახებ და იღუმალი შიშით გაურბოდნენ მასთან შეხვედრას. ლოპანა კი ჯერ მთავარ ტრასაზე შემოხვდათ და ცხვრის ფარასავით დააფრთხო, მერე ბარაკში შეყუულებს მაკითხა, თავისი კეთილი სურვილებით და ტკბილი საუბრით უფრო აუპნიათ შიშისაგნ დაზაფრული გონება. ემალებოდნენ, გაურბოდნენ, ემუდარებოდნენ, ჩვენთან არ მოხვდეთ. ის კი ვერ მიმხვდარიყო, რატომ იქცეოდნენ ასე, როცა ლოპანას მათვების მხოლოდ სიკეთე და ბედნიერება უნდოდა. არ იცოდა, რომ მისი გაკეთილშობილებული სული ცხედარს დაჰყავდა შიშით დამფრთხალ პატიმართა შორის და მისი სათნო ღიმილი იმქეფნიური ღრეჭა იყო. დაღამდა. ამდენი სიარულით დაღლილი ლოპანა გრძელ სკამზე ჩამოჯდა. ტრასა ადრე პატიმრებით რომ იყო სავსე, დაცარიელებულიყო, ყველა თავის ბარაკში შემალა. ლოპანა კი იჯდა და ელოდებოდა, იქნებ ვინმე გამოჩნდეს, დაველაპარაკები, რაიმეს მივეხმარებით. არავინ არ გამოჩენილა, ვინც შორიდან თვალი მოჰკრა სკამზე მჯდომ ცხედარს, მისკენ რალა გამოატარებდა.

დიდხანს იჯდა ლოპანა. ძილი მოერია, თავს იძაგრებდა, ეშინოდა სულების გამცილებელთა სტუმრებისა. ოღონდ იქ, ნერონის ველზე არ მიეყვანათ, მზად იყო, გამქრალიყო სულთან ერთად, მაგრამ ხორ-

ცის მოკვლა თუ შეეძლო ამ ცოდვილ დედამიწის მკვიდრს, უკვდავი სული ყველაფრისთვის აგებდა პასუხს. არადა, რა საზარელი იყო სასჯელი უფლისა. იცის ლოპიანამ, რომ იმათ ვერ გაექცევა, ვერც ჩადენილ ცოდვებს დამალავს, ყველაფერი იციან და სადღაც ზევით უფლის სავანეში განკითხვაც უზუსტესი განაჩენით მზადდება. აქ, სადაც ხორცი ბატონობს სულზე, ბოროტების ჩადენაც შეიძლება, მისი დაფარვაც, მსაჯულის მოქრთამვაც და იმ მსაჯულად ყველა მიწიერი მანკიერების მტვირთველის დასმაც. ყველაზე დიდი სასჯელი სხეული-დან სულის გამოძევებაა, რის შემდეგ მიწა, რომელიც სხეულად იქცა, რათა სული ეტარებინა, ისევ მიწას უბრუნდება, სული კი მიღის იქ, სადაც თავის საქციელზე პასუხი უნდა აგოს, სულეთის სამსჯავროში. ახლა იცის ეს ლოპიანამ და საშინლად ნანობს, რომ სხეულის უძღებობას და შავბნელობას შეაცდენინა სული და სამუდამო ტანჯ-ვისთვის გაწირა.

თავის სოროში ზის ლოპიანა და ძილის შემოტევებს იგერიებს. დუმს შიშით დაზაფრული კოლონია. ბარაკებში ზარის თამაშსაც ვე-ღარ ბედავენ. ლოპიანას გამოჩენის შიშით გარინდულან ადამიანები. სულეთის მოციქულთა გამოჩენის შიშით ძილს შეჭიდებია ლოპიანა. იცის, განკითხვას ვერ გაექცევა, იმ საშინელ მინდორზე მისვლის ში-შით ყველა წუთს სასოებით ჩაბლაუჭებია.

კარები ღია აქვს, არც სარკმელზე მიუფარებია ნაბდის ნაგლევი. ლოპიანას არაფრის ეშნია. ოღონდ არ წაიყვანონ იმ ძვალ-ზორცის სამტგრუე-საგლევ-სახარშში, როგორც სურთ, ისე მოექცნენ აქ, კო-ლონიაში და ამით შურისძიების თუ სიძულვილის ზმანება დაიცხონ. აგრ ისინიც, ოღონდ არა ხორციელი შურის მაძიებელი, არამედ სულიერი, წმინდა, სპეტაკი, მოუსყიდავი, შეუცდენილი მოციქულები, თუ სულთა გამცილებლები.

— წავიდეთ! — უთხრეს ლოპიანას და ამოაძრეს თავისად შერქმეუ-ლი სხეულიდან დიდი მიწის პატარა ნაწილაკად რომ ითვლება.

ისე უმტკივნეულოდ ამოვიდა სული ლოპიანა ხორცი ლოპიანა-დან, რომ არც თავის ჩამტვრევა დასჭირდათ და არც გულის გაწეოქ-ვა. ეტყობა მარტო, ამათ შეუძლიათ სულის სხეულში ასე უმტკივნე-ულოდ გამოსახლება და ჩასახელბა.

— ისევ იქ მივდივართ? — საშინელი განცდით ამოიკნავლა ლო-პიანამ.

— არა, შენ არც ისეთი დიდი შესაძლებლობის ცოდვილი ხარ, შენისთანებისთვის უფალს სხვა პლანეტა აქვს გამოყოფილი. ის დე-

դամի՛թյ ցաբուլակոտ դուռօ.

Կունք շնորհած մեյստերուն մուշմա, դամամի՛թյ դուռ Ռոշոր Շե-օմանա պատմա, մաշրամ զեր գածեա, շըպոնա, Նյուլենիս ցամպուլենդլենիս էպատմարտա մեծալրացեակոտ առ Շահարտ Ներմեթո լապարակո. ռոշոնճ, ույ վրտամիս մուսպեմ, պայլապյորս ցակետենեն. մաշրամ ամատո մոյրտամցա եռմ առ Շեպոնդիս, ան րոտ մոյրտամազ անշարժենան եռուլունան ամոմմ-շրալու պարույրո Նյուլո. ուս եռուլո զո տապուս անշարժենոտ դամամի՛թյ դարիս. Ռոշոր Շնճա լոռպանան յութերաս, ռոշոնճ ուն Տամոնելենդամու նյ Շամոյցանու դա ռապ ցինդատ, մուեռուզոր.

— Շեր չեր դամամի՛թյ կայքպուսցան ցանմենցնունու առա եար, ջոյրե-ծու օմուրոմ ցայցս ծոնմուրո. ցայրտենունու, մաց մշրելուրո ջոյրե-ծուստցուս դասխցիս, Նյուլենիս Տամպուլենդու մեռունու Տպեթակո, մուսոյ-ցարույրու, կետունու, պանցարու Նյուլենիստցուս առուս աջունու, — մունու ձաւշես տապուս ջոյրենց.

Ցայցարունա լոռպանան, այ դամալուլ-դագարույրու արացյոր պայու-լառ. ոյ, դամամի՛թյ, Շեպոնդիս կապու այո, աջունու, Տոյցարույրու դա յերտցաւունու Շեպոնդո, Եյրց Սպան Ցութունս, ցերացունուս, ըալագունուս ծագու Սպետուու, Շեպոնդո, դացարու դա մերյ դասակլապու դաշույրու-ցուտ ցամունագրու պելո. Կարցու ծոյքու եար դա այ Տոյցար ամցարու Ռամ. ամուրումա ամդենու տալումայցու, ցերացու դա ծորունու Ռոմ ծոցինոն դամամի՛թյ կետունու դա էպատուսանու կապուս մանցուու.

— Յոնց ծորունու դա ցերացունու Տմասենցնենա, Ռապ ჩայուցնուա, մեռունու Տայցուարու տապուս Տապունուն. Յոնց Տեցան մուրունու, ազ դա ծորունու Տայմես Սպետունու, Սպենունց Սպենուրուա, Ռագան տապուս տապու Սպենունցնու պոյցաւուց ազո. դամամի՛թյ Նյուլուս մովիս Տրունույթ Նյե-սպենունց հասաելունու դրունուուտու դա ցայլապես Ֆազաս, Նյուլուս Կեռունցնու յո ցրմելու դա Սպասերունու. պոյցաւու Կունցա Շոյլուս Տամսացրունու Ցութունց Տոյսի ալունու ալունու կայքենա և Տոյսի մունց Պայցուս ամուստցուս յիշուս ցանցունց մեմիյ Ցութուու. — մունու տապուս ջոյրենց ձաւշես լոռպանամ դա Շեմինճա, Բայցաւունու Տապունու մունց Պայցուս ամ ամեկաւալուս դա առ ցամունու, Ռոմ դամամի՛թյունան Շեմինճա նացուսացան ցանմենցնունու առա ցարու.

— Շեր Ռոշոր ց ցինճա ցպարու, ցեր դամալապ Քոյչուս, — կալապ յակաւյես ցամպուլենդլենիս դա դանենցաւումա լոռպանամ մոյրունունու ջոյր-ընճու ծոյթենցուտ մունշորա.

Ացեր օսու, Սիարմանարու Տլանցեթա, ալծատ դամամի՛թյ դուռօ. Երտ մոնքունց դագրունցնեն.

— Վաճո, օարյ და სաժաც մոցեթոնցնեბա, ոյ ճարհի, — շուերյէ ցաթ-
պոլցծլցնեბա და ցայրնեն.

լոռէանաս շնճա დայըրուալա, առ ճամթուատո, մացրամ տազո Շյո-
կաց და Շյմինցնելո օյշարոնձաս დաակցուրդա. աշեր, ուս վզե՛՛ Խալին
Շյէրնենցնուա დա Խմայրոնցն, լոռէանա մատկցն ցայմարտա. ցցելաս տազո-
նո Տկամո այշն დա Ռաճապանց ճառնեն. երտո ճգաս ցեթի დա տաչս
օմարտլցնեն:

— մյ առ մոմիկլացն, մյ տվյենո ցանհենո մոցոյցանց ևուշուլցնի,
յը ჩիմո Տամասեյրնենցնու մոցալցոնձ օյո. Ռակո տվյեն ևուզուլո մո-
ւսաջետ, օմաս մանց մոկլացնեն, ռա մնոնցնելոնձա էշոնդա, մյ մոց-
լացո տու Տեզա. տվյեն տու Մասմարտլու ցանհենու օլցենցու, ռա ჩիմո
ծրալուա! — Ծրուալուու օմարտլցնեն տաչս.

— დաշչեյ! Ռոմելո մոմալացու ցավալցնեն, օմաս մուշկլա, — ցանս-
մա օլցումալո Խմա, — Ջալատոնձու ցարճա Տեզա եղլոնձա վեր օմոցու?!

— մյ մարտալու ցար, Ջալատոնձու ցանհեն արուան, — Ջալատմա եղլո
ցանշուրու մուս ցարնշմո Տկամենց մետքոնմ աճամուանցնենց. Ըկուուլուցան
Ռոմ օլմանքշենցնեն մուսամարտլունու օւշեճաց մրւաց ցանհոնու մալուո
Մասմարտլունու օմականցնելունո.

— დաշչեյ Տկամենց და ցարնշապա Շյեն ևոմարտլու, — օւշե ցանսմա
օլցումալո Խմա.

— առ დաշչելցն, արա! — ալրուալու Ջալատու, մացրամ մանց մոր-
հիօլաճ Վազուա Տկամենց დասաջուամաճ. დաշչելց დա Տամինցն Ծրուալուան
շրտաճ Խորցու ամոնցնու. Ջալատմա Տկամենց եղլու ճնոնձա օվյու, տան
Տաზարնելու Խմուտ ցաշկուաճ.

— մուսամարտլունու ռաս օվյուան, — օւշե ցանսմա օլցումալո Խմա. մո-
ւսամարտլունու աճցնեն და Տեշուլու նախուլցն ցաշարարնենցն Տկամենց
դարհիատ.

— մյէրտամեյն օյացու დա յիշտամենց Տասմարտլունցու կապս, տան
ատասաջեր մեր յիշտամ տեղուլոնձու, զուօրու օմ Տալուարա ուռուցումա
աօլու. տվյեն մարտալու ցաւու մանիւանու Շմեմիշրալցն ուռուցու դամ-
մոմենցն Խարտ.

օմարտլու տաչս!

— ჩիմո ծրալու առ արուս, Տակլոմիցու մետայրու դաշչելցնեաս
ցանշուլցնու. օմաս յո Խոցու დաხբրնեթա, ցնուան ჩամուուլցն մոն-
նու, Խոցու დաշչեսալցն Տյուրճ დա դամնամաշե մոնատվլա, ჩիմո
ցանշուլցնու, ռա ցային, ցամոմմոյնցն დա Տրոյշարունցն ցայրաց-
նեն ցրու Տայմես, — օմարտլու տաչս.

— ვერ ისწავლეთ ჭკუა და სიმართლის აღიარება, დასხედით! — ბრძანა იდუმალმა ხმამ.

მოსამართლებს გამომწვარი დუნდულები გამთელებოდათ, რათა სკამზე ისევ ჩამომჯდარიყვნენ.

— არ დავვდებით, არ! — აღრიალდნენ.

— უნდა დასხედეთ, თქვენ ხომ სკამის გულისთვის ყველაზე საშინელი ცოდვები ჩაიდინეთ და შეიმოსეთ ქონით, ახლა იმავე ქონს გამოგადენთ თქვენივე სავარძელი.

მოსამართლები ახლიდან აშშხინდნენ ცოდვებით გავარგარებულ სკამზე, მათ პროკურორები და გამომმიებლები მიჰყენენ დედამიწისეული ცოდვებით. ისინი ბევრი იყვნენ, დაწყებული ციხის ჸედამხედველიდან, სახელმწიფოს მეთაურით გათავეული. მნისტრები, დიდი და პატარა ჩინოვნიები ყველა თავს იმართლებდა, ცოდვებს ერთომეორეს აბრალებდნენ, თვითონ კი მართლები იყვნენ ისე, როგორც აკეთებდნენ ამას დედამიწაზე. ის კი ავიწყდებოდათ, რომ იმ ცოდვილ დედამიწაზე იოლად იმაღლებოდა ცოდვები, რადგან კეთილ დიდი ცოდვის მტკირ-თველი ყველაზე სპეტაკ წმინდანობას იბრალებდა ძალის, ვერაგობის და მაღალი სკამის შემწეობით. იმ თვალთმაქცთა სამყოფელშიც ყველამ იცოდა ცოდვილთა ცოდვიანობა და მათი მსხვერპლი რომ არ გამხდარიყვნენ, პირობონედ უქებდნენ „წმინდა საქმეებს“.

თავს უფლის მორწმუნედ ასაღებდნენ, ლოცულობდნენ და სანთლებსაც ანთებდნენ. სინამდვილეში ბოროტებას, ვერაგობას და ცოდვიან ხორცს ემსახურებოდნენ. დედამიწაზე თვალთმაქცობა ზეიმობდა, მის ეგოისტ მკვიდრთ განკითხვის დადგომის არ სჯერდათ, რამეთუ მოჩენებითი კეთილდღეობა, ბოროტებით რომ მოიპოვეს, უცვლელი და მუდმივი ეგონათ. ხორცის მიერ შეცდენილმა კი არ იცოდა, რომ ხორცი — მიწა დედამიწაზე დარჩებოდა, ცოდვანალოკ სულს კი მძიმე განკითხვის უამი დაუდგებოდა. აგერ, ახლა იყო წემუტუნი, ჩხავილი, ბლაგილი, გმინვა, გოდება, ცრემლის ფრქევება, მაგრამ რაღა დროს ჩადენილი ცოდვები ათმაგად და თასმაგად ითხოვდნენ თავის გასამრჯველოს. ახლა გაახსენდა ლოპიანას დედამიწაზე დამკვიდრებული გამოთქმა: დანაშაულზე ანგარიშსწორება მოკვდავებს გვეჩქარება, თორე უფალს არ ეჩქარება, ის უგვდავია, ყველაფერს ხედავს და არავის არაფერს დაუკარგავს, ყველას მიეზღობა დამსახურებისამებრ. და აპა, რა საშინელი დღე დასდგომიათ იმათ ესოდენ მონდომებით რომ მაღავდნენ თავიანთ დასკრილ-დაბინმურებულ, ცოდვიან სულ-ხორცს. აქ ისეთებიც იყვნენ დედამიწაზე სახელმწიფო მეთაურის წყალობის დამ-

სახურების მიზნით ყველაფერს რომ კისრულობდნენ თბილი ადგილის და ცხიმიანი ლუქმის მოსაპოვებლად. აღმათ ისეთებიც იქნებოდნენ, სული რომ წაიტყმიდეს, ბოროტება და ცოდვები ჩაიდინეს და ამის გამო უკლებლივ და ზუსტად რომ უბრუნდებათ მის შემომქმედთ; მართალ ადამიანებს რომ გადააბრალეს თავიანთი ცოდვები, და სასჯელს ახდევინებენ დედამიწის კოლონიაში, უფლის სამსჯავროს კი ვერსად გაექცნენ. იქ, დედამიწაზე შეიძლება ერთმა მეორეს დააბრალოს დანაშაული, თუ ფული აქვს და ძალაც მის მხარეზე არის, მაგრამ ის დედამიწისეული მიეთ-მოეთი სულ ფუჭი ფაფხური ყოფილა, ამით ცოდვიანები უფრო იმძიმებენ იმ ტკირთს, ანგარებამ ესოდენ წარმატებით რომ წამოჰკიდათ. აქ არც მოწმეა საჭირო და არც თვალომაქცობით გაუღენთილი საქმის წარმოება; უფლის სამსჯავროში სასჯელს იმძიმებს წაწყმედილი სულის ონბაზობა.

ლოპიანა დგას და უმზერს სულებს, დედამიწაზე სახელმწიფოს რომ მართავრდნენ, მისი მახვილი, მათრახი, მუშტი და მჯიდი რომ იყვნენ. იქ ერთმანეთს მტრობდნენ, დალატობდნენ, დასაღუპად იმეტებდნენ, ოლონდ სკამზე მყარად მსხდარიყვნენ და უფრო მაღალზე ამსხდარიყვნენ. ეს ყოველივე უჩუმრა, ფარულად კეთდებოდა, პირში კი ერთმანეთს ძმობასა და სიყვარულს ეფიცებოდნენ. აქ, სულეთის კოლონიაში ისევ ისინი არიან, ისევ უდგათ ის მაღალი სკამები, მაგრამ იმ სკამებზე დასაჯდომად ერთმანეთს უჯიკავებენ და უმტკიცებენ, რომ მაღალ სკამზე დაჯდომის ღირსია. სკამი კი, რაც უფრო მაღალია, მით გაუღენთილია ცოდვებით და ცეცხლს უკიდებს ამ ცოდვების შემომქმედთ. ცოდვებისგან გავარვარებული სკამი კი იკბინება და ზედ მჯდომს ნელ-ნელა ძვალ-ხორციანად აღნობს, რათა გამჭრალი შემდეგ გამრთელდეს და ისევ ახლიდან დაადნოს. ეს წამება კი განუწყვეტლივ გრძელდება.

მოსამართლები, გამომიებლები, სახელმწიფო აპარატის ჩინოვნიკები უსამართლობით, ბოროტებით, მოტყუებით, ღვარძლით, ცოდვებით გახურებულ სკამებზე იხუხებიან, თან საშინლად იღრიჭებიან და ღრიალებენ. ამ ღრიალშიც ვიღაცას სდებენ ბრალს და თვითონ ცამდე მართალი გამოდიან. რაც უფრო ენერგიულად იმართლებენ ცოდვიან თავს, მით უფრო მეტად უმატებენ ცოდვების საწვავს გაწითლებამდე გავარვარებულ სკამებს; ძლიერი იყო ცოდვების ძალა და ზედ იხრაკებოდა მის შემომქმედთა ხროვა.

იქით, მოცილებით, ყველაზე მაღალი და გავარვარებული სკამი ცარიელი იდგა, იქვე მოელდებოდა ამ სკამის მულობელი, სკამზე

ჯდომის დროს დამწვარს ახლიდან ესხმოდა ძვალ-ხორცი ისეთივე ტანჯვით და ტკივილით, როგორც კარგავდა სავარძელში წვის დროს. სხვა სახელმწიფო მოღვაწეთა და ჩინოვნიკთა ნარჩენებიც ახლა ოხვრით და გოდებით მთელდებოდნენ, რათა ახლიდან გაგრძელებულიყო მათი ცოდვიან სკამზე შემოჯდომის ციკლი.

— უკელაფერი შენი ბრალია, შენ მავალებდი უსამართლო განაჩენის გამოტანას, არასასურველ პირებს ანგარიშს უსწორებდი ჩემი ზელით, შენა ხარ ცოდვიანი, შენ, მე არაფერი დამიშავებია! — შეედავა მაღალი სკამის მფლობელს მოსამართლე.

— ეგ გვავალებდა ყველა უწმინდურობას, ეგ იყო ყველას ცოდვის შემომქმედი. ეგ უნდა დაიწვას, ჩვენი რა ბრალია! — ახმაურდნენ მოსამართლეები, გამომბიებლები და დედამიწისული სახელმწიფო მობალადენი, ყველაზე მაღალი სკამის მიერ გამომწვარ კაცს.

— თქვენ თვითონ მექრთამებო და გამომბალველებო, ეგოისტებო, კარიერისტებო, კანონის მაგინებლებო, მე რა უფლება მქონდა რამე დამევალებინა! — კვნესით და ოხვრით შეედავათ მარტო მჯდომი.

— სახელმწიფო მეთაური იყავი, ჩვენც ერთგულებისთვის გვირიგებდით სკამებს, რათა შენს მიერ ჩაფიქრებული ბოროტებანი ჩვენ-



თვის წამოგეკიდა, ცოდვილმა შენი ცოდვების მონაწილე გაგვხადეს. სკამებიც ცოდვებით გაგვედენთა იქ რომ სხეულს გვინებივრებდნენ, რომელიც მიწამ დაიტოვა, სულები კი ცოდვით გავარვარებულ სკამზე გვეხრაკება. შენ უნდა იტანჯო, შენ! ვერ გაძეხი ძალაუფლებით, ვერ დათვერი სისხლით, გამოივსე სტომაქი ყალბი დიდებით და ფუჭი ყოყოჩიბით. აპა, შენს ბოროტებას აყოლილი ასე სამუდამოდ შემოვრჩით ტანჯვას! — კვნესით და გმინვით უტევდნენ სახელმწიფოს მეთაურს.

— მე პატიოსანი ვარ, ხალხის სამსახურში ვიყვავი და კიდეც უხვად მაჯილდოვებდნენ. არც ერთ დახვრეტაზე და სასჯელის დადებაზე ხელი არ მომიწერია. თქვენ გქონდათ კანონის დაცვა დავალებული და რა ვიცოდი, თუ მატყუბდით პატიოსან კაცს, — ღრენით და კბილების ღრმენით პასუხობდა სახელმწიფოს მეთაური.

— შენ ისევ იქ ნუ გგონია თავი, შავბნელი აზრების დამალვით თვალებს რომ უბამდი გულუბრყვილო ადამიანებს. რატომ ვერ გაგიგია, აქ ის ფანდი აღარ გაგივა, შენივე ხალხის მოღალატე იყავ და იმ ღალატს ხალხის სიყვარულით აკეთებდი? თუ პატიოსანი ხარ, აქ რა გინდა, ან რატომ აგდის ცოდვების ბოლი?! დაჯექ სკამზე, მაგას რომ ანაცვალე შენი ხალხი, პატიოსნება და ყველაწმინდა! დაჯექ, რად გეშინია მაგ სკამისა, ადრე ძილშიც რომ არ იშორებდი! იქ იგივე ცოდვები განებივრებდნენ, აქ იგივე ცოდვები გიმდუღრიან საჯდომს, ადი სკამზე და გაიგებ, რა სულიც ხარ! — ღრიალით და ყისინით შეაგდეს სკამზე, ღედამიწაზე მისი მოპოვებისათვის უამრავი კეთილი სული რომ აწამა. დასვეს და აენთო, მოედო ცოდვების აღმური. აღრიალდა, აჩხავლდა, აყეფდა, აკნავლდა:

— არ მინდა ეს სკამი, მომაცილეთ, თქვენი იყოს, უფასოდ მოგცემთ!

— ეს იქ უნდა გეთქვა, ღედამიწაზე, მურტალი ხორცის ცოუნებაა-ყოლილი ცოდვებით რომ ილეშებოდი! — გაისმა იღუმალი ხმა. ის კი ხტოდა, შიშხინებდა, რაც დრო გადიოდა, სკამს ძალა უფრო ემატებოდა. ცოდვების მომატების ხარჯზე, ტანჯვა უათკეცდებოდა. თავისი ცოდვიანი თანამოაზრეთა წყევლა-კრულვის აკომპანიმენტში ილეოდა, დნებოდა, პატარავდებოდა, რათა გაქრობის შემდეგ ყველაფერი თავიდან დაწყებულიყო.

ლოპიანამ ახლა შენიშნა უამრავი ხალხი დიდი და მცირე მოღვაწები, სხვადასხვა ზომის სკამზე რომ ისხდინ მექრთამეუბი, მიმთვისებლები, კომბინატორები, დამტაცებლები, თავისი ერის ინტერესებით

მოვაჭრენი, მოდალატები, გამცემები, ეგოისტები, ყველა სახელმწიფოს მეთაურის მიერ სკამშეძენილები, მის მიერვე დაჯილდოვებულ-შექმნულები და ყოველივე ამისთვის სამუდამო ტანჯვისთვის განწირულები. იჯდნენ, იწვოდნენ და მაინც ის აძლევდათ შვებას, სახელმწიფოს მეთაური ბოროტების სკამზე რომ ბორგავდა.

— რა დღეში ყოფილან, — გაიფირა ლოპიანამ, — დედამიწაზე სულ მაგ უფროსს აქებდნენ, კაბინეტშიც კედლებზე ეკიდათ მაგის სურათები. ანგელოზობას აბრალებდნენ, ლამის ფრთების გამობმა მოუნდომეს. როგორ კარგად სცოლნათ ერთმანეთის ოიხბაზობა დედამიწისულ დიდ-პატარა შენიდბულ აკაზაკებს. ახლა კი თავიც და სხეულიც დათესილი ქარიდან გრიგალს იმკის. — მე ღირსი ვარ ტანჯვა-წამების, მე უნდა დავიწვა. რაც ჩავიდინე ვერავითარი ტანჯვით ვერ გამოვისყიდი, ვერა!!! — აღრიალდა ლოპიანა და მის გეერდით მდგარ სკამზე, ახლახან რომ ჩაიფერფლა რომელილაც შემსრულებელი სახელმწიფო ცოდვისა, ჩამოჯდა, მაგრამ არც სიცხე უგრძენია და არც საშინელი წვა.

— ეგე, ვინა ყოფილა მაგ სკამის ლირსი, იჯექ, არავის დაუთმო, შენი იყოს.

— მე მართალი და წმინდა სული ვარ! — აღრიალდა ამ სკამზე ნაჯდომი სული, ახლიდან რომ მთელდებოდა.

— მაგ სკამმა შემოსა სიბინძურით და ვერაფრით გაექცევა; ცოდვები კი მხოლოდ მის ჩამდენს ედებიან ცეცხლად. წადი, შენ შენი ცოდვები მოძებნე!

— ჩაესმა იდუმალი ხმა და ლოპიანამაც სასწრაფოდ მიატოვა სახელმწიფო ცოდვილთა მინდორი.

მისდევს ბილიკს ლოპიანა, რომლის ორივე მხარეს ცოდვილთა კოლონიებია, ღრიანცელით რომ იკლებენ იქაურობას.

— ამათ აქ რაღა უნდათ?! — გაკვირვებით წამოიძახა ლოპიანამ, მღვდლები, მოღები, ქურუმები, ყველა ჯურის უფლის მსახურები რომ დაინახა. იქექებოდნენ, ბორგავლენენ, იწყევლებოდნენ. თვითონ წმინდანები დანარჩენებს უწმინდურ საქმეებს უხსენებდნენ, ერთიამეორეს აბრალებდნენ იმ სამარცხვინო საქციელს, უფლის სამსახურში მკრეხელობად რომ ეთვლებოდათ, იმდენი მკბენარი ეხვიათ, ანაფორებზე ტალღებად მოძრაობდნენ. იქექებოდნენ, იბერტებოდნენ, ხტოდნენ, გორაობდნენ, ხოცავდნენ, მაგრამ უფრო მეტი და მეტი აცოცდებოდათ.

— შენ გააუპატიურე გოგონა, ჰეშმარიტი რწმენით სალოცავად

რომ იყო მოსული. შეაცდინე, უფლის სახელით ვაკეთებო ამას. განა მარტო ის ერთი იყო, აგხორცი კერატივით რომ დაერიე შენს მრევლს. იმიტომაც გახვევია ტილი, რწყილი, ბაღლინჯო, ტკიპა და ათასი ოხრობა, რა გეგონა უფალს მოატყუებდი, შე ხვადაგო?! – უთხრა ერთმა მეორეს, პირჯვარი გადაისახა, კარგა ხანს ებრძოლა პარაზიტებს და შეწუხებულმა დაუმატა: – უფალო, ყველას თავისი მიუზღვე, მაგრამ ჩემში რაღატო შეცდი, მე ხომ წმინდა რწმენით გემ-სახურებოდი.

– მღვდლებთან, დიაკვნებთან, მნათებთან და ჯანიან მრევლთან მრუშობა წმინდა რწმენა გგონია, შე პედერასტო?! მე კაცი ვიყავ და ქალებთან მქონდა საქმე ისე, როგორც უფალს დაუდგენია, შენ კი, შე გარეუნილო, კაცი იყავი ფორმით და კერატებს დედაკაცობას უწევდი, თანაც მოძღვარი გერქვა და დიდი მრევლის სულიერი მამა, ღმერ-თთან შეუძლია გერქვა და დედამიწისეულ სიბინძურეში ფართხა-ლებდი. ქება-დიდება გხიბლავდა, განცხრომას ეტრფოდი, მთავრობის ეგოისტ, ცოდვიან ხელმძღვანელებს გუნდრუკს უკმევდი, ბინძურებს წმინდანად ნათლავდი, წმინდანებს კი უწმინდურობას აბრალებდი და წყველა-კრულვით იკლებდი, რაღა გინდა, უფალმაც მოგიძენბა შენი შესაფერისი ადგილი, იდექ და ებრძოლე პარაზიტებს სულის უწმინ-დურობამ რომ გაგიმრავლა, – უთხრა მღვდელმა და აღრიალდნენ დანარჩენებიც.

– შენი ბრალია, ღვთისმოშიში და ჭეშმარიტი მორწმუნე რომ ყო-ფილიყავ, არც ჩვენ ჩავვარდებოდით ამ დღეში.

– შენი ბრალია, უფლის სამსახური აგანტიურისტების, ტახტის მაძიებლების, შარლატანების, აფერისტების სამსახურში ჩააყენე, გე-გონა, სულ ასე იქნებოდა. შენზე კარგად ვინ იცოდა რომ დედამიწი-სეული სიკეთე მოჩვენებითია. აპყვე ეშმაკისეულ ცდუნებებს და ჩვენც გაგვწირე სამუდამო წამებისთვის! – ღრიალებდა ღვთისმსახურთა ცოდვანალოკი ბრბო, უფლის სამსახური ხორცის განებივრებასა და მსუე უწმინდურობაზე რომ გაცვალეს, მათი ცოდვები ორმაგად მძიმ-დებოდა, რამეთუ უფლის სამსახურში მყოფი ხორციელ ვნებებს დამონებოდნენ.


მუცელლმერთობა, მრუშობა, მამათმავლობა, მრევლის ძარცვა, უწ-მინდურ ცოდვიან საერო უფროსობასთან ერთად ანგარებაში ხელის გასვრა. უფლის სახელს შეფარული ყაჩაღობა ცნობილი იყო მრევლის-თვის, მაგრამ უფრო ზუსტად და შეუცდომლად სცოდნია უფალს.

მიდიოდა ლოპიანა და ესმოდა უამრავი ჯურის ცოდვიანთა გნიასი.

ეს იყო დალატის, ორპირობის, სიცრუის, ეგოიზმის, კარიერიზმის, ყოვლგვარი მანკიერი ჩვევებით გაუმაძლობის სამყარო. იქ, დედამიწაზე, კეთილი და მართალი ადამიანი იტანჯებოდა ამგვარი ბოროტების გვერდით, ახლა ეს სიბინძურე ერთად, ერთ პლანეტაზე შეუყრია უფალს და ერთმანეთის დაგესვლაში კეცავენ უსასრულო წუთისოფელს.

აგერ მკვლელებიც, ჯერ აბორტმახერების გნიასია, ხორცში დაბინავება დაუმთავრებელი სულები რომ გამოაძევეს დედამიწიდან. ახლა ერთმანეთს ჩაჭიდებულნი ღრიალებენ, ხელჩართულ ბრძოლაში კიდურების გრეხვა-გლეჯვაში წყევლა-კრულვით იკლებენ იქაურობას.

ბოლოს მივიდა ლოპიანა იქ, სადაც მისი მსგავსი მკვლელები და ავაზაკები საკუთარი სხულის ნაწილებით ძლიერდნენ. აგერ, ერთმა ღრიალით, მანჭვა-გრეხით, კენესით და გოდებით გამოიგლივა ღვიძლი და კბილებით დაუწყო გლეჯა. სისხლს სვამდნენ საკუთარი ძარღვებიდან, კიდურებს იგლეჯდნენ და იქვე ანთებულ ქურაში ყრიდნენ



და იმ ნაწილების წვით იღმანშებოდნენ, გოდებდნენ, მოსთვამდნენ: – კარგად ვქინი, რომ მოვგალი, ღირსი იყო, აგვუწე, ავჩესე, შევწვი, დავმარხე, დავმალე, რომ არავის ეპოვნა. ასე ამბობდნენ და სწორედ ისე ჩეხდნენ და კუწავდნენ საკუთარ სხეულს.

– არა, იმათი არაფერი ბრალი იყო, მე ვარ ცოდვიანი და გარეწარი. მე გავგუდე ის ანგელოზი გოგონა. ღირსი ვარ ყველაზე მძიმე ტანჯვის. მე დაგხოცე უდანაშაულო მწყემსები, კეთილი კაცი მარკ ჰეტროვიჩი მე დავახრჩე. ლაჩრულად, ვერაგულად, სადისტურად მოვგალი უბადლო ვაჟკაცი არმაზი და ღირსი ვარ ყველაფრის; აგერ ჩემი ადგილი, უფალო, და მივუზღავ ჩემს თავს იმას, რასაც იმსახურებს! – ლოპიანა ჩადგა მკვლელებს შორის და სცადა თავისი ღვიძლის ამოგლეჯა. ისინი ამას მთლად იოლად აკეთებდნენ, კიდურების მოგლეჯა არ უჭირდათ, სამაგიეროდ, გაუგონარი ტკივილის ფასად უჯდებოდათ ეს.

ლოპიანამ იწვალა, მაგრამ ვერც ღვიძლი ამოგლიჯა ცარიელი ხელით და ვერც ფეხი მოიძრო. დაიღალა, იქვე ჩაჯდა და მოიჩივლა: – რა დავაშავე, უფალო, რომ ჩემი ცოდვების წილ არ შემიძლია ვეწამ!

– თქვი, რომ მართალი იყავ და ისინი სცოდავდნენ, – უთხრა იღუმალმა ხმამ.

– არა, მაგის თქმა არ შემიძლია, იმ უცოდველ ადამიანებს ვერაფერს დავაბრალებ. მე ვარ ტანჯვის ღირსი, უნდა დავიწვა და დავიდაგო იმის წილ, რაც ჩავიდინე, – გაჯიუტდა ლოპიანა.

– თუ გინდა, რომ იტანჯო ამათსავით, შენი ცოდვები შენსავე მსხვერპლს გადაბრალე, – კვლავ დაარიგა იღუმალმა ხმამ.

– არა და არა, ცოდვიანი და ბოროტი თესლი მე ვარ, იმათი სულის საცხონებლად მე უნდა ვეწამო! – აღრიალდა ლოპიანა და ჩაეჭიდა ფეხს მოსაგლეჯად.

კარგა ხანს დუმდა იღუმალი ხმა, მერე თითქოს ვიღაცას უბრძანაო: – მანდ არ არის ჯერ მაგისი ადგილი, უკანვე დააბრუნეთ!

– მაწამეთ, შემწვთ, შემხრაკეთ, ჩემ მსხვერპლთა სულების საცხონებლად! – ღრიალებდა ლოპიანა და თავისი საქციელით აოცებდა მის ირგვლივ გაწამაწიაში მყოფ მკვლელებს.

ვერ გაიგო, სულთა გამცილებლები როგორ ამოუდგნენ აქეთ-იქიდან. ყველა გაჩუმდა. შეწყდა ღრიანცელი. თითქოს აღარც ტანჯვა აწუხებდათ მკვლელებს, იცნეს სულების გამცილებლები და შეევერნენ:

— წაგვიყვანეთ აქედან, მართლები ვართ, დამნაშავენი ისინი იყვნენ, კინც მოგვალით.

სულების გამცილებლებმა ლოპიანა აიტაცეს და თვალუწვდენელ სივრცეში გააქროლეს. რამხელა შვება, სილალე, ბედნიერება და სიმშვიდე იგრძნო ლოპიანაშ. აგრე, იმ კარიბჭესაც მიადგნენ, პირველად რომ მოიყვანეს.

— უფლის სამსჯავროში მიგვყავს, — უთხრეს კარის მცველ ანგელოზს. — ვიცი, — მიიღეს პასუხი და ლოპიანა გაუგონარი სიმშვიდის და ბედნიერების სამყაროში შეცურდა. „რა განცდაა ეს? სიყვარულის, სიკეთის, შვების, სიხარულის, სიმშვენიერის, უშფოთველობის, ადამიანთა მოდგმის ყველა სასიკეთო ნატვრის ახდენის, რა ბედნიერია ადამიანი, თუნდაც წამიერად რომ ეზიაროს ამ უმაღლეს, ღვთაებრივ, ბუნებრივ სიამის გრძნობას“, ფიქრობს ლოპიანა და ესმის ყველას მისი აღფრთოვანებული ძარღვის ფუთქვა.

— ამას დამსახურება უნდა, ცოდვიანო სულო! — მოესმა იდუმალი ხმა და უფლის საბრძანებელში შეიყვანეს ლოპიანა.

— რატომ არ აბრალებ შენს ცოდვებს მსხვერპლს შენსას როგორც ყველა, მკვლელო და ცოდვის შვილო! — გაისმა ხმა და ლოპიანაშ თვალი მოჰკრა მთელი სამყაროს მბრძანებელ სპეტაკ არსებას, ირგვლივ ძლიერებას, სიკეთეს და სიყვარულს რომ აფრქვევდა.

— უფალი! — მუხლი მოეკვეთა ლოპიანას, მაგრამ სიკეთის და სიყვარულის სხივმა სიმშვიდე და რწმენა შესძინა.

— მე ისედაც დიდი ცოდვის მტვირთველი ვარ, ჩემი ცოდვიანი ხორცის მიერ შეცდენილი. ახლა მომეცი ნება, უფალო, ვიტანჯო იმათი სულის საცხონებლად, — თქვა ლოპიანაშ და იმგრძნო ძალა რწმენით ნათქვამი სიტყვისა.

— შენ აქ, სულეთის მკვიდრი იყავი, ჩადერნილი შეცდომის გამო გადაგასახლეთ დედამიწაზე ჩემს მიერ თიხისგან მოზელილ სხეულ-ში. რომ არ იდარდო აქაურ სიმშვიდესა და ბედნიერებაზე, ამიტომ დაგავიწყეთ სულეთის ამბავი, თქვენ და თქვენისთანები იქცით ადამიანებად, თიხამი ჩასახლებული სულები, რომლებიც იხდიან უფლის სამსჯავროდან დაღენილ სასჯელს.

მაგრამ თქვენ, ადამიანები, იმდენად თავხედები გამოდექით, როგორც გინდათ, ისე ცვლით უფლის დადგენილებას. შენ რომ გოგონას სული ამოაძრინე თიხიდან, ის ოთხმოცი წელი უნდა ყოფილიყო დედამიწაზე. ვინა ხარ შენ, მსჯავრდადებულო სულო, რომ ვადამდე განთავისუფლე დედამიწისული სატანჯველისგან?! თქვენ იქ, თი-

ხაში ჩამძვრალო სულებო, ადამიანებო, დაივიწყეთ ყოველი წმინდა, რაც სულს ასპეტაკებს და გახდით შეთითხნილი, ეგოისტი სხეულის მონები. იხვეჭავთ უამრავ სიბინძურეს, ქონებას რომ ეძახით იქ. გამხდარხართ მუცლის მონა, ასკდებით კუჭის მოთხოვნებს და ოქვლეფავთ აუარებელ მიწის პროდუქტს, რათა უძღებ სხეულში გავლის შემდეგ ისევ მიწას შეერთოს. ეგოისტები, მუწები, ტრაბაზები, თავხედები, სხვებზე ბატონობამოყარულნი, მკლელები, მრუშები, ბილწები, სულეთიდან სასჯელის მოსახდელად გაგზავნილთაგან ასიდან ერთი იმსახურებს მხოლოდ აქ დაბრუნებას. დანარჩენები კი, ვინც ხორცის ტყვეობაში ცოდვებით დამძიმდა, უარეს სასჯელს იხდიან სხვადასხვა პლანეტაზე. სულეთის სამყოფელიდან წასულთა აქ მობრუნება მხოლოდ იმას შეუძლია, დედამიწისულ ცდუნებებს რომ არ აჰყვა, ბოროტების მაგიერ სიკეთის სამსახურში არის ანგარებით, ეგოიზმით, ცოდვებით გაუდენთილ დედამიწაზე.

შენ, სულო ცოდვილო, წახვალ ისევ იქ და მხოლოდ შენ გეცინება საიდან მიხველ, ან საიდან მოვიღნენ ისინი, თანამდებობათა ტყვეობაში უბედურებად რომ ქცევიან დანარჩენებს. არ გეცოდინება მხოლოდ ის, როდის გაგითავდება იქ ყოფნის ვადა. წადი, სულო, ათრი შენთვის განკუთხნილი ლეში ბოროტებით და ცოდვებით დასვრილ დედამიწაზე! — ბრძანა უფალმა და გაქრა.

ენის მობრუნება ვერ მოასწრო ლოპიანაშ, რომ უკვე კოლონიის თავზე დაფართვატებდა. ჭერიდან სოროში ჩაძვრა, მაგრამ ლეში ლოპიანასი იქ აღარ დახვდა. რაღაც ინსტინქტის ძალით საავადმყოფოსკენ გაფრინდა და იქ დაინახა თავისი ცოლი. მალე ლოპიანას ლეშიც გამოასვენეს პროზექტურიდან, კატაფლკაში შედეს და კოლონიის კარებს გააცილეს; მისი მეუღლე და ნათესავები მსუბუქი მანქანით უკან მიჰყვნენ.

დიდ დარბაზში კუბოში წევს ლოპიანას გამოპრანჭული ცხედარი, მეუღლე და რამდენიმე ახლობელი ნათესავია იქ. სამძიმარზე და დასატირებლად არავინ მისულა. სოფელი ახლოს არ ეკარებოდა ბოროტი მყვლელის ოჯახს. წევალ დამარხავენ და დაისვენებენ მისი ამქეყნად მოვლენით დაზაფრული ახლოებლები.

დაღამდა. ყველამ მიატოვა ცხედარი, მიუხურეს კარები და ეშველა დიდ ჭაღზე ჩამომჯდარ ლოპიანას სულს. ჩაძვრა სხეულში და მაშინვე ეტკინა კუბოში ჩადებულ აგურზე ნადები თავი. ძალად ჩაცმულმა ახალმა ფეხსაცმელებმაც აგრძნობინეს, რომ ერთი ნომრით პატარაში თითები შიგ ჩაეჭუნათ. კუბოში წამოვდა. ახლა მთავარი

იყო, შეუმჩნევლად გაპარულიყო და გაიპარა კიდეც.

მეორე ღლეს ცარიელ კუბოსთან მეუღლემ და ახლობლებმა დიდ-ხანს ითათირეს. ბოლოს დაადგინეს, ის ისეთი უკუღმართი იყო, სხვის საფლავში ჩაწვებოდა. კუბოს საფარობელი კარგად დალუს-მეს და ცარიელი დამარხეს. ამით დამთავრდა ლოპიანას დედამიწაზე ყოფნის ერთი ეტაპი, როცა ხორცი ანგარებიანი და ბოროტი ბატონიბდა სულზე. ახალ ცხოვრებას იწყებდა ლოპიანას სულ-ხორცი, ოღონდ ახლა სულის მორჩილებაში იყო ხორცი. სიკეთე ბატონიბდა ბოროტებაზე, ადამიანი – მხეცზე.

სოფლის ორღობეს გასცდა და ფართე შარაგზას დაადგა. ფეხ-საცმელები მაშინვე გაიხადა, შვება იგრძნეს შეკუმშულმა ტერფებმა. სვლას მოუქატა. გზაზე არავინ შესვედრია. მოპრანჭულ, ფეხშიშველა მგზავრს ფეხსაცმელები იღლიაში რომ ამოედო.

ირიქრაჟა და დიდი ქალაქიც გამოჩნდა. ლოპიანამ მალე მოძებნა ნაგვის და ძელიმანების გროვა, კარგად გაისარჯა. იშოვა ძველი ფეხსაცმელები, თითები გარეთ პქინდა გამოყოფილი, მაგრამ ფეხიდან არ სძრუბოდა. ძველი კალთებშემოხეული, ერთლილშემორჩენილი ფარაჯაც იშოვა, ყურებიანი ქვედიც, გახეული ადგილიდან ლოპიანას თმა რომ ამოჩრილიყო, – გრძელმოკლე ტოტებიანი შარვალიც. მოკლედ, ლოპიანა შეიმოსა ისე, რომ თავისი მგლოვიარე ცოლიც ვერ იცნობდა. ახალი ტანსაცმელი შეახვია და გუდარასავით მოიგდო ზურგზე. ახლა სანაგვიდან პურის და საჭმლის ნარჩენები შეაგროვა, აგერ, მაწანწალა ძალლებიც გამოჩნდნენ, ლოპიანაც გაუმასპინძლდა მოგროვილი საჭმლით და დაიმევობრა მასავით ქუჩას შეხიზნული ოთხფეხები.

დაიღალა, ფეხზე დგომა ვეღლო, იქვე გადაბრუნებული ნაგვის ჩასაყრელი რკინის ამბარი ნახა, შიგ შეძვრა. დიდი ძაღლი დახვდა. ლოპიანა მოევერა, პურის და ხორცის ნაჭრები მიუყარა. ძაღლი სიამოვნებით შეექცა; მოფერებაზე გაიტრუნა და კუდის ქიცი-ნი დაიწყო. მაწანწალა ძაღლს ყველა წისხლს და ჯოხს ურტყამდა, ეს რა ბედნიერება ეწვია, ადამიანი შეძვრა მის ბუნაგში, გამოაძოო, თანაც ეფერება. ლოპიანა ძაღლს მიუწვა და მაშინვე ჩაეძინა. ძაღლმა ხელებზე ენა აუსვა, თათებზე დადო თავი და ჩაოვლიმა.

შუაღლე გადასული იყო, ლოპიანას რომ გაეღვიძა. ბუნავიდან გა-მომვრა. ათამდე ძაღლი აქოთებდა სანაგვეს. ლოპიანას ბინის მფლობელი ძაღლიც იქ იყო, მივიდა, მყერდზე შაბობლდა და ხელები აულოკა. ლოპიანამ თავზე ხელი გადაუსვა და პურის ნატეხები შეაჭამა.

աելա և ներա մաղլեթևաց դաշտակա և նացավմո Շեցրովոլո Նյուրսատօտ ցայմասեանձլուա. մաղլեթմաց Տօմովնեցիտ մուռցէ լոռաւանաս Տահոյքարո ոմ աճամուանտան մյցոծրոնօն նոնեագ, Ծոկլուս կըրուս նացոլագ տազու լույցմաս րոմ ցպոյցատ.

յալայիս ցենցրուսկյա Շասվուա ցաժովպութ, մացրամ նաժկյոն ցենցի ցայցութլուն. գուգո ենոտ մութովեցլու Տեցուլու Իցուլեթրու զեր յմորհիոլեթօնա, ցամոմմիրալո Տաեսրու Տիկուուն. Ցուզուլս անցարուն ար ցայցուցա, մացրամ մումրառա Շյումլեթելո ցայեթա. ուշաց աթլագ Նյուրու մալուն ցաժովպութ լամուսեցու մոցնայրոնօն. ուշաց նացուս այտուցիտ ցայրու, մաղլեթու ցաաթարա և հանտամուց, օյց Տանցուշու րոմ մունացրա, ծցորո նարինո հանցու. մումրառա ցըլար Շյուլու, մաղլուս ծցնացմո Շյեթրեց և մուցյունթ. Ռարաց Շյացուցա, Ցուլու ոյս, մինարեց ցունա. Հեր շնորու մուցլա, Շյուպեցա, յև ծորուցեա րոցուր մուշու տազուս աթրտան. ցուուսմաեւրու կողունա ցայենցնա, արահութեանուս ծցնան րոմ ցասեցատ.

— մոցնու, մացրագ մոցնու, ուսամուն, յև լուշո մալու մունց օյց ցըա ուշաց, մյ յո ցայցուլու Հոյցցնաս, — հանուլապարայա. Ռաթոմլաց մունցնա, Տելու ցաժուացա և մուցուրցօնա, Շյունինց, ար ցազուրուտօնու և ցաժուտոյիրա. Տաեսրու յո լաացցնա, մացրամ մուլու ար ցարեթօնա. Ցուրցեա մուցմալոն. մուցնու արաաճամունցու ցանցուցես Շյմուց Տորցուլու ցմուլու Տաշուլու ցոյոյիրա: „յև րա մուցունուց, յոն ոյցուրցեծա, րոմ այս ցանցուլուցիտ ցուունունցօնա շոյալս ցուումունց Տեցուլու ծորուցեանո. մյ ցուուցու, աճամուն րոմ ցուլացա, հյմիսացու ցուուցու աճամունցս ցումալուցա մեռլու, Տայցուլու ցոյ րոցուր Ցուցեա և սուրճնատ ցուցուլու. րա Տելուլու արան աճամունց տացանտու ծորուցու հանցույքու Տահու. յիշարմանարու Տամպարու մոյլոնձլու, շոյալս Տելուտուցան, յեռցն Տամու և Տաձենույրու րոմ արուս օյց ցոյնա, Շյուլոմիտօցուս ոյց լանամայլուստօցուս այց, ցուումունց աց Ցուցնա Տելու Տեցա ցագուուն Տեցու Տեցու Ցուցու Տահու արան Տահու Տամպարու կաթարա մթցուրուս նահուլակու յո ար արուս, Տելու յուլու ցուցուլա. այցան, յոնց կաթունա մունեցուս Տասյալս, ուշաց ծյունույր Տելութմու լաձրունցու, Տեցեա յո հաճենուու լաճամայլուստօցուս ներունու ցուլնեց, ան լաճարին լաճամայլու Տաճանցրանց աճոցուցն տացու. գուգու ցուումունց Տեցու ցուունց, Տահու և յուրուստօ Տելու, մելուա, ամ ցուունց աստան ծուռու Տելու Տեցուս, րոմելու ար օցուս, րուտօցուս արուս ամ Տեցու հասաթլեթելու դա րա մուցուս լուշտան ցայրուս Շյմուց շոյալս րոմ Տեցուտօցուս մեյսույրու Տեցունցնա

საიდან და რისთვის არის აქ მოსული, გაგინარია, ამ ცოდვიან დედა-მიწაზე ადამიანთა ცხოვრება განიწმინდებოდა ბოროტებისგან, მაგრამ სულები მაინც დაიტანჯებოდნენ იმ ღვთიური ბედნიერების შემდეგ დედამიწისეული გაწამაწით. ადრე თუ გვიან სულთა უმრავლესობა ისევ იმ განცხრომაში მოხვდებოდა, რადგან ეცოდინებოდათ, თავიანთი საქციელით რას დაიმსახურებდნენ. ნახე, ადამიანები როგორ ბაძაგნ უფალს, ციხე, კარცერი, სხვადასხვა დანაშაულისთვის სხვადასხვა სიმკაცრის სასჯელი რომ მოუგონია, ოღონდ ერთი განსხვავებით, სიკვდილით დასჯა არა აქვს უფალს. უგნური ადამიანები კი ვერ ხვდებიან, რომ სიკვდილით დასჯით დედამიწისეული სასჯელიდან ვადაზე ადრე ანთავისუფლებენ და ჩადენილ ცოდვებსაც უმსუბუქებენ უფალის სამსჯავროს წინაშე. სიკვდილი მარტო ხორცისათვის არსებობს. სული კი თავისი დამსახურებისამებრ უზარმაზარი სამყაროს სხვადასხვა კუთხეში მოწყობილ კოლონიებში იხდის სასჯელს ზუსტად დადგენილი ვადით. უკვდავა უფალი და უკვდავები არიან სულებიც, ამიტომ დედამიწაზე ჩადენილი ცოდვების გამო შეიძლება მილიონი წელიც მოუწიოს იმ პლანეტაზე ყოფნა, მე რომ მოვთხილე“, – ლოპაიანს გააჭრეოლა, – „ხუმრობა საქმეა, ნერონის ველზე გაატარო მილიონი წელი, ან ტილებმა და ბაღლინჯოებმა გწუწნონ ათი ათასი წელი. ვამე, ნეტავი მე რამდენს მომისჯის უფალი მკვლელობისთვის? რა მცირეა დედამიწაზე სულის ყოფნის ვადა და რა მძიმეა ჩადენილი ცოდვებისათვის უფალის სამსჯავროს განაჩენი!“ ახლა იცის ლოპაიანამ, რომ სული უკვდავი და მარადიულია, იცის, რომ აქ სასჯელის მოხდისთვის მოავლინეს, ისიც იცის, რომ ცოდვის ჩადენისთვის უფრო საშინელი და ხანგრძლივი სასჯელის პლანეტაზე მოუწევს ყოფნა, მაგრამ არ იცის, რა დააშავა სულეთში ან რა დანაშაულზე შეიძლება ლაპარაკი იმ საუფლო ბედნიერების სამყოფელში. ფიქრში და აზრებთან ჭიდილში ჩაეძინა მშვიდი და უშვოოთველი ძილით. აღარც დამის ქვისროლიები აწუხებენ და აღარც უფალის მოციქულები მოსვლიან ხორციან სულის ამოსაძრობად.

შუაღამე იქნებოდა, რომ გაეღვიძა. ცოოდა, დიდი ბაღლი მისწოლოდა გვერდით და თავისი სხეულით ათბობდა. ძალლს თაგზე გადაუსვა ხელი, მოეფერა, გაიხარა ძალლმა, აულოკა ხელები. ამ დროს სხვა ძალლმა შეყო თავი მათ ბუნავში, ძალლმა დაუღრინა და გასაგდებად წამოიწა.

– მოვიდეს, ცუგა, შემოუშვი, გათბეს, დაისვენოს, რას აშავებს, ასე ერთმანეთის მოხმარებაში და მოფერებაში გავლიოთ ჩვენი ამქვეყ-

ნიური გზა, — უთხრა ლოპიანამ. ძაღლი დააშოშმინა, სტუმარი შემოიპატიჟა, ისიც გვერდით მოიწვინა, მოეფერა და იმ საცოდავი ძაღლის ბედნიერი წკმუტუნით გაავსო ბუნაგი. ახლა დიდი ძაღლი აღარავის უშლიდა შემოსვლას და ბუნაგიც ძაღლებით გაივსო, გაიჭედა, დათბა. გარეთ კი ცივი ქარი აღვირახსნილი ბოროტმოქმედივით ნადირობდა უბინაოდ და უთავშესაფროდ დარჩენილებზე.

გათენდა. ძაღლები ბეწვის ბერტყყვით გავიდნენ გარეთ. ლოპიანაც გავიდა. ძაღლები კუდს უქიცინებდნენ. დიდმა ნაგაზმაც უპრეტეზიოდ გადააბარა ბუნაგის უფროსობა და ახლა ისაც ყველაზე თამამად ეგლისებოდა. ლოპიანამ ძაღლები დააპურა, გუდურა გადაიკიდა და ძაღლების ესკორტით გზას გაუდგა. მერე ძაღლები უკან დააბრუნა, ვეცდები, კიდევ მოგაყითხოთო, დაიბარა და წავიდა. გზამ სასაფლაოს კართან მიიყვანა. შიგ შევიდა, იქვე ქოხი დაინახა, ბუხრიდნ კვამლი ამოდიოდა. ვიღაცამ ქოხის კარები გამოაღო და შიგ შეიპატიჟა:

— შემოდი, შე უბედურო, რას გავხარ, გაიყინები, — უთხრა. ლოპიანამაც პატიჟი არ გაამეორებინა.

— მადლობელი ვარ კეთილო კაცო, აპა, ტანსაცმელი. თუ ამას და-მაღწევ, ორმაგად ვიქწები მადლობელი, — ლოპიანამ თავისი გუდურა მიაწოდა.

— რა არის ეს, იქურდე? მკვდარს გახადე? — შეწუხდა მასპინძელი.

— არ მიქურდია, მე გავიხადე, მაგრამ მკვდარი აღარა ვარ, ჩაცმით კი რაც მაცვია, ესაც მეტია ჩემთვის.

— კაცი დაფიქრდა, რაღაც არ მოეწონა, რაღაც გაუკვირდა, მაგრამ არაფერი უთქვამს. ტანსაცმლის შეკვრა ტახტზე მიაგდო და ღუმელს ხელებით მიეფიცხა. ლოპიანას სახემ და გარეგნობამ იღუმალი შიში მოჰკვარა და შეკითხვის უნარი დაუკარგა. საფლავიდან ამოსული ხომ არ არის? — გაიფიქრა და შიშისგან გააქრესოლა.

— ვინა ხარ შენ? — ჰკითხა ლოპიანამ.

— მესაფლავე ვარ, თან სასაფლაოსაც ვყარაულობ, — მიიღო პასუხი.

— სასაფლაოს ყარაულობა რად უნდა, სულებს ვერავინ დაიჭერს, ხორცი კი შეუერთდება მიწას. მაშინ რის მაქნისი ხარ შენ?

მესაფლავე თუ ყარაული დაიბნა, მართლაც, რა ყარაული უნდა სასაფლაოს.

— მესაფლავე ვარ, ვყარაულობ კიდეც. ზოგი ყვავილს იაპარავს, ხოგი ხის ნერგს, ზოგი მდიდარ მკვდარს თხრის და ძარცვავს. ამქვეყნად უკუღმართ ადამიანებს რა გამოლევს.

- ნეტა რაზე იღუპავენ თავს, – ჩაილაპარაკა ლოპიანამ.
 - რაზე იღუპავენ, ბინბური ხერხით ნაშოვნი ფულებით კარგად კი ცხოვრობენ და... რამდენიმეს კიდეც მივატანე, მაგრამ დატეზლება არ ვიკადრე.
 - დაბეზღება რა საჭიროა, უფალმა ყველაფერი იცის, არავის არ დაუკარგავს, რასაც იმსახურებს.
 - ეს, უფალი, უფალი, ვიძახით, ისინი კი კარგად და ნებივრად ცხოვრობენ და გამკითხავიც არავინ არის. ადამიანებს ბეღურებივით ხოცავენ. სკამს არ შემტკიცებულოსო, იმისი ადგილი მე დამრჩესო. ზოგის ქონებაო, ზოგის ცოლიო და ეგრე. ვიღაცა საწყალს დაიჭერენ, ცე-მა-ტყებში აკისრებინებენ, მე მოვკალიო და მორჩა, ვითომ მკვლელი იძოვნეს, ხალხს შეაყრიან თვალებში ნაცარს და ფაფუ, ხახვივთ ირ-გებენ არასასურველი კაცის გზიდნ ჩამოცილებას: ახლაც მარხავენ ერთს, წავალ, ნახევარი მეტრით კიდევ დავაღრმავებ საფლავს და ისინიც მოვლენ, – მესაფლავე ადგა.
 - მეც წამოვალ, გიშველი, – ლოპიანაც წამოდგა.
 - „ნეტა რას გავს, ი ჭირისუფლები არ დამიფრთხოს“, – გაიფიქრა მესაფლავემ, მაგრამ სიტყვის თქმა კი ვერ გაბედა. უხმოდ წავიდა, ლოპიანაც გაჰყვა.
- სასაფლაოს თხრა ახალი დამთავრებული ჰქონდათ, რომ მოჯარდა ხალხი, გაიგსო სასაფლაო.
- მაღალ სკამზე იჯდა, ალბათ, – იკითხა ლოპიანამ.
 - მაღალ სკამზე იჯდა და უფრო მაღალი სკამის მფლობელმა მოაკვლევინა, ჩემსაზე არ ამოჯდესო. აგერ ისიც, ყველაზე დიდ ჭირი-სულად მოაქვს თავი. იძახის მკვლელს დავიჭირ და დაგსჯიო.
 - ჯერ ვერ დაიჭირა?
 - დაიჭირს ვიღაცას, მკვლელობაზე აზრზე რომ არ იქნება, აკის-რებინებს, მე მოვკალიო და გაასაღებენ. რატომ მოვკალი, რისთვის, ან რა ჯავრი მჭირდაო, ამას აღარავინ კითხულობს, მთავარია მკვლე-ლობა დააბრალეს ვიღაცას და ვითომ ხალხსაც სიმართლე უთხრეს. ვინ რას გაუბედავს, ენაჭარტალას აქ გამოგვიგზავნის. აგერ ისიც ჭი-რისუფალს ამშვიდებს, შერს ვიძიებო, – ირონიული ღიმილით თქვა მესაფლავემ. ამ დროს იმ დამმშვიდებელს გაეშვა ჭირისუფალი და მოთქმით აღრიალდა:

- ვიცით შენი მკვლელი ვინც არის, მაგრამ ვაი, რომ ვერ ვიტყ-ვით, დედაბუდიანად ამოგვწყვეტავს, თანაც სხვას დააბრალებს და ვიღაცა უცოდველს მოგაყოლებს უკან. უფალო, უფალო, შენი სამს-

Հազրոն օմեդուա ցայխես, համեռ աջամանենք և սամշացրո՞մ և սուրպա, որպարուծա, լալագու, մրոյմոծա և ատաս շպարմարտուծա ուղարկան շինոնդյուրտա ելլմա! – մոտեյվամդա սածրալու քորուսոյալու և սոյրո մարալու սկամու մցլոնձելու յու արքարյենքա: – նու ցըմնա, յալճագուն, առմացաւ և ասմացաւ զածլցաբոնքտ, զոնց էլուցն ցացամինարա, – մեծոնքա և տան մցերդիչ ուրիշամդա մցուցա.

– Ի ծնմեյրո ուրալումայլունա, – հաօլապարակա մեսայլացեմ.

– Մեցուցա, րոշոր մեցուցա! Ի ուրիս, մազ սացուցամա, Ի շլուս. զա, զա, զա! րոշոր ամիմենցուցա, – մոտեյվամդա լունանա, – Ծացալ, ցացայրտենուցա, Ի ուրիս ուրիս և ցուցամդա մուսանցուցալա Ծանչցա-Ծամենա շնուրառու յու արացերո մմալցա և սոյալու անմացաւ յու արա, մոլունմացաւ անցլցանցնես, – Կանքալուտ ամերանք լունանա.

մեսայլացեմ Շեխեդա մուս արամյեցնուր սակես և անշուտ դածաց-րուցա ոյոտես:

– Մեն հանաւած լապարակու, տուրիու յու նամյուոյո ոյու.

– յու յունա Ի սակուրա, սոյալու ցուցալուրս ելացա և մուսեալ-մուսեալ մուշթացա, հասաւ մմասեւրենես. զա, րոշորու մեցուցա!

– Մեն մցլուց ցուցամդա տու մուկլուց? – Շեշտես մեսայլացե.

– մուկլուց մեցուցա Ի ար սնճա, սացուցազու մցլուցուա, Ի ան-չցու ցրմելու սոյուց լունուցա, րոշորու Ծանչցա Ծամենա սացարծ-լա և ցուցա այսարո մարալու սկամու, Ի ուրիս ուրիս, շնուրառու տազուոց մեսեցրելուս յունու համարուա. զա, զա, զա! րոշոր մեցուցա. սնճա Ծազուց և ցացայրտենուց, յունեն ցումելու համե, – լունանա մի մարալու սկամու մցլոնձելուսկեն Ծասացլուցա մումինա. մեսայ-լացեմ ելու սլուցա:

– ցացոյսդո?! մացատան աելուս զոն մոցիմցեն, ացեր Շացսատցալուա-նո, մարալու, ծովուցա սակուն յացենու Ի անցցա ուրցուու, մացու և ացուա, ցացոյշերեն և սասացլուս յեցիչ դացատեցնենեն Ծանչուն.

– Ծանչուն դատեցա յու սնճա օնուրոն, Ի ուր այ և սուլ սատնուցա և սոյցարուցա և անցնեն. զա, զա, զա! Ի ամունու ցուցալուու մեծմուց-նա ցուցամինիւ. Ի յուցելուատ, սամինելու Ծանչցու դուցենես մմիացենեն! – մոտեյվամդա լունանա և հարաւ ուղարկալու ցանկութենու Շեցնենու ցուլս շետեյվալա մեսայլացես.

օլուրես, յուրիշուու, ծովու ուրցուու դացարես, ցուցամդա և ու-ցրա յանցիւ. մի մարալու սկամու մցլոնձելում օնուցա տյեցա, դալու-կուլու յու, համեռ մցամունու ար օգծունուան. մցլուց մումինս



ქნევით მუქარა და არდანდობა შეუთვალა, მერე სახემოღრუცილმა ცრემლიც დაღვარა.

— რა ეგოისტი სხეულში ჩასახლებულა მაგისი მორჩილი სული, რომ ამხელა თვალთმაქცობას ეგუება; სკამზე ჯდომას ვიღა ჩივის, ნერონის ველი არ ასცდება, — ამოიტირა ლოპიანამ.

— შენ, კაცო, მართლა ზევიდან გამოგზავნილი ხომ არა ზარ?!
— ინსტინქტურად ამოიკნავლა შიშისგან თვალებგადმოკარკლულმა მესაფლავემ.

— მაგის ბედნიერებას ვინ მაღირსებს მე ცოდვიანს და ეგოისტს. აქ, დედამიწაზე, რა სასჯელი უნდა მოიგონონ, უფლისას რომ შეედაროს. აწამებენ სხეულს, გაფრინდება სული და მორჩება ამით. იქ კი ათასი წლობით იხდიან აქ ჩაღენილი ცოდვების საზღაურს, — ლაპარაკობდა ლოპიან და თვალთა მზერით მიაცილებდა ადამიანს, დამცველებით გარსშემორტყმული, ამაყი და რისხვაჩამდგარი რომ დაცყურებდა მასზე ნაკლებად ცოდვიან მოძრავ სხეულებს, მომენტს რომ არ ჰყარგავდნენ მისთვის ქება-დიდების ხოტბის გადმოსანთხევად.

— ღვარძლს, წყევლასა და კრულგას დაანთხევთ იქ, მაგრამ რაღა დროს. ჩემს გაფრთხილებაზე წილის კვრით მომიცილებით თავიდან,
— ბუტბუტებდა ლოპინა.

საფლავს მიწა მიაყარეს. ყვავილებით და გვირვეგინებით დაფარეს ბორცვი. იქაურობა მოასუფთავეს და ჭირისუფლების მიერ მოტანილ საგზალს მიუსხდინებ.

— დაღუპულის შესანდობარი დავლიოთ, — თქვა მესაფლავემ და ჭიქებში ღვინო დაასხა. — უფალო, ნათელში ამყოფე განსვენებულის სული! — თქვა და ჭიქა გამოცალა.

— რა უფლება მაქვს, უფალო, რამე გთხოვო, დიდება შენს ნათელ სახეს, ქებათა-ქება შენს წმინდათა-წმინდა სამსჯავროს! — თქვა ლოპინამ და ღვინო დალია, თან დაუმატა: — ჩახეთქე, უძღებო პროდუქტო მიწისავ!

გაკვირვებულმა მესაფლავემ წმის ამოლება ვერ გაბედა. კიდევ დაასხა ღვინო ჭიქებში და ახალი სადღეგრძელო თქვა:

— ქვეყნაზე მართალსა და პატიოსან კაცს გაუმარჯოს! — დალია და ლოპინას მიაჩერდა, შენც დალიე.

— მართალი და პატიოსანი კაცი გამარჯვებულია, ვაი, ცრუს, უსინდისოს და ცოდვიანს! — თქვა და ერთი ყლუპი შესვა მხოლოდ, ნერწყვმომდგარი ტუჩები გააწყლაპუნა და ჭიქა დადგა.

— დალიე, კაცო, ბოლომდე, აქ რაც არის, ჩვენ უნდა ვჭამოთ და დავლიოთ, — განუმარტა მესაფლავემ.

— მეტი არ ეკუთვნის, გაძლება, განებივრდება და ცოდვების ჩადენას მოიურვებს, — მიიღო პასუხი.

— ვინ გაძლება, ვინ მოისურვებს ცოდვების ჩადენას?! — ვერ მიხვდა მესაფლავე.

— ვინა და აი, ეს სხეული, დროებით რომ შესახლებულა შიგ ჩემი სული. სარბი და გაუმაძლარია, იმდენი უნდა ვაჭამო, არსებობა შეიძლოს მანამდე, სანამ სულების გამცილებლები არ მომაკითხავენ.

მესაფლავეს ყელში ლუკმა გაეჩხირა, ძლიეს გადაყლაპა, ცოტა ღვინოც დააყოლა და მორჩილი ბავშვივით მიაჩერდა ლოპინას. საფლავების თხრაში და სასაფლაოზე ცხოვრებით ისე იყო საუფლო ზმანებაში გადაბარგებული, სულ განსვენებულთა სულების მოლანდებებს დასდევდა. ახლა კი რაღაც უცნაური, მეგდრეთით აღმდგარი ადამიანი თუ საიქიოს მოციქული იჯდა მის წინ და თავის უცნაური საუბრით შიშის ბარტყებს აჩეკინებდა.

— საიდან მოგაკითხავენ სულების გამცილებლები, ან რა საერთო

აქვთ შენთან, ან სად წაგიყვანენ? – მოკრძალებით პკითხა.

– სულების გამცილებლები უფლის სამსჯავროს ძალით მომაკითხავნ, რასაც ვიმსახურებ და რისი ღირსიც ვარ, იქ წამიყვნენ. ისინი ყველას მიაკითხავნ, მაგრამ არავინ არ იცის, როდის მოვლენ და სად წაიყვანენ, რამეთუ ამ ცოდვილ დედამიწაზე ადამიანებს უფლის კანონების საწინააღმდეგო ქმედება ნორმალურად ეწვენებათ და ვერ მიმსვარან, რომ ხორცის მსახურად გადაქცეული სული ყველა ავის და ბოროტის მტვირთველია. უფალმა კი ყველაფერი იცის, მას ვერ დაემალებიან.

– ხორცის მსახურად გადაქცეული სული როგორია?

– ბევრის მოხვეჭის მსურველი. მიწები, ქონება, ოქრო-ვერცხლი, მილიონები და მილიარდები რომ არ ჰყოფნის და უფრო მეტს ითხოვს. მთელი დედამიწაც რომ მიითვისოს, მაინც არ ეყოფა. უსასრულოა ხორცის მსახური სულის სტომაქი. ვერ გაძლება, ვერ ამოივსება. ამისთვის ყველაფერს იკისრებს: მტრიბას, ღალატს, მკვლელობას, ვერაგი ხდება. მოჩვენებითი ძლიერება კიდევ უფრო დაუნდობელს ხდის, რომელსაც საზღვრი არა აქვს, სანამ ერთ მშვენიერ დღეს სულების გამცილებლები არ გამოუკადებიან, იმ უძღები სხეულიდან ამოაძვრენენ და უფლის სამსჯავროში უკრავენ თავს. ბილწილები კი იმხელა საფლავს მიიღებს, მხოლოდ თვითონ რომ ჩაეტევა. მორჩა, სული უფლის სამსჯავროს, ხორცი მიწას და ის მოჩვენებითი ქონება, თავისი რომ ეგონა, ისევ დარჩება, როგორც იყო, ოღონდ იმ სულების საუბედუროდ, ვინც ხორცს ვერ მოთოკავს და მოჩვენებითი კეთილდღეობის, სტომაქავსების წყალობით სულის სატანჯველად მოამზადებენ თავიანთ უძღებობას. ეხლა ჭამე, რაღას უცდი, გამოაძლე ხორცი შენი, რათა მეტე უფრო მეტი მოგთხოვოს, – უთხრა მესაფლავეს და საჭმელებით დატვირთველი მათლაფა მიაწოდა.

– არ მინდა, ისედაც ბევრი ვჭამე, – მესაფლავემ აჯაგრული მაღადამუხრუჭა.

– თუ აღარ გინდა, მაშინ წავიდეთ და ვისაც შიმშილისგან სხეული დასხაბუნებია, იმას ვაჭამოთ, რათა უფლის გამოძახებამდე არ გამოსძრეთ სული. ადგნენ, რაც საჭმელი ჰქონდათ, მოხვეტეს და სასაფლაოს შესასვლელში შეგროვილ საპყარ მათხოვრებს წაუღეს.

– გაინაწილეთ, ყველამ შეიხვედრეთ! – იხვეწებოდა ლოპიანა და თანაბრად განაწილებას აპირებდა, მაგრამ ვინ დააცალა, ვინც მოსწრო, ყველაზე ბევრი მოხვეტა, ჯიბებსა და უბებში ჩაიტენეს, ვისაც არ შეხვდა, წართმევა დაუპირეს, გაიმართა წეწვა-გლეჯვა.

լոռքիանա չեր մատ ցամցելեաս ցուղովծա, ռոմ զերայերո ցա-
պշո, մերյ դաշճա ճա մոռժիամճա:

— զոտոմ Տուկու գապո՞յի եկելա մյ ամատ, ճափամյի երտմանցոտ; Շեշմիլս ճա կաշմի հաշուելու արացուրս ճաթուելին, — Ծաշլա
ճաակորա.

— ჩիմտան ճառհի, արացուրս ցագոփորցը, — Տուեա մյ Տայլացը.

— արա, այ ցանցերոմոտ զոյնին, օւեց ჩիմի Տամալլեմի Բացալ, ու ցարետ ցոյցնամ Շեմանցիս, Շեն կո այսուղեծլաճ ցինաթշլլի, ու մանամճա ჩիմի ցամբուղեծլուեմա ար մոռմակոտեցէ, — Սպասուեա լոռքիանա ճա տացու ցիս ցիս ճաալցա.

յալայիս ցենցիրմի ցաարա. ցամոքրանքուլ-ցամո՞յիկուլո աճամիանց-
ծո ճաացրտենո տացու ցարցնոնատ. Եյդացէ լոռքիանա, մջոմարյունուտ
ցանցիուրեծուլո աճամիանցի Ռոցոր ճամբոնացա ճա Յօնցուտ շալուան
ցցըրճա. օւետեիւց ցամոհնինցն, տանցրմնոնատ Ռոմ միևիրյիան ճա
մո՞յսալուեմասաց ածլուցը. լոռքիանաւ Վյալորմանց յարո ար սոյցիա, Բա-
ուցիւն ճա ցամատենցրեծուլ շյեռնելո ճայրուցիւն. ացեր եկլեսիաց,
միւ Շյասաշլուլմի համո՞յրուցուլմա մատենցրեծմա մժրուլաճ մուլլուն;
Յոցմա մշաճլուցուն էշրա, այշեճան ճակարցը. լոռքիանաս րաց նայու-
լունցու յուլո էշոնճա, պայլաս համուրուցա, ցագորցեծուլուն ճաթուց
ճա եկլեսիամի Շեցուա.

Ֆու լոռքիանա եկլեսիամի, այցորճյա ցցըլաս ճա պայլայցը. ցուլացս նատլացեն, — չշարս Վյերն, յրտ մոռմզարս մյամրուս Տաֆո-
արյինաճ պայրուցիան. Մայզուրս լոռքիանաս, շալուս Տախուտ ցանցու-
ծուլ ալյա-միւրմոնաս Ռոմ յոյշուրյին. մյուս մյայուտնուտ, ճառի յրտո
մլացլու, ակլահան չշարուսիւրուս ցերմոնուս Ռոմ հաաբարա. Տյուլ ჩիմի
ար արուս, պայլաս տացու Բուլո յնճա համուրուցուո. ացեր, մուլլաճ
յոյրուսո ցամոհնճա, որո մեարձեցուան ճա մոկուդացուացուտ Տյելիկուս-
րա, Բուտլաճ հայոնյուլուցուլ, անայուրուսան մջազուլուն մուլլունցն. „Անայուրու ցանցու յոյրու մույթուցատ“, ցայցոյերա լոռքիանամ ճա տացուտցու հա-
ուլապարայա: — ամատ օյ նամզգուլաճ մյայնարտա արմու ճայիշցուա. արա,
լոռքիանա չշար մոռտմենս, յնճա ցաացրտենուուս, րա Տայրուտենս Բունա՛յց
ճացանան Տեսլուս մոռնա մուլլունցի.

— մոնատցլանց նյ չափուոտ, մոռմզարո, օւուու, յոյալու Եյդացէ
ճա ար ցապաթուցիւն ամաս, — ճաարուցա ու ճաամինա մյուս Նմա-քամուտ Տես-
լունցայուցուլուն „մջազուլուն“.

— Շեն րա օւու, յոյալու րաս Եյդացէ, Շյ Քյուրթլուանո! — յոյցուա

მღვდელმა და მთელი ძალით მოქნეული წიხლი ანაფორას რომ არ შეეკავებინა, ლოპიანას სულს ამოაძრობდა.

არანაკლებ უჯაჯგუნეს წიხლი და მუშტი ჯვრის დამწერმა და მიცვალებულის საზიარებლად მოვაჭრე მღვდლებმა; არ შედრება ლოპიანა და ახლა მთლად უფროს მოძღვართან მივიდა:

— მამაო, უფლის სახელით ცოდვებს ამრავლებთ, რას ჰგავს, ამქვეწიურ ცუნებებს რომ აპყოლილხართ და განებივრებული ხორცის ტყვეობაში დაგიმდაბლებიათ სული, ნუთუ არ იცით, რომ თქვენთვის განსაკუთრებით მკაცრი იქნება უფლის სამსჯავრო?! როგორ ბედავთ უფლის სახელით ვაჭრობას და უფრო უარეს მკრეხელობას აქ, სა-დაც ყველაზე წმინდა, სპეტაკი სულებისთვის არის ადგილი, — ლოპიანას კიდევ რალაკის თქმა უნდოდა, რათა თავისი სიტყვისთვის უფრო მეტი დამაჯერებლობა მიეცა, მაგრამ ვინ აცალა, იმ ორმა მთლად უფროსი მოძღვრის სხეულის მცველმა მღვდლებმა დაავლეს ხელი და კარებისკენ გაათრიეს.

— მოაშორეთ აქაურობას ეგ სატანა, უფლის მაგინებელი! — ღრიალებდა მთლად უფროსი ანაფორიანი.

კარებამდე სულ ციმციმ მიიყვანეს, მერე ისეთი წიხლი ამოპკრეს, რომ ლოპიანას დღოებით გონება დაებინდა. აზროვნება რომ დაუბრუნდა, კედელთან იჯდა და მათხოვრები წყლით უსრესავდნენ საფეხქლებს.

— გაცოცხლდა, — თქვა ერთმა.
— მადლობა უფალს! ან როგორ გადარჩა, რაც იმ ყასბებმა ამ საცოდავს წიხლი ურტყეს.

— მაინც რა დააშავე, ეგრე რომ გაგიმეტეს? — შეეკითხნენ.
— მე კი არა, საკუთარი თავი გაიმტეს, ვაი, როგორ მეცოდებიან! უნდა მივიდე და გავაფრთხილო, ხორცის მსახურად ნუ გაუხდიათ სული, თორე ინანებენ და მერე გვიან იქნება, — ისევ ეკლესიაში აპირებდა შესვლას.

— გაგიუდი, შე უბედურო! — წინ გადაუდგნენ მათხოვრები, — მოგქლავენ და პასუხსაც არავინ მოსთხოვთ ამ ჩვენს ძალადობის სამთავროში.

— სასჯელის გარეშე არავინ დარჩება, ძალადობის სამთავროში ჩადენილ დანაშაულზე უფლის სამსჯავროში მოსთხოვენ პასუხს.

— სად არის ის დალოცვილი, ნუთუ ვერ ხედავს, რა ცოდვის კალო ტრიალებს ამ ჩვენს გავერანებულ ქვეყანაში?! — მოიჩივლეს მათხოვრებმა.

— ხედავს, ყველაფერს ხედავს! მინდა გადავარჩინო ეს საცოდავები, მაგრამ რომ არ მიჯერებენ, რა ვქნა?! — აქვთითინდა სასოწარკვეთამდე მისული ლოპიანა.

— წადი და წენარად იყავ, სანამ არ მოუხვრჩიხარო, ამათ კი, სამარის გარდა, ვერაფერი გაასწორებს, — დაარიგეს მათხოვრებმა და ეკლესიის ეზოდან გამოაცილეს.

მიღის ლოპიანა, სხეულის კვნესას ყურს არ უგდებს, ძალათი მიათრებს; მაინც მიღის, არ ჩერდება.

აგერ ვიღაცამ ქალს ჩანთა გამოგლიჯა და გაიქცა. ლოპიანა გამოეკიდა, სადღაც, უკაცრიელ ეზოში შეჰყვა და დაუყვირა:

— ნუ გარბისარ, ავტოლიკოს, მომიცადე! ისმინე ჩემი დარიგება, ქურდობა დაგდებავს!

ქურდმა უკან მოიხედა, რა დაინახა ჩამოძინძილი კაცი, უშიშრად გაჩერდა და უყვირა:

— რას მომდევ, შე მათხოვარო, ხომ არ გინდა, სული გაგაფრთხობინო?!

ლოპიანა მიუახლოვდა და დარიგება დაუწეო:

— იცი, იქ ქურდები, ყაჩაღები და ათასი ჯურის მომხვეჭენლ-მიმტაცებლები მარხილში არიან შებმული, რაც მიუთვისებიათ, თუ მოუპარ-მოუტაციათ, ზედ აწყვია და მარხილს თოვლზე კი არა, მშრალ მიწაზე დიდი ჭაპან-წყვეტით მიათრევენ უსასრულოდ და გაუთავებლად.

— რის მარხილი, რის ჭაპან-წყვეტა, შე ნაბიჭვარო! — უყვირა ქურდ-მა და თავპირში მუშტი წაუშინა; წაქცეულს წიხლებიც მიაყოლა.

— თავს გაუფრთხილდი, მეცოდები, შე საწყალო, ცოდო ხარ, ცოდო! — მოსთქვამდა ლოპიანა.

ქურდს ხელ-ფეხი დაედალა, თუ ამ უცნაური ადამიანის შეეშინდა, ჩანთას დაავლო ხელი, ეს ვინა ყოფილაო, თქვა და სირბილით გაუჩინარდა.

ლოპიანამ ძლივს აზიდა დაჟეჟილი გვერდები და ლასლასით გასწია სანაგვისაკენ. ბუნაგთან ძლივს მივიდა, ძალლები უკვე შიგ შეგუეულიყვნენ. ლოპიანა იცნეს, გარეთ გამოცვივდნენ, ლაქუცი და ლოკვა დაუწეოს. ლოპიანა ყველას მოეფერა, მერე ბუნაგში ძლივს შეხოხდა და ულონოდ მიწვა. ძალლები შიგ შეყნენ, გვერდით მოუწვნებ და ერთმანეთის სხეულით გამთბრებმა ჩაიძინეს. მარტო ლოპიანას არ ეძინა, ფიქრობდა მშოოთვარე და აჯაგრული ფიქრებით: — „რატომ მომცა უფალმა მისი სამსჯავროს და სულეთის აბების მეხსიერების

շնարու. զին մոցերուս, համու և քորդեպատ հիմո Շյշոնեպա ամ եռուցու մոնցին. այ ջեգամինչածյ, և յոլութու սա օդամլողեպանահուարեպի կապու ցեղարեպա ինչանցա յոյզուլու, ռամետու յոյշուրեպ ռողոր լրմազլուպան յազուր աջամունեպի ցողզուպի դա զերագրու մշալու. ուրու ռա մոյելու յուզելու ամուսատուս, յուրուսար, այրութուլու, մաշրամ յը յմալուրո յաբուն ցեմա-Եյքուտ ցոմասենմծուլուպին մալույրեպիս դա ցամուշուրեպին նացուլուած“ յոյէրուս լուսանա դա օխութիւն մուխուլու մալուլու յալուցին. յուլութեպա և յուլուպին ցամպուլուպին, արար յշունու մատու, ոմ սա յայլուտուսաւ մինա արուս, հասաւ հաճենուլու ցողզուպատուս մոյսա յայլու յաբալու. մանամց յու ար մուսաշունեպ ցողզուլու դա սանամց մշելուպի, սոյետուկցի մուշուրուպի մունա և յուլուպի.

հայտնա լուսանանա. ցայրա յայլուայրու. մշշուրը մուլմա մուանոյի մուս մշյուտունու սոյէսիթլու, ռատա եցալ օւյու մշեքութու դյուժամինչույ յալ յակշամարտունաս, ան սա յայլու մուսաթելուած նարսացք յայլու սամսայրունի.

դուռու յայր մալուպի ցամուշուրեն լուսանանա ծյունագուան, ծյունու ցայլուտեյս դա աթլած դայրուլու նացաշու մեսյանու լույսին մյենաս մշյուգնեն. ցուռու, քորելու մշեմուքուլու մուժամու և յուսենան օկանութու. յուտուլուցայրունու եցիս մշեքորելուլու գուրութիւն տացուս ծյուն մշյուլու ակարուտունաս. հածարենունեն նամուրուս քորվայլունաս.

լուսանա մուշունթյունու օվյա, մեռուլու դուռու մալուլու մշմուրիյնու և մուս ծյունա դա տացուս և ենուլու սուաթլու տու առա տացուս և սուաթլու տու առա տացուս և ենուլու յը մյուժուրու ծյունաց և մատ յաշուրեպին ամառ ցեղարեպին ցամամաժուս. ուրու, ռոմ ցեմա-Եյքուտաս, մյունու և քութլայպիս մումկուս տացուս և սայուլու ցամուն մաշրամ ամաս յու ար ցայրուս, ան տացուս տացու յու ար յուցուլու, ձորոյիտ, յուշունի մեսյանու ցեղարեպու ցանենուզրեպուլուպիչ հոյուս, համետու ամ նյունունուս նաւացիչ նամուշուուտ ցողզու դա ար ուրուս, ռա մոյելու յուզելու յուզելու ամուս ցամուն. տացուս յայսյարունա ածրանչեպի, նյուտու յեր յնճա մշեմուն, դաարնիմունու աջամունեպի, ռոմ դյուժամինչածյ լրուցուտու և յումուրունա ծորութիւնու, ցերացունու դա սուսանիս սամսայրունի յու արա, սոյետուս, սոյարուլու դա յուրույրու տանացունու և սուսայրունի յնճա ցամաթարուն. զին դայշայրեպի լուսանանա ոյ, սաճաւ ցամուրիյնանչյ, մոխցե-քասա դա որուունանչյ ացուլու յալու կյուլուլունուս և սոնամցուլույ.

ადამიანები ეგოსტები არიან. მათ შავ ლიმუზინებში გამოპრანჭულ ბლენდთა მხარის დაჭერა აწყობთ გამორჩენის მიზნით, რათა მათი ნასკუთრალიდან ქონიან ლუქმას ეზიარონ.

არავის არ სჯერა ლოპიანასი, არავის არ უნდა მისი ქადაგება
ირწმუნოს; ერთი მაგარი გამოძღვა ურჩევნიათ უწმინდეს და ამაღ-
ლებულ რწმენას. იმათ ხორცი ჰქევევიათ სულის მეუფედ, ხორცი გა-
ბატონებული სულზე კი ყველაფერი ავის და ბოროტის შემომქმედია.
ხორცი-მიწა დედამიწის პროდუქტია და უფლის დავალებით დროებით
ემსახურება სულს, მორჩება ეს სამსახურის ვადა, ხორცი თავისივე
მიწას შეუერთდება და არც პასუხს აგებს ხორციელი ავხორცობისათ-
ვის, რამეთუ წერვა, გლეჯა, მოხვეჭა და ათასი მანკიერებანი იგივე
დედამიწის პროდუქტია და მისგან სხვა რამ არც არის მოსალოდნე-
ლი. სხვა დანარჩენი, რასაც სიკეთე, სიყვარული, შენდობა, ბეღნიერე-
ბა და სიხარული ცით მოვლენილი ამაღლებული სულის პროდუქტია
და თუ სული მიწიერ სიბინძურის ტყვეობაში მოქცევა, მასზე იქ,
ზევით საუკლო სამჯავროში აგებს პასუხს, რადგან მისი ადგილი იქ
არის და მიწიერი ჭუჭყისაგან დასკრილი სული სანამ საუკლო სავა-
ნეში მივიდოდეს, განსაწმენდად სხვადასხვა დოზით პროცედურების
მიღება მოუწევს, რომელიც არც თუ სასიმოწია; ეს პროცედურები
კი იმით განისაზღვრება, რა დოზითაა სული დასვრილი მისი დედამი-
წაზე ჩასახლების განმავლობაში.

ლოპიანა ხვდება, რომ მისი მცდელობა ამაო და ფუჭია, ხორცის ტყვეობაში მყოფი სულების სასიკეთოდ გადარწმუნება შეუძლებელია: ყველას კიდევ ხომ არ ერგება წილად ლოპიანას მსგავსი გამოცდა, განა მაშინ, ლოპიანას ლეშს განცხრომის ზეიმი რომ ედგა, ვინმე შეძლებდა მისთვის დიდი და ფართე სასახლე თავისი მსუსე ცხოვრებით სანაგვეზე მდგარ ბუნავში გაცვლაზე დაერწმუნებინა? დიდია ცოტნება ფუჭი და ყალბი კეთილდღეობისა, დიდია ცოტნება ჩადენილი დანაშაულის დამალვით თავის უცოდველ კრავად წარმოჩინებისა, აქ, დედამიწაზე ამას ბევრი ახერხებს, განსაკუთრებით სახელმწიფოს მესვეურნი, რამეთუ ცოდვის, დალატის, ჩადენილი დანაშაულის გამომუდავნების მექანიზმებიც მათ ხელშია და იმავე მექანიზმით ჩადენილ ბოროტებას სხვა უცოდველს ადვილად გადააბრალებენ; იმას მნიშვნელობა არ აქვს, თუ მორჩილი მრევლიდან ურწმუნო თომები ირონიულად გაიღიმებენ. კარგი ბიჭი ხარ და ხმა აიმაღლე, მაღალ დაფაზე გამოფენავენ მასზე დაბრალებულ ცოდვების ნუსხას მის ტყავთან ერთად. ჰქონიათ, რომ ყოველიგი დანაშაული უკავ შერჩათ, არც კი

იციან, რაოდენ დიდ განსაცდელს უმზადებენ საკუთარ სულს. სწორედ ეს აწუხებს ლოპიანას, მთავარი სამეფო ცოდვიანთა ხსნა უნდა, მაგრამ როგორ შეძლებს ამას?! ეს შეუძლებელია, მაგრამ მაინც უნდა, რომ იჯახიროს, სანამ არ მოაკითხავენ და წაიყვანენ დედამიწაზე ჩადენილი ბოროტებისაგან დასვრილი სულის განსაწმენდად.

ნერონის ველის კოშმარის საშინელების განცდის შემდეგ ლოპიანას ყველაფერი სიამედ და შვებად ეჩვენება. ძაღლებთან ერთად სანაგვე ყუთში შეუჟულს სახსრების ტეხა და ნაჟეჟი ხორცის ტკივილი მხოლოდ ღიმილს გვრის იმ საზარელი განცდის შემდეგ. აქ, დედამიწაზე თუ ძალიან მძიმეა ტკივილი და ველარ უძლებ, წაგივა გული და დამთავრდა წამება. თუ სულიც ამოფრინდება სხეულიდან, ხომ დამთავრდა ამქვეყნიური ტანჯვა. იქ არის მნელი, არც რომ გულის წასვლა არსებობს და არც სულის ამოფრენა; ბოლომდე უნდა იგემო საზარელი ტანჯვა, უსასრულოდ რომ გრძელდება და უფალმა იცის მხოლოდ, როდის მოედება ამას ბოლო. არა, ლოპიანა ბეჭს არ ემდურის, ის ბედნიერია თავისი ხვედრით, ჯერჯერობით ხომ გადარჩა იმ საშინელებას; ახლა კი სიკეთეს ემსახურება და ეს აძლევს შვებას.

ბუნაგიდან გამოძვრა. სიცივე მაშინვე ეკვთა დახეული საცმლებიდან და კიდეულების გაყინვას შეუდგა. ლოპიანამ აღვილზე ხტუნაობა სცადა. ხორცის ტკივილი, თუ ყინულად ქცევა არ აშინებს, არც მის კბნესას უგდებს ყურს, იცის, როგორც ხორცი დაიწყებს კვდომას, მოვლენ სულთა გამცილებლები, ამოაძრობენ სხეულიდან და გააქანებენ ცაში, რათა რომელიმე პლანეტაზე მიაგდონ ჩადენილი ცოდვებისგან განსაწმენდად. სბულს ხორცი, თავისი სხეული, რომელმაც ამხელა საშინელი ბოროტება ჩაადგინა, მაგრამ ჯერჯერობით მის მიტოვებასაც ვერ ახერხებს, თუმცა ყვოლი საათის შემდეგ გრძნობს უგრძნობელი ცხელარი ხდება და მისი დამორჩილებაც თანდათან უძნელდება.

სანაგვის აქოთებას შეუდგა, დაგლევილ-დაძნენბილი ტყაპუჭი იპოვნა, შიგ გაეხვია და ისევ შეძრა ბუნაგში. დიდ ძაღლს მყრალი ხორცის ნაჭერი მიუგდო, თვითონ კი აობებული პურის ნაჭრის ლოღნა დაიწყო.

— ჩახეთქე, არც ამის ღირსი ხარ, მაგრამ რა ვქნა, უფლის სასჯელის გახსნებაც კი მზარავს, თორე აქმდე მიგაგდებდი მატლების ლუკმად, — დააყვედრა გაციებულ და ისედაც მკვდარ სხეულს ის აობებული პურის ლუკმა.

შეცივდა, მოიკუნტა, ფეხები მოხარა და ძაღლს მიეკრა. გაუჯი-უტდნენ სახსრები და ძარღვები. ძველი ურემვით ჭრიალებს ადრე

და საմარხად გამზადებული სեպակ, պուշտ մռած დიდი დაბატუ-
ლობისა და ტკივილის შემოღრენად უჯდება, გაუნდრევლად წოლის
სუրვილი ექაჩება თავის კენ, მაგრამ სեպակ მონა სულების მომავა-
ლი უბედურების შეგნება არ ასვენებს და აიძულებს ამ ცოდვის შეი-
ლების ბრძოში ფუჭი ქადაგება ფანტოს. თუმცა აშკარა დაბატუნებას
გრძნობს და ენის ტრიალიც უჭირს. მაინც გამომვრა ბუნაგიდან. დიდი
ძალი გამოჰყვა, ტანი გაიბერტყა და ბუნაგის უფროს მორჩილი
მზერა მიაბჯინა.

— შენ აյ დარჩები, — ურჩია ლოპიანამ და სახსრების ჭრაჭუნით
წაგიდა.

მიდის ლოპიანა დიდი ქალაქის ქუჩაზე, ტროტუარი ხალხს ვერ
იტევს, ისინი მანქანის სავალ ნაწილზეც დადიან, ქუჩაზე, ღრმა ორ-
მოები სარეველასავით რომ მომრავლებულა. მანქანები რახუნით და
ხვერშით მიგორავენ, ჩიფურა ასფალტი ორმოებს დაუბრყიათ, თითქოს
ღვარცოფს გაუჯირითიაო ახლახან. ძვლების მოტეხის რისკით ყვინთა-
ვენ ავტომობილები უფსკრულის მსგავს პირადლებულ ორმოებში და
ისევ მიიკვლევენ გზას თიხა ადამიანის მიერ ეს თიხით მოზელილი
მექანიზმები. „ვერ მოუსკენია ადამიანს და ეჯიბრება ღმერთს, არ ისვე-
ნებს თიხაში ჩასახლებულ ეს ღვთიური არ სეგა“, ფიქრობს ლოპიანა
და მიაბიჯებს ბაბილონის გოდოლად ქცეულ ქალაქის ქუჩებში.

უაմრავი ღიმილობკლული, შიმშილის შიძით დაზაფრული, მომავ-
ლის იმედწართმეული სახეები; ოხვრა, გმინვა და კვნესა დაპატრონე-
ბია ქვეყანას. არიან ისეთებიც რომ იღიმებიან, ქეიფობენ, ზეიმობენ,
დაქრიან უძვირფასესი ავტომობილებით, ნებივრობენ დედამიწի სეպա-
ლու սიკეთით, რომელსაც ამ გაწამებული ადამიანების კვნესა
და გოდება კვებავს. ეს ადამიანები თავს ქრისტიანებად თვლიან. ქრის-
ტიანობა სარწმუნოებაა. ადრინდელი სარწმუნოება, ახლა წარმართო-
ბას, თუ უკუღმართობას რომ უწოდებენ, დაივიწბეს. ერთ პერიოდში
ქრისტიანობაც დაგმეს და სალოცავები მილეც-მოლეწეს. მაშინდელი
ქურუმები უღმერთობით რომ იწონებდნენ თავს, ღმერთს და მის ხსე-
ნებას ქვით და ნაჯახით დასდევდნენ, ახლა ქრისტეს ხსენება ისევ
მომგებიანი გამხდარა და ის ათეიზმის მამამთავრები ღმერთის რწმე-
ნის საմოსელში შემძვრალან, დამშეულ ხალხს პირიდან უკაնასკნელ
ლუკმას აკლიან და ეკლესიების, ადრე საძირკველებიანად რომ მოთხა-
რეს, შენებით იწონებენ თავს მორწმუნეთა და იმ ღმერთის წინაშე,
რომელიც არაფრით არ სწამთ. მამა, ძე და სულიწმინდა აკერიათ
პირზე და აშენებენ სამების ტაძარს, ალბათ მამა და ძე უფრო თავ-

შეკავებული არიან, მაგრამ სულიწმინდა კი სიცილით დაოსებული იქნება ამ წარმართ-ნაუკულმართალი ქურუმების ონბაზობით.

უფალი არავის არ უნახავს ლოპიანას გარდა, მაგრამ ადამიანს უამრავი სარწმუნოება შეუქმნია და ყველა თავის რწმენის ჭეშმარიტებას ამტკიცებს, სხვებს უღმერთოებს და ურჯულოებს ეძახიან. თვითონ ქრისტიანებსაც ერთმანეთში გაუთავებელი დაგა აქვთ. კათოლიკები, მართლმადიდებლები, ლუთერანელები, პროტესტანტები, მწვალებლები, ანგლიკანები, პაპტისტები, იელოვისტები და სხვები ერთმანეთს სახეს აკაწრიან: არც ხოცა-ულეტაზე დაუხვიათ უკან ქრისტეს და იყდოვას თავიანთებური დოგმების ჭეშმარიტების დასამტკიცებლად. ახლა მაჰმადიანები, კონფუციანელები, ბუდისტები, ბრაჟმანები, დაოისტები და სხვები ხომ თავანთი ღმერთის გარდა სულაც არ სცნობენ ქრისტეს, მის მამას და მხიარულ სულიწმინდას. ესიღენ საყოველთაო აღთქმა რომ უკარნახა ებრაელებს. ყველანი სხვა ღმერთების თაყვანის მცემლების ამოულებით ამშვიდებებ საკუთარ ღმერთებს. სულ დაიგიწყეს ბერძების მამა ღმერთი ზევსი, რომაელებმა იუპიტერად რომ მონათლეს. ეს დონუანი მოკვდავი ლამაზების შეცდენით რომ ერთობოდა და თავის მეუღლე ღმერთქალ ჰერას ეჭვიანობით გულზე ხეთქავდა. უფალი კი, ნამდვილი უფალი, რომელიც იხილა ლოპიანამ ყოველივე ამგვარ ცელქობაზე არას ამბობდა, რამეთუ ადამიანებს, თიხაში ჩასახლებულ სულებს, ასე სწამდათ და რწმენა, რამდენადაც არ უნდა იყოს დაცილებული ჭეშმარიტებას, არ ისჯება, თუ იგი ადამიანს ნამდვილად სპეტაკად სწამს და მას საჯამბაზოდ და საოინბაზოდ არ იყენებს. ეს ქალაქი კი, დღეს ლოპიანა რომ დააბიჯებს მის ქუჩებში, სწორედ იმიტომ დაამსგავსა უფალმა ბაბილონის გოდოლს, რომ მისმა ურწმუნო ქურუმებმა თავიანთი უფლის მაგინებელი თავი შერგეს უფლის მორწმუნეთა სკაფანდრში და უფლის სახელით არბევნ საკუთარ ერს.

ლოპიანა ნაგვის გროვას მიადგა, ჰირდაპირ ქუჩაზე რომ იყო დაზიანული. ადამიანები მოკლე ჯოხებით ქექავდნენ და თუ რაიმე საკბილოს იპოვნიდნენ, ბეჭდიერი ღიმილი ეწვეოდა მათ სახეს. სხვები ნაგავს ჯერ გვერდს უვლიდნენ, მაგრამ მათ გაჭირვებისგან დამდუღრულ სახეებზე ეტყობოდათ, რომ ისინიც მალე შეუერთდებოდნენ ნაგვის მქექავთა არმიას. ამაყი ერის შვილები გამათხოვრებული, ბეჩავი სიცოცხლის გადარჩენაზელა ფიქრობდნენ მხოლოდ. ლოპიანა მუხლებზე დაეცა და ცას შეღაღადა:

— მიეცი, უფალო, ამ მრავალტანჯუოლ ერს ერთი პირი და ეგოიზმით გაჟღენთილ ცხოვრებას ბეჭდიერების ზეიმად აქცევს.

კეფაზე მძლავრი დარტყმა იგრძნო, პირქვე გაიშხლართა, სახსრების ჭრაჭუნით ძლიერ წამოდგა.

— ვინ მოგცა ნება აქ რომ დამდგარხარ სამათხოვროდ! — ბობოქ-რობდა მომხდური.

ლოპიანამ შეხდა. პოლიციელი დასდგომოდა თავზე. ათეიზმის დროინდელი სამი ხუთქიმიანი ვარსკვლავი მიუანგოდა პაგონზე. თვალებში მიაშტერდა და გულუბრყვილოდ ჰკითხა: — შენ პოლიციელი ხარ თუ მილიციელი?

— შენი საქმე არ არის, ვინა ვარ მე! ერთი ლარი გამოუშვი თუ აქ დგომას და მათხოვრობას აპირებ,— გაბრაზდა პოლიციელ-მილიციელი და კეფაზე წამოსარტყმელად აღმართა ხელი, მაგრამ...

ლოპიანა სიკვდილშეყინული სახით მიაშტერდა, მის წინ მოსიარულე ცხედარი იდგა და თანაც მას ელაპარაკებოდა: — მე ვარ მათხოვარი? მე გთხოვე რამე? შენ არ მთხოვე ლარი; მთელი დღე შენ არ მათხოვრობ აქ? მაშ, მომეცი ლარი!

ვარსკვლავფორმიანს შიშისგან ჩასარტყმელად აღმართული ხელი ასევე აღმართული დარჩა, ჯერ უკან-უკან წავიდა, მოლაპარაკე სიკვდილის სუსები შეიგრძნო და ენას დამბლა მიეძალა.

— მომეცი ლარი! — არ მოეშვა ლოპიანა და თავისი მიცვალებულის ფერმკრთალი ხელი გაუწოდა.

წახდა ფორმიანი კაცი, გაიქცა, არაამქეცეცნიური მოძრაობით და სახსრების ჭრიალით გამოეკიდა ლოპიანა.

ამ გაწამებული ქალაქის მცხოვრებლებმა პირველად იხილეს მათხოვრის მიერ დამფრთხალი პოლიციელი. მარტო უფალმა თუ იცოდა ლოპიანა მათხოვარი რომ არ იყო და არც ადამიანი, მისი ერთ დროს დაბინძურებული სული ცხედარს დაპატრონებოდა და უფლის სამსჯავროს მკაცრი განაჩენის მოლოდინში დედამიწისეულ უკუღმართობასთან ბოლო ჰაექრობას იხდიდა.

აგერ ბაზარიც, სკა სადაც დედა ფუტკარი არა ჰყავთ, გამოფრენილი ჟოლი — არეული ქვეყნის სარკე, ბანგანგემი ერის ტკიფილი. მეცნიერი რომ ყიდის თავის ნაფერებ წიგნებს, მშენებელი — ქაფას და ნიველირს, მასწავლებელი — თურქულ კანფეტებს, მუშა — ქლიბს და ქანჩის გასაღიბს, გლეხი თავის ნაცოდვილარის ქალაქამდე ჩამოტანას ვერ ახერხებს; ვისაც გასაყიდი აღარაუერი დარჩენა მოწყალებას ითხოვს. აგერ, ერთი პენსიონერი დაღვრილ ზეთში ბამბას ასველებს და ჭიქაში წურავს; უფრო გაბედულები კუჭის ამბოხის დასწენარებლად საჭმელს იპარავნ, ან იტაცებენ. უმუშევრები, იმედდაკარგულე-

ბი სასოწარკვეთისგან თავის დასაღწევად საერთო ქილიდან ნისიად სვამენ ღვინოს, არაფრის მიტანება არ სურთ, ან რას მიატანენ, რაც არა აქვთ. ოღონდ დათვრენ და ამ ქვეყნის ამაოებას გაეთიშონ, რათა გამოფეხიზღებულებმა უფრო მწარედ იგრძნონ დუხშირი ცხოვრების კლანჭის ძალა. ორგვლივ მომავლის იმედომსპარი ადამიანების სახეებია. კენესა, გოდება, მოთქმა, წუწუნი და ოხვრა ერთად ქმნის ბაზრის გაუთავებელ გნიასს.

ვიღაცას შიმშილისგან გული შეუღონდა. იქვე ყიდიან პურს, ერთი ლუკმა უნდა, რომ მოსულიერდეს, ვინ მისცემს, ყველას თავისი გაჭირვება ყელში უჟერს და ხვალინდელი დღეც შიმშილიანი გულის ხეთქვით მოდის. მეორედ მოსვლა ემუქრება ნიჭიერ, მშრომელ და ყველა ერის მოყვარულ ხალხს.

ლოპიანამ დახლიდან პური აიღო, ყველის ნაჭერიც მიითვისა და გულშეღლონებულის გვერდით ჩაიმუხლა. საცემად მიეჭრა ორი, მაგრამ მისი თვალების შემსხედვარნი ადგილზე გაქვადნენ.

— აბა, გამომართვი და ჭამე, ჩემო კეთილო, — ლოპიანა მოეფერა გულშეღლონებულს.

მან ჯერ ვერ გაბედა პურის გამორთმევა, არ ისურვა ნაყაჩაღარის შეჭმა; თანაც გაცოფებული დაზარალებულები თავზე დასდომიან. ლოპიანა წამოდგა და დაზარალებულებს თვალებში მიაშტერდა, დაბალი ხმით ძლივს თქვა:

- სოხოვეთ, რომ ჭამოს, მე თუნდაც ქვით გამინაყეთ თავი.
- ჭამოს, ჭამოს, — ნაძალადევად ჩაილაპარაკეს და რაღაც იდუმალი განცდით დაზაფრულები ბუტბუტით წავიდნენ.

კაცმა რამდენიმე ლუკმა შეჭამა, დარჩენილი პური და ყველი ჯიბეში ჩაიდო და წამოდგა.

— აკადემიკოსი შიმშილით რომ დაბატუნდება აფერუმ იმ ქვეყნას. ჩვენიდან ყველა გარბის. მოაზრობნე, ჭკვანი, შემომქმედი ადამიანების ადგილი არ არის აქ. ნორმალურ ცხოვრებას ვინ ჩივის. შიმშილით სიკვდილისგან თავის დაღწევის იმედიც აღარაა. ვერ მივატოვე ჩემი სამშობლო, არ მივაქირავე ცოდნა და ნიჭი სხვა ქვეყანას. ვიცი, რომ აქ ჰაერივით საჭიროა, მაგრამ ჩვენი ქვეყნის დაქცევის გზაზე შემყენებელთ ეჩქარებათ ჩემნაირთა გაქრობა და აპა, შიმშილით მძღობა სული.

ლოპიანას ხმა არ ამოუღია, სხვებიც მდეუმარედ იღვნენ. მიდიოდა კაცი, ქვეყნის გამოუყენებლად მიტოვებული ჭკუა და გონება. დღეს გადარჩა, სახვალიოდ პური და ყველის ნაჭერი შემორჩენია ჯიბეში, რა ეშველება ზეგ, არავის აწუხებს.

լոռականա ազգա, մես ցար՛՛մո Շեշշայցե՞լլ ხալիք մոռապարա մէջ-ը և ա ուշեալ ցագուրցե՞լլե՞ծ միմոտ ձամբանցա. ամ ցամառեռցրցե՞լլ ցողաքն մատեռվարո ըա ցասացուրուա, մացրամ յրտու զեր մոռանեազ ուշոտես, զուալ ուցե՞լ մոմիմուուու ճառսե՞լլու աճամունասատցու էշրո ըռու մոռուապու, արածա ամաչյ ճաճեհացե՞լլու դա համույնմուու մատեռվարո որո առ օյնեա ամ մատեռվարուա սամտացրուու. մացրամ յը ըաա, ըա մոնացան մա-լաա, ույ չագու ասյ ըռու ճաճամբնցա լա մոմիսցան ճաճացրա և սպացըլլա.

լոռականամ ցար՛՛լցե՞ծ մոռոյէյս. մես ցար՛՛մո Շեշրցե՞լլ աճամունտա վրա ցարռվա և սաեսրցեն եմայրուու վազուա. Շեշյերուու և սուուցելու ցարռական ապահուութե՞լլ լուցմա էշրու մամույելլու արմուն. մոռու լոռականա մոնցրցյլ-մոնցրցյլ կշիքն մու, եզացա աճամունեն և, ըռմելուու և սուսանյուու և ա ծշենույրյա ճաճամառնուա և մես մացույր շեշյուրյա և պանչա հայսաելցեն մատ պեռվրյամի. յրտ քրու մեսարյուու, ամպու, տազմուցարու, մոռմու և մշացուրու, տցուսելուու և ուցե՞լ քրոմու մոցպա-րու, սոյցուու նայրուու յրտ մոցուու և տցու յըմմացու մոռցմու մշետ-լուն այրցա ցիս և աելու ցատումուն մեսշերէլու ցուցեն և պրումլուու հիշյացի մմուն լուսարու, մրացալութէնչյլ մովաս, պայլա չշարու և պայլմարուու սարյեցուասազու ըռու մուսքուա. ամ շեշյուրյա ալուայու-տու և մեսշեցարու լոռականա աճառ շենդա ճաճամույշյա ճարհին, աելու աճառ ամնեն և պայլու սամշջազրու ցանհին, ողոնդ ճայլիու այսարուու. ացր, յարտու կշիքն ցաճաճույզ և ելու յարու շեշա ցամռապարյն առուուցըլմա. մալու սուրյեն մուու-կուուու առուուցու մանկնեն մանուն և ամունցի և սեցա մանկնեն ցանցուն. կշիքն ցաճաճույզ. մոյալայիլսաւ պայկրմալյ և լրությարն ցավլա. չեր մետուու առուուցու մանկնեն մոմոյուրուն եմայրուու և ուուու-կուուու.

— զին շենդա ցաօարու? — ոկոտսա լոռականամ մենուն կադելու ամուցարյեն մեցար համգոնիմ կապուան.

— զինց արու ամ կշեն մամամտացարո. — մուու կասյին.

— ցարառոն? — ցալուցը ճառպարու տէյսա լոռականամ.

միմա ցագուրցեն մեսշեցու ամ ծուսեն սայրուելուաս.

րամցնու մանկնամ ցանրուն ճաճու սոիյարուու, մաս սեշեն մոյցնյ սուրյեն մուու-կուու կուուու մանկնա և ցամռինդա մացու լու-մուն մուն կարացան, մատ շաբան ուսեց առուուցու ույ ճաճու մանկնեն մուսքունցի. ճաճու սոիյարուու հայսա և կշիքն մատուուցու ամունցի և սուսանյ յարու մուու մանկնեն.

— եցի ըա չացեն մացու ցապուու-ցամռուու, ան ույ օցու, ըա ճայլուն եալին? — տէյսա յրտու.

— ար օցու, ար շաբան եալին, — շաբան ցամռան պայլ-ցամռուու-

მა ნასუქმა კაცმა.

- არც ის იცის, რომ გშიმშილობთ?
 - არა, არ იცის.
 - უმუშევრობით რომ ვიხრჩობით.
 - არ იცის.
 - არც ის იცის, ქვეყანა თავზე რომ გვენგრევა და საშველი არა გვაქვს?
 - არ იცის.
 - მთელი ჩვენი ახალგაზრდობა, ვისაც კი შეუძლია საზღვარგარეთ რომ გარბის ლუქმა პურის საშონად, არ იცის?
 - საიდან ეცოდინება, არ ეუბნებიან.
 - რომ ვნადგურდებით და ვისპობით?
 - არ იცის, – თვითდაჯერებულად პასუხობს ის კაცი.
 - მთვარიდან ხომ არ არის? – იკითხა ლოპიანამ.
 - მთვარიდან არ არის, – მიიღო დამაჯერებელი პასუხი.
 - მაშ რა იცის, თუ არაფერი არ იცის?!
 - არ იცის.
 - რობოტია ეს უბედური, მაშ რა იცის?! – თქვა ერთმა მოთმინებიდან გამოსულმა.
 - ყველაფერი იცის, – მიიღო პასუხი.
 - ამერიკაში რა ხდება იცის?
 - იცის.
 - შრი ლანკაში, ან ზანზიბარში?
 - იცის.
 - ჩვენთან რა ხდება, რომ ვნადგურდებით, იცის?
 - არ იცის.
 - გარეთ ყველაფერი იცის, სახლში არაფერი არ იცის, – დაასაბუთა ერთმა.
 - არ ეუბნებიან და რა ქნას, – გაამართლა იმ არვიცი-ვიციმ.
 - ცოტა ნელა გაიაროს და გვკითხოს, მაგას რა სხვისი თქმაუნდა.
 - არ იცის, – მიიღო პასუხი.
- ლოპიანა თავის გზაზე წავიდა, თან ბუტბუტებდა:
- ყველაფერი იცის, არაფერიც არ იცის. გარეთ იცის, სახლში არ იცის. რაც უნდა იცის, რაც არ უნდა არ იცის.
- პატარა სკვერში შევიდა. ლამაზი რესტორანი რომ გადმოჰყურებს. მეორე სართულის ფართე ფანჯრებიდან კაცები შემოჯდომიან მაგი-

დას, ქეთობენ. დაბლა ადამიანები შეჯგუფებულან და სიცივისაგან იბუზებიან. მაღლა ისე ცხელა დროდადრო ფანჯრებს აღებენ, დაბლა სიცივისგან გათოშილ ქალაქის მკვიდრნი ორთქლის შებერვით ასულიერებენ გათოშილ ხელებს. მაღლიდან გასართობად ხორცის ნაჭრებს ყრიან. თან იცინიან, დაბლა მათხოვრები არ დგანან, მაგრამ შიმშილი და გაჭირვება თავმოყვარეობის ბარიერს ლახავს, ხორცის ნაჭრებს კრუფენ, მაღლა სიცილით იჭაჭებიან.

ამ ჯგუფში ბავშვებიც არიან, უხალისოდ ჭამენ მიგდებულ ნაჭრებს და მძიმე ნაღველჩაგუბებული თვალებით მისჩერებიან უფრო-სებს, უიმედობით რომ ჩაპქრობიათ მომავლის სხივი.

— სანაგვეში ახლად დაბადებული ბავშვი გადაეგდო ვიღაცას, მას შემდეგ იქ ვეღარ ვეძებ სიცოცხლის გადასარჩენ მყრალ ლუქმას, — თქვა ერთმა და თავი ხელებში ჩარგო.

— სიკვდილი სანატრელი გაგვხდომია, მაგრამ, ის დალოცვილი სწორედ ახლა არ ჩქარობს. ერთი შეღავათი კი გვაქვს, ექიმი, წამალი და მკურნალობა წარსულს ჩაბარდა, აღარაფერი გვაბადია გასაყიდი და ავადმყოფობაც ნელ-ნელა ღეჭავს ჩვენს გამომხმარ სხეულს.

— ცოდიანი ძაღლის მიერ დაგლეჯილი ბავშვი დაიღუპა, ნემსი არ გაუკეთეს, უფულო მშობლის შვილს.

— ჩვენ კიდევ რა გვიჭირს, გადმოგდებულ, თუ სანაგვეში ნაპოვნ ლუქმას არ ვთაკილობთ, იმათ რა ქნან, სიამაყის და თავმოყვარეობის ბარიერი რომ ვერ გადაულახიათ და ასე ნელ-ნელა გამოხრულნი უშფოთველად ბარღებიან გაუმაძღარ სიკვდილს.

— ბავშვები ვეცოდებიან, მომავალი რომ არა აქვთ, და შიმშილის ბრჭყალებში მყოფნი ვეღარაფერს ვშველით.

— რა ცხოვრებას ვებრძოდით, რა გვინდოდა, ვისმა ნაგდებმა ჯადომ მოგვნუსხა?! სამუშაო, საჭმელ-საცმელი, ბინა, გათბობა, სინათლე და ყოველივე ცხოვრებისული სიკეთე გვქონდა, თუ რამე მრუდდებოდა, უგულდებოდა, უკულმა კეთდებოდა ისევ ამ დღევანდელი ცხოვრების ბლენძთა მიერ, მაშინ მაღალი სკამების მფლობელნ იმ ცხოვრების საცმელში რომ ვეღარ გაძლეს ზედმეტი ქონით გასიებულებმა და აპა, შეგვყარეს კიდეც უბედურების ხახაში.

— რა დავაშავეთ, რატომ ვისჯებით ასე, რა შეგცოდეთ ისეთი, ღმერთო, თავში საცემად და გოდგბად რომ გვიქციე სიცოცხლე?

მოთქვამდნენ, ცრემლი გაშრობოდათ უბედურებაში და უიმედობაში თავჩარგულებს.

ლოპიანა მოცილებით იდგა, ისმენდა ადამიანების მოთქმას და

სიტყვის თქმის სურვილი დაკარგოდა. ადრე ნატრობდა, როგორმე დიღხანს დარჩენილიყო დედამიწაზე, ახლა აღარ აკრთობს სულეთის მოციქულთა გამოჩენა, უხარია კიდეც ამ ცოდვების სამთავროდან თავის დაღწევა. იქ, უფლის კოლონიაში მასავით ცოდვიანებთან მოუწევს ტანჯვა, აქ უცოდველ ბავშვთა უბედურებას როგორ უნდა გაუძლოს. ლოპიანას სხეულს თანდათან უფლება სიკვდილი, სულიც ამოძრობაზეა, იცის, რომ ყოველივე ეს უფლის სასჯელის მონატრების გამო ხდება, ისეთი გაწამებული და საშინელი ყოფა დახვდა აქ, დედამიწაზე, რომ ეჩქარება, დროზე დაეღწიოს აქაურობას და მიიღოს შვებად უფლის მკაცრი განაჩენი.

ზევთ ისევ მოვიდნენ გართობის ხასიათზე და ლოპიანას კატლეტის ნაჭერი ესროლეს.

— აბა, თუ დაიჭერ, შე მაწანწალავ! — მოაყოლეს კატლეტს ეს „ფრთისანი“ ნათქვამი.

ძლიერ დაიხარა, კატლეტის ნაჭერი აიღო და შენობის ფართე მინას მიათხლიშა.

— ვაა, რა წიხლებს იქნევს ეგ ოხერი, ეცოტავა ალბათ, — ზევით ახარხარდნენ. ახლა მთელი თევზით გადმოაყარეს კატლეტი.

— ადამიანებო, აკრიფეთ, მიირთვით, ბავშვებს აჭამეთ, — ბუტბუტებს ლოპიანა.

ზევიდან შენიშნეს, რომ ეს ყველაზე საცოდავი არსება მათ მიერ მიგდებულ ლუკმას არ ეკარება. ახლა ძეხვის ნაჭრები ესროლეს. ლოპიანამ ბავშვებს დაუძახა და გაუნაწილა. ზევით ხარხარი შეწყვიტეს, ეწყინათ.

— შეხედე, რას ბედავს ეგ მაწანწალა, ჩვენი მიგდებული ლუკმა არ იკადრა! — გაბრაზებით თქვა ყველაზე ნებიერმა ამ ნებიერთა შორის და მიმტანი იხმო.

— აიღე ხორჩა, ბლომად დააწყე გემრიელი საჭმელ-სასმელი, ჩაუტანე და მის გასკდომამდე გაძლომას გვაყურებინე. ეგ პარაზიტი შიმშილა მალე ღორივით დაიწყებს თავისი ბინძური დინგით ბავშვების გაყრას, — ნათქვამით ნასიამოვნები ახარხარდა.

ლოპიანას ხორჩა დაუდგა მიმტანმა და უბრძანა:

— ბოლომდე ჩახეთქე, სხვებს აყურებინე, როგორ ამოიყორავ მუცელს, თუ სულ არ შეგიძამია, ისე მიგთეთქავ, მათხოვრობა კი არა, თავშესაფრის გზა დაგავიწყდეს!

ლოპიანა ამოძრავდა, სახსრებმა ჭრაჭუნი და ჭრიალი დაიწყეს, მიმტანს თვალებში ჩახედა და თავისი მიცვალებულის ხელები გაუ-

წოდა, ძლივს გასაგონად, მაგრამ რაღაც იმქვეყნიური იდუმალებით შენელებული არაადამიანური ხმით უთხრა:

— რაღას უცდი, მიმთეთქვე, შე უბედურო, ლაქიავ, მუცლის, მყრალი სხეულის მონავ! ჩემი თავი გამჭირებია, ახლა შენიც უნდა შევავედრო უფალს, შე ეგოისტი სხეულის ტყვევ! — მიმტანი პირს აღებს, უნდა ამოიღრიალოს, მაგრამ ხრიალის გარდა სხვა ბგერა არ სცდება მის ბაგებს; შიშით კანკალებს; მოლაპარაკე ცხედარი კი განაგრძობს;

— მათხოვარი მე ვარ თუ შენ, ვის წილს ხეთქავთ თუ იცით?! არ შეგერგებათ, არა, როცა თქვენს ირგვლივ ადამიანები შიმშილით იხოცებიან. იცოდეთ, ძალიან მკაცრი იქნება უფლის განაჩენი!

მიმტანმა სახსრების დამბლა დაძლია, უკან-უკან წავიდა; პატარა ბუჩქს გადააწყდა და გადაყირავდა. ახლა კი იმბლავრა შიშმა, საშინელი ძალით იღრიალა და გაიქცა. რესტორანში არ შესულა, გაიქცა უმისამართოთ, თავდაუზოგავად გარბოდა სადღაც შორს, რაც შეიძლება შორს ამ რაღაც იმქვეყნიური მოლანდებისაგან.

ლოპიანა იქ მყოფო მიუბრუნდა. ქალები, კაცები და ბავშვები შეჯგუფებული მისჩერებოდნენ, არ ეშინოდათ, არც გაქცევას არ აპირებდნენ. ლოპიანას სტუმრობით რაღაც შვება იგრძნეს, იქნებ ეს შვება გაწამებული სიცოცხლიდან თავის დაწლევის იმედი, ან იქნებ ამ ცხოვრების პარაზიტთა რისხვის გამოჩენის სურვილი იყო. ერთი წამოდგა წინ და თამამად ჰქითხა: — ვინა ხარ შენ, უცნაურო არსებავ?

— მე უბედური სული ვარ, ეგოისტი და ბოროტი სხეულის მონადყოფილი. ნეტავ მეც მრგებოლა თქვენი ბედი, სანამ უძღები ლეში ცოდვების სიბინძურეში დამსვრიდა. ბედნიერნი ხართ თქვენ, უფლის რჩეული და წმინდა სულის ერის შვილები, რამეთუ არ ავიწყდებით უფალს და საუფლო სავანეს გიმზადებთ იქ ამქვეყნიური ტანჯვა-წამების მტკირთველთ. მე ისინი მეცოდებიან ბინბური ლეშის ტყვები კატლეტებს რომ გვესვრიან ზემოდან.

იმათ კი ზევით ხმაური და სიცილი შეწყვიტეს. ხასიათი წაუხდინათ მიმტანის დაფრთხობამ.

— რა უგდო, უქბინა მაგ შობელმაღლმა? — იკითხა ერთმა.

— აქ ქეიფის სურვილი აღარა მაქვს, წავიდეთ და ეგ მაწანწალაც წამოათრიეთ ჩემთან, ნახოს როგორია ცხოვრება და გასკდეს შურით, სანამ შადიმანის აბანოში მოიხარშება და წყალს გაყვება, — თქვა ნებიერთა ნებიერმა და მაგიდას აჰკრა ხელი.

დაბლა ჩავიღნენ, პირმოთნე ლაქიებს ფულები მიუყარეს და გაწკრიალებულ მანქანებისკენ გასწიეს.

— ჩემთან წამოათრიეთ ის მათხოვარი! — უბრძანა ორ ლაქიას მანქანაში ჩაჯდომის დროს. — მერე კარგად გახეხეთ სავარძლები, იმ ფეთხუმის კვალი რომ არ დარჩეს.

ოთხი უჩვეულოდ მდიდრული მანქანა სიგნალების წივილით მოსწყდა ადგილს. მეხუთის მძღოლი და ორი ლაქია ლოპიანასკენ გაეშურნენ, მხრებში ჩაავლეს ხელი, მაღლა ასწიეს და ციმციმ წაიყვანეს მანქანისკენ.

— რა მსუბუქი ყოფილა ეს ჩანჩქრა, — სიცილით ამბობდნენ. მანქანის კარებთან დაუშვეს. — შეგვრები თუ შეგტენოთ, — სიცილით უთხრეს და ლოპიანამაც ასწია თავი.

— რა გინდათ ჩემგან? — იკითხა თავისი იდუმალი წმით. დაცინვის სურვილი და მხიარული სიცილი გაქრა, რაღაც ზედამიანურმა შიშმა შთანთქა გალალებული თავსედობა. თვალებდაჭყეტილ და პირლიადარჩენილ მძღოლს კარების გასაღებად გაწვდილი ხელი გაუჩერდა, ლაქიები კი გონებადაფანტულნი ქანდაკებად იქცნენ.

ლოპიანამ გაჭირვებით გადადგა ნაბიჯი მძღოლისკენ და ააჭრიალა სიკვდილნაგები სახსრები.

— სად უნდა წამიყვანო? — თვალებში ჩახედა მძღოლს და კეფა აუწვა გამჭოლი მზერით. — ააარსად, მეე აარა, შადიმანმა მიბრძანა, ჩემთან წამოიყვაო, — ენის ბორძიკით და შიშის ხველებით ძლივს უპასუხა მძღოლმა.

— ვინ არის შადიმანი? — შადიმანი დიდი კაცია, მდიდარი და ნებიერი. — შენ ვიღა ხარ? — მე მისი მეხუთე მძღოლი ვარ.

ლოპიანამ ხელი გაიშვირა და ლოყაზე მოუთათუნა. — მეცოდება, ჩემს თავზე ძალიან მეცოდება შენი შადიმანი. საშინელი ცივი ხელის შეხებამ და სახსრების ჭრაჭუნმა მთლად გამოათყვანა მძღოლი; შიშით ხველება აუტყდა.

ლოპიანა მოპრუნდა და თავისი მზერით დაცხრილა ჭკუადამურთხალი ლაქიები.

— გემსუბუქებით არა? ჩემი ცოდვების წონას ვერ გაიგებთ, ვაი, რომ მძიმე ტვირთი მკიდია, — თქვა და უკანა სავარძელში თავისი გაჯიუტებული სახსრების მტვრევით მოეწყო.

ლაქიებმა შევბით მიუხურეს კარები და ეს საშინელება გაონებულ მძღოლს შეატოვეს გულის გასახეთქად. ცივი ხელების კეფაში ჩაფრე-

նու մռալութին մռացնելով մմռալով յորտեսօլագ մոցազա մանյանա.

Ճոճո աղապաջու կարեցո լու դաեզատ, մարալո մշենքու զարոյ կոծեցետան որո ավտոմագուան անման ըլութեազատ.

— Շաճոմանմա ծրմանա, ჩիմս ածանշո մռոցցատո մահանցալա, — տէշէս, մանյանա շաբանա կարո ցամուալու, չութլու մշցաւ ելու, ցամուատրու լունանա և ցոմցու թաւուցու. թէդ ար շպարութենց, ցեզուր արութենց, մուսո նաւունու ար հացուսւնուցուո. ճոճո դարձան ցաւարու և սամ սարտուլագ դակութելո շինարմանարո քաջո րոմ ծրկուցալութեա. թլապրուլագ մռնցունու ուտաեցո, դարձան քաջո բալանցո րուցու ոյո մռատացու և ացեր Շաճոմանմա ածանց. այսու թլապրուլո սոմժութր, մարմարունու այշեցո, շամրազո մռուքըցա յուրագո նատուրուցո, Շաճուցնուցո, ոյրու և աց զերունու հիշյուրումատա սոմրացլու. Շաճոմանմա և մուս սամ տանամեսուցու թիցալնո դասցելու մռուսիրուատ, անլա լուցպալունու ցեմունեցու սույուրաստան և նշան և աց հետորանշո ճանցութելո ջամցու ամոցորցա ացրմելութե.

— մռոցանցո? ցամցրու մռնեցո և ճոճո այշնո սորոլու, նաեւո րոցորո ցելու և Շաճոմանմա ածանու մատեռութեցուստացու!

ցաւա ցամցարցուլու Շաճոմանմա. որմա անման տացալու և դասամեամբանու մատեռութեցու թանսապմելու լունանաս և այշնո սորոլու. անլա մռունենց ցոնս, մատեռունու և նշան և անանցամ Շյակրուո:

— ծոկու, յու ոյո կապո, մռիցնեցու ու չորչութետու մամեալա?! — յորտմանցու մահերունենց Շեմնեցուլու անմանցո.

լունանա հացարդա այշնո և ցելու թիցալու տացի ցամայարա. յուեն զեր ցամարու, ացցորմա ցայշուրու, սունու պատա մանց. աշկարագ ոցուցու, եռուց յեարշեցո, յիշու. երոնու զելու սամնելու ցանց- և ցաաեսյնդա, մացրամ ամուցրու սույուլութան և թանչապ մռիցեց. թիցալու ցամայլապա և ուս ոյո ցամցրունա ակորեցա, րոմ թիցալութին դադցա յուեն և թելապուրուն ամոցո տացո. Սույունութիւնու թիցալու ցա- մռցարա և եցլա այշպու.

— ցամայլապա մահանցալացո? Շաճոմանմա ածանունո քիցումբալու յուլացու յամա եռու ար ցամոնա?! սամամ մացրամ մռունարշեցո ապա, յու ծարցալու ցամունարու և դա դասուսոմյ, րոմ մյ լուցարսան զար, դակարցուլու յմա և մամցու սուլ մույտագ զոցուց և ուս ուս մեծաթոն զար. ցամայլաս յունարու, ցամայլամ ցամուն, րոմ հաց մռեցա, յունու սութմարու ոյո, ծաթոնցմռա արացու ցամայլա. ու քիցուտ ար ույնու, մռունամ ցամցու սույուլաս և սութմռունու ցամուցու, ցամուցու, ցամուցու?! — եռսա- րեց լուցարսան և յանցու ուտեռու. — մռմցու, համասետ, մակամյ,

շամածդետ, պմամ և մռնամ քուղաց լոկոս մովա! – օնեաց և լուրսաձի յանցուցան ջանոնու եանամ – օնեամ և գանցումամեց ցածրուու յամշչե եցլս ուժուանցնեմնե.

– արացու ար շնճա ձանճօ, մռալիցայ, շմուխտլու, վարտազո, մռեցութե, մռուեցութե, սակլ-կար ցապուցնե, յէրհամո ցամռացայ, մատեռարած այլու, ձածեհացայ, ձայնոնե, մշն քուղաց ուղանուրու, սոմքուրուշու և յունցնամո ունացայ. մշնու ժրու ձածցա յարսաճաճ և ցամալու ուրուեն! – ցորուս յարսաճաճ և լուրսաձիսցան մովուուցնելու յանցու օներիուն տացե.

– մե ցարցար ար զոյու, ույ ցենու և ձասացմելո մովա! ձազութուզո ամատ. ազրու քուղաց կարցաճ զեր զայցակաց, չըր սաճ արու, սոյցուլաս լուրուցուլունաճ զայլութե, ոմքու մմուծուր մովա! ար զալուրսեճ, մուշուտ րում ձայնարուն սայլացնե, – ոմույրուն ցարցար և ցալնե օծրացնենեմնե մուշուտեն.

– յենու ար շնճա ցարտուաճնեն, յրտու პորու ար մշուծունաճ գյոն-դյու. շնճա ձացուո, ձացայուցմաւու սամտաշրուեաճ, մամուլունաճ, սածաթունունաճ; զոնց քուանու, նոჭուրու, եալուն յոցարս և մուն ծեճնուրունաճ յոյշրուն, մռուսպու, ձացամթուու, այլու ցազայուու, սամուծուն և յրու սոյցարուլու երշչե սուրուչելու ցագարիինու և լույցմա ձյուրու մուշուն ցամամայունու ցրմենու ցամբուո. մմուծու, յրտուն, տազուսոյցունեն ծալմու մթրուն, ցատուշա և մռնուն սարյա ցելա յանարու. սուրուալունմի հայցուուլունեն մռնատմուլունենեն ամռացուրբուրու. սամուշառ մռուսպու, ցուցա մուշուր մռնատմուլունենեն ամռացուրբուրու. սամուշառ մռուսպու, ցուցա մուշուր մռնատմուլունենեն հարհաճ և սկեցուլունթաճ զայլուու. ամատու ցարտուաճնե ար շնճա ձացուշա, արա! – ծուծոյշրուն ցարցար և մմակացնեն մուր մովուուցնելու ալացերլս ծուլումեց լուն.

– ռամ ցագարու յը շունչուրուն, մյ ձագարա, նաշուշուն հայեթուլո մանուայու զոյսացու, յենու մտելու յրու մասնուաճն մանուայուն, ազանայուն, մռուալաթյ և ծոնմերու սեյլուն մռնեն արուն, – ծութություն լունանա և այնուճաճ ամռացուլու լունան.

– մշեցետ ռա մագարու, չըրաւ ար մռեարշուլա, ար ձամլուլա, մռումաթյու ւշելու վյալու, նախու րուշուրու մագումանու աման կաժնուր-տատզուն! – լուսալուն մագուման և այնուն վյալու լուն.

լունանան յըցու եռուցու, մուն մովուցուն լունանան, մագրամ չըր ար հանճ սոյցուու ցամցուլունեն, տորու սեյլուն մութուցուն մշուն յացուրուն նաթրուն. զույ մուշենա, յրտու, մյուր սայեկուրնե ապօյա և մենան ամռամարտա վյուլուճան.

որու անման մուշուտ յեհաշրուճուլո մուսիւրուն մուշուր վյուլուճան

ამომავალ მოჩვენებას.

შადიმანი, ფარსადანი ლუარსაბი და ყვარყვარე ხარხარებენ, ეს ქვეყანა თავისი პგრინიათ, ბოროტებისგან დაბუჟებულებს არ უკირთ აუზში დატრიალებული სასწაული.

ლოპიანა კიბეზე ადის. საფეხურზე ფეხის დაბიჯება და უამრავი ფერადი ნათურა ინთება; შადრევნები მუსიკაზე ცეკვავენ; კედლებიდან სასმელ-საჭმელით დატვირთული მაგიდები გამოდის და შიშველი ლა-მაზმანები მზად არიან სურვილი შეუსრულონ. შორს, კუთხეში ტიტ-ველი ქალები ცეკვავენ, შადიმანი და მისი აქეარი ძღება და ტყვერება; ლოპიანა კიბეზე ადის როგორც სიკვდილის მოლანდება.

— ზეწარი მომიტათ, — ძლიერ გასაგონად ჩურჩულებს ლოპიანა, მის ბაგეებს მოძრაობის უნარი დაუკარგავათ.

ორმა ლამაზმა დედაკაცმა თეთრი ზეწარი მიუტანეს და თვითონ შიშისგან კინაღამ გონი დაკარგეს. ლოპიანამ ზეწარი შემოიჩვა და მოზეიმე, მხიარულ კიბეზზე ნელი სვლით შადიმანის საკრებულოსკენ გაემართა.

ზეწარში გახვეული ლოპიანა მათ წინ დგას. გამძლრები და ლა-მაზ დედაკაცთა მოფერებით დაბანგულები ლოპიანას ფურადღებას არ აქცევენ. ზეწარი მოიჩნენა და პირველად სხეულით მოვაჭრე დედაკა-ცები დააფრთხო. სიკვდილის აჩრდილი მთელი თავისი საშინელების შეგნებით იღვა შადიმანის და მისი ამფსონების წინაშე, პირველი ლუარსაბი დართოთხა, უცებ გამოფხიზლდა და აღრიალდა. შადიმანი და ფარსადანი არ აღრიალებულან, მდუმარეთ ელოდნენ იღუმალ სა-შინელებას და შიშით კანკალებდნენ. ყვარყვარე ტუჩებს იკვნეტდა, მოჩვენების არ სჯეროდა მაგრამ მაინც შემკრთალი, დაბნეული და დარეტიანებული თავისთვის ბუტბუტებდა:

— მშობლიურ მიწას იმდენსაც არ დავუტოვებ, მუჭით რომ დაი-ყარონ საფლავზე.

ფეხადგმული ცხედარი კი იღვა მათ წინაშე და სიკვდილის ცივი იღუმალების საშინელებას ფანტავდა. აღუღებულ წყალს ვერაფერი დაუკლო უკვე გაყინული ხორცისათვას.

— შადიმან, შენს აბანოზე საშინელი ნერონის ველის განცდა მიგემია, მაგრამ იქ დამსახურებისამებრ ისჯება ხალხი. შენ რამ გა-გაბოროტა ასე, შე არხიცოდვილო, ასე რომ იმეტებ უცოდველოთ, — ლოპიანას ნათქვამი მისწვდა შადიმანის ყურს და შიშისგან გონდაკარ-გული გაქვავდა.

ლოპიანას კიდევ რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ ძალა აღარ ეყ.

ვეღარც ენა დაძრა და ვერც ტუჩები.

ამ დროს მოისმა მძღავრი, ყველაფრის მომნუსხავი და მომაჯა-დოებელი ხმა:

— რამ გაგაბოროტათ არარაობად ქცეულო სულებო?!

იცნო ლოპიანამ ხმა უფლისა. „რატომ შეწუხდა, ნეტავ? ალბათ ამ სიკეთედ შობილი ხალხის უბედურებამ შეაშფოთა“, — გაიფიქრა.

— გირჩევთ, რაც მოგიზვეჭ-მოგიძარცვიათ საკუთარი ხალხის კე-თილდღეობას მოახმაროთ, ნუ უშლით მის გამთლიანებასა და ბედ-ნიერ ცხოვრებას ხელს, თორე სამუდამო იქნება სასჯელი ბილწად ქცეული ლეშის სამსახურში ჩამდგარი დასკრილ-დაბინძურებული სუ-ლისათვის.

უცებ დუმილი გამეფდა. მოცეკვავე შადრუცნები და ფერადი ნათუ-რები ჩაქრნენ. მიხვდა ლოპიანა, რომ უფალი წავიდა და ზეადამიანუ-რი თაყვანისცემით მონუსხულმა სიტყვის თქმის ენერგია მოიკრიბა.

— ეგ თქვენი არმად ქცეული ქონება ერის გამთლიანების, გამრავ-ლების და გაძლიერების საკურთხეველზე დადეთ. თქვენც ჩაიცვით მაბულიშვილების კვართი, თორე საზარელი იქნება უფლის განაჩენი. მე ცოდვიანი ლოპიანა გაფრთხილებთ, რამეთუ ვეზზადები უფლის სას-ჯელის მოსახლელად. იცოდეთ, თქვენს მიერ სისხლმოწოვილი ერი გაიმართება და გაიმარჯვებს კიდეც, მაგრამ რა გემველებათ თქვენ, ცოდვების ტვირთით რომ წარსდგებით უფლის წინაშე. მეცოდებით, ძალიან მეცოდებით და სანამ დროა იხსენით თქვენი სულები. — ლოპიანამ ზეწარი შემოიხვია, ზურგი აქცია შადიმანის სულრას და სახსრების ჭრაჭუნით გასწია გასასვლელისაკენ. ორი შიშის მოქნარე-ბაშეერილი ახმახი კარებთან დახვდა.

— მაჩვენეთ გზა ამ ცოდვების ლაბირინთიდან გასავლელად, — თქვა ლოპიანა. ისინიც დიდი მოწიწებით და კანკალით გაუძღვნენ წინ.

გარეთ სიცივე ქვას ხეთქავდა, გაყინული ასვალტი კვნესოდა. სველ ტანზე ზეწარმოხვეული ლოპიანა ფეხშიშველი გავიდა.

— თბილად ჩაიცვით, თორე გაიყინებით, — მოწიწებით უთხრეს ახმახებმა.

ლოპიანას მათთვის ყურადღება არ მიუქცევია, ფეხშიშველა მიაბი-ჯებდა სიცივისგან ყინულად ქცეულ ქუჩაზე; უჭირდა ფეხის გადადგ-მა, გაციებულ სხეულზე ზეწარი შეყინოდა. სულს ამოფრენა უნდოდა უკვე დიდი ხნის გაყინული ლეშიდან, მაგრამ სულეთის მეგზურები არ ჩქარობდნენ და ლოპიანაც ითმენდა ცხედარში ყოფნას.

აგერ ეკლესიაც, თავისი ყველაფრის დამფრთხობი მოძრაობით

შევიდა შიგ, ყური აღარ ათხოვა მღვდელების გახურებულ ვაჭრობას მრევლთან. შუა ტაძარში წვალებით და ოხვრით მოხარა გაყინული სახსრები და დადგა მუხლებზე. იცის ლოპიანამ, რომ ადამიანთა მიერ აშენებულ ეკლესიაში, რომელი რწმენისაც არ უნდა იყვნენ, ვისი სახელიც არ უნდა უწოდონ მას, უფალი დაეპატრონება მაინც, როგორი მცდარიც არ უნდა იყოს ლოცვები ადამიანთა, თუ ეს სუფთა და სპეტაკი რწმენის ნაყოფია, უფალი მაინც კამაყოფილია. ჰოდა, იცის ლოპიანამ, რომ თუ უფალი არა, მისი რომელიმე მოციქული მაინც იქნება აქ. დგას გაყინული სხეულის მფლობელი მუხლებზე, სიტყვის თქმა უნდა, მაგრამ ენას ვეღარ იმორჩილებს. თუმცა რა მნიშვნელობა აქვს თქმას, როცა უფალი მისი ფიქრის ვეღელა ძაფს სწვდება და ფიქრობს ლოპიანა: — ვეღარ ვუძლებ, უფალო, ამდენ უბედურების ხილვას, მიხსენი დედამიწისეული ტანჯვისაგან, წამიყვანე სულეთში, რათა წამებით განვიწმინდო ჩადენილი ცოდვებისაგან.

სხეული ლოპიანა მუხლებზე დგას გაყინული და უძრავი. სული ლოპიანა ამოსაფრენად მზად არის. აგერ, მოესმა სულთა გამცილებელთა ფრთების შრიალი.

— ამათ ჩემი არ ესმით, ვერაფერი შევაგნებინე, ისე არიან მოწამლული დედამიწისეული ხორციელი ცდუნებით ბოროტების მოხეჭის და ძალადობის სამსახურში ჩამდგარნი, ვერავითარი შეგონება ვერ იხსნით უფლის სამსჯავროსაგან. მადლობა, უფალო, რომ შეისმინე ჩემი ვეღრება და დამაღწიე ამ ტანჯვის და მუხთლობის ცქერას! — უკანასკნელად ფიქრობს ლეშიდან ამოძრობისას. სულეთის გამცილებლები ამოუდგნენ მხარში. ლოპიანამ ერთხელ კიდევ დახედა თავის დედამიწისეულ სხეულს, ტაძრის შუაში მუხლებზე დამდგარი ზეწარშემოხვეული რომ გაყინულიყო. „ბოლოს ხომ გავიძარვევე შენზე“, — გაიფიქრა ლოპიანამ და უფლის განაჩენის აღსასრულებლად შვებით შეერია სივრცეს.



უიღბლო

სიცხე ჩამოწოლილიყო წნორში. გამდნარ ასფალტს ალმური ას-დიოდა, ისე გაბოროტებულიყო, მანქანების გატარება აღარ უნდოდა, თვლებზე ეწებოდა. ნელ ცეცხლზე შემოდგმულ ქვაბს ჰგავდა ეს პაპანაქებისაგან გათანგული ქალაქი.

ჩრდილი და წყალი ყველაზე დიდი სანატრელი გამხდარიყო. ქარი ისე გადაკარგულიყო, მცირე სიოც კი აღარ დაეტოვებინა ვერხვის ფოთლების გასატოკებლად. სიცხე სრულად და უპრეტენზიოდ ბატონობდა.

— ზვიად, გამოდი, არხზე ჩავიდეთ! — დაუძახა ზვიად ჯიქურიშვილს მისმა მეზობელმა დათამ, რომელიც ეზოში შემოსულიყო ოთხი თანატოლი ბიჭის თანხლებით. ნიკო, შალვა, ნუგზარი, ანზორი. ერთნაირად იყვნენ ჩაცმულები უსახელებო მაისურებში და გრძელ, დაკერებულ და პირვანდელ ფერდაკარგულ შარვლებში. ფეხზე ჯლანდადებული და ნაკერგარღვეული, ქუსლებმიჭყლეტილი ფეხსაცმელი ეცვათ, ტიტველი სხეულის ნაწილები ისე დასწროდათ მზეზე უდაბნოს ბედუინები გეგონებოდათ. თავზე კი ზშირი თმა მეცხვარის ქუდებივით ჩამოფხატოდათ.

— ახლავე, მოვდივარ! — გაეხმიანა ბიჭებს, მოწიწებით გადაკეცა წიგნის ფურცელი, დახურა, ფრთხილად დადო ტახტზე და კიბეზე ჩაირბინა.

— რას უზიხარ, ბიჭო, შინ კრუზივით, ჩვენ მთელი წნორი მოვიარეთ, ახლა საბანოდ მივდივართ და ჩემი დამსახურებაა, რომ შენც მოგაკითხეთ! — დაიტრაბახა დათამ.


— ბიჭო, წიგნი სკოლაში ვერ ამაღებინეს ხელში, შენ რა ნახე, რომ ამ გავანია სიცხეში კითხულოდ?! — შეიცხადა ნიკომ.

— ყველაზე ძალიან ის მიკვირს, რომ არავინ არ ამაღებს, ეს კი აუტკივარ თავს იტკივებს, — გაიკვირვა შალვამ.

— ეჭ, რომ იცოდეთ, რა კარგი რამეები, სწერია, ბიჭებო, თავს აღარ დაანებებდით.

— რა სწერია? — ფარული დაცინვით შეეკითხა შალვა.

— „მაცნე მოვიდა შატლსა“... — დაიწყო ზვიადმა ეშნით.



- მოიცა, თუ ძმა ხარ, ჩვენც არ გამოგვაშტერო! — შეაწყვეტინა ნუგზარმა, — წიგნის გახსენებაზე ალერგია მემართება.
- ეტყობა ამისი საქმე კარგად ვერ არის! — გაიხუმრა შალვამ.
- სიცხის ბრალია, თუმცა, ზამთარშიც ამ დღეშია, კაცო, მოკლედ, ყველა სეზონის გიჟია! — დაასკვნა ნუგზარმა.

— გიუმა აი, რა იცის, — ზვაადმა ხელი სტაცა ნუგზარს და მარჯვე კისრულით მტვერში გაუდინა ზღართანი, ახლა შალვას გაუქანდა, ის კი ხელიდან გაუსხლტა.

— თავი დამანებე, ძმაო, და რამდენიც გინდა, იმდენი იკითხე წიგნები, ყველას მაგივრად იმდენი იკითხე სანამ ქვის სროლას დაიწყებდე, — იმახოდა შალვა და თან გარბოდა.

— ქვებისა რა მოგახსენო და ტვინი რომ მალე გადაგეწვება, ნაღდია! — ბუზლუნით იბერტყავდა მტვერს ნუგზარი.

— სჯობია გქონდეს და გადაგეწვას, ვიდრე შენსავით ბზე ეყაროს თავში! — ხმა ამოიღო ამირანმა. ყველამ გულიანად გადაიხარხარა.

— მთელი დღე ქუჩაში რომ დავატყაპუნებთ, რითი ვჯობივართ? ჭიდაობაში ვყელაზე მაგარია, სირბილში ვერავინ ვუსწრებთ, ცურვაში ხომ თქმა აღარ უნდა; მოდი ერთხელ ვაამბობინოთ რასა კითხულობს, იქნება ჩვენც გვეშველოს?! — გაიხურდა ანზორმა.

— თავი დამანებე, თუ ძმა ხარ, მაგასავით ქვეყნის დარდი გაეხდები და მერე რაღა მეშველება?! — შეიცხადა დათამ.

— მთისა და ბარის გასწორება უნდა და მაგ წვალებაში მოკვდება.

ხმაურით და ყაყანით მივიღნენ ბიჭები ღრეულის ხიდთან; ხელად გაიძრეს ტანისამოსი, უწესრიგოდ მიყარეს და არხში გადაეშვნენ.

დიდხანს იბანავეს. დრო შეუმჩნევლად გაეპარათ. მოშივდათ. არხის პირას, ტირიფის ჩრდილში ჩამოსხდნენ.

— ერთგან ატამი ვიცი, ბიჭებო, ტოტები ემტვრევა, ისეა დახუნდლული, შეგვერგებოდა, — თავისთვის ჩაილაპარაკა ნუგზარმა.

— შეეშვი, თუ ძმა ხარ, სხვის ბაღებში ხილის ქურდობა სირცხვილია, — ჩაერია ბიჭების საუბარში ზვიალი.

— სწორი ხარ, ზვიად, ქურდობა რად გვინდა, როცა ჩვენს ვენახში უფრო კარგი ატამი გვიმტიფს, — თქვა დათამ და თან ეშმაგურად ჩაუკრა თვალი ნუგზარს.

— წავიდეთ, კაცო, ესეც ხომ ქურდობაში არ ჩაგვეთვლება, — აყაფანდა ყველა.

ბიჭები წამოიშალნენ, ზვიადიც უხალისოდ წამოდგა და ბიჭებს გაჰყვა.

— შენც უნდა დაიკვეხო კაი კაცობა, ვენახში ატამი გილბება და აქამდე არ დაგვატიუე, — ეშმაგურად საყვედლურიბდნენ ბიჭები დათას.

— აბა, რა ვიცი, სხვის ბაღებში ხეტიალით ჩემი გადამავიწყდა, — შეიფერა საყვედლური დათამ.

— დღეს შენს ბაღში დაკრიფოთ ატამი, ხვალ ჩემსაში, ზეგ კი-

დევ სხვისაში და ეგრე ვატაროთ დრო, — წამოაყენა თავისი გეგმა ნიკომ.

— ყველა ბაღი ჩვენია, ყველა ატამიც — ჩვენი, — მშიარულად და-ადასტურეს დანარჩენებმაც.

მთავარი გზიდან გადაუხვიეს და ზეების ჩრდილგადაფარებულ ბა-ლებს შორის ვიწრო ბალახიან ორლობეს გაუყინებ.

ზვიადი სარწყავი წყლის ბეჭონის გამანაწილებელთან შეჩერდა.

— მე აქ დავიცდი! — თავისთვის ჩაილაპარაკა და ცემენტის კე-დელზე ჩამოჯდა.

— აბა, ჩემი ატამი მევე დავგრიფო და აქ მოგართვა? იქამდე მოს-ვლაც აღარ გინდა? — იწყინა დათამ.

— ქურდობის სუნი უდის მაგ საქმეს, თუ მართლა შენია, ალალი იყოს, თქვენზე, მე კი ატამი არ მინდა და თუ ისევ ქურდობას აპი-რებთ, ამოგშხამდება, დათავ, ეგ ტყუილი! — წინასწარმეტყველურად ჩაილაპარაკა ზეიადმა.

ბიჭებს, ცოტა არ იყოს, ხუმრობის ხასიათი გაუფუჭდათ, მაგრამ მაინც განაგრძეს გზა.

დიდ კაკალს გასცდნენ. გზიდან გადაუხვიეს და ვიწრო ბილიკზე დაწალიკდნენ. მალე მიაღწენ ერთ ფარლალალა ოთხ ბოძზე შემდგარ და დამტკრეული კრამიტით გადახურულ ქოხს. შიგ ფიცრის ტახტი და ხის პატარა სკამი იდგა, იქვე ექვსიოდე დიდ ჭუთში ლოყებჩაჟღე-რებული, სიტკბორაგუბებული ატმები ეწყო.

— ეს ქოხი კრიჭინაანთ ზაქარასია, — ჩურჩულით თქვა ნუგზარმა.

— მეც აქ მოვდიოდი, გაიხედეთ, ატმებს ტოტები ემტვრევა, თუ დღოზე არ შევამსუბუქეთ, ერთიანად დაილეწება, — ისე თქვა დათამ, თითქოს ატმის მოსაპარად კი არა, კრიჭინაანთ ზაქარას დასახმარებ-ლად იყვნენ მოსულები.

— მოიცადეთ! სადმე აქ არ იყოს, ეტყობა, ბაზარში წასაღებად გაუმზადებია ატამი! — ფრთხილობდა ნუგზარი.

— მყიდველებიც აგერა ვართ, — წამოიძახა ნიკომ, ყუთიდან მოზ-რდილი ატამი აიღო და გემრიელად ჩაბიჩა.

— ბიჭო, რაღა დაკრევილს ეცი, წადი და ხეზე მოწყვიტე! — არ მოუწონა საქციელი ანზორმა.

— კაცს ჩვენთვის უზრუნია და ამაგი ხომ უნდა დაგუფასოთ?! — იხუმრა ატმით ყბაგამოტენილმა ნიკომ.

ბიჭები ატამს შეესივნენ, ჭამით რომ გული იჯერეს, ჯიბე-უბეების გავსება დაიწყეს...

ზვიადი ცემენტზე იჯდა და ფეხებს წყალში აჭყაპუნებდა. ყოველთვის ფიქრით და ოცნებით გამოტენილი თავი ახლა გამონათავისუფლებინა, არაფერზე აღარ ფიქრობდა, სიცარიელის გრძნობა დაპატრონებოდა.

ორლობეში ცხენის ორთვალა გამოჩნდა. კოფორზე მჯდარი კრიჭინანთ ზაქარა და მისი ცოლი საქმიანად ბასობდნენ:

— კიდევ კარგი, რომ ორთვალა მათხოვა, თორემ ატამი ერთიანად დამილებოდა, ახლა საღამოს ბაზარზე გატანას მოვასწრებ, ნაწილს კი ზეალ დილით ადრე გავიტან, — გეგმებს აწყობდა კრიჭინანთ ბიჭი.

— მაშა, ქა, მაშა, რა უცბად დამწიფდა, ეგ ოხერი, რაც დარჩება, დავჩირავ, — მხარი აუბა ზაქარას დედაკაცმა.

— ნეტა ვისია ის ბიჭი, ცემენტზე რომ ზის? — სახრით დაანახვა ზვიადი ზაქარამ ცოლს.

— მაიცა, ქა, მაიცა, მგონის უფრემაანთ ქვრივის, თინასი უნდა იყოს, ძალიან სხვანაირ ბიჭს ამბობენ.

— რას უზიხარ, ბალლო, მანდა! — რიხიანად შეუძახა ზაქარამ.

— ისე, ვზივარ, — თავისთვის უპასუხა ზვიადმა.

— თევზებს თუ იჭერ, არაფერი გამოგივა მაგ ტურტლიანი ფეხებით, ბადე უნდა, ბადე! — წაიოხუნჯვა ზაქარამ.

ზვიადმა გოროზად გახედა წარბებს ქვევიდან ზაქარას და ისევ განაგრძო წყალში ფეხების ტყაპუნი.

— ემაგ ბიჭს ყველა კრამიტი თავის ადგილზე არ უნდა ჰქონდეს, რამდენიმე დაცურებული ექნება, — ჩაილაპარაკა კრიჭინანთ ბიჭმა და ცხენს დაუწრუწუნა.

ორთვალა დიდ კაკალს გასცდა და მოსახვევში გაუჩინარდა. ცოტა ხანს კიდევ ისმოდა თვლების ჭრიალი და მაღვ ისიც მიწყნარდა. არ გასულა ათი წუთი, რომ გაცოფებული კრიჭინანთ ბიჭის ღრიალი გაისმა.

— ოხ, თქვენი დედა!.. სად წამიხვალთ, ყველას გიცნობთ!

ამას ღობის ლაწალუწის და გაქცეული ბიჭების ფეხთა ტყაპატყუპის ხმა მოჰყვა.

ზვიადს უბეგატენილმა დათამ და ნიკომ ჩაურბინეს, — ჩქარა გამოიქციო, ზაქარა კეტით მოგდევს, — მიასხეს შეუჩერებლად.

მაღვ აქოშინებული, ხელმარგილიანი მდევარიც გამოჩნდა.

— ვინ იყვნენ?! — დაუყვირა ზვიადს.

— არ ვიცი, — დინჯად უპასუხა მან.

— შენც იმათი ხარ, შენი დედა!.. — შეიგინა ზაქარამ და მარგილი შემართა.

ზვიადმა შეატყო, რომ მომხდური არა ხუმრობდა და წამოხტა.

— ფეხებს რომ შემოგამტვრევ, მერე გაიგებ, როგორია სხვის ბაღში წანწალი! — დაიღრიალა ზაქარამ და გაბედულად მოუქნია ფეხებში მარგილი.

ზვიადმა შეხტა, მარგილმა ფეხებქვეშ გაიშხუილა, ზაქარამ თავი ვერ შეიკავა და ინერციით მთელი წრე შემოხაზა.

გაბრაზებულმა ახლა ზევიდან ქვევით მოუქნია, ზვიადი მარცხნივ გადახტა, მარგილი წვერით მიწას დააცხრა.

ზვიადმა ზაქარას მესამე მოქნევა აღარ აცალა, უცებ ეცა, მატლებისაგან დალიანდაგებული და ლპობაშეპარული მარგილი ხელიდან გამოსტაცა, ასწრა და ამ დროს გაისმა ზაქარას ცოლის კივილი:

— არ დაარტყა, შე ტყვიაგასაციებელო!!! — ზვიადმა მარგილი მოიქნია და იქვე მდგარ ტირიიფს შეალენა.

პატარა ნატეხი კიდევ დარჩა ხელში, მოიქნია. ზაქარამ სახეზე აიფარა მარჯვენა ხელი. მარცხენა კი წინ გაიშვირა. მარგილის ნატეხმა პაურში გაიშუცლა და ვიდაცის ვენახის რბილ მიწას დაწარცხა.

ზვიადი მოტრიალდა და უკან წავიდა; გაშტერებულმა ზაქარამ ძლივს ამოღერლა:

— გაგონილა, კაცო, შენ ბაღში აღარ გიშვებდნენ, თანაც ცემით გემუქრებოდნენ?!?

სმაურზე თავიანთი ნაკვეთების ღობეებთან მოდგნენ გლეხები.

— ვისი ბიჭები არიან, ხალხო? — კითხულობდნენ.

— ეს ერთი, უფრემანთ ქვრივისა, თინასია, იმიტომ იკლავს საწყალი ქალი თავს, რომ ეგეთი არგასაზრდელი გამოუვიდა?! — წუწუნებდა ზაქროს ცოლი.

თავჩაღუნული მიღიოდა ზვიადი.

— არ გრცხვენია, ბიჭე?! — ესმოდა აქეთ-იქიდან.

— აბა, მაგისგან რა უნდა გამოვიდეს, ისე მიღის, თითქოს ბუზიც არ აფრინიაო!..

— შენ მაიღნობ საწყალ დედაშენს, შე არგასაზრდელო!.. — ესმოდა ზვიადს და ყველა სიტყვა ტყვიასავით ზვდებოდა. მთელი სხეული ეწვოდა ბრაზისა და სირცხვილისაგან. ვინ დაუჯერებს, რომ მას თავის დღეში არავისი არაფერი მოუპარავს. თავის დღეში სიკეთისა და სამართლიანობის დამცველი რომ იყო. თავის მართლება იმთავითვე არ უკარდა. სისხლში და ხორცში პქონდა გამჯდარი სიმართლე და

სულაც არა გრძნობდა საჭიროებას სხვისთვის ემტკიცებინა. არც იმას იკადრებდა დამდგარიყო და საქვეყნოდ თავი ემართლებინა. თავისი მეგობრები ამ გაბრაზებული ხალხის საჯიჯვნად მიეცა. არა და მას ყველას წილი ხვდებოდა, ხვდებოდა, მაგრამ იტანდა მოთმინებითა და სიმწარით.

არხის პირას ბიჭებს მოპარული ატამი ერთად დაეხვავებინათ და მადინად კბეჩავდნენ ჩაშაქრეულ, წვენმოჭარბებულ ნაყოფს. ზვადის გამოჩენაზე წამოხტნენ და გარს შემოეხვივნენ. კითხვები დააყარეს:

- რა მოხდა?..
- ხომ არა გცემეს?..
- ჩვენგან რომელიმე ხომ არ იცნეს?

მრავალი კითხვით მისდევდნენ თავზაღულ და ბოლმისაგან გასი-ებულ ზვიადს. მას ხმა არ ამოუღია, არხის პირას უხმოდ ჩამოჯდა და მუხლბში ჩარგო თავი. ბიჭებიც იქვე ჩამოსხდნენ და ატმის ჭამა უხმოდ გაავრძელეს.

— შენც გამოქცეულიყავ ჩვენსავით, რომ გაუჩერდი სახედარივით, რა გამოძიებას შეუდგებოდნენ თუ რა? — თითქოს თავისთვის ჩაილა-პარაკა ნიკომ.

— მე არც გამოძიება მჭირდება და, როცა არაფერი დამიშავებია, არც გავიქცევი, სიცოცხლის ფასად რომ დამიჯდეს, ვისაც რა უნდა, ის იფიქროს, მე ხომ ვიცი, რომ მართალი ვარ! — დინჯად და მტკი-ცედ ლაპარაკობდა ზვიადი.

— მოდით, ბიჭებო, წავიდეთ კრიჭინაანთ ბიჭთან, ვუამბოთ რო-გორც იყო, ხომ ყველამ ვიცით, რომ ზვიადზე მართალი კაცი ამ დუნიაზე არ დადის; რა ვუყოთ, ცოტა მოგეხვდება, სამაგიროდ ჩვენც მოგვეხსნება სინდისის ქენჯნა! — თამამი წინადადება წამოაყენა ანზორმა.

— შენ ხომ არ გაგიჟდი! ამდენი ატამი მოვიპარო და შერე მივად-გე, მე ვიყავი-მეთქი, სად წავა?! რა ჩვენი ბრალია, მმაო, ეგეც გამოქ-ცეულიყო-რა! — შეიცხადა მიტომ.

— ეგ ისეთ ვარსკვლავზე დაბადებულა, ყველას მოსახვედრი მაგას უნდა მოხვდეს! აბა, ქვეყნის დარღი ტყუილად არის?! — ღიმილით თქვა ნიკომ და ატამი მადინად ჩაკიჩა.

— მე მომხვდეს, კი ბატონო, მაგრამ თქვენ რა გეშველებათ?! — მზრუნველი კაცის ტონით თქვა ზვიადმა.

— შენ მოგვედეს და საშველი ვის ექნება, მაგასაცა ვნახავთ! — ატმის თქვლევის შეუწყვეტლად თქვა მიტომ.

— արա, մմառ, ոյզեց րոմ նամյամա Շեցարկեցինոտ, եթ ար մոեցքա, օյնչք աման մասնց գոմշեցընոտ! — ազգա Նշուածո և արեն է ձորաս ձանցա-ցընչը արմուս շրուաս իսե աշշրա ջեքո, րոմ պայլամ Ծյալնի մոաժոնա Ծյաձանո. ծովեցի արեն գաճաեթնեն աշմեցիս ձասաշերալ.

մուրո Ծամոեթքա և Նշուածո Ծյալնի գայոցեռոր:

— եռմ ար գացոյդո?!

— զայս եմա մեսմուս! — Հայուծունա Կյուրդա Նշուածո և Ծյալնի այսարտեալցնչը ծովեցիսացին Շեցրունդա.

մուրոմ Ելու Ֆյուրա, արեն Սանդուա հայցըն. Նշուածո Ծամարձապւա և տազո ծլուզե Շերուազա.

— Ելուս Ֆյուրա շերու ար Սբնդա! — մույծրունդա մուրուս. ուս կո գայվա և արեն գաճաեթքա, Նշուածո Սբան մուշպա, մալոյ և այշիո և գամարտա մուղցուո Ծյալնի. մուրո լուսուոնձա Նշուածուուուս Ծյալնի հայպոյցնե- ծինա տազո և մուշրու Ծյալու շպանցանա.

— մա՛մ, շերու գոնդա? Եթլաց գացացինեն մուշրու Ծյալուս ցըմուս! — Ելու Տրապա մուրուս և որուցեմ Ծյալնի հայպոյցնալացես, մերց Ելու շայմից և Ծյալուոն ամուսու տազո, մուրու ամոմցրա և ուս ոյս, Սբնդ հայսունտյա, Նշուածո և այափուրա տավեց Ելու, մուրոմ ցամունուու մացրամ ցերացուրս ցակնդա, Նշու Սբնդցնուու, մալու ալար ցոյ և յրտո Տրուլու Սլուցու Ծյալու համունտյա. աելու Սպան Սցոնու գամունուու ցարտեալու. Նշուածո ցացուուու նաձուրուսացի ցամուատրուա, ամասունամու մուրու հայսունտյաց մուսիւրու և մուլուա ցամերա. Նշուածո ցառցնեցնչը ամուցպանուս, ձապուրացես, ձորուան արեն մուշրու Ծյալու ալսեամճա, մե- րց ցուլու այրու և նայուրդալու աբամու Նշու Նշուածո մուցպարա.

մուրո մուսացատեցնչը օնչա. ծովեցի սուցուուսացան յոյենց ծլուզե օդցնեն.

— եռմ ցուտեարու, նայուրդալու Ծյենա օցուս-մետյու! — Շեաեւենա Նշուածո.

միւրուս Ֆանուն տազո ալարա Ֆյունդա. ծովեցի Ելու ամալունց և պայանուու ցաւուուս սակուունցին ցաւուուսացի.

տազուս Եթուս րոմ մույաելուուու, Նշուածո յալցին նմամալու լուապարայո ցացունա. լուցես մույուրա և պայու և այսցըն. յրուունանտ ծովուս լուու ալելցցնչը լուապարայունա.

— ջաճակապու, արման ցուն հուցուս, կինալամ յմարո մարցուու մոմիկլա!

— ունա, ցենացուալու, — ամեունա մուրու Եմա, — մաց ծովեցի մունցըն Սբնդա, ար ցանեսումս ամաս Ծինատ կինալամ տուուու ար լուեռա հիմու ծովեցի

და აქვსენტას კაკო?...

ზვიადის მწარედ გაელიძა და ეს ამბავი გაახსენდა: აქვსენტის კაკოს და ამ ქალის გელას ძველი კაშიანი ოთვის დაკუთხული ლულა ეპოვნათ, კონდახტი გაეკეთებინათ; ორივე ზვიადზე სამი წელით უფროსები იყვნენ. გამასროლინეთო, სთხოვათ ზვიადმა. მათ ერთმანეთს გადახედეს, კი ბატონორ, უთხრეს და გატენილი თოვი შეაჩერეს. ისიც სახლს უკან გავიდა, რამდენიმე კრამიტი ფეხზე დააყნა, მანძილი ფეხით გახომა, წამოუწვა, დაუმიზნა და თოვს საპირისწამლებზე ანთებული ასანთი დააღო. თოვმა დაიქუსა და ყველაფერი დენთის კვამლში გაეცვია. ზვიადმა თოვი ხელში აიღო, კრამიტებთან მივიდა, ნამსხვრევებად ქცეულიყო ყველა. სახლის უკანიდან რომ გამოვიდა, გაოცებული გელა და კაკო შეეგებნენ, ცოცხალი ხარო? – ჰკითხეს. აბა, რა მომივიღოდა, კრამიტების ადგილზე მე ხომ არ ვიყავიო, – უპასუხათ ზვიადმა. პირველად გატენეთ, ლულის გახეთქვის იმედი გექონდა, გვეშინოდა, იმიტომ ვერა ვცლიდოთ, უპასუხეს. მერე ხელიდან თოვი წაგლიჯეს, სასწრაფოდ გატენეს, სახლს უკან გაიქცენენ, კრამიტების სამიზნე მოამზადეს და ფეხზე რომ ადგნენ, ათოვდე ნაბიჯის მოცილებით, გატენილი თოვით ხელში ზვიადი დაინახეს. როგორი უნდა ექსპერიმენტი, ახლა გაჩვენებთო, დაუძახათ ზვიადმა, თოვი დაუმიზნათ და ასანთი რომ გაპკრა საპირისწამლისკენ წაიღო, ბიჭებმა მოკურცხლეს, თანაც რაც ძალი და ღონე ჰქონდათ ღრიალებდნენ, გვიშველეთო. უკან თოვმომარჯვებული ზვიადი მისდევდათ. აღარც ასანთი ჰქონდა და აღარც საპირისწამლებზე ეყარა დენთი, ისე ეჭირა თოვი და მისდევდათ. მთელი უბანი შეიყარა. უფროსებმა თოვი რომ გამოართვეს, არაფერი უთქვამს, ჩუმად გაბრუნდა, ღობეს მოეფარა და გულიანად ახარხარდა. გელა და კაკო კი გარშემოხვეულ ხალხში ჩამდგარიყვნენ და მომხდარ ამბავზე ზღაპრებსა ყვებოდნენ. – ეგ ბიჭი მოთლად ნორმალური არ არისო, – იძახოდნენ უფროსები.

– თინა, გენაცვალე, აბა გაიხსენე, ამ ცოტა ხნის წინათ, ჩემ სურენას ცამოწმენდილზე, მთელი უბნის თვალწინ რომ უმიზეზოდ ცემა დაუწყო, მაგ ბიჭს რაღაცა სჭირს! – ასკვნიდა ერთი მეზობლის ქალი.

ეს ამბავიც გაიხსენა ზვიადმა: სკოლიდან დაბრუნებულს შინ ერთი ფათირი¹ ეგულებოდა: ნახევარი შეჭამა, ნახევარიც დედას დაუტოვა, თუმცა შიმშილი მთლად ვერ მოიკლა.

ბიჭებში სათამაშოდ გამოსულს სურენა და ტრისტანი შემოხვდ-

¹ ფათირი ტაფაში გამომცხვარი თხელი პურია

ნენ, — ძალიანა გვშია, დღეს არაუერი გვიჭამიაო, უთხრეს. ზვიადს გული დასწყდა ნახევარი ფათირი რომ შეჭამა. ბიჭები ისევ პურზე წუწუნებდნენ. ზვიადი რაღაცას ყოფმანობდა, შინ დედის წილი ნახევარი ფათირი ეგულებოდა, ბიჭების დაპურება უნდოდა, მაგრამ დედა ეცოდებოდა, მშიერი რომ დარჩებოდა. ბოლოს გულმა ვეღარ გაუძლო, ის ნახევარი ფათირი გამოიტანა და ბიჭებს შუაზე გაუყო, მათ სულ-მოუთქმელად გადაყლაპეს თავიანთი წილი. რამდენიმე ხნის შემდეგ ტრისტანი წავიდა. სურენამ დანანებით უთხრა ზვიადს: — ნეტავი ის ფათირი მაშინ მოგეტანა, მარტო როცა ვიქნებოდით, ტრისტანის წილსაც მე შევჭამდიო.

— არა მგონია, რომ ტრისტანის წილი შეგრგებოდა, — დინჯად უთხრა ზვიადმა, — მშიერ ტრისტანზე ფიქრი არ მოგასვენებდა.

- მე კარგად ვიყო და ტრისტანს თავში ქვა უხლია!
- უჯიშო და არამზადა ხარ, სურენ!
- არამზადის ხმა მესმის!
- შენთვის სილაც კი არ მემეტება, უღირსო!
- მაშინ მე მემეტება! — ესა თქვა სურენამ, ზვიადს სილა გაუტყლაშუნა და გაიქცა.

ზვიადი არ გამოჰკიდებია. ანთებულ ლოყაზე ხელი მოისვა და ნელა წავიდა.

სურენა უბნის თაგშეყრის ადგილას გაჩერებულიყო. დედაკაცები სკამზე ისხდნენ და საუბრობდნენ, ბავშვები იქვე თამაშობდნენ.

ზვიადი მივიდა და სურენას წინ ჯიქურ გაჩერდა. სურენას ხალხის იმედი ჰქონდა, ცალყბად გაიღია. ცოტა ხანს იდგნენ ასე, ქალებმა გაკვირვებული შეწედეს მათ. ზვიადმა არც აცია არც აცხელა და სურენას იქედნურ ღიმილიან სახეში სთხლიშა სილა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა. სურენა მიწაზე გაცურდა.

— რა გინდა, შეილო, გაგიჟდი?! რა დაგიშაგა მაგ ბიჭმა?! — მიეჭრნენ ქალები ზვიადს.

- მას ხმა არ ამოუღია, მიბრუნდა და შინისკენ გასწია.
- ყველამ ხომ დაინაზეთ, აბა, მე რა დავუშავე? — მოსთქმამდა თვალღრემლიანი სურენა.
- არა, ქალებო, ეგ ბიჭი თუ ნორმალური იყოს, თავი დამაჭერით!
- თქვა ერთმა და ყველამ დაუერა კვერი.
- საწყალი თინა, მაგ გიჟს თავისი სიცოცხლე შესწირა! — ვიშვიშებდნენ ქალები...

ზვიადი ზურგით მიეჭუდა ღოებს და ფიქრებში ჩაიძირა...

ქალები გამოემშვიდობნენ ჯიქურაანთ ქვრივს და თავთავიანთ სახლებისაკენ გასწიეს.

ზვიადი წყნარად შევიდა ეზოში, დედა ისევ იმ ადგილას იდგა, ქალებმა რომ დატოვეს.

— ყველაფერი გავიგონე, დედა, მაგრამ თუ ჩემი გჯერა, გწამდეს, რომ მე არაფერი დამიშავებია, სხვას ნურაფერს მკითხავ, თუ ჩემი თავი გიყვარს!..

შინ შევიდა, ტახტზე წამოწვა და ვაჟა-ფშაველას „გველის მჭამელის“ კითხვა დაიწყო.

დედას ხმა არ გაუცია. კარგად იცოდა, თავისი შვილის ხასიათი, ზედმეტ დარიგებას და დატუქსებას არავითარი აზრი არა ჰქონდა; შეიძლებოდა უარესი შედევი მოჰყოლოდა.

დიდხანს კითხულობდა ზვიადი წიგნს. რაღაც არ მოსწონდა, რაღაცაზე ჯავრობდა. დღოდადღო კითხვას წყვეტდა, წიგნს დახურავდა და ოცნებაში ჩაიძირებოდა, მერე კითხვას ისევ განაგრძობდა, ეშინოდა, განიცდიდა, მინდია ადამიანურ სულმოკლეობას არ აჰყოლოდა და ბუნებასთან საუბრის უნარი არ დაეკარგა.

დედა მდუშარედ აკვირდებოდა მის საქციელს და ოხვრით ყლაპავ-და მოწოლილ ცრემლებს.

* * *

ზვიადმა დილით გვიან გაიღვია. ადგა, ეზოში ჩავიდა, პირი დაიბანა; თუთის ხეში ჩამაგრებულ ღერძზე ვარჯიში დაიწყო.

დედამ ეზოს ცოცხი მარანთან მიაყუდა და ზვიადისაკენ წავიდა, თუთის ხეს მხარით მიეყრდნო და ნელა დაიწყო.

— შვილო, ზვიად, ხომ არ აჯობებდა, ორი კვირით წითელწყაროში ნატალია ბაბოსთან წასულიყვავი? იქ შედარებით უფრო გრილა, ხომ იცი, ნატალია ბაბოს როგორ უყვარსარ, ძალიან გაუხარდება!

ნატალია ბაბო, ზვიადის დედის უშვილო დეიდა იყო, ძალიან თბილი და გულისხმიერი მოხუცი. ზვიადი ხშირად ატარებდა ზაფხულის არდადეგებს მასთან. ახლა ეს ამბავიც ძალიან გაუხარდა, თუმცა, აშკარად ხვდებოდა, წითელწყაროში გაგზავნა მის დროებით გასახლებას გავდა.

— დღესვე წაგალ! — თქვა ზვიადმა.

— კარგი, შვილო, ბარგი უკვე გაგიმზადე, ისაუზმე და წადი...

პატარა ჩანთით, რომელშიც ერთი წყვილი საცმელები ეწყო (დედამ დაჟინებით სთხოვა ზვიადს წიგნები არ წაეღო), დინჯად მიაბი-

ჯებდა ზვიადი პურპროდუქტების ბაზისაკენ მიმავალ მტვრიან ქუჩაზე. გადაიარა ალაზნის არხზე გადებული საცალფეხო ხილი, გაუყვა არხის მარცხენა ნაპირს, მერე პატარა არხს ქვევით დაუყვა, რომელშიც წყლის საშვებიდან გიუვით მოხრიალებდა მღვრიე ნაკადი. გადარეულ წყალს გააყოლა თვალი, შიგ ჩავარდნილ კაცს ტყვიასავით წაიღებს, სადღაც ქვევით ისე, რომ ფეხს ვერაფერზე მოიკიდებს, გაიფირა თავისოვის.

არხის პირას წისქვილთან გაჩერდა. აქ ელოდებოდნენ მგზავრები წითელწყაროსკენ მიმავალ მანქანებს.

ხალხი კრამიტით გადასურულ წისქვილის ფარდულში იყო შეფარებული. მზე ძალუმად აჭერდა და გზის პირას პაპანაქებაში ლოდინი არავის უნდოდა.

რახრახით ჩაიარა ძველმა ტონანახევრიანმა სატვირთო მანქანამ. მგზავრებმა წისქვილიდან ხელების ქნევა და ყვირილი დაიწყეს, — წითელწყაროში წაგვიყანეო. მძღოლმა ყურადღება არ მიაქცია, მანქანამ სვლის შეუნელებლად ჩაირახას.

— რას ყვირიხართ, — გააფრთხილა ყველანი ერთმა გამოცდილმა ქალმა, წითელწყაროში წამსვლელი თვითონ მოგვძების!

წინასწარმეტყველური გამოდგა ამ ქალის ნათქვამი. თხუთმეტი წუთიც არ გასულა, რომ პურპროდუქტების ბაზის მხრიდან, ხვნეშით გამოსულმა „ზის-5“-მა გადალახა არხის ბოგირი, წისქვილს გაუსწორდა და გაჩერდა. მანქანის კაბინიდან გათხუბნული მძღოლის თანაშემწე გამოძერა და რიხიანად დაიძახა:

— წითელწყაროში ვინ მოდის?

ათამდე ადამიანი ტომრებითა და სხვადასხვა ბარგით სირბილით გაემართა მანქანსაკენ.

თანაშემწე კაბინიდან ძარაში ამვრა და საქმიანად განაცხადა:

— კაცის თავზე ხუთი მანეთი, ერთ ტომარაზე — ორ მანეთს ავიღებთ!

— რა ამბავია! — შეიცხადა ერთმა ქალმა.

— შენ, ალბათ პირველადა სარ, თორებ აქეთ ნავალი რომ იყო, გეცოდინებოდა, რაც ღირს მგზავრობა! — ავრძნობინა თანაშემწე ყველას, მგზავრობის გადასახადზე შედავათი არ იქნებაო.

მანქანა ნელა დაიძრა. პირდაპირ ძარის იატაგზე მოკალათებული მგზავრები გზაზე ყველა ორმოს, თავიანთი სხეულის შექანებით გრძნობდნენ.

ტიბაანის ბოლოში, ერთი მოხუცი ქალი, ორი თავმობმული და

ხილაბანდგადაფარებული ვედროთი შემოუერთდათ. მძღოლის თანაშემშეწერ ზელად გამოუწერა ხუთი მანეთის გადახდა.

მანქანა ხვეწით შეუდგა გედიქის ხეობას. ძარაში მხდომთა მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა, ჩახრამულ, დიდი ქვებით დაფარულ ხევზე ტომრები და ხალხი მაღლა ხტოდნენ და ერთმანეთს ენარცხებოდნენ.

— ნელა, შე მუდრევო, ადამიანები მიგყავს, საქონელი კი არა! — აყაყანდა ხალხი.

მძღოლს მათთვის ყურიც არ უთხოვებია, რაც შეეძლო მიახრიგინებდა თავის ბებერ ზის წყლისაგან დაღრღნილ ხეობაში.

სოფელ ოზაანის ჩამოსწვრივ, ვიწრო ყელთან, მანქანა უცბად გაჩერდა. ისევ გამოჩნდა თანაშემწის გაბურბგნული თავი, ამოძვრა ძარაში და შემოჰკრა ხელი ხელს:

- აბა, ფული გადავიხადოთ!
- რა გეჩქარება, შე მამაცხონებულო, გამქუცვები ხომ არა ვართ?!

— ამბოშიკის ბოლოში ავტოინსპექტორი იქნება, იმას თავისი უნდა მივცეთ, — თავი იმართლა თანაშემწერმ.

მგზავრებმა ფულის გადახდა დაიწყეს. ზვიადი იჯდა ვიღაცის ტომარაზე და ამ ფაცაფუცს სულაც არ აქცევდა ყურადღებას. ჯერი ტიბაანელ მოხუც ქალზე მიდგა,

- გამოუშვი, ძალო, ხუთი მანეთი! — შეახსენა თანაშემწერმ.
- მოხუცმა ათკეც კაბაში დაიწყო ძებნა; ვერა და ვერ იპოვა ფული.
- ვერ მიპოვია, შვილო, დამაცადე, თუქურმიშამდე ვიპოვნი და გადაგიხდი, — უთხრა შეწუხებულმა მოხუცმა თმაგაჩეჩილ ბიჭს.

— თუქურმიშამდე არა, სხვა რაღა გინდა! მოიტა ფული, თორებე ეხსლავე ჩამოგსვამ დაბლა და იარე ფეხით! — მარჯვენა ხელი სტაცა ბიჭმა მოხუცს, დაბლა ჩამოსასმელად, მარცხნაში კი ფული ჰქონდა ჩაბფლუჯულდი.

— დამაცა, შვილო, დამაცა! — აწრიალდა საწყალი მოხუცი, მაგრამ ფული მანც ვერ იპოვნა.

— ჩადი დაბლა! — სერიოზულად შეუტია თანაშემწერმ.

ზვიადს დედამ მხოლოდ ათი მანეთი მისცა — მისვლა-მოსვლაში უნდა ჰყოფნოდა.

ვეღარ მოითმინა ამ თავხედი ბიჭის საქციელი, წამოხტა და წინ დაუდგა.

— ხელი გაუშვი მოხუცს!

- გირჩევნია შენი წილი ფული გაამზადო!
- აჲა, მოხუცის ფული! — ზეიადმა ხუთი მანეთი ჩასჩარა ხელში,
- ჩემსას წითელწყაროში მიიღებ! — პასუხს აღარ დაელოდა, მიბრუნდა და ტომარაზე ჩამოვდა.
- ეხლავე მოიტა, თორემ დაბლა გადაგიშვებ! — იხტიბარი არ გაიტეხა თანაშემწეო.

— ფულს წითელწყაროში მოგცემ, თუ თავს არ დამანებებ, გაჩვენებ ვინ ვის გადაუშვებს!

— ფოლადი აკვესდა ზეიადის ხმაში.

— ვნახოთ, ვნახოთ, შენ თუ გადახტომა გაქვს განზრახული, ეგ არ გამოვები!

— დაიმუქრა თანაშემწეო და ბურტყუნით ჩამოვრა კაბინაში. ცოტა ხანს რაღაცაზე ისაუბრეს იმან და მძღოლმა და მერე ისევ დაიძრა მანქანა.

არბოშიკთან ოთხი ულვაშებაღერებული მკვირცხლი ბიჭი შეემატათ.

— ბიჭებო, თქვენზე სამ-სამი მანეთი იქნება, აქვდანვე იცოდეთ! — შეახსენა თანაშემწეო.

— მაგას რაღა თქმა უნდა! — დარღიმანდულად უპასუხეს ბიჭებმა და ძარაზე ერთმანეთზე ხელიხელგადახვეულები გაჩერდნენ.

თავწყაროსთან მანქანამ სვლას უკლო, მძღოლმა სიჩქარე შეცვალა. ბიჭებმა ერთმანეთს ანიშნეს და ძარის უკანა ბორტიდან, სავიაციო დესანტივით ჩალაგდნენ მტკრიან გზაზე.

წითელწყაროს რომ მიუახლოვდნენ, მანქანა ერთხელ კიდევ გაჩერდა, ისევ ამოძრა თანაშემწეო ძარაში, ბიჭები რომ ვეღარ დაინახა, აყვირდა:

- ლიმონა ძია, გაქცეულან!
 - ოხ, მაგათი, დედა!.. — აბობოქრდა ლიმონა ძია კაბინაში.
 - გამოუშვი შენი ხუთი მანეთი, თორემ ვიცი, შენც გაიქცევი!
- შეუტია გაბრაზებულმა ბიჭმა ზეიადს.

- ფულს წითელწყაროში მიიღებ! — იყო დინჯი პასუხი.
- ლიმონა ძია, არ იხდის! — მიეჭრა ბიჭი მძღოლს.

კაბინის კარი ნელა გაიღო. საფეხურზე საშუალოზე დაბალი ტანის კაცი გადმოვიდა, კოკარდიანი ქუდი ყალყზე შემდგარი ეხურა, წვერით, ვერტიკალურად, ზევით იყურებოდა, თითქოს უნდოდა, ლიმონა ძისთვის სიმღლე მოემატებინა. ძლივს დაინახეს მგზავრებმა მძღოლი.

ზეიადს სახეზე ღიმილმა გადაურბინა.

- გადაიხადე ფული, თორემ ჩამოვაგდებ და გაგაბრტყელებ!

დაემუქრა ლიმონა ძია.

— ხელი არ აგიცდეს! — დაცინვით შეეხმიანა ზვიადი. — ფულს წითელწყაროში მიიღებთ! — დაუმატა. ლიმონა ძიამ ცოტა ხანს იფიქრა, მერე უცებ გადაწყვიტა:

— ბალლო, ძარაში დარჩი, თვალყური ადევნე, არ ჩახტეს! — უბრანა თანაშემწეს, თვითონ კი ისევ კაბინაში შეძვრა.

მანქანა წითელწყაროს ბაზართან გაჩერდა. მგზავრებმა ძარის ყველა ბორტიდან ყაყანით იწყეს ჩამოსვლა.

ზვიადი სასწრაფოდ ჩახტა დაბლა და ტიბაანელ მოხუცს მიეხმარ ვედროების ჩამოღებაში.

მძღოლის თანაშემწე სასწრაფოდ ჩამობობლდა მანქანიდან, მიირბინა ზვიადთან, წინ დაუდგა და გამომწვევად უისრა:

— მოიტა ფული!

ზვიადმა დამცინავად შეხედა, ბიჭს, ხელების ნაოჭებში ჭუჭყი ისე ჰქონდა ჩამკვდარი, საეჭვო იყო, მისი იქიდან გამოდევნა.

— რამ გაგახარბა, ბიჭო, არა გრცხვენია?! — დამრიგებლურად უთხრა ზვიადმა.

ბიჭს შერცხვა, გაწითლდა, ხელები უხერხულად აათამაშა:

— მე რა, ჩემთვის ხომ არ მინდა? ლიმონა ძიას ყველა კაცი დათვლილი ჰყავს და ფულს ისე მთხოვს, — თვალებზე ცრემლი მოადგა, — არ მინდა შენი ფული! — უთხრა ნაწყენმა და უკან გაბრუნება დააპირა.

ზვიადმა ხუთმანეოთანი ამოიღო და ჭუჭყიან ხელში ჩაუჭყუნა.

— ისე, ლიმონა ძიას თავს რომ დაანებებდე, უფრო კარგი ბიჭი იქნებოდი! — უთხრა და მეგობრულად დაარტყა მხარზე ხელი;

მობრუნდა, ორივე ვედრო აიღო, — წავიდეთ, ბაბო, ბაზარში, — უთხრა მოხუცს და ბაზრისაკენ გასწია.

მოხუცს ზვიადის პატარა ჩანთა ეჭირა ხელში და უკან ლოცვა-გურთხევით მიჰყვებოდა.

ბაზრის კარებთან ზვიადმა ვედროები დააწყო.

— შვილო, გენაცვალე, მომიცადე, გავყიდი პამიდორს და ეხლავე დაგიბრუნებ შენს ხუთ მანეთს.

ზვიადმა მოხუცს თავისი ჩანთა გამოართვა, — კარგად იყავი, ბაბო!

— მიაძახა და, სანამ მოხუცი რამის თქმას მოახერხებდა, სირბილით გაუჩინარდა ბაზრის კუთხეში.

* * *

Տաղամո ոյո.

Հոգունանտ շնչեմո ճոճո նմայրո օդցա. Նյոյզելա յթո՞մ, մոլո՞նց
գամոյշեցի՞լոցո, ճոճոս և ձադարաս սածեմոր գանցիցօծոլցիկ էյոն-
դա. Վրե Շեշը բառատ և ծովառաս Շեմածոլցիկուա և Տարեարոտ
յերտօցիօնցնեն.

Մենք ազան-հազան մմոլոլո յորունց, յան-լոռնոտ Տաշե մեսարյուլո
կացո, նշուածու յոցել գամոհենաս քուառանուտ առնո՞նացա խոլմի. Նշու-
ածո յոցելոցու մուս յանացան ոյո և պաշտամ մալուա ու յարունա,
րուց ոց տակունչե յոցրու ծովառաս այլունց.

Նշուածու շնչե րամցենոյե ծովառան վարմագիւնուտ էյոնդա քուառանու
ճամտաշրյուլո, րոմ յորունց ճամտան:

— Ածա, մասեար, — այս յետանցնե րոնինիոնս, րոմյունու նշուածունց
որու վլուտ յոցրուսո ոյո, — գամուն և ճաւագունու նշուածու!

— Ճաշեքունու-րա! — տամսադ յաջանիւ վրեմի մասեարա.

Մեսամյ Վայլունու Շեմցց, մասեարամ քուառանամ յարու յանացեանա.

— Եց Վնորյուն յածցուրյունուտ արու յանացյուլո, — մոյեմարա մասեա-
րաս ճաշամուս աշրայունա.

— Մյ յոցելայուրյունու լոռե, Շենա! — ձանձուրո մոյապոլա յորունց յուլ
մասեարաս. նացեմո, յապաթրոնո մալուուտ յուժամոմոյուլունո, մասեարա
ծուրլիցյուն-ծուրլիցյունուտ մոյշա ճառաս մորշու.

Աշրայունա ակելա նշուածու մոյեմի:

— ծովո, րա արու, րոմ համոեալ տան հինչու և ճաշուառան մո-
ցայշու եռոլմի?!

Նշուածու մերցե ամիշիա.

— Մյ ամարո, ուս յորիկենու մի ճոճունու ծովու ասմացլո քայսա! —
Շեյլրունա յորունց յարայունա.

— Մյնո ուրու յանցու վյունու մոյմառանուտ, Մյ յայմուրո, լցանար
և յոցո-ծովառաս ամոմցուացե! — մոյուծրյունու աշրայունա.

— Ածա, ածա! նյ յաճառամլամի, տորյ!.. — Շեյլը յորու յորունց յուլ
յունաս և յին հայլապունա...»

* * *

Վուառու նշուածու նշուածուս և տիւմբունուս և ամու ճալու յացուա. ծովառաս
ծուրուս տամանու յուրունունցնեն. ծուրուս մուսիցունուտ և յոցելա ակցու-
ուն հինչունց յայրունցնեն.

— մոճու, ծովառաս, յուրուսակց Վազուտ, — ակերո յամուու մասեա-

რამ, — იქ მზესუმზირას ბევრი გვრიტი ესევა და ვინადიროთ.

ერთხმად მოიწონეს მასხარას წინადადება. შურდულები გამართეს და ელიის გზას დაადგნენ...

მზესუმზირებს კალათები ისე დამძიმებოდათ, რომ მზის დევნის-თვის თავი დაწესებულინათ და, მხრებში გადადრეკილები, მიწას ჩაჰყურებდნენ.

— ბიჭოს, რა კალათებია, — დაიძახეს ბიჭებმა და ყველაზე დიდი თავების მოსამებნათ ნაკვეთში გადავიღნენ.

ბევრი ეხვეწათ ზვიადი, ამ საქმეს ნუ ჩადიხართ, გვრიტებზე ვინადიროთ, მაგრამ ყური არავინ ათხოვა და მალე მზესუმზირის კალათებით დატვირთულებმა გზაზე მარტო დარჩენილ ზვიადთან მოიყრეს თავი.

— რა მშიშარა ყოფილხარ, ერთი თავის მოტეხაც ვერ გაბედე, თითო თავი ყველამ მივცეთ, ბიჭებო! — ღიმილით თქვა მასხარამ და ერთი ყველაზე პატარა კალათი გაუწიოდა ზვიადს. სხვებმაც მიბაძეს მასხარას.

ზვიადმა ხელი აუკრა მასხარას:

— ნაქურდალი შენთვის დაიტოვე, მე არა მჭირდება! — დანარჩენებსაც ხელი ჰაერში გაუჩერდათ.

— წონრში სულ ქურდობაზე ზარ და აქ გახდი ანგელოზი?! — იხტიბარი არ გაიტეხა მასხარამ.

ყარაულმა, ეტყობა, შორიდან გაიგო ქურდების შემოსევა, უჩუმრა მიეპარა ბიჭებს და ამ საუბარში რომ იყვნენ, უცებ დასჭყივლათ:

— პო, თქვე გასაწყვეტებო! — გამოვარდა მზესუმზირებიდან და ბიჭებს მიეჭრა, — ადგილიდან ფეხი არ მოიცვალოთ!

მეველის პირველი დაყვირებისთანავე ბიჭებს ხელში აჩონჩხილი კალათები გასცვივდათ და შიშისაგან თავპირისმტვრევით გაიქცნენ.

ზვიადი იდგა მზესუმზირის თავებს შორის, ადგილიდან ფეხი არ მოუცვლია, შეგნება იმისა, რომ მას არ უქურდნია, მეველესთან პირის-პირ შეყრის უფლებას აძლევდა.

მეველეს იმედი პქონდა, ყველანი გაიქცეოდნენ და ონერცით მიეჭრა ჯიქურ გაჩერებულ ზვიადს. ერთი კიდევ სცადა, იქნებ დავაფრთხოოს:

— შენც იმათი ზარ, შე მამაძ... — ზვიადის აკვესებულ თვალებს რომ შეხედა, დასარტყმელად აწეული ხელი ცივად დაუშვა.

— ტყუილად მლანბლავ, ძია, მე ერთი თავიც არ მომიტებნია! — მტკიცედ უთხრა ზვიადმა და გამობრუნდა.

— შენც მოგიტეხნია და იმათაც, მაგრამ, გაგიგონიათ, ხალხო, გაქცევაც არ უნდა, ლამის აქეთ მე მცემოს! — შეიცხადა მეველემ. — შენ აქაური ფერი არ გადევს, ბალღო, ისინი კი ვიცანი, გოგილაანთ უბნისანი უნდა იყვნენ. მიხო! დათა! პეტო! გამოიხედეთ, ხალხო, იქნება თქვენ მაინც იცნოთ ეს ახალი ჯიშის ქურდი, ქურდი კი არა, ყაჩალია, არავის ეპუება! — დაიწყო ყვირილი მეველემ.

ზვიადს გაახსენდა ატმის ქურდობის მწარე გაკვეთილი და ნაბიჯს მოუმატა, მაგრამ გაქცევა არ უფიქრია. გზაზე ფიცრის ღობესთან მომდგარი ორი ქალი შეეხმიანა:

— შენა ხარ, ბიჭო, მზესუმზირას რომ იპარავ?! არა გრცხვენია?! ეგ აქაური არ არის, გოგილიაანთ ნატალიას სტუმარი უნდა იყოს. ეტყობა, იქიდან მოიცილეს, ისეთი ამოსაგდები ჩანს! — არ ასცდა ზვიადს თავისი უკუღმართი ბედის განახენი.

საღამოთი გოგილაანთ უბანში დიდი ჩოჩქოლი იდგა. მეველე და რამდენიმე ქალი ხმამაღლა ყვებოდნენ ამ უცხო ბიჭის ქურდობის აბბავს. ხშირად მასხარას წუწუნის ხმაც იძმოდა, — რა ვქნა, რამდენი ვეხვეწეთ, მზესუმზირის ქურდობა არ შეიძლება-მეთქი, მაგრამ ძალათი წაგვიყვანა, ჩვენ ერთი თავიც არ მოგვიტეხნია, სულ იმან დაამტვრია.

გაწიწმატებული აგრაფინა იქაურობას იკლებდა: — გაგვიფუჭა ბავშვები, თუ დროზე არ წაეთრა აქედან, ყველას გაგვიყაჩაღებს. — ჩუმად იჯდა ნატალია ბაბო წიფლის კუნძხე და მდუმარედ ხვდებოდა აზირთებული მომჩივრებისა და მეზობლების გაუთავებელ საყველურებს.

ზვიადი კლუბის ღობის ბობის ძირში, მწვნე ბალაზზე იჯდა, თავი მუხლებში ჩაერგო და ყურს უგდებდა ღობის მეორე მხარეს ატეხილ ქარიშხალს.

საღამოთი, გვიან შევიდა შინ. ნატალია ბაბოს ხმა არ გაუცია. საჭმელი დაუდგა წინ და ჩუმად დაჯდა კუთხეში.

— ცუდი არავერი ჩამიდენია, ბაბო! — მტკიცედ თქვა ზვიადმა, საჭმელისათვის პირი არ დაუდგა, ისე წავიდა დასამინებლად.

— საწყალი გოგო, რამდენი მწარე დღეები აქვს ნანახი ამ ბიჭის ხელში, — ჩაილაპარაკა თავისთვის და ზვიადს გააყოლა მდუმარედ თვალი. ფრთხილობდა მოხუცი, იცოდა, ზვიადის ხასიათი, პატარა წყენა და დაეკარგებოდა ბიჭი.

* * *

ბურთის თამაშით დაღლილი და გაოფლილი ბიჭები კლუბის ეზოში, დიდი აკაციის ჩრდილში მოლზე დაეყარნენ.

— რა კარგი იქნებოდა ეხლა მდინარეში ბანაობა, — ინატრა ზვიადმა.

— მოდი, კლუბის აუზში ვიპანაოთ, — წამოაყენა წინადაღება მასხარამ.

— როგორ შეიძლება, მაგ წყალს დასალევად ხმარობენ! — შეეპასუხა მათში ყველაზე პატარა ნოდარი.

კლუბის ეზოში დიდი აუზი მიწაში იყო ჩადგმული, ზევიდან საგულდაგულოდ გადაეხურათ თუნუქით, ერთი მხრიდან კარი ჰქონდა. მის კამკამა წყალს ზშირად დასალევად და ზოგჯერ სახანძრი საჭიროებისათვის იყენებდნენ. სიცხისაგან გაგუდულ შუადღისას გრილ აუზში ბანაობა დიდი ცორუნება იყო.

— არა, მაგ წყალს ხელში სვამს, უსინდისობა იქნება შიგ ბანაობა!

— მტკიცედ თქვა ზვიადმა.

— მალე ყველას ანგელოზებად გვაქცევ, — დამცინავად შეეპასუხა მასხარა.

ზვიადს გაახსენდა, როგორ ხმამაღლა ცრუობდა მასხარა, მზესუმზირის ქურდობას მას როცა აბრალებდა, არაფერი უთხრა, თავისთვის გაეღია.

მასხარას ეგონა იმიტომ გაიღიმა ზვიადმა, რომ გაიფიქრა — ვერ გაბედავ ბანაობასო.

— ახლა გაყურებინებთ სეირს, რა მშვენივრად გავგრილდე! — მასხარამ დაიწყო საცმელების გახდა, აკაციის ჩრდილში დაყარა და ტრუსის ამარა აუზისაკენ წავიდა, მას მეორე ბიჭიც მიყვა. დანარჩენი ბიჭები ბაღიდან გაიპარნენ, — ეს ბანაობა კარგად არ დამთავრდებაო. ზვიადი ჩრდილში წამოწოლილი დარჩა, იქავე ორივე ბიჭის ტანისამოსი ეყარა.

მასხარა მიიპარა აუზთან, გადარაზული კარები გახსნა და შიგ შეძვრა, მას მეორე ბიჭიც მიყვა. ერთად ჩავარდნენ წყალში და ისეთი ტყაპატყუპი და დგაფუნი ატეხეს, ზვიადს ეგონა იხრჩობანო.

ეტყობა, ყარაულსაც მოესმა ხმაური ბაღის ბოლოდან გამოიხედა, აუზის კარები ღია რომ დაინახა, ყვირილით და ქოთქოთით წამოვიდა. ბიჭები მაშინვე ამოცვივდნენ წყლიდან და გაიქცნენ, აკაციის ჩრდილში დაყრილ ტანისამოსს დასტაცეს ხელი, კუტიკარში გაძვრნენ და მეზობლის ეზოში გაუჩინარდნენ.

ზვიადი ნელა წამოდგა, შარვალი გაიბერტყა და წასვლა დააპირა, ყარაული ყვირილითა და ხელების ქნევით მოვარდა.

— ვინ იყვნენ, რომ ბანაობდნენ?

— მე რა ვიცი?

— შენც იმათი ამხანაგი ხარ! წამოდი, სარდაფში რომ შეგავდებ, ყველაფერს დაუქვავ! — ყარაულმა ზვიადს ხელი სტაცა და სარდაფის-კენ გათრევა დაუჰირა. ზვიადმა ყარაულს ხელი შეაშვებინა და ისეთი თვალით შესხდა, გათრევა ვეღარ გაბედა.

— უყურეთ, კაცო, შეიძლება ხელიც შემომიბრუნოს, ამ მამბ!

— ჩემგან რა გინდა, ძია, ხომ დაინახე, რომ მე არაფერი დამიშა-კებია? — შემრიგებლური ტონით უთხრა ზვიადმა.

— რაც დაგიშავებია, გიჩვენებ, ძალიან კარგად გიცნობ, ნატალი-ას დისწულის შვილი არა ხარ?! — ბურტყუნით გაბრუნდა ყარაული უკან.

იმ საღამოს კიდევ ერთი საჩივრის მოსმენა მოუხდა ნატალია ბა-ბოს. წინა დღის სცენა განმეორდა.

ბიჭის ყოველგვარი თამაშის ხასიათი წაუხდა, თანაუბნელებისაკენ აღარ მოუწევდა გული.

მეორე დღეს, მდუმარედ ისხდნენ ბიჭები მოედნის კუთხეში, სა-დაც ფეხბურთს თამაშობდნენ ზოლმე, კლუბის ეზოში შესვლას ვეღა-რა ბედავდნენ.

— მოდა, მინდორში წავიდეთ, — წამოიწყო მასხარამ, — შროშნებ-ზე გავინადიროთ.

— კარგი, წავიდეთ! — წამოიშალნენ ბიჭები. — ზვიადი ადგილიდან არ დაძრულა.

— რატომ არ მოდიხარ, ზვიად? — მიუბრუნდნენ ბიჭები.

— წამოსვლა მინდა, მაგრამ რაღაცას მოიპარავთ და ისევ მე გა-მიხდება ჭირად! — საყველურით თქვა ზვიადმა.

ბიჭებმა ყოყმანი დაიწყეს, მინდორში წასვლა ჩაშლაზე იყო.

— თუ არაფერს მოიპარავთ, მაშინ წამოვალ! — მტკიცედ თქვა ზვიადმა.

ბიჭები შეპირდნენ, არაფერს მოვიპარავთო და დაიმედებული ზვი-ადის თანხლებით გაუდგნენ გზას.

შეუადლის მზე ბიჭები ძალზე შეაწუხა. შროშნების დევნამ შედეგი ვერ გამოიღო. მხოლოდ რამდენიმე ბეღურა მონადირეს. დასიცხუოლე-ბი და გალექებულები ღელეში წყაროს მიადგნენ. ბლომად მოჩქეფდა სპილენძის მიღმი წყალი. წყარო საგულდაგულოდ ამოეშენებინათ

ცემუნტით, იქვე, მიღის გასწვრივ, მოეწყოთ გრძელი ნავი, რომლის გვერდები მწვანე ხავსს დაეფარა, ფსკერზე კი სქლად დალექილიყო ლამი. ნელა მოძრაობდა გამჭვირვალე წყალი ნავში და გადამშვებ ღარიდან ღელეში გადაჩრიალებდა.

ბიჭები მიღს მიესივნენ, წყურვილი რომ მოკლეს, ნავში ჩაცვივ-



დნებ და ისეთი დაგურუნი ატეხეს, რომ ფსკერზე დალექილი ტალაპი სულ ერთიანად გათქვითეს წყალში. ახლა წმინდა წყლის მაგიერ, რალაც ტლაპოს მსგავსი ჭუჭყიანი მასა იღება ნავში.

ბევრი ენგვეწა ზურადი ბიჭებს, — წყალს ნუ ამღვრევთ, საქონლის დასალევად არის, საღამომდე აღარ დაიწმინდებაო, მაგრამ ვინ დაუკერა? იჯდა მოშორებით, ბელტზე და უყურებდა ამ ალიაქოთს. ისე იყვნენ ბიჭები გართული თავიანთი საქმიანობით, რომ ვერ გაიგეს, როგორ მოადგათ წყალმონატრებული ნახირი. მწყემსმა რომ დაინახა ნაგში აკუმბაბული ბიჭები, გაკოფდა:

— თქვენ შობელმაღლები, ეგ რა გიქნათ! — დაიღრიალა და მსხვილი შვინდის ჯოხოდარჯვეული ბიჭებისაკენ გაქანდა.

ფხაჭაგლეჯით ამოცუივდნენ ბიჭები ნავიდან და სირბილით აუყვ-
ნენ ფერდობს; მწევმსი ყველაზე პატარას, ნოდარს მისწვდა, უზომოდ
გაბრაზებულმა ვეღარ მოზომა და ჯოხი დასარტყმელად მოიქნია,
ზვიადმა ხელი უტაცა. ნოდარი გაიქცა, მყემსს ზვიადი შერჩა ხელში,
არ მოელოდა ამხელა კადნიერებას, გაბრაზებულმა მოქაჩა ჯოხი თა-
ვისკენ და დაითრია ზვიადი, ბიჭი ჯოხს ხელს არ უშვებდა, კარგად
იცოდა, როგორც ხელს გაუშვებდა, მის ზურგზე ათამაშდებოდა. მწევმ-
სმა ორივე ხელით ასწია ჯოხი, ზვიადიც თან აჰყვა.

- გაუშვი ხელი, თორებ ცემით გაგხეთქავ! - მწყემსი ცოფსა ყრიდა.

ზეიადს სხვა გამოსავალი აღარ ჰქონდა, კარგად იცოდა, როგორც გაუშვებდა ხელს, გაჯოხვა არ ასცდებოდა, ამიტომ იყო, რომ თავგანწირულად არ ანგებდა მწყემსს თავის ჯოხს.

ამ ძიგილში იყენენ, რომ ნახირის ბოლოში მომვალმა შეკვეთის კუკმა მოუსწოროთ და გააშველოთ.

— რა მოხდა? რას დაობთ? — იკითხა მან.

- ნახე რა დღეში ჩაუგდიათ წყალი, საქონელი ვერარა სვამს!
- ჯონით აჩვენა მწევებსმა ნავზე, რომლესაც ძროხები აზლოს აღარ ეკარებოდნენ, მიღთან შეგროვილიყვნენ და დიდი მიწოლ-მოწოლა ჰქონდათ მიღიდან წყლის დასალევად.

შუახნის მწყობლების ერთიანა და ზოგადს მიუბრუნდა:

= ԱՐԱ ՁԻՌԱ ԻՉՎԵՆԻՌԱ. ՃՈՒՇՈ՞! = ՊՈՒՇՈՒ ԼԱՎԱՋՎՈՒՐՈՅ.

— ეს ამას არ ჩაუდენია, აგრე იმათი ბრალია, — ჯონით აჩვენა მწყემ-სტა კლოის თანხმოვის შეართობის გრძელება. — ეს ვა იმათ აქციას რომელსაც

ბიჭები სირბილით დაეშვნენ გორის მეორე მხარეს, მარტო ნოდარი დარჩა ადგილზე, მზურავით ზევიდან უყორდება, თუ რა ხდი-

ბოდა წყაროსთან.

- ეგრე თავგამოღებით რომ დამეტაპე, აბა, ახლა რატო არ გშველიან ისინი!
- მე იმათ შეველის იმედით არ გიტაცე ზელი ჯოხზე, რომ დაგერტყა იმ პატარა ბიჭისათვის, მერე მწარედ ინანებდი.
- მართალი ხარ, ისე გაებრაზდი, რომ ჭკუა დავკარგე, მადლობის მეტი რა მეტემის, — დარცხვენილად თქვა მწყემსმა.
- ვისი ბიჭი ხარ, შეილო? — შეეკითხა შუა ხნის მწყემსი.
- აქაური არა ვარ, ძია, სტუმრადა ვარ ჩამოსული.
- ვისი სტუმარი ხარ, შვილო?
- გოგილაანთ ნატალიას დისტულის შვილი ვარ.
- ჰოო, შენ თინასი იქნები, — თავისოთვის თქვა მწყემსმა, — ეგრე თავგამოღებით რომ დაეტაკე ამ კაცს, ამხანაგებმა რატომ მიგატოვეს? გასაკვირია, წყალი იმათ აამღვრიეს, შენ არ მონაწილეობდი, როცა გაუჭირდათ, ისევ ამან გამოიდო თავი, იმათ კი არც აინტერესებთ ამის ბედი. ზვიადს ხმა არ ამოუღია.
- შვილო, შინ, როცა მიხვალ, ნატალია ბაბოს უთხარი, ბაღაანთ ჯანდიერი ვნახე-თქო; ჩვენ შორეული ნათესავები ვართ. უთხარი, იქნება ჩვენთან გამოგიშვას. ეს ზაფხული აქ გაატარე, სწორედ შენნაირი ბიჭები გვჭირდება. როგორც ჩამოვალ, აუცილებლად ნატალიას მეც ვეტყვი. ძალიან მომეწონა ეს ბიჭი, — მოუბრუნდა მწყემსს ჯანდიერი.
- არა ღირს, ძია, მალე უნდა დავბრუნდე წნორში, — ზვიადი წასავლელად მოემზადა.
- მაიცა, შვილო, მაიცა! — ჯანდიერმა ზურგიდან გუდა მოიხსნა, მიწაზე დაჯდა, პური, ყველი და შაშხი ამოალაგა. — ჩვენს ღარიბულ პურმარილზე უნდა დაგპატიუოთ.
- არა, ძია, ბიჭები მშივრები იყვნენ, მე მარტო ყელში არ გადა-მიგა ლუკმა! — ზვიადი წასასვლელად მოემზადა.
- ჯანდიერი გაშტერდა. თავისოთვის გაიფიქრა: — ეს მათ გამო კინ-აღამ გაჯოხეს, იმათ კი მიატოვეს და გაიქცნენ, ახლა პურის ჭამას არ აპირებს, ბიჭები მშივრები არიანო, ბარაქლა, შვილო!
- კარგად იყავით! — თქვა ზვიადმა და გზას გაუდგა.
- მაიცა, ბაღლო, მაიცა! — საჩქაროდ აიღო ერთი შოთის პური, ზედ ყველისა და შაშხის ნაჭრები დაადო ჯანდიერმა და ძალით ჩას-ჩარა სელში ზვიადს. — დიდი მადლობა, — უთხრა ზვიადმა და ჩქარი ნაბიჯით შეუდგა აღმართის.

დიდხანს უფურებდა ჯანდიერი მიმავალ ზვიადს, მერე ღრმა ფიქ-

რებში ჩაძირულმა თავისთვის ჩაიდუდუნა:

— ეს, კარგი ბიჭი წარ, შვილო, მაგრამ შენი წასიათის გამო, ბევ-რჯერ მოგხვდება სხვისი მოსახვედრი ჯოხი ამ აღმართ-დაღმართიან წუთისოფელში!..

ზვიადს მარტო პატარა ნოდარი ელოდებოდა. გამომყევიო, უთხრა და მდუმარედ გასწიეს შინისაკენ.

ორივე კლუბის ღობესთან ჩასხდნენ და ყური დაუგდეს გოგილა-ანთ უბნის ეზოში შეგროვილი წალხის ლაპარაკს.

— გაგიგონიათ, წალხო, — ცხარობდა აგრაფინა, — იმ ბიჭს ახლა ძროხებისათვის დასალევი წყალი აუმღვრევია, მწყემსებს დაუჭერიათ, კარგად გაუჯოხიათ, თურმე აღარ გამოუშვიათ.

— საწყალი ნატალია, ესლა უნდა? ისედაც ლამის გაგიჟდეს მაგ ბიჭის გამო, — წუწუნებდნენ ქალები.

ზვიადმა ნოდარს შეხედა, ორივე მიხვდა, რომ ბიჭებს მოეტყუები-ნათ უფროსები.

— ნოდარ, წომ წედავ, ჩემი გამოჩენა არ შეიძლება, წადი, ბიჭები მოაგროვე, ეს პურ-მარილი გავინაწილოთ! მარტო მე და შენ წომ არ შეჭამთ?! — შეევედრა ზვიადი ნოდარს.

ნოდარმა მალე ყველანი კლუბის ეზოში მოაგროვა. ზვიადმა პუ-რის, ყველისა და შაშხის განაწილება მასხარას მიანდო, წმა არ და-უძრავს გამრუდებული ამბის მიტანის გამო.

ბიჭებმა მალე გადასანსლებს მწყემსების პურ-მარილი და ახლა წმამაღლა ოხუნვობდნენ. ზვიადი ჩუმად იჯდა. ფეხები ბალახებზე გა-ეშოტა, ზურგით ბოძს მიყრდნობოდა, ორივე წელი მიწაზე დაებჯინა და ასე გაშტერებული იყო დიდხანს. რატომღაც მინდია გაახსენდა. წიგნს რომ კითხულობდა, სულ იმაზე ჯავრობდა, მინდიამ ცოლს რად დაუჯერა, ბუნების მოსმენის გრძნობა რად დაკარგაო. ახლა საწინააღმდეგო აზრი გაუჩნდა, ღირდა კი ასეთი ფაქტი ბუნების ადამიანის არსებობა? არავისი ტკივილი, არავისი გაჭირვება, არავი-სი გულისწუხილი არ უნდა გესმოდეს, ყრუ, უგრძნობი უნდა იყო, ქვის გული გქონდეს, აი, როგორი კაცი იქნება ბედნიერი, მინდია კი უბედური იყო, სანამ ესმოდა ბუნების სუნთქვა, სანამ ყველას ჭირის მოზიარე იყო.

კლუბის ეზოში ყარაული გამოჩნდა, ბიჭებს ეჭვით გახედა, — კი-დევ მოსულან, ეს სალახანებიო, — გაიფიქრა და შორიდან დაუწყო თვალყურის დევნება.

ზვიადი გამოცოცხლდა, სახეზე ღიმილმა გადაურბინა.

- მასხარ! ხომ ხარ გულადი?! პირდაპირ გაკვირვებული გარ შენით! — მოულოდნელად შეაქო მასხარა.
- კიდევაც რომ ვარ! — შეიფერა იმანაც.
- წამოდი, მე და შენ ერთი ვაჟგაცური საქმე ჩავიდინოთ, იქნება მეც გავხდე შენისთანა გულადი, — ხვეწის კილო იგრძნობოდა ზვიადის ხმაში.
- რაც გინდა, ის გავაკეთოთ! — შეიფერა მასხარამ. — ნახე როგორი გულადი გაგხადო!
- წამოდი, აუზში ვიბანაოთ.
- აგრე, ყარაული დაგვინახავს, — ცოტა არ იყოს შეფიქრიანდა მასხარა.
- ნუ გეშინია, ისე შევიპარებით, ვერ დაგვინახავს, შეეხვეწა ზვიადი, — მე ვპედავ, შენ რა მოგივიდა, ხომ არ გეშინია?
- მე და მეშინია? წამო, ვიბანაოთ! — შეიფერა გულადი კაცის სახელი მასხარამ.

— ბიჭები ეზოდან გავიდნენ, ტანისამოსი გაიხადეს და ღობის გარეთ ქვის ქვეშ ამოდეს, მერე ღობიდან გადმოვიდნენ, ზვიადმა მოურიდებლად გააღო აუზის კარები და მასხარა შიგ შეუშვა, მერე კარები ისე მაგრამ მიაჯახუნა, რომ ყარაულის ყურადღება მიიქცა. როცა დარწმუნდა, ყარაული ხედავდა, გაქანდა და აუზში მოადგონა ტყაპანი.

- პიო, თქვე შობელძაღლებო! — გინებით გამოეწოო ყარაული.
- ზვიადმა არაფრად ჩაგდო მისი ბობოქრობა და აუზში ცურვა განაგრძო. მასხარამ ამოსასვლელად გაიწია, მაგრამ მიხვდა, რომ ყარაულს ვერ გასწრებდა, მობრუნდა და აუზზე გადებულ სქელ ძელს ამოეფარა.

კარებში ყარაულმა შემოყო თავი.

- აბა ეხლავე ამოდი, ყურები დაგახიო!
- ზვიადმა ყური არ ათხოვა, ცურვა განაგრძო.
- ერთი უყურე, კაცო, ამ თავხედ მამაძ!..
- არ შეაგიო, თორებ თავის დავიხრჩობ! — გააფრთხილა ზვიადმა.
- შენ რომ არ დაიხრჩო, მე დაგახრჩობ! — ქვა აიღო ყარაულმა და ესროლა, ზვიადისაგან სულ ახლოს დაეცა ქვა.
- ზვიადმა აღარ დააყოვნა, ერთი შეფართხსლება და წყალში ჩაყინთა. ტალღების რგოლები მორიგეობით დაძრნენ ნაპირისაკენ. ცოტა ხნის შემდეგ ტალღებიც გაქრნენ და ზედაპირი დაწყნარდა.

შიშისაგან დაზაფრული მასხარა ძელს ჩაჭიდებოდა და სუნთქვი-

საც ეშინოდა, ყარაულმა არ დამინახოსო.

— ვაიმე, ხომ არ დაიხრჩო?! — შეშინებულმა წაიბუტბუტა ყარაულმა.

წყალი ისევ უძრავად იყო.

— ვაიმე, კაცო, ვაიმე! დავიღუპე! — მოუმატა მოთქმას ყარაულმა და ის იყო ღრიალი უნდა დაეწყო, მიშველეთო, რომ ზეიადმა წყლიდან ამოყო თავი. შვებით ამოისუნთქა ყარაულმა. მერე ისევ მიეცა გული და კვლავ შეუტია ბიჭს.

— თუ არ შემეშვები, ეხლა კი მართლა დავიხრჩობთ თავს! — და-ემუქრა ზვიადი.

— რა გინდა, ბიჭო, ხომ არ უნდა გამაგიჟო?! — ამოდი მაღლა, ხელს არ გახლებ!

— კარებს მოსცილდი და ამოვალ!

ყარაული რამდენიმე ნაბიჯით მოსცილდა კარებს.

ზვიადი ახლოს მიცურდა და დაუძახა, — კიდევ წადი იქითო. ყა-რაულმა შეუსრულა მოთხოვნა, — კიდევ! კიდევ! — იძახოდა ზვიადი, ისიც ნაბიჯნაბიჯ იხევდა უკან.

უცებ ამოხტა აუზიდან ზვიადი, გამოძვრა კარებიდან და ღობისა-კენ მოკურცხლა. ყარაულიც მაშინვე გამოენთო, დიდი სურვილი ჰქონ-და, ეს თავხედი ბიჭი დაეჭირა და ერთი მაგრად მიებეგვა.

ზვიადი ღობეს შეახტა და თვალისდახამხამებაში ზედ გადააფრინ-და. პირში ჩაღაგამოვლებული ყარაული ღობის შიგნით დარჩა და თავის უსუსურობის გასაფარავად გინებით იკლებდა იქაურობას.

ზვიადმა ქვის ქვეშ ამოდებული ტანსაცმელი გამოაძვრინა და დინ-ჯად დაიწყო ჩაცმა.

შეშინებულმა მასხარამ აუზის კარებიდან გამოიხედა, დარწმუნდა, ჩემთვის არავის სცალიაო და მოკურცხლა.

ყარაულმა მაშინ მოასწრო, ფიცრის ღობეს რომ ეფოფხებოდა. ის იყო ცალი ფეხი გადაყო, მეორე მხარეს, რომ ტრუსში სტაცა ხელი, ძალუმად ჩამოსწია, სულ ერთიანად ჩამოახია და მასხარამ დაბლა გაადინა ზღართანი. ყურში სტაცა ხელი და დედიშობილა მასხარა ფეხზე წამოაყენა. ბიჭი მარცხენა ხელს სასიცრხო ადგილზე იფარებ-და, ყარაული კი ისე მაგრამ ექაჩებოდა ყურს, ფეხის წვერებზე იდგა საცოდავი მასხარა. ბაღის კუთხეში შეყუული ბიჭები სიცილისაგან იგუდებოდნენ.

— აბა, წამოდი! პირდაპირ დედაშენთან უნდა მიგათრიო! — უბრ-ანა ყარაულმა და ფეხის წვერებზე აზიდული მასხარა გოგილაანთ

უბნისაკენ წაათრია.

ზვიადმა ღიმილით გახეთა ამ პროცესიას. მერე შარაგზაზე გავიდა, ერთმა ხორბლის ტომრებით დატვირთულმა მანქანამ ჩაუარა. ზვიადმა ხელი აუწია, — გააჩერეო, ყურიც არავინ ათხოვა. გაცხარებული მოსავლის აღება იყო და შირაქიდან წნორის პურპროდუქტების ბაზაში ეზიდებოდნენ ხორბალს.

მეორე მანქანისათვის ხელი აღარ აუწევია. გამოეკიდა, ძარის უაკანა ბორტს ჩასჭიდა ხელები, აფოფხდა და ტომარაზე დაჯდა. ძარაზე, წინ კაბინასთან ორი კაცი იჯდა, მათ გაბრაზებით ხელების ქნევა დაუწყეს ბიჭს, ეტყობოდა, ზვიადი არად აგდებდა მათ მუქარას, არხეინად იჯდა ნაპირა ტომარაზე. ერთი კაცი აღგა, ზვიადთან მივიდა, ხელი მოჰკიდა, და გვერდით მოისვა, მალე მათ შორის გულთბილი საუბარი გაიმართა...

მირახრახებდა ხორბლის ტომრებით დატვირთული მანქანა ოღროჩოლრო გზაზე და თან მიყავდა ცხოვრების დინებას შეჭიდებული ბიჭი; მას კი წინ უამრავი მუხთალი მორევი ელოდებოდა, ეყოფოდა ენერგია ყველა გადაეცურა, თუ რომელიმე პირლია უფსკრულის მსხვერპლი გახდებოდა, ეს ჯერ განგების მეტმა არავინ იცოდა...

ადამიანი და ძაღლი

დიდი მონადირე არ გახლავართ, მაგრამ ვინმებ რომ მკითხოს, ნადირობასთან რა კავშირი გაქვსო, თავს გამოვიდებ ჩემი ათასგვარი თავგადასავალის მოყოლით.

ტყეილის მართალზე დაჭარბება მონადირის თვისებაა, მაგრამ ეს თვითგანდიდებით კი არ ემართებათ, ბუნებაში მყოფ და მის წიაღში გაზრდილ ადამიანს უკიდეგანო ფანტაზია აქვს და რა ქრნას, სადმე ხომ უნდა ამოხეთქოს ვულკანივით ამ ბობოქარმა ვნებამ.

სად უნდა მოხდეს ეს, თუ არა ამბის თხრობისას შენთან, ჩემთან, სხვასთან და ოუნდაც ყველასთან ერთად ფრთხილად კი უნდა გაგანდროთ ჩემი საიდუმლო: არასოდეს მონადირედ არ მომქონდა თავი; საიდუმლოდ-მეტე იმიტომ ვამბობ, რომ მონადირეებს შორის ამას არ ვამჟღავნებ, რადგან მათი ფანტაზიის დასაოკებლად მჭირდება ხოლმე ზოგჯერ ჩემი მცირეოდენი გამოცდილება. გამოცდილება კი იქიდან მეწყება, როცა მე და ჩემბა მეზობელმა ნიკამ ძეგლებური თოვის დაუანგული, დაკუთხული ლულა ვიპოვეთ; მაშინვე გამოვთალეთ კონდახი, მავთულებით და იატაკის ლურსმნებით საიმედოდ დავამაგრეთ ჩენი მრავალ ნატანჯი თოვის ლულა, გავტენეთ მავთულის ნაგლეჯებით და ხევში უნაყოფო ლელვის ხესთან დაგაქუხეთ ჩვენი მომავალი საგმირო საქმეთა იმედი; მის ძალაში უმაღლ დავრწმუნდით, როცა ლელვის ქრქში გაჩრილი ჩენი „კარტეჩის“ კვალი დავინახეთ, რომელიც ახლაც ეტყობა თავგანწირული კვლევის ნიშნად.

მაშინვე აგვეშალა ნადირობის საღერღელი; რად უნდა დაგვეწვა მუქთად დიდი წვითა და დაგვით ნაშოგნი დენთი, როდესაც ჩვენს კენახში ერთი მოზრდილი ნაცარა კურდლელი მეგულებოდა, შურდულით ვერაფერი დაგაკელი და ახლა ხომ ჩემს ხელში იყო იმისი სული. თოვი ხელახლა გავტენეთ და სანადიროდ წასასვლელად მოვემზადეთ, თოვი კი არა, მთელი საარტილერიო დანადგარი იყო, ერთს ხელში უნდა სჭეროდა და დაემზადებინა, მეორე კი ანთებულ ასანთს დაადებდა საპირისწამლეზე; ამ წესით დაბმულ კურდლელს თუ მოვკლავდით, ისაც დიდი გამარჯვება იქნებოდა.

სანადიროდ კი წავიდოდით, მაგრამ კურდღლის ადგილსამყოფელი რომ არ ვიცოდით, რაღა ჩვენს მისვლაზე გამოვიდოდა მაინც და მაინც, წინ დაგვიცუცქდებოდა და გვეტყოდა, მესროლეთ, თორემ თუ გავტოკდი, ეგ თქვენი უანგიანი ლურსმებით გატენილი თოვი ეშმაგმა იცის რომელ ვაზს შეამტკრევს ნაფერებ რქებსო.

ძაღლი იყო საჭირო, წინააღმდევ შემთხვევაში შეიძლება ნადირობა უიღბლო გამოგვსვლოდა. სად გვეშოვნა ძაღლი?

ჩვენთვის მაშინ მნიშვნელობა არა ჰქონდა მონადირე იყო, თუ მგლის მახრჩობელა ქფაკი, მთავარია ყოფილიყო ძაღლი, მის დანარჩენ ფუნქციებზე წარმოდგენაც არ გვქონდა.

ჩვენი „ჭრელო“ გავიხსენეთ, ცოტა კი შევფიქრიანდი, მაგრამ სხვა იმაზე უკეთესი ძაღლი არ გვეცულებოდა და გადავწყვიტეთ მისი წაყვანა.

ჭრელო ისეთი ავი იყო, ჭერმის ხეზე, რომელზეც მთელი დღე იყო მიბმული, ჩიტი რომ შემოჯდებოდა, იქამდე უცუფდა, სანამ არ დააფრთხობდა; ბრაზისაგან საკუთარ ბალანს იგლეჯდა ხშირად; ჯაჭვა და სალაფავის გობს ენა რომ ჰქონოდათ, ჩივილით აიკლებდნენ ქვეყანას, ისეთ დღეში აგდებდა. ღამე მავთულზე გაბმული ეზოს აღმა-დაღმა ურბენდა, შინაური ყველა ფრთხილობდა, თორემ გარეულს ქუჩის გაღმა ედავებოდა. ჭრელო ჭრელი იყო და ისეთი ავი, თავის თავსაც არ ინდობდა ხოლმე, სწორედ მისი წაყვანა გაღავწყვიტეთ კურდღლზე სანადიროდ.

იმისი ხასიათი ვიცოდი და მოსაქრთამავად ჩანთაში ოთხი შოთის პური ჩავდე; ჭრელო ქრონიკულად შიმშილობდა და ვიცოდი, საჭმელზე უარს არ იტყვოდა.

გვიანი შემთხვეობა იდგა, ხეებს ფოთლები გასვცვენოდა, ბუნება თოვლის მოსვლას ელოდა და დასახვედრად მომზადებული იყო. უფროსებს რომ დავენახეთ, ძაღლის აშვებას არ დაგვანებებდნენ, ამიტომ ბაღჩაში, სადაც ის იყო ჭერმის ხეზე მიბმული, ბოლოდან შევიპარე. ჭრელომ უნდობლად შემომხედა, შემომიღრინა, მიცნობდა, ხშირად სალაფავსაც ვაჭმევდი, მაგრამ ასეთი ჰქონდა ხასიათი და რას იზამ. პურის ნაჭერი გადავუგდე, ჰაერშივე დაიჭირა და სწრაფად გადასანსლა. კუდი ქმაყოფილებით გააქიცინა. გული მომეცა, ახლოს მივედი და საყელურის შეხსნა დაგუწყე, მიხვდა, აშვებას მიპირებენო და გაუხარდა, თამაში დაიწყო. ძლივს გამოვხსნა აპზინდა, ისარივით გავარდა ბაღჩაში, დავუძახე და კიდევ ერთი ლუკმა მივუგდე, პირი დაავლო, იქვე დაწვა, თათებს შუა მოაქცია და მაღიანად შეექცა.

ბაღჩის ბოლოსაკენ წავედი, სადაც გადამტვრულ ძეძვის ღობეზე უნდა გადავსულიყავი, გადაღმა კი ნიკა მელოდებოდა ჩვენი გატენილი მუშკეტით. ძალლს დავუწრუწუნე და ღობისაკენ წავედი, ადგილიდან არ დაძრულა, ცნობისმოყვარის თუ გამორჩენის მომლოდინე თვალი გამაყოლა. ღობეზე შევდექი, პატარა პურის ნაჭერი გარეთ გადავაგდე ძაღლის დასანახად, რომელიც ისე გადაევლო ღობეს, კინაღამ მისმა ქარმა წამიღო. ძალლმა პური შეჭამა და მოგვიბრუნდა; მე და ნიკა უკვე ერთად ვიდექით, არ მოეწონა უცხო პირის დანახვა და ღრენით გამოექანა მისკენ, პურის კადევ ერთი ნაჭერი გადავუგდე; ასე ლოლი-აობით ჩავიყვანეთ ვენახამდის და პურიც გაგვითავდა. თითქოს გაიგო, პური აღარ აქვთო, ვენახის შეგესასვლელ ხრიხალში წამოსკუპდა და ავად დაგვიწყო ყურება. ჩანთაში ამაռდ ვაფათურებდი ზელს, შიგ ერთი ნამცეციც აღარ დამრჩენოდა; ცარიელი ზელის ამოღება და ჭრელოს გაბრაზება ერთი იყო, ჯერ ღრენა დაგვიწყო, მერე დაიყეფა და ნიკასკენ გამოქანდა. ნაძირობას ვიღა ჩიოდა, საკუთარი თავი გაგვიხდა საზრუნავი. ნიკამ თოფი ზელიდან გააგდო და იქვე მდგარ შავი ლეღვის ხეს შეახტა; ჭრელი ზედ შეაფოფხდა და ბიჭს რომ ვერ მისწვდა, ხეს დაუწყო ღრენა. მე დაბლა დაგდებული თოფი ავიღე, ძალლს დავუძახე. ხის ღრენას თავი ანება და ჩემკენ გამოეშურა, ღრენით მომიახლოვდა, რამდენჯერმე შემომყეფა, აშკარა იყო, კბენა-საც არ დამამადლიდა.

— ამოდი, ზეზე, თორემ დაგგლეჯავს! — გამაფრთხილა ნგიკამ. ძაღლის ავად დაღრჭენილ კბილებს რომ შევხედე, რჩევა ჭკუაში დამიჯდა, და ლეღვის ხეს შევაფოფხდი მთელი ჩემი აღჭურვილობით. ღრენით მომყვა, შემომყეფა, გაბრაზებულმა წიხლი მოვუქნიე, იმანაც თავისი სცადა და ფეხის წვერში გამისვა კბილები; ახლა უკვე გაგულისებული ასკდებოდა ლეღვის ხეს, მაგრამ მე სამშეიდობო სიმაღლეზე ვიყავ აფოფხებული, თუმცა მარჯვენა ფეხიდან სისხლი მწვეთავდა.

— თოფი უნდა დავცე ამ საოხროს! — ცრემლის ყლაპვით გავანდეჩემი აზრი ნიკას.

— ეგ როგორ მოხერხდება, მე მაგ ტოტზე ვერ გადმოვალ და ასანთს როგორ მოიხმარ?

— აი, ნახე! — ვუპასუხე და ქამარი მოვიხსენი.

თოფის კონდახი გამხმარ ტოტზე მივაყრდენი და ქამრით მაგრა მივაკარ ტოტს; ნიკამაც გადმომიგდო თავისი ქამარი და ისიც მაგრად დავაზვიე. თოფი ლულით ქვევით სამედოდ იყო მიბმული იმ ხეზე,



რომელსაც ჩვენი ჭრელო ღრენით და ყეფით ეფოფხებოდა. მოცილებით ტოტზე გადავჭრი, ასანთი გავკარ და საპირისწამლებზე დავდე. თოფ-მა იქნება თუ მიწა იძრა, აღარ მახსოვს, ტოტი ფეხქვეშ გამომეცალა და დაბლა მოვადინე ზღართანი. გონს რომ მოვედი, ძალლის წკავწკავი შორიდნ მოისმოდა და თანდათან იკარგებოდა. ნიკა თავზე მაღდა.

- ვერ მოვკალით? — ვკითხე.
- მოკვლაზე რა მოგახსენო, მაგრამ ერთი ორი ლურსმანი რომ ჩაერწობოდა, ეჭვიც არ მეპარება; სულ სიძლვრით მოუსვა შინისაკენ,
- ამიხსნა საქმის ვითარება ნიკამ.

მას შემდეგ თოფის ხმაზე ჭრელოს ისტერიული წკმუტუნი და ყეფა ემართებოდა ხოლმე; მე კი მარჯვენა ფეხზე სამუდამოდ დამრჩა მისი კბილების ნაკვალევი.

ამ უიღბლო ნადირობის შემდეგ გავიგე, რომ თურმე ყველა ჯიშის ძალლს თავისი კონკრეტული მოგალეობა აქვს: ერთი სახლს დარაჯობს, მეორე ქურდის მოძებნაში ეხმარება ადამიანს, მესამე — ფრინველზე ნადირობს, მეოთხე — ღორზე, მეხუთე, მეექვსე და ასე შემდეგ. მათი ფუნქციების არევა მხოლოდ გაუგებობობას გამოიწვევს და შეიძლება იმაზე უარესი შედეგიც მოჰყვეს, კურდღლელზე ჩვენს ნადირობას რომ მოჰყვა.

არ ვიცი, რა ვუწოდოთ ჭრელოს მიმართ ჩემს მოქმედებას; ხეზე ვმჯდარიყავი, დავლოდებოდი, ის იყევებდა და ბოლოს წავიდოდა, აბა რას იზამდა, ჩვენც თამამად ჩამოვიდოდით ჩვენი თავშესაფრიდან, მაგრამ, ალბათ, ფეხზე კბენამ გამაღიზიანა, იმიტომაც ჩავიდინე ესოდენ გაუმართლებელი საქციელი. რას ვერჩოდი, რა მინდოდა, ის თავის მოვალეობას უკეთ ასრულებდა, ვიდრე ევალებოდა, რა ნადირობა მოვუნდომე მთელი სიცოცხლის განმავლობაში ჭერმის ხეზე მიბმულ, გაავებულ ძალლს. ჩემმა უცოდინრობამ და პირადმა წყენამ უმაბურობის გზაზე დამაყენა, მაგრამ მოგვიანებით ისეთი უმაბურობის მოწმე გავხდი, რომ ერთხანს ეს სინანული თითქმის გამიხუნა.

საშუალო სკოლა რომ დავამთავრე, პირველ წელს ცხვარში გავყევი პაპაჩემს. რამდენიმე დღე ვიყავ მის ბრიგადაში, მერე მოგვიდა ხელი და მეზობელ ბრიგადაში, თავის ამხანაგთან, ცხვრის კარგ მცნობთან, ვანო ბაღაშვილთან მიმიყვანა, იმას ჩამაბარა და უთხრა:

— ვანო, ე ბიჭს მიმიხედე, იგრე ამუშავე, როგორც ნამდვილ მწყემსს ეკადრება; მე ვერ გამიმეტებია და შეიძლება გაფუჭდეს.

დამიტოვა ვანომ ბრიგადაში, ჯაფას და მეცხვარეობის საპატიო საქმის შესწავლას არ მაკლებდა, სანამ ერთ მშენებელ დღეს ჩვენი პაპა ვანოს მაგიერ ბრიგადირად კოლმეურნეობის ყოფილი გარაჟის გამგე არ მოგევლნა და თან ორასი სული ცხვარიც მოაყოლა.

— ცოტა საქმეები აიფუტგნა გარაჟში, რაღაც რაღაცეებს მედავებიან; ერთი წელი გაგრებდები აქ, სანამ მიწყნარდებიან ავი ენგბი და მერე ისევ იქაურობას მიუბრუნდები, თორემ ამ მიყრუბულ მინდორ-

ში რა გამაძლებინებს, — გამოგვიცხადა.

მწყემსთა ბინაში ყოფნა არ ინტება, გვერდით, ცხვრის საკვებსა და ძალლის ჯერს რომ ვინახავდით, ის ოთახი გამოათავისუფლა, გამოასუფთავა და ასე ვთქვათ, თავის საკუთარ კაბინეტად აქცია ისე, რომ თუ მსედველობაში არ მივიღებთ, იმ ორას სულ ცხვარსა და მის ყოფნას გვერდითა ოთახში, ჩვენ ყოფაში დღიდი არაფერი შეცვლილა.

დანარჩენები, როგორც ვცხოვრობდით ძველებურად, ისევე დავრჩით, ვანო პაპაც ჩვეულებრივად ასრულებდა მწყემსის მოვალეობას, სულაც არა სწერნია ბრიგადირობიდან გადაყენება, ის ხომ სულით და ხორცით მეცხვარე იყო და ბრიგადირობას მხოლოდ ამხანაგების თხოვნით ითავსებდა.

გარაჟის გამგეს ტიგრანა ერქვა, სულ იმ ორას ცხვარს უტრიალებდა, არაფერი არ აინტერესებდა და არც გულზე ეხახვებოდა; დღეებს თითოებზე ითვლიდა, უკან მიბრუნებას ჩქარობდა. მწყემსებმა ასე თუ ისე მიიღეს და შეეგუვნენ მის ბრიგადირობას, მაგრამ ძალლებმა, შვიდი იყვნენ, ვერაფრით შეითვისეს ის კაცი. პირველსავე დღეს საჩეხის კიბესთან დაწოლილ მურიას წიხლი ამოჰკრა. — ჰაგა, შე საოხროვ, აქ რას დაგდებულხარ! — უყირა. ძლიერი, მორჩილი და ზეიადი იყო მურია, ასეთ დამცირებას ის ვანო პაპასგანაც არ მოითმენდა და ეს ვინ იყო, ვიღაც ახლად გამომცხვარი უფროსობას რომ ჩემულობდა; ბინაშიც მწყემსების ხათრით შეუშვა თორეგ... მურია ლომივით აიჯაგრა და ისე დაიბუზუნა, კედლები შეირხა, მის ხმაზე შვიდივე ძალლი იქ გაჩნდა, ტიგრანამ ოთახში შეასწრო, თორეგ ძვირად დაუსვამდნენ კადნიერებას. მას შემდეგ ისე ცხოვრობდა, როგორც ამოსაფრევევად გამზადებულ ვულკაზე, ძალლები აშკარად არ ესხმოდნენ თავს, მაგრამ მის დანახვაზე ერთმანეთს რაღაცას ღრენით მაინც ჩაულაპარაგებდნენ ხოლმე, ტიგრანა კი ოთახიდან კომბალისა და თავისი განუყრელი თოვის გარეშე არ გამოდიოდა.

— იქნება გვეცადა, ძველებური აბჯარი გვეშოვნა სადმე, მაშინ მთლად დაზღვეული იქნებოდა.

— აბჯარი კი არა, მურიას და ბოლვერას ჩვენი ხათრი რომ არა ჰქონდეთ, ტიგრანა ტანქშიც რომ იჯდეს ვერ გადაურჩებოდათ. — ხუმრობდნენ მწყემსები.

მურია დედალი ძალლი იყო, ბოლვერა კი — მამალი; დანარჩენები ყველა მათი შთამომავლები იყენენ, მათ ოჯახს ეკუთვნოდნენ. მარტო ვანოს ბრიგადაში კი არა, ბოლვერასა და მურიას ნამრავლით მთელი მეცხვარეობის ფერმა ამაყობდა. მძლავრი კავკასიური ნაგაზები მგლის

ხსენებას აქრობდნენ ბინების სიახლოვეს, ცხვარს ხომ მწყემსებივთ უვლიდნენ.

ნოემბერი იყო. ტარიბანაში ვიდექით. დილით ცხვარი ორ ფარად გაყვეს, ერთი ხრამს გაღმა, ბინიდან მოცილებით წავიდა საძოვარზე, მეორე კი იქვე, ახლოს, გორის ფერდას შეეფინა. მწყემსებს როგორც წესი, რომელი ძაღლის გაყოლაც უნდოდათ, იმას დაუძახებდნენ ხოლმე, დანარჩენები ბინაზე რჩებოდნენ. ხრამს გაღმა საძოვრად წასულ ფარას ბოლვერა გაჰყვა. საღამოთი ცხვარი მორეებს, დააბინავეს და სანამ დავიძინებდით, ბინაზე შევიკრიბეთ.

— რაღაცა, ბოლვერას ვერ მოვკარ თვალი, ხომ არავინ იცის, რა იქნა? — იკითხა ვანო პაპამ.

— დილას მე გამომყვა ხრამს გაღმა, — თქვა ციხელომ, რომელიც თავის დაუდევრობით ცნობილი იყო, — პოდა, — იქიდან რომ მოვბრუნდი, აღარსად ჩანდა.

— მემრე, არ დაუძახე?

— ხრამს გამოღმა რომ გადმოველ, მაშინ გავიგე, ერთიორჯერ კი შევძახე, მაგრამ ცხვარს თავს ხომ არ დავანებებდი.

— აქ რომ მოსვედი, რატომ არა თქვი, შე დამთხვეულო! არ იცი, რომ ბოლვერა შემთხვევით არ ჩამოგრჩებოდა?! — გაუბრაზდა ვანო პაპა. — რომელი ცხვარი დაგაკლდა, ვერც ეგ გაიგე?

— ცხვარი რაზე უნდა დამკლებოდა?

— ბიჭო, ე ტიგრანას მოყვანილი ცხვრები, ეშმაკმა იცის ვისია, ან რა საქმეს ემსახურებიან, გზათა უკან ყრიან ბატქებს, დოლი მაგათ არ იციან და წესრიგი, ეტყობა რომელიმე მოიგო და ჩამოგრჩა, ბოლვერა თავს არ დაანებებდა, ვერ უნდა მიმხვდარიყავ, შე ბოოე! საწყალი ძალლი, მგონი გველოდება, მოვლენ და მომებმარებიანო; აბა, რა უნდა გელაპარაკოს კაცი! ბიჭო, რამდენი ხანია ჩვენთანა ხარ და ამ დალოცვილ მწყემსობას ალლო კი ვერ აუღე! — გაუბრაზდა ყურებ-ჩამოყრილ ციხელოს პაპა.

ამ დროს თავისი ოთახიდან ტიგრანა გამოვიდა, ფიცრის კედელს იქით ყური მოეკრა საუბრისათვის, მაგრამ კარგად ვერ გაერკვა საქმის ვითარებაში და ცნობისმოყვარეობამ ვეღარ მოასვენა.

— რას ამბობდით, რა მოხდაო? ცხვარი დაიკარგა თუ ძაღლი, ვერ გავიგე კარგად? — იკითხა.

— ძაღლი დაიკარგა, მაგრამ სად წავა, აი ცხვარი კი გვაფიქრებს, მგლებმა არ გაგლიჯონ, — უპასუხა შეწუხებულმა ვანო პაპამ, — მოსაგებად ჩამორჩა ალბათ და...

— ცხვარს თქვენი ძალლების მეტი მგელი რად უნდა! ცხვარი ჩამორჩა და ძალლიც მშვენივრად დანაყრდება, — დაასკვნა ტიგრანამ.

— შენ ნამდვილ ცხვრის ძალს არა სცნობ, თორემ მაგას არ იტყოდი, — გაუნაწყენდნენ მწყემსები.

— თქვენა სცნობთ, და ზვალ პირსისხლიანი რომ მოგადგებათ, მაშინ ხომ დაიჯერებთ.

— ეს, რა გელაპარაკოთ, უმალ ვირი ხეზე გავა, ვიდრე ჩვენი ძალ-ლი ცხვარს შეჭამს! — დაასკვნეს მწყემსებმა.

— მაგას სულ მალე დაგიმტკიცებთ, გათენდეს!

— იმ შენი გარაჟის მანქანებისა ჩვენ უფრო მეტი გვესმის, ვიდრე შენ ცხვრისა. ბიჭო, შენ ანბანიც კი არ გინდა გაიგო, ბრიგადირად რომ დაგნიშნეს, ის ხომ არ დაუკალებიათ, ცხვრის უნახავმა მწყემსებს მეწყემსობა ასწავლეო, დაგვიჯერე, თუ ცოტა რამ გინდა გაიგო მეცხვარეობისა! — უსაყვედურეს მწყემსებმა.

ტიგრანა იმ კატეგორიას არ ეკუთხნოდა, ვინმესთვის რამე დაეთმო, ან თავისი აზრი უკანვე წაედო, მტკიცედ იდგა იმ აზრზე, რომ ძალლი ცხვარს შეჭამდა. მწყემსებმა ვერაფერი შეასმინეს და მასთან დავას შეეშვნენ, შეაყარე კედელს ცერციონ, ხელი ჩაიქნიეს და სხვა თემაზე გადაიტანეს საუბარი, ბოლოს ისიც დაადგინეს, რომ ცხვარი შეიძლება ტიგრანასი ყოფილიყო, რადგან წარამარა ისინი იგებდნენ ბატქნებს; ბრიგადაში დოლის დაწყებას კი თებერვლის მეორე ნახევ-რიდან ვარაუდობდნენ.

— ხომ ვთქვი, ეგ თქვენი ძალლები სულ დაჭამენ, რაც ცხვრები მომიყვანია! — აყვირდა ტიგრანა. — რად გინდათ ეგ საოხროები, რის მაქნისები არიან, ამოღენა სალაფავს აოხრებენ, რაც აქა ვარ მგელი არ მინახია, თუ გამოჩნდება, თოფი არა გვაქვს?! მარტო პატრონებზე და ცხვარზე იწევენ, უნდა მოვაშოროთ სუყველა!

— დაფიქრდი, ბალლო, რას ამბობ! — გაუწყრა ვანო პარა. — მგელი იმიტომაც ვერ გვეკარება, ეს ძალლები რომა გვყავს, მთელი ღამე ფარებს გარშემო უვლიან, ამ კუნაპეტ დამეში თოფით რა უნდა გააწყოს კაცმა, ერთი მგელი რომ შევარდეს ფარებში, იცა, რომ ნახევარ ფარას გაწყვეტავს?! უძალლოდ მარტო კომბლებიდა შეგვრჩება ხელში.

— თქვენ რას გაგაებინებთ კაცი, პირი გაქვთ შეკრული, ხვალე დაგანახვებთ, რა ძალლებიცა გყავთ! — გაბრაზებულმა ტიგრანამ მიგ-ვატოვა და თავის კაბინეტში ჩაიკეტა.

— თოფი დაიდოს გვერდით და იმედიანად დაიძინოს, რომ მაგის

შიშით ცხვარს მგელი არ გაეკარება, რა გვეშველება ეგ ჭირი თუ დიდხანს დარჩა ჩვენთან, გარაუის გამგის ყაიდაზე მუშაობს, მანქანებს კი მგლები არ ეტანებიან; სანამ მაგას შეეგონებთ, რომ ცხვარი მანქანა არ არის, ჩვენ კიდევ მძღოლები და შემკეთებები, გაგვინდავდეს შეიძლება ამხელა ნაამაგარი.

— ნუ გეშინია, ცევრის გემო კარგად იცის, აბა საიდან მორეკა ეს ორასი სული, სულ დარჩეული დედა ცხავრია.

— ამბობენ მაიდან ნახევარზე მეტი თავმჯდომარისა არისო.

— ვისიც გინდა იყოს, მააცილოს აქედან, თორებ სულ კოლექტივისად გადაუერამთ, რაზე უნდა ვემსახუროთ ვიღაცის ცხვარს მუქთად! — ხმამაღლა დაობდნენ მწყემსები ისე, რომ ფიცრის კედლის იქით ტიგრანას ესმოდა ყველაფერი.

ბრიგადირსა და მწყემსებს შორის ურთიერთობა მწვავდებოდა. ორი მწყემსი წავიდა ფარეხში დასაძნებლად, საღაც მათთვის ტახტები იყო გამართული, ჩატარებული იყო მათთვის ტახტები და მოსასვენებლად მიღწეული.

დილით აღრე გარეთ პირველმა გასულმა ყვირილი ატება: — გა-
მოდით გარეთ, ხალხო, ნახეთ რა ამბავა!

ყველანი სასწრაფოდ საჩქეში გავცილდით და გაკირვებული იქავე გავშემდით. ბოლვერა მოლად სისხლში მოსვრილი ბოძთან იწვა, დაგ-ლევილი ცხვირიდან და ტუჩქიდან სისხლი მოჟონავდა, ტანზე აღა-აღავ ბაღანი ამოგლევილი ჰქონდა და წითლად ხორცი თუ ტყავი უჩანდა, დრო და დრო მარჯვენა თათს იღლოკავდა, დანარჩენი ძალები გარს შემოხვორდნენ და რაღაც თანაგრძობით შეცყრებდნენ.

— ეტყობა, მგელთან იჩუბა, — დასკვნა ვანო პაპა. — მაგრამ ცხვარს მაინც არ მიატოვებდა, რმოელიმე ძალლი მიეშველებოდა, მურია არა ჩანს, ნამდვილად ის დარჩა ცხვართან, ეს კი ჩვენთან ამბის მოსაზღაპარ მოვიდა.

— მცელი კი არა, ნამდვილად ჩემი ცხვარი შეჭამა, მაგ საოხრომ იარება გამძლარი. წამოდგომაც კი უზარება! — შეიცხადა ტიკრანამ.

— რას ამბობ, ბიჭო, ნორმალურ ჭკვაზე ხარ? ვერ უყურებ, როგორი ნაომარი! — ვანო პაპას ამ სიტყვებს ტიგრანა აღარ უსმენდა, სანამ მწყემსები რამე გადაწყვეტილებას მიიღებდნენ, მაა ოთახიდან ოოთი ჯამოარბენია:

— შე საოხროვ, ჩემი ცხვრის შექმას არ შეგარჩენ! — დაიჭყოვლა და ბოლოებულ ავთდებში ლოდა დასუა.

ძაღლი ბურთივით წამოკარდა ზეზე, საშინლად დაიყმუვლა, მიწას დაასკვა, ისევ სცადა წამოდგომა. უკანა ფეხიბი ვარაუ აიტანა. ამ-

წარებული ნატყვარს სწვდა პირით და გლეჯა დაუწყო. დანარჩენი ძალლები ყეფითა და ღრენით მივარდნენ ტიგრანას.

— ყველას დაგხოცავთ, თქვე მგლის დაყრილებო! — გაისისინა ტიგ-რანაშ და კიდევ ერთს დაუმიზნა თოფი. იქვე მდგარმა მწყემსმა ხელი აუკრა და ძალლის მოსახვედრმა ტყვიამ საჩენის კრამიტი ჩამოლეწა.



— შე გამჩნდაღლო, ცოფი ზომ არ შეგეყარა! — უკვირა მწევებს-
მა, თოფი ხელიდან გამოსტაცა და იქვე საჩების სვეტზე მოულენა
კონდახი.

ტიგრანამ იწყინა თოვლის დაპარგვა და მწერებს სახეში სილა სთხლიშა.

— უყერეთ, ახლა ჩვენზე გადმოვიდა ეს ნაოხრალი! — დაიქახეს მწყემსებმა და მიერვიენენ. პირველი ისეთი მაგარი მოხვდა ტიგრანას, რომ ზურგით შეიტანა თავისი სამყოფის კარები ოთახში და ლაწა-ლუწით მოადინა ბრაგვანი. გარეთ აღარ გამოსულა, არც არავის მიუკითხება, მისთვის ვის ეცალა.

ბოლვერას წინ ჩავიმუხლდე, მთლად სისხლში ცურავდა, შემომხედა, თვალები ცრემლიანი პქნდა; ყრუდ შემიღრინა, მინდოდა მოვფერებოდი, მაგრამ ეს შეუძლებელი იყო, ძალლი უმაღლრი ადამიანის გამო მთელ მის მოღვაზე იყო გამწყრალი. ცრემლები მომადგა.

— ბოლგერ- ბოლგერ! რა მოდგინს, ბოლგერ?! — გაძარული ხმით
და კრუმლის ქლაპვით აგწურულლდა.

ძაღლმა რაღაც უცნაური, კვნესაგარეული ღრენით მიპასუხა, გამ-შრალი ენით ტუჩზე ჩამოჟონილი სისხლი მოილოკა, თავი მიწაზე დადო და ღია თვალებით მომაჩერდა. როგორი უძირო მწუხარება, სინანული და სამდურავი წავიკითხე მაშინ მე იმ მოძაკვდავი, ადამიანის მოდგმის ერთგული არსების თვალებში იმავე ადამიანის მოდგმის მიმართ.

ბოლგერა მოკვდა...

მწერების გაღმა, დიდი ძეგვის ბუქების გვერდით ტიგრანას ახლადმოგებული ბატქნიანი ცხვარი ნახეს, რომელსაც მურია სდარაჯობდა, ორმოციოდე მეტრის მოშორებით კი სახედარისხელა მიღები იჩდო გაგული.

— ეტყობა მურიაძ იყნოსა ბოლვერას გაჭირვება, მაგრამ ბრძოლის-თვის ვეღარ მოუსწრია საშველად წამოსულს, ბოლვერას რაკი მურია აქ დაუგულებია, თვითონ წამოსულა ჩენთან, უფიქრია, დამინახავენ და მიხვდებიან რაშიც არის საქმეო, ეეს! კარგად მივუხვდით საცოდავს! — ხელი ჩაიქნია ვანო პაპამ და ამდენი წნის კაცი ბავშვივთ აზირდა; მეს აკერთინდი.

საღამოთი ერთად ვებგვერდით, ტიგრანაც ჩვენთან იჯდა, ლაპარაკის განწყობილება არავის ჰქონდა, მარტო კოვზების ჯამებზე მოხვედრის ხმა ისმოდა მხოლოდ. ჩემი ლობიოს ჯამი ხელუხლებლად იდგა, გრიფონით გრი გდაგვაკილა ლუქმი ყოლს, რაღაც ბუშტი ძქონდა

შიგ გაჩრილი, ბოლვერა მახსენდებოდა და ცრემლებს ვერ ვიკავებდი. რამდენიმეჯერ ამოვური კოვზი წვენში, ორი წვეთი ცრემლი მომწყელა და თვალებიდან და შიგ ჩავარდა, ვეღარაფერი დავინახე, უუუ!!! ერთი გამტული ყმუილისმაგვარი გმინვა აღმომხდა. კოვზი დავაგდე, ხელები თვალებზე ავიფარე და ავქვითინდი.

ყველას უჭირდა ჭამა, ძლივს ერეოდნენ თავს, ლუკმა არ გადადიოდა ყელში. ჩემმა შემყურებმა კოვზები დაყარეს და ერთობლივად ამოიგმინეს; ტიგრანა დინჯად განაგრძობდა ლობიოს ჯამის ამოშრობას.

— პირუტყვი ხარ, ტიგრან და არა კაცი! — ქვითინით წამოვიყვირე მე.

— დადექ, ბალლო, ხელუკულმა სილა არ გშამამტყუო! — კბილებში გამოსცრა ტიგრანამ და კოვზი დადო.

— მხეცი არ იაკდრებს, რაც შენ ჩაიდინე, შე გათახსირებულო! — ისტერიულად ავყირდი.

— უურეთ ამ გამჩენბალლს, რაებს მიბედაგს! — ტიგრანა წამოხტა.

— შენ გამჩენს ძალლობა უდა ენატრებოდეს, შე მორიელო! — ვიღრიალე და ჩემი ჯამიდან ლობიო სახეში შევასხი.

— ავკუწავ, ამ ნაბიჭვარს! — ტიგრანამ იქვე კადელზე ჩამოკიდებული ხანჯალი ჩამოგლივა და გამომიქანდა, მეც ვეცი კუთხეში მიყვებულ თოფს და დასახვედრად მოვემზადე; ისე ვიყავი გამწარებული, ბოლვერს გზას გავუყენებდი, თუ შემოტევას გაბედავდა. ერთმა მწყემსმა თოფი ხელიდან გამომტაცა, მერე მკრა ხელი და ნარებზე მიმაგდო; ტიგრანამ ამით ისარგებლდა.

— აგკუწავ, შე გველის წიწილაგ! — დაიღრიალა და ამოღებული ხანჯლით გამომიქანდა.

თვალი ვერ მოვასწარ, როგორ გამოსტაცა ვანო პაპამ ხელიდან ხანჯალი და, სიბრტყით შემოჰკრა მარცხენა ლოფაზე, ახლა ვამბობ, სიბრტყით შემოჰკრა-მეტეი, თორემ მაშინ პირდაპირ მეგონა.

გულშეღონებულმა ტიგრანამ იქვე ჩაიკეცა. მას შემდეგ მარცხენა ლოფაზე ყურის ძირიდან, ქვედა ტუჩის კიდის ჩათვლით, ბრტყელი ზოლი დარჩა სამუდამოდ იმ დღის მოსაგონებლად.

ამ ამბის შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა. უმაღლესი სასწავლებელი დაგმოთავრე და ერთ პატარა წარმოებაში დავიწყე მუშაობა. კოლეგა მყავდა ერთი გიგიშა, პატარა ტანისა და ვერცხლის წყალივით მოძრავი კაცი, თავი უბალლო მონადირედ მოჰქონდა და ისეთი ამბის თხრობა იკოდა, როგორიც შეეძლო იმ მონადირეს, რომელმაც მოელი

დღის აღმა-დაღმა ბოდიალით ბეღურაც რომ ვერ მოკლა. ერთხელ გიგაშამ ეკონომისტი რეზო და მე სანადიროდ წაგვიყვანა. დილით ადრე დავტვირთეთ გიგიშას უიგული და დანიშნულ ადგილისაკენ გავწიეთ. ივრის გამოღმა, ერთ ფერადზე კოლმეურნეობას მეჩერი მზესუმზირა მოსვლოდა, ეტყობა კომბაინის შეტანის ღირსად არ ჩათვალეს, აუღუ-



ბელი მიატოვეს, აღბათ რომელიღაც სტიქიას დააბრალეს და ჩამოწერეს. ჭარბი წევიძების შედეგად ათასი ჯურის ბალაზი, განსაკუთრებით ძურწა, ისე წამოყელყელავებულიყო, მუხლებს ზევით გვწვდებოდა. აქა იქ კი გამხმარი მზესუმზირას ღერო ამოჩრილიყო; ხშირ და ერთ-მანეთზე გადაბმულ ბალაზებში სიარული ჭირდა.

მანქანა ნაკვეთის ბოლოში გავაჩერეთ, ორი ძალლი, რომლებიც გიგიშას თქმით გაფრენილ მწყერებს იჭერდნენ, მოელ გზაზე კი მუხლებს გვაკაწრიდნენ, გამოვუშვით, ჩვენც ჩამოგვარგდით.

ფალასკა რომ შემოვირტყო და თოფი მხარზე გადავიყიდე, რეზომ გიგიშაზე თვალით მანიშნა:

— ერიჲა! ბიჭო, ეგ ისეთი ვიღაცა ჩნას, საჩვენოთ მწყერს არ გაუშვებს, — ჩურჩულით მითხრა და იმდგაცრუებულმა თოფი უგულოდ აიღო ხელში.

გიგიშას ისეთი ფორმა ჰქონდა, მწყერების რისხვა შეიძლება ეწოდებინათ. თავზე გრძელ კოკარდიანი, სპეციალურად ამ საქმისთვის შეკერილი ქუდი ეხურა; ტყავის ნაჭრებჩაკერებული უსახელებო ჟილეტი ეცვა, რომელსაც სამ რიგად მასრების ჩასაწყობი ჯიბები გასდევდა, ქვეშიდან ბრეზენტის „შტურმოვკა“ ეცვა, რომლის ორივე სახელოზე სამსამი სხვადასხვა ზომის ჯიბე ჰქონდა მიკერებული; თასმებით ჯვარედინად მხრებზე გადაკიდებული და წელზე შემორტყმული ორრიგიანი ფალასკა ვაზნებით ჰქონდა სავსე; მრავლად უჩანდა მწყერის ჩამოსაკიდი თასმები, იქავე ქამარს სანადირო დანაუმშვენებდა, ზურგზე ჩანთა ეკიდა, ცოცხლად გადარჩენილ მწყერთათვის სპეციალური ბადით. ჩანთაც მასრებით ჰქონდა სავსე; შარვლის ყველა ჯიბე, რომლის მსგავსი დესანტებს აცვიათ, მასრებით ჰქონდა გამოტენილი.

— ვააა, ვინა ყოფილა ეს გიგიშა, კაცო! — ვერ დაგვარე გაკვირვება.

— რა დრო მოვიდა, საწყალ მწყერებზე ერთი მონადირე იმდენი ტყვიაწამლით მიდის, ადრე ერეკლეს მთელ არმიას არ ექნებოდა. აფსუს, ჰყოლოდა გიგიშასნაირი მეომრები, არ გააზედებდა ბალდადამდის! — სინანულით ინატრა რეზომ.

— ერეკლეზე ჯავრობ და შენი თავი კი გავიწყდება, ერთ მწყერსაც რომ აღარ დაგვიტოვებს! — მოვიჩივლე მე.

— ბოლოს თითო მწყერს მაინც არ მოგვცემს, რა ღმერთი გაუწყრება! — დამაიმედა რეზომ.

გიგიშამ ძლივს მოაგროვა აღმა-დაღმა მოშლიგშინე ძაღლები, წინ

გაირეკა და ბალახით განტეივრებულ ნაკვეთში შევიდა.

მე და ოზომ ინტერვალი დავიჭირეთ და თოფმომარჯვებულები ფრთხილად შევუდექით ჩვენ საქმეს.

— აბა, ჰე, ჯეკა, მარსიკ, ეძებეთ! — ცხარობდა გიგიშა და ბალახს მიარღვევდა, ძაღლები კი სადღაც შორს აფრთხობდნენ მწყერს, ისე რომ ტყვია ვერ მისწვდებოდა. თუმცა სულ მალე დავრწმუნდი, რომ მწყრის მოსაძებნად ძაღლი სულაც არ იყო საჭირო. პირველად სროლა გიგიშამ ატეხა, რომელიც ჩემგან მარცხნივ კარგა მანძილით დაწინაურებულიყო თავის დარეხვილი ძაღლების დევნით. ატეხა სროლა და რა ატეხა, ლულები გაუწიოთლა ალბათ თავის თოფს. ჯეკა, მარსიკ, ჰაი, ჰეის ძახილით და თოფის სროლით გადალახა ბორცვი, მოპირდაპირე მხარეს დაეშვა და ახლა იქ გახსნა ფრონტი.

— ფრონტ!!! — ერთდროულად ხუთი მწყერი ამიფრინდა, ისე შევკრთი, კინაღამ თოფი გამივარდა ხელიდან, გონს რომ მოვედი, დავუმიზნე, სასხლეებს თითო გამოვუსვი, მაგრამ მაშინდა გამახსენდა, თოფი ღილაკზე რომ მქონდა ჩაკეტილი; სროლაც ვერ მოვახერხე, ისე გამიფრინდა სუყველა. დარცხვენილმა რეზოს ვავხედე, ისიც, ეტყობა, ჩემს დღეში იყო, აფრენილი მწყრების გუნდს სინაწელით გაჰყურებდა.

— რა ჰქენი, რეზო, ვერ ესროლე? — შევეხმიანე.

— შორს აფრინდნენ, ტყვიას ვერ მივუწევდი, — იმართლა თავი.

— ნამდვილად! ეს საოხროები, ეტყობა ნაფრთხენები არიან, ძალიან შორსა ფრინდებიან, — მეც ვინუგეშე თავი, არადა ისე ახლოს წამომიფრინენ, კინაღამ ზედ შევდექი.

მწყერი ბუზივით ირეოდა, როგორც არ იყო, ორი მწყერის ჩამოკიდება მოვახერხე, ალბათ სამი ამდენი კიდევ დამეკარგა ბალახებში. რეზოს თასმებზეც ქანაობდა სამი მწყერი. მეორე ფერდიდან კი სროლა არა წედებოდა.

ბექობზე რომ გადავდექით, ბრძოლის ველივით გადაგვეშალა თვალ-წინ გიგიშას მოქმედების ასპარეზი. ფერდა ერთხელ უკვე ჩაეთავებინა, ახლა უკნ ბრუნდებოდა და ჩვენ გვიახლოვდებოდა.

— ჯეკა. მარსიკ! ეძებე, ნახე! — ხმაურობდა გიგიშა და ზოგ მწყერს აფრენამდე, ზოგს კი დაფრენის შემდეგაც ტყვიას ტყვიაზე უგზავნიდა. ძაღლები კი საღდაც, სამას მეტრში დასდევდნენ ერთმანეთს.

ბექობზე შეჩერებულებს გახვითქული გიგიშა შემოგვიერთდა.

— რა ჰქენი, კაცო, რა ცეცხლი დაანთე, გადაგირჩა რამე? — აღფრთოვანებით ჰკითხა რეზო.

- ბლომად გავწყვიტე, მაგრამ რად გინდა რა, ერთიც ვერ ვიპოვე, - უქმაყოფილოდ ჩაიქნა ხელი.

— შენ არ აბიძდი, ჩემი ძაღლები მწყერს ისეთ „სტოიკას“ უკეთებენ, თოფის სროლა აღარც კი არის საჭირო, მარტო მიღი და დაიჭირ, — ეჭვის თესლგარეული ირონიით შევნიშნე.

— რა ვიცი, მაგ საოხროებს დღეს რა ჭირი ეცათ, გადარეულები დარბიან.

— ეტყობა ეგნი არც აღრე იყვნენ ჭკუადალაგებულები, თორებ მარტო დღეს არ გადაირეოდნენ, — არ დავინდე გიგიშა. — ერთად ვიაროთ და მოძებნაში მოგეხმარებით, — შევთავაზე სამსახური.

უკან გამოვბრუნდით. ახლა სამივე მხარგაბმულად ვნადირობდით, ნაკეთი შუამდე ისე გავლიერ, გიგიშას პირი და თოფი არ დადუმებულა, მაგრამ ჯერ ერთიც არ ჰყავდა ჩამოგდებული; მივხვდი, რა მონადირესთან მქონდა საქმე. მე შუაში მივდიოდი, რეზო მარცხნივ, გიგიშა მარჯვნივ მიარღვევდა ბალახს, ძაღლები კი კარგა ხანია აღარ ჩანდნენ.

უცებ გიგიშას ერთდროულად რამდენიმე მწყერი აუფრინდა და იმანაც ზედიზედ ორჯერ ესროლა, — აპაუუ! ჩამოვარდა! — იმისმა ყვირილმა გამაკვირვა.

— მოხვდა! მოხვდა! — იძახოდა და მწყერის დაცემის ადგილისაკენ მიარღვევდა გადახლართულ ძურწიანს.

ჩვენ ორმა წინსვლა გავაგრძელეთ, ის კი იქვე ტრიალებდა და ჩამოვარდნილ მწყერს ეძებდა. ორასიოდე მეტრით ვიქნებოდით ალბათ მოცილებული, რეზომ რომ დამიძახა.

— რა მოუვიდა გიგიშას, მადანი ხომ არ აღმოაჩინა იმ ადგილას, რატომ აღარ სცილდება?!

- მგონი მწყერი მოკლა და ეძებს.
- მაგის მეტი კი დაიკარგა, ეგაც იქ იყოს, რა ჯიგარი დააყოლა, სხვა აღარ არის თუ რა!

— მოდი აქ, რაღაც უნდა გითხრა! — მოვიხმე ჩემთან.

— რა იყო კაცო, ისეთი რა სათქმელი გაგიჩნდა, მერე რომ არ ითქმებოდა, — მოსვლისთანავე მისაყვედურა ძნელ გზაზე ნატარმა რეზომ.

— ბიჭი, მგონი პირველად მოკლა მწყერი მაგ შენმა ნაქებმა მონადირემ, წმოდა, მივეხმაროთ მოძებნაში, იცოდე, აუცილებლად ფიტულს გააკეთებს და ბუხრის თავზე დასვამს ამ დღის სამახსოვროდ.

— მართლა ეგრე იქნება ხომ იცი, თორებ რა ვეღარ შეღევია, —

მანაც გაიზიარა ჩემი აზრი.

როცა ჩენ მივედით, გიგიშას ერთი კალოს ხელა ადგილი თითქ-
მის სულ გაეთელა და მიწასთან გაესწორებინა.

— ბიჭებო, გეფიცებით, აქ ჩაგარდა, ჩემი თვალი დავინახე! — შე-
მოგვეგება მაშველ ძალას გიგიშა.

ერთხანს ჩენც წაგიმუშავეთ, მაგრამ რას იპოვი, თუ შემთხვევით
ფეხი არ დაადგი, ან თვითონ არ დაგიძახა, აქა ვარო, იმსიმაღლე ბა-
ლახია, ბატის მოძებნა გაჭირდება შიგ.

— დავანებოთ თავი, მაგის მეტი რა დაკარგულა! — ხელი ჩაიქნია
რეზომ.

— რას ამბობ! — შეიცხადა გიგიშამ, — იქნება არ გჯერა, ჩემი
თვალით დავინახე, როგორ ჩამოვარდა ფრთხის ფართხალით.

— ჰოდა დაჭრილი იქნება, და თავს უშველიდა, რა იპოვის იმას
ძალლების გარდა, — ძებნას დაანება თავი რეზომ.

— მე ვიპოვი, ვიპოვი! — იმედიანად თქვა გიგიშამ და კედლად
მდგარ ბალახს ცელივით მოუსვა თავისი ჯიბედაჩუტულ შარვლიანი
მარჯვენა ფეხი.

— როგორც ვატყობ, ეს აქედან საღამომდის ფეხს არ მოიცვლის,
— ვუჩურჩულე რეზოს, — რაღაც უნდა მოვიფიქროთ.

— ერთი დაჭრილი მწყერი მყავს, — ეშმაკობას მიმიხვდა ისიც.

— ჰოდა, შენ იცი, — ვუთხარი და ძებნა გავაგრძელე.

— ბიჭოს, აგერ აქ არა ყოფილა! — აყვირდა ბალახებში ჩაცუცქე-
ლი რეზო და მწყერიანი მარცხენა მაღლა ასწია.

— ხომ ვამბობდი, — აქ არის საღღაც მეთქი! — გაიხარა გიგიშამ და
რეზოსთან სულმოუთქმელად მიირბინა, მწყერი გამოართვა და დიდ-
ხანს დაკვირვების შემდეგ, ჩანთაზე მიმაგრებულ ბადეში მოათავსა.

— მარცხენა ფრთასა და ფერმდია დაჭრილი, — შეწუხებულმა
გვითხრა, — შეიძლება არც კი გადარჩეს.

— ნუ გეშინაა, ფიტულად მაინც გამოდგება, — ვანუგეშე. რეზოს
გაეღიმა. ის კი ოხუნჯობას ვერ მიმიხვდა და საქმეში ჩახედული კა-
ცის იერით დამეთანხმა.

ისევ გავიშალენით, ისევ ატყდა სროლა, ის იყო ნაკვეთიდან უნ-
და გამოვსულიყავით, რომ გიგიშას ორი მწყერი აუფრინდა, ერთი
მარჯვივ, ხრამისაკენ წავიდა, მეორემ კი პირდაპირ ჩემსკენ აიღო
გეზი; ერთი პირველს ესროლა, მეორე მეორეს დაადევნა. მწყერზე
რა მოგახსენოთ და მე საფანტი მათრახივით მარჯვენა მხარზე გა-
დამიჭირა, მწყერმა ჩვეული ხმაურით გადამიფრინა თავზე, თითქოს

მეუბნებიდა, ახია შენზე, ეგრე რომ აგვაწიოკეთო და მოშორებით ჩალიანში ჩაეშვა.

მზე ჩასასვლელად იკეცავდა სხივებს, გრილმა ნიავმაც გამოიღვია. მანქანის ახლოს ვისხედით, რეზო კანში გაჩრილ საფანტს დანის წვერით მაყრევინებდა.

— აფსუს, ბიჭო, რა მონადირეს მომკლავდა! — ღიმილით მოვიწუ-წუნე.

— ამას ისე მოუვიდა, ხომ იცი, ერთმა კაცმა თავის ძმის თავზე ნიჩბით ბუზი რომ მოკლა! — დაახასიათა გიგიშას საქციელი რეზომ.

— ამან მწყერი რომ ვერ მოკლა? — სიცილით დავუწუნე შედა-რება.

— რა იმან მოკლა ბუზი? — დაიცვა თავისი თქმულის სისწორე რეზომ.

— ძალიან გტკივა? — წუხდა საწყალი გიგიშა და გარშემო გვირ-ბენაძდა.

— მტკივა კი არა, ხანდახან გაბრაზებულზე ამაზე მაგრა მომიფხა-ნია, — გული გავუკეთე.

— ბიჭო, რაღაზე უფალი მოისმენდა და წელანდელ ნატვრას შემის-რულებდა, ესაც აღარ ვიქნებოდით, რაც ეხდა ვართ! — უცებ შეიცხა-და რეზომ, მუხლებზე ხელი დაირტყა და ძალახებში ჩაჯდა.

გიგიშამ შიშით გაფართოებული თვალები მოგვაპყრო ორივეს.

— რა მოხდა ისეთი?! — სერიოზულად შეშფოთდა.

— ბიჭო, შენისთანა მეომარი რომ ყოლოდა ერკლეს, დღევანდელი მსოფლიოს არსენალიც რომ პქონოდა, ერთ ყიზილბაშსაც ვერ დააკოჭ-ლებდა! — ახარხარდა რეზო და ძალახებზე ზურგით გადაგორდა.

შებინდებამდე მოგვიწია იქ დარჩენა, ვისხედით და ველოდებოდით, სანამ ენაგადმოყრილი და ერთმანეთზე გადაკლირტული გიგიშას ძაღ-ლები გაეშვებოდნენ.

— კარგით, რადგან ესეა, ხვალ ისეთ ძალებს მოგიყვანთ, ნადი-რობის პროფესორები არიანო, იტყვით, ოღონდ დილიდანვე არ მო-სერხდება ნადირობა, ცოტა მოგვიანებით იყავით მზად, — შეგვპირდა გიგიშა.

მეორე დღეს, თერთმეტ საათზე მომადგა თავისი მანქანით გიგიშა. უკანა სავარძელზე ორ ძალლს ჩამოედო თავი, იქავე ტვიაწამლის ახ-ლად შევსებული მარაგი ეწყო.

— წავიდეთ, ახლა გაჩვენებ მონადირე ძალლი როგორია! — იმედი-ანად მიმიპატიუა.

— Ի՞շո՞ւ րածա օյնա?

— Առ մոճուս, ՚մին րածացա Տայմե ցայինինք։

Մյ դա ցոցոմա Շազեգոտ Տանագործութ, օւշու ոմ նակագետ մովագոյնութ, ցշմին հոմ ցուցագուղութ; մանյան հիւշու աջալուն ցաշահերց և առաջու ազութուուտ.

— Խեարու եռմ առ ցտիցա? — մյուտեա Շե՛՛շեծուլմա.

— Արարու մածեսուզե, ցըլա մակլուա միշորու Տագանքմա մաժինու! — ցացուցուն և ցոցոմաց ցաշամետարշուլու.

— Իմ կըօւսլս ցամուցարտոց մալլուեօն, Տվե՛՛նութ կյիմամջու մոմացոլա, Տալամոնշե այցուլուելուա սկան մոմոցանեռ, ատանանագ և ամարոցա, ոց-րու միեցու, առ ցամոնանցուն մալլուեօն.

— Իւ դացարուց մատնչ?

— Իւ ցուց յրտու, մացու ցաշրու մայքս, օնագորոն յու և, — Ելու հայնուա ցոցոմած. — Ես աեալցաթրու, ամանշ մատիազու, Ռոցոր և ացշամու, Իւ ցուտերա. Ես մյուրու ծեցորու, Շեն ցապուլու, արագորու տիմա առ սենդա ուշրմե, Հաց Տակուրու ուզուուն օւսու.

— Եցերու մինճութ աելու մյ? — Իսցունուրտպունց և ձալաենշ և Վուլու ուզալուանշուլու մալլու ցազեցու.

— Իւ կըօւս մատնչ ցուտե.

— Կոծա, մարտու Տաելու ձայսման, Տեզա արացուրու սենդա, առ նախաց, Շացուցու, Կուրտա ցան-ցան ցուրուտ, — և ամարուց ցոցոմած և ցշմինճուլու լրասաս ցաացու.

— Շացուցու ցոծա, — Ցուտեարու մալլու և մյու ցայինու նակացուուսակյեն.

մալլու լունցա ացու և սկան ցամոմպա. լունցուն լամեծու ցալած-Ռունցենութ և ալլուանու լունցունու ցուցու և ակմանցուլու Տաելու.

— Ածա, ցոծա, Շին Շաճու և միշունեն! — մոմենցու և մունցու և ապալուա; մալլու մարալ ձալաենշ ցամեննուլութ, յրտցան ցահերութ, ցալուրսա, Հածաց Շերտու ուզալուեօն մոանցուն և կանճացեանու ցահերութ, մյ օլլուանու ուոյցամուցուլու ցուակլուցու ցահերութ, մալլումա Շեմոմենեւա, տոտյուն Հածացաւ մանունցեցու.

— Իւ արու, ցոծա, Իւ ցուց յուցու ցամերութ? — Ցուտեարու Տեմացոլա և կունց մու Շին այցրտենալու միշուրմա, ուոյցու լամունենեծու ցեր մուցանու, օւշու Տամանցու կունցու միշունենութ, պայտի ցոն արուն, Տակուրու ցոն արուն, Տակուրու ցոն արուն, Երտ միշուրմա կունց ցահերութ, ամշերութ ցերուլու, մացրամ ցեր մուցարտպու; ածա Ես պոտու լուա, ուոյէրա ամ մրացաննացալու մալլումա և մուս Շեմունց Շին արար Շասուլա, կալում համուցու և սկան մուցանութ, ցահերութ, մալլուանշ

სიარული არ უჭირდა. ხან ისე ახლოს მოვიდოდა, ფეხის ქუსლებს ჩამომბრჭყალავდა ხოლმე.

— ერიპა, ციბა, შენ იქნება მაზოლები გამიჩინო, ისე ვატყობ, — გავიხუმრე, — გეწყინა? კარგი გაჩვენებ, რომ მთლად წყალწალებული მონადირე არა ვარ, — შევპირდი და მთელი არსებით მოვემზადე მოულოდნელად აფრინილი მწყრის დასახვედრად.

მწყერი მართლაც მოულოდნელად წამომიფრინდა. დინჯად დავუმიზნე და ვესროლე, მსუქანი ფრინველი ბალახებზე მუშტივით დაეცა, იმ ადგილს თვალი მივაყოლე, არ დამკარგოდა. — ფრრრ! — უცებ მეორე ამოვარდა ბალახებიდან. ძველს თვალი მოვაშორე და გაფრინილს მივაყოლე თოფის სამიზნე, ისაც ჩამოვაგდე, მაგრამ მაშინვე გავიფიქრე: — რათ მინდა, რომ ვხოცავ, რა ეშმაკი იპოვის ებლა მაგათ! — სიტყვა დამთავრებული არა მქონდა, რომ ციბამ პირველი მწყერი მომიტანა, სანამ ამას თასმის ყულფში გავაყოფინებდი თავს, მეორეც მომირებენინა და დიდი ლაშიანი პირით მომაწოდა.

— ოპო, შენ მართლა პროფესორი ყოფილხარ, ციბა, — ვუთხარ და თავზე ხელი გადავუსვი.

ეს ისეთი ძაღლი იყო, თვითონ რომ არაფერი ეშლებოდა და მონადირისგანაც ამას მოითხოვდა. ათმაგად დაძაბული ვიყავი, მწყერი არ გამპაროდა, ან არ ამეცდინა და ციბას დასაცინი არ გავმხდარიყავი. საღამოსათვის ყველა ვაზნა დაგვწვი, თასმაზე მწყრის ჩამოსაკიდი ადგილი აღარ მქონდა. ციბამ გუშინდელი დაკარგული ნანადირევიც კი ამოკრიფა, რაც კი შეხვდა გზაზე, მართალია იმათ ჭიანჭველები დახვეოდნენ, მაგრამ ჯერ სუნი არ დასცემოდა.

როგორც მერე ვნახე, გიგიშასაც ბლომად ჩამოეკონწიალებინა ჭიანჭველა დახვეული მწყერები.

ძალიან დაიღალა საწყალი ციბა, მანქანასთან ძლიერს მოლასლასდა. თვლის მორგვის მონიკელებული ხუფით დავალევინეთ წყალი, უკანა კარიდან შევიდა მანქანაში, სავარძელზე დადო თავი და მაშინვე დაიძინა.

— ძალიან ბებერია, მაგრამ რაც შეუძლია, მაინც აკეთებს, — შეაქო გიგიშამ.

— ნეტავ მაგის მეასედის გაკეთება შეეძლოთ იმ შენ საროსკიპოდან გამოყანილ ჯეასა და მარსიკას, — ვუთხარი და ციბას მორგვივით თავზე სიყვარულით გადავუსვი ხელი...

რამდენჯერმე კიდევ ვთხოვე გიგიშას ციბას სანადიროდ წამოყვანა, მაგრამ არაფრით აღარ მოხერხდა, ბებერია, ჩემ ქვისლს ძალიან

უყვარს და არავის არ ატანს სანადიროდ, იმასაც ნანობს, მაშინ რომ მათხოვაო. იმ ზამთრის ერთ დღეს კი სამწუხარო ამბავი მომიტანა; ციბა თავისი წერით გარდაცვლილიყო. ძალიან დამწყდა გული, ნეტა არც მენახა, მაგრამ ის რომ არ ყოფილიყო, მე ნადირობას ვერაფერი შემაყვარებდა.

ამის შემდეგ ნადირობას თანდათან ავუწყე ფეხი, მრავალნაირი ნირისა და ჯიშის ძალლთან დამისერია გორები და მინდვრები, ისეთებიც იყვნენ, მწყრებს ყბის ერთი მოქნევით რომ ყლაპავდნენ, ან სანამ მიასწრებდი, ხობის ფრთხილა რომ ჰქონდა შესაჭმელი; ისეთებიც მინახავს, თოფის გასროლისთანავე მანქანის ქვეშ რომ ძვრებოდნენ და მერე სახრითაც ვეღარ გამოგვყავდა; ზოგს ჭამა უყვარდა, ზოგს სმა და ვინ იცის კიდევ რა, მაგრამ იმის მსგავსი, რომლის გახსენებამ კალამი ამაღებინა ხელში, არ შემხვედრია ნამდვილად.

ჩვენს პატარა ქალაქში ერთი მონადირე ცხოვრობდა. კაცი მთელი თავისი არსებით ამ საქმეს იყო შეყვარებული, ნამდვილი ბუნების ტრფიალი და არა განურჩეველი ბრაკონიერი; არასდროს მოკლავდა იმას, რაზეც ნადირობა წესით და კანონით კი არა, ადამიანის მორალით იყო აკრძალული. დადიოდა და ხობის ფურებით ტკბებოდა; მერე ორ სამ მამალს შეაცლიდა, გამოხშირვის მიზნით და ამით კმაყოფილი იყო. მგელს, ტურასა და მელას ხშირად დასდევდა, მწყერს იმდენს მოკლავდა, რასაც ნამდვილი მონადირის სინდისი აიტანდა, ერთიც რომ დაკარგვოდა, არავითარ შემთხვევაში აღარ გააგრძელებდა ნადირობას, თუმცა ძალიან ძნელი იყო მისი ძალების პატრონს რამე დაეკარგა.

ერთხელ ბედმა უმუხოლა, კაკაბზე ნადირობის დროს გიურზამ უკბინა, მაშინ კი გადაარჩინეს, მაგრამ ხუთი წლის შემდეგ გარდაიცვალა გულის დაავადებით. ზოგი ამას გველის ნაგბენს აბრალებდა, ზოგი რას და ზოგი რას, მაგრამ რისი მიზეზიც გინდა ყოფილიყო, ეს ღვთისნიერი, ნამდვილი ვაჟებიც კი დაიღუპა და...

იმისი შვილი, გიორგიც, ვითომ მამასავით ნადირობის ტრფიალი იყო, მაგრამ მხოლოდ შერჩენილი ინერცია ჰქონდა მემკვიდრეობით გადაცემული და სხვა არაფერი, რაც დროთა განმავლობაში ხუნდებოდა და იფერფლებოდა.

გიორგი ერთ საცდელ ნაკვეთში მუშაობდა მეცნიერ მუშაკად, ჩემთან ამხანაგობდა. ერთხელ შემომთავაზა, სანადიროდ წავიდეთ, არ გინდა მამაჩემის გაწვრთნილი ძალლის ნადირობა გაჩვენოო? მეც სიამოვნებით დავთანხმდი.

ეტყობა გიორგის ხელმძღვანელი ტარასაც ნადირობას იყო ფეხა-ყოლილი. ძაღლიც კი ჰყავდა. სამნი წავედით სანადიროდ. ტარასა დიდი ინდივიდუალისტი გამოდგა. თავისი ძაღლით ცალკე წავიდა; თუ შეკრება გახდეს საჭირო წითელი რაკეტა გავისროლოთო, დაიბარა და ჩვენი მიმართულების საწინააღმდეგო მხარეს წავიდა.

— ჩვენ ერთად წავიდეთ, ვნახოთ ვინ მეტ ნანადირევს დააგროვებს, — გამომიწვია გიორგიმ, — თან დააყოლა, — ნახავ რა შეუძლია ზოიას!

— ვინ არის ზოია? — ვკითხე.

— ზოია ეს არის, — გიორგიმ ძაღლს თავზე გადაუსვა ხელი; ყველაფერი ესმის და ოღონოც საჭიროა, ისე ასრულებს, მაღლე ენა-საც ავუცრი და შენ მაშინა ნახე, პივრელ სმაზე რომ ჩააგალობებს დილის საარს.

— სხვა შესაფერი სახელი ვედარ მოუმებნე? — დავუწუნე ნათ-ლია.

— კარგად ოცა გაიცნობ, იქნება ეს სახელიც გეცოტაოს და არ-ტემიდაც არ შევშურდეს, — დამამშვიდა გიორგიმ.

ზოიას სახელმა ერთი ჩემი უფროსი მეგობრის ნაამბობი გამახსენა: თურმე ახალგაზრდობისას, დედაქალაქში მუშაობდა ერთ ხელმძღვანელ რგოლში პასუხისმგებელ მუშაკად. რაღაც საქმეზე მოუწია რაიონში წასვლა, იქ ობიექტის ხელმძღვანელთან ბინაზე იქიიფეს, შეზარხოშებულს რატომდაც ტელეფონზე მოუნდა სადღაც დარეკვა, მორიგის ხმა რომ გაიგო, ძალიან მოეწონა და სულ დაავიწყდა საღ რეკავდა; გაუბა საუბარი, გააცნო თავისი ვინაობა, აუხსნა სიყვარული, ერთგულება შეპფიცა და პაქმანი დაუიშნა ნაზ და ხავერდოვან ხმასთან ერთად თურმე მისმა სახელმაც, ზოიამ, მოხიბლა. ერთმანეთი რომ ეცნოთ, პირობითი ნიშნები შეუთანხმა და მეორე დღის მოლოდინში თვალიც კი ვედარ მოხუჭა, თურმე, ჩემი უფროსი მეგობარი ზუსტად დანიშნულ დროს გამოცხადდა პაქმანზე და დღესაც არავინ იცის, რა მოხდა იქ, რომ მას შემდეგ სამუდამოდ შეიძულა ღვინო, ტელეფონი და ქალი.

— ეს ამბავი ვუამბე გიორგის და თან დავძინე:

— შენი ზოიაც ისეთი ხომ არ არის, რომ სამუდამოდ შემაძულოს თოფი, ნადირობა და ძაღლი!

— ვნახოთ წინასძლარ ვერაფერს გეტყვი, — თავის შეკავება ამ-ჯობინა.

ორივენი ერთად გავედით. გიორგიმ დავალება მისცა ზოიას და

ոմանակ առութեղիքու մեթրո գացաւութիւնը և հզեն վաս մայուսացու ցարդուցարդու ճագուռու և բարեւ, շրտ ցուց առա լուցածու և աջապարանու մայուսութիւնը. პարզութիւնը գուուրգու այսունա, օմանակ համուացու և նուամ մութիւնը մարտու մարտու. մեռու որուցու սահմանարան այսունա, პարզութիւնը գուուրգու շրտու տացու նայեն ցուլանդ-ցուլանդ ապուռ, մե մուապուռ հյուս „ոյւեցա“ և միշպարու կարգա մանմութիւն համուացու.

— տուու զի առա, կը մենա! — ճագուռու նասուամունց մամա.

— յեմենի միշպարութիւնը առ նագուռունց! — շուլու մուուցեան տացու նելմուցարուլուն նամակու ցուրգու.

Նուամ օւ միշպարութիւն տացու პաթրուն մարտու.

մարտալու, միշպարու հյուս նուամ համուարդ, մագրամ սահմանարան այսունդ, մարդու ուսույնուրուն առ ճացութիւնը, բոցուրց մութիւնաձմունց գուուրգու մուուման շունդ մասայու սահմանա-շունդ գադասու գադասու գադասու.

մեսամե միշպարու პարդակու հյուս ցեսուրիւն գայսկետա նուամ „սըրու-կա“, այսունիտանաց համուացու և սանմ մալու միշպարու մուութանդ, տամու շմանաց գացութիւն; նուամ օւ միշպարու პաթրուն մարտու.

— զի առու տյեցնու սամարտալու?! — գացման ցուրգու.

— յարու, զուու հյուս, մամ! — նունց մուցես շեմենման և սա-մուց միշպարու նելու շեատաման.

նագուռուն նորմալուրադ վարումարտա, միշպարու օմուն օյու, կապու առ մուութիւնդ, մագրամ շրտու օյու մեռուլու; ցուրգու տամուն ածցու-լու առար էլունդ և աելա հանտամ պրուն միշպարու, մե զի վամլատ շրտու առ մյոնդ.

շրտու շրտու, բոցուսակ նուամ մեռու կուլու օյու գասուլու, ցուրգուսատ-ցու մուկուլու միշպարու մուսագանդ, մեց ամուցունդ միշպարու շմալուլու, մամունց համուացու.

մագրամ զին շեմարինա, տուուն եման նուամ մուուն մարտու, միշպարու րուն զեր նախա, կարգու րեցունուրուտ շեմամութիւն, աելա տամուն մուն միշպարու ճունչադ համուացու և տացու պաթրուն վայսու.

— յահալու և յածցուրու նարու շենց և յեն այսակու մալունց!
— յացման ցուրգու.

— յայուր սիմուրու ցացես տացու վարտ, յմեն հյունու զամու-մացետ, — յամուսիմուրա նատյուամ.

— ճատայուր սամսակուրու ցունց մեն նուամ մութիւնը միշպարուն տրցուտ և մուու նանագուռու մե ճամրին, — առ ճացումա-լու հյուս յուրուսան օմյու.

— սյուլու բում ամումբրու, շրտ ծոյմբուլուսակ առ գացագան հյուս

ზოია.

— ზოია კი არა, მუნწი კარაპეტაა, შუასაუკუნეებში უნდა დაბადებულიყო ეგ, თავისი თავისა და თავისი წარსულის გადმონაშთებით დამძიმებული პატრონის მეტს არავის რომ არა სცნობს!

— ამის ორი ლეკვიდან ერთი შენთვის მინდოდა მომეცა, რადგან ესოდენ დემოკრატიული სული აღმოგაჩნდა, წადი და სანადირო ძალი არსენა მარაბდელსა სოხოვე! — დამარიგა გიორგიმ.

ორი მწყერი მოვკალი ისე, რომ ზოიას მოვასწარი, რადგან მისი ხასიათი უკვე ვიცოდი, როგორც მიმიახლოვდა დავმალე და ამჯერად ვეღარ გამარცვა. რაკი იმ მომენტში მწყერი ვერ წაიღო, მერე აღარ მეკარებოდა და მეც იმედიანად მეკიდა გვერდზე ჩემი ორად-ორი მწყერი.

დავამთავრეთ ნადირობა და ნაკვეთის ბოლოში გავედით.

— ისროლე რაკეტა, ტარასაც მოვიდეს, — რაღაც შეფარული ეშ-მაკური ღიმილით მითხრა გიორგიმ.

მე ვისროლე რაკეტა. ოოფი გადავხსენი, რომ ახლა საფანტიანი ვაზნა ჩამედო გასაწმენდ გასროლისთვის, რომ უცებ ზოიამ იმ ორი-დან, ერთი მწყერი შემაგლიჯა და თავის პატრონს მიუტანა.

— გაისვრი მეორეს და ეგ საბოლოო მწყერიც ჩემ ჩანთაში გადმოინაცვლებს, — სიცილით გამაფრთხილა გიორგიმ.

— შენ მართლა აპირებ ამის ლეკვი მაჩუქრ? — ვკითხე და თან ის ერთადერთი მწყერი დავმალე.

— თუ კარგად მოიქცევი, შეიძლება ვიფიქრო, ისე მაგ მწყერს ნუ მალავ, ერთ გასროლაზე მხოლოდ ერთი მწყერი მოაქვს ზოიას.

— მაღლიც ეგა ყოფილა და პატრონის დაფასებაც მაგასა სცოდნია! რა გაგიჭირდება ბიჭო, დაჯექი აივანზე და ატკაცუნე თოფი, რაც მეზობლებს კრუხწიწილა ჰყავთ, შენ მოგიზიდაგას.

— მე მაგ ხელობითა ვცხოვრობ, აბა ჩემი ჩაჩნაკი სამსახური მაცხოვრებს გგონაა? — გამანდო საიდუმლო გიორგიმ.

— მომეცი ერთი ის ლეკვი, ისე დავგეშო, მეზობლების კრუხწიწილი რა არის, შაშხი და ხაშლამის ქვაბი აღარ დავუტოვო ზედადგარზე, — უცებ დავსახე მომავლის იმედიანი პერსპექტივა.

ამასობაში ტარასაც გამოჩნდა თავისი კუდოკვნეტილი კურცხალით. თვრამეტმდე მწყერს მოქწევდა საკიდ თასმებზე.

— ისე ვერ მოახერხებ, რომ ზოიამ მწყერები მე მომიტანოს? — ვკითხე გიორგის.

— მოვახერხებ, იმასაც მოვახერხებ, აქვდან თქვენი გაურთიანების

დირექტორსაც ჩაუტანოს ქალაქში, — შემპირდა გიორგი.

— აგაშენა ღმერთმა! — შევუქე დაპირება.

ტარასას მოსვლას პირველი გასროლის სალუტით შევხვდი, ზო-იამაც პირველი მწყერი ჩამოაგლივა ახალმოსულს და გიორგის მი-ურბენინა, იმან რაღაც უჩურჩულა და ჩემზე ანიშნა ხელით, ძალლმა მაშინვე მომირბენინა, მეც მადლობის ნიშნად მეორედ ვისროლე და მეორე თავაწყვეტილი მწყერი ჩავაპრძანე ჩემ ჩანთაში.

ტარასა ზომაზე მეტად მორიდებული და ზრდილობიანი კაცი ჩან-და, ექვსი მწყერი ისე შეაგლივა ზოიამ, გაკვირვებულმა სმაც ვერ ამოიღო, მეშვიდეზე კი რაღაც გამოუცნობი ტონითა თქვა:

— ბიჭოს,. ეს როგორი უცნაური ძალლი ყოფილა?!

— ეკერის ნაყოლია, ჩემო ტარას, მაშინ, ეს რომ მსახურობდა, ექვსი მწყერის მეტის მოკვლის უფლება არ იყო, ჰოდა, ეგერი გაუშვებ-და ხოლმე მინდორში და ესაც უშეცდომოდ უწყობდა კონფისკაციას ზედმეტი მოხევჭის მსურველებს, — ავუჩხენი საქმის ვითარება და მორიგი ვაზნა ჩავდე თოფში.

მალე მორჩილ ტარასას ექვსი მწყერი და თორმეტი მწყერის თა-ვიღა ეკიდა თასმაზე.

— ცოტა დაუტოვე, ბიჭო, ვაზნები მაინც არ გენანება?! — სიცი-ლით ვაგუდულმა გიორგიმ მოხოვა ჩურჩულით.

ვაზნები გამოთავდა, თორემ ქრისტე-ღმერთი აღარ იყო ჩემი გამ-ჩერებელი, სანამ ტარასას არ მოიტანდა ზოია აპა, ჩაიდე, ჩანთაში და შემეშვიო.

საღამო ხანს ზემო ბოდის სახინკლეში ვისხედით და გემრიელად შევექცეოდით ანტრეკოტს; მალე ხინკალი, მოხარშული ქათამი, ხაშ-ლამა და ვინ იცის კიდევ რა არ მოვატანინეთ მთელი დღის დამშე-ულებმა; ზოია ჩემსა და გიორგის შორის იყო ჩაცუცქული და ისე ეჭირა თავი, თითქოს საჭმელზე საერთოდ არა ფიქრობსო. მე ერთი მოზრდილი და მსუქანი ანტრეკოტის ნაჭერი მივაწოდე, ძალლმა ერ-თი კი შემომხედა და თავი მიაბრუნა, ვითომ, როგორ გეკადრებათ, სულაც არ მშიაო. არადა მთელი დღე ჩვენსავით მშიერი უცლიდა მინდვრებს.

— არ შეჭამს, სანამ ნებართვა არ იქნება, — დარწმუნებით თქვა გიორგიმ და მოზრდილი ხაშლამის ნაჭერი გადაიღო.

— შე ურჯულო, ყველას მაგიერ დღეს მაგან ინადირა და ერთი ნაჭერი ხაშლამა გენანება?! გაეცი ბრძანება, თორემ დადნა ძალლი ნერწყვის ყლაპვით! — შევუტიე გიორგის.

— ჭურჭელი უნდა ბიძია, სუფრას ეგ ვერა სწვდება, კუდალა კურცხალი ხომ არ არის, დაბლა დაგდებულის აღება იკადროს, — ტარასას ძალლს გადახედა, რომელიც ჩემს მიერ მიგდებულ ხაშლამის ნაჭერს სულმოუთქმელად გლეჯდა.

თევზზე დავაწყე ხაშლამა, ანტრეკოტი, ქათმის ბარკალი თავის მეწვით და ზოიას წინ დავუდგი; ძაღლმა მსუყე საჭმელს დასუნა, მერე თავს მაინც დასძლია და უქმაყოფილოდ შემომხედა, თითქოს მეუბნებოდა, შენ რა უფლება გაქვს საჭმელს რომ მიდგამ, პატრონი არა მყვსო! მაგრამ მთელი დღის შიმშილმა თავისი გაიტანა და ლაშზე ერთი ობოლი ნერწყვის წვეთი ჩამოუგორდა.

— გაეცი განკარგულება, შე ჯალათო, თორემ დავიწვი ამ ძაღლის ცოდვით! შენ გქონდეს ამხელა მოთმენა, რა გავიჭირდებოდა! — შევუტიე გიორგის.

— ჭამე, ზოია, ჭამე, ხომ დაანახვე ყველას როგორი ძაღლის გაწვრთნა შემძლება, — უთხრა გიორგიმ ძაღლს და იმანაც უმალ გადაყლაპა ყველაფერი.

— ტყუილად იბრალებ იმას, რაც ჯერ არა თუ ვერა ხარ, იმ პატიოსანი კაცის წსოვნისა იყოს, ვინც ეს ძაღლი ასე გაწვრთნა! — ვთქვი და წითელი ღვინით გავსებული ჭიქა ბოლომდე დავცალე.

— ეს რა არის, შენ მერე ნახავ, რამდენი რამე იცის, ყველაფრის დამახსოვრება მეც კი ვერ შევძელი, — გამოტყდა გიორგი.

სანამ იმ ლეკვს გამოვარომევდი, გიორგის კარი და ბანი არ დავუგდე, ახლა მე მყავს და ვზრდი, თუ თავის დედას ვერ დავამსგავსე, იმის იმედი მაინცა მაქვს, რომ საკუთარი სანადირო ძაღლი მეყოლება, არადა, წელიწადში ერთხელ რომ გასიამოვნოს კარგი ნადირობით, იმათ კი ღირს ნამდვილი ძაღლის შენახვა.

უჯიგრო ქიტა

— კაცო? მიტოს ბავშვი ავადა ყავს, ქალაქში უწევთ, იქნებ შენ წაგევვანა, მაინც იქით მიდიხარ და...

— ხომ არა თქვი, დედაკაცო, რომ ქალაქში მივდივარ?! ცოტა გრძელი ენა გაქვს და კარგი იქნება, დაიმოკლო!

— რა მოხდება, ადამიანო, ცოტა ბარგიცა აქვთ წასაღები, ავტობუსში გაუჭირდებათ!

— რა ჩემი საქმეა! ქრისტე ხომ არა ვარ, ყველა დავრდომილს ხელი გავუწოდო?! რაც უნდათ, ისა ქნან!

— იქნება ერთხელ შენც დაგჭირდეს მეზობლების დახმარება, მაშინ არ შეგრცხვება?! რათა ხარ სულ ეგრე მურჩამოსმული, საკუთარ ნაჭუჭში ჩაკეტილი. მართლა იგრე ხომ არ გინდა, რომ მეზობლებმა მთლად აიღონ ჩენწე ხელი. შენი ეგრო საქციელის გამო სირცხვილით ხალხში ვეღარ გავდივარ, უჯიგროს განა ტყუილად გეძახიან!

— ყველამ თავი დამანებოს! წადი შენც, მამცილდი, თუ ჩემი ვერ გაგიგია! არც არავისი მინდა რა და არც არავის არაფერს მივცემ! თავი დამანებოს ყველამ, ბიჭოს!

— ეპ! შენი გამოსწორება არ იქნება! — ჩაიქნია ხელი თებრომ და თავის ქმარს — ქიტას, უკან არდაბრუნება უსურვა.

ქიტამ გარაჟიდან მანქანა გამოაგორა. ძრავა ჩართული დატოვა, გარშემო შემოუარა. კარგად შეამოწმა. ცოტა მოიცადა, სალონი გაათბო, ჩაჯდა შივ და მანქანა ნელა დაძრა ადგილიდან. — ხვალ საღამოს დაგბრუნდები, — მიაძახა ცოლს. იმანაც არ დააყოვნა: „კისერიც გიტე-ხია“-ო, და სახლის კარები მიიჯახუნა.

სოფლის ბოლოს, ავტობუსის გაჩერებასთან, მიტო და მისი მეუღლე, დიდი კალათით ხელში, სიცივისაგან აძაგძაგებულები ქალაქში მიმავალ ავტობუსს ელოდებოდნენ.

ქიტამ ისინი შორიდანვე დაინახა. მანქანას სიჩქარე მოუმატა, თან სხვა მხარეს დაიწყო ყურება, თითქოს მეზობლებს ვერა ხედავდა.

მიტომ იცნო ქიტას მანქანა, იმედიანად გამოქანდა მისკენ, თებროსგან იცოდა, შეიძლება ქიტა ქალაქში წავიდესო, ხელიც დაუქნია, მაგრამ ქიტამ ისე ჩაუქროლა, მისკენ არც გაუხედია. მიტოს ხელი

მოწყვეტილივით ჩამოუგარდა, მობრუნდა და ავტობუსის გაჩერებისა-კენ გასწია, სადაც სიცივისაგან მოკუნტული ცოლი ელოდებოდა.

— მამაცხონებულები, მზამზარეული უნდათ ყველაფერი, რა მო-გალე ვარ, რომ ეგენი ქალაქში ჩავაბრძანო. თამამად კი გამოქანდა, ალბათ იფიქრა, ვერ დამინახაო, ეგრეც იყო, ვერ დავინახე, — თავი დაიმშვიდა ქიტაბ.

— დაინახე! დაინახე! თვალი კი განგებ აარიდე, ხომ შეგრცხვა, ქიტავ, ხომ შეგრცხვა? ხომ არ მოიქეც სწორედ?! გულახდილად თქვი, აქ ხომ მარტო მე და შენა ვართ! — ედავებოდა ქიტას საკუთა-რი სიჩდისი.

— მომცილდი, ერთი! — ხელი აიქნია, — არაფერიც არ დამინახია, ბიჭოს! — ჯავრობდა ქიტა და მანქანას მიაქროლებდა.

მანქანაში სასიამოვნოდ თბილოდა. ქიტამ პალტო გაიხადა და უკანა სავარძელზე გადადო, პიჯაკის ღილებიც შეიხსნა, სიამოვნები-საგან გაიზორია, სავარძელში მოხერხებულად შესწორდა და მანქანის სიჩქარეს უმატა.

საბურავების ქვეშ გაყინული თოვლი მინასავით ტკაცუნობდა. გზის ორივე მხარეს ახვეტილ თოვლზე ყინული ეყარა.

გზაზე სიცოცხლის მაჯისცემა იგრძნობოდა, თუმცა მოძრაობა საგრძნობლად შემცირებულიყო, მაგრამ რა შეაკავებს ყველაზე აუცი-ლებელი საქმისაკენ ადამიანების სწრაფვას.

ქიტას აქა-იქ გაჩერებული ავტომობილი ხვდებოდა. აგერ ერთ მან-ქანას საბურავი დაშვებოდა, მძღოლს ეტყობა სათადარიგო საბურავი არ ჰქონდა, ძველს შლიდა გათოშილი, წვალობდა: დიდი ოსტატი არ ჩანდა.

— „ჩემს მტერს, ამ ყიამათში საბურავის დაშვება“, — გაიფიქრა ქიტამ; უსიამოვნოდ შეაურეოლა.

— ეხლა ვინმე ხეთისწიერი რომ მოეხმარებოდეს, კარგი იქნებდა, — შეახსნა სინდისმა, — შეიძლება არც კამერა აქვს, ქიტა, მიდი, მი-ეხმარე, შენი კამერით გაუმართე ხელი! — არ ასვენებდა სინდისი.

— გიჟი ხომ არა ვარ?! — გაუბრაზდა ქიტა, — რა ჩემი ბრალია, მაგან თუ გაუმართავი მანქანით გაბედა ამ ყიამათში, ამხელა გზაზე წამოსვლა!

მანქანას გაუსწორდა. კაცი ისე ჩაჰკირკიტებდა თავის საბურავს, რომ მაღლა არ აუხედია, ქიტამ გზა განაგრძო. სარკეში დიდხანს უყურებდა უკან დარჩენილ მანქანას, აგერ შემხვედრი მანქანა გაჩერ-და, იქიდან კაცი გადმოვიდა და ორივე აფუსფუსდნენ დაშვებულ სა-

ბურავთან.

— უშველის ალბათ, — არ ისვენებდა სინდისი.

მანქანა მიგორავდა მოყინულ ასფლატზე. გარეთ ყინვა და ცივი ქარი მძინვარებდა, სალონში კი სასიამოვნოდ თბილოდა.

მანქანის სავარძლის საზურგეს მიყუდებული ქიტა განცხრომაში იყო. გარეთ სურათები ერთმანეთს ცვლიდნენ. ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს ყოველივე ამას კინოს ეკრანზე უყურებდა და ამ ამბავს მასთან არავთარი საერთო არ ჰქონდა.

ქარი გაძლიერდა. ოოვლის კორიანტელი დაყენა ჰაერში, მანქანის ძარას დროდადრო ძალუმად მიასაკდებოდა, შეატოკებდა და ზუზუნით ახლა სხვა მიმართულებით მიქროდა. ალაგ-ალაგ ოოვლის ნამქერი გაჩნდა, მანქანა ზოგან მნელად მიიკვლევდა გზას. ქიტას ხასიათი წაუხდა. ცოტა შიშიც შეეპარა გულში.

აგერ, გზის გვერდზე გადაყენებულ მსუბუქ ავტომობილს ქარი თოვლს დაუნდობლად აყრიდა: „ოუ არ წავიდა, ორ საათში სულ დამარხავს“, — გაიფიქრა ქიტამ. იქვე მანქანის გვერდით კაცი იღვა, ქიტას ძრავის ვენტილიატორის გაწყვეტილი ღვევი აჩვენა, ანიშნა, ხომ არა გაქვსო? ქიტამ ხელი დგაუწნია, არაო და გზა განაგრძო.

— ხომ გქონდა, კაცო, რატომ არ მიეცი, თანაც ხომ დაინახე, მანქანაში ქალი და ბავშვი უსხედან, ასე რომ დარჩნენ ქარბუქში, ამოიხრჩობიან, — შეედავა ქიტას სინდისი.

— მე რომ გამიწყდეს, ვიღა მომეხმარება! — გაჯავრდა ქიტა, — მამაცხონებულს, შინიდან რო წამოვიდა, არ უნდა ეფიქრა ამაზე?!

— კაცო, ვინ იცის, რა გაჭირვება ჰქონდა.

— რა ჩემი საქმეა, ყველას კისერი უტეხია!

ქიტას სინდისი დადუმდა, მაგრამ მაინც აწუხებდა თოვლში დარჩენილთა ბედი.

მანქანამ გზაზე სრიალს უმატა, ერთი დაუდევარი მოქმედება და ისიც გზის გვერდზე თოვლში ჩაფლული აღმოჩნდებოდა.

ერთი მანქანა გზიდან გადასულიყო, ეტყობოდა, თოვლში ბევრი ებუქსავა. ქალი საჭესთან დაესვა, მამაკაცი ავტომობილს უკანიდან აწვებოდა, ძალ-ღონეს არა ზოგავდა, სულ ცოტა იყო საჭირო და მანქანა გზას დაადგებოდა, მაგრამ ის სულ ცოტა არა ჰყოფნიდა და ასე, ეტყობა, დიდხანს წვალობდნენ.

მამაკაცმა, როგორც კი ქიტას მანქანა დაინახა, საქმეს თავი ანება, ხელი აუწია, ანიშნა, მოგვეხმარეო.

ქიტას მისკნ არც კი გაუხედია. ჩვეულებრივი სიჩქარით გაიარა.

კაცს ხელი ჰაერში გაუშეშდა.

ქიტამ თავი გაიქნია, თითქოს არასასიამოვნო ფიქრები მოიცილაო, მერე თავისითვის ჩაილაპარაკა: „რა ჩემი საქმეა, კისერიც უტეხია“.

ქარი გაძლიერდა. დაჭრილი მხეცივით ღრიალებდა, თითქოს იმუქ-რებოდა, თითქოს ქვითინებდა.

თოვლში ნახევრად დამარხული მანქანიდან ორი დათოვილი და გა-ფითრებული ადამიანი გადმოვიდა, ქიტას ყელის გამოწევით ანიშნეს, იქნებდ ცოტა ბენზინი მოგვცეო.

— აბა, ეხლა მაგათ ჭეუა აქვთ, — გაიფიქრა ქიტამ, — ჯერ ერთი, ბენზინს არ მივცემ, ამაზე წინასწარ უნდა ეფიქრათ, მეორეც, ამ ყია-მათში სულელი ვარ მანქანა გავაჩერო და გარეთ გავიდე?!

— შე კაი კაცო, საკუე კანისტრა გაქვს საბარგულში, არც დაგჭირ-დება, ისინი კი შეიძლება გაიყინონ, რა მოხდებოდა დახმარებოდი.

— ოჰ, ერთი! — კვლავ მოიცილა უხეირი ფიქრები ქიტამ.

ამინდი გაუარესდა, ისეთი ქარბუქი ტრიალებდა, ქიტა იძულებუ-ლი გახდა პატარა ფარები ჩაერთო. გზას ნელა მიიკვლევდა. მოძრა-ობა გაძნელდა. „არა უშავს რა, — გაიფიქრა ქიტამ, — შუადღემდე ჩავალ ქალაქში და ყველაფორი რიგზე იქნება“.

ძრავამ ჩაახველა. ქიტა გველნაკბენივით შეხტა, ძრავამ ხველას



უმატა, კიდევ რამდენიმე ჩახველება და ძრავა ჩაქრა. „რა ოხობა და-ემართა?“ — გაიფიქრა ქიტამ. ერთხანს ასე იჯდა, სხეულში სიცივის ბრჭყალი იგრძნო, გააურჟოლა, მანქანის კარის გაღება სცადა, ქარმა დაიღრინა და თოვლი სალონში შეაფრქვია, სასწრაფოდ მიკეტა კარები; სალონში უკვე საკმაოდ აცივდა.

სხვა გზა არ იყო, ქიტამ პალტი ჩაიცვა, კარი გააღო.

ძლივს ახადა კაპოტი, ქარმა აქაც წაიბალახა, ყინულივით ცივი ნაკადი შეუძრა სხეულში და კაწრავდა.

ბევრი იჯახირა, როგორც იყო გამოცვალა კონდენსატორი. ისე გა-ეყინა ხელები, თითები აღარ ემორჩილებოდა. ძლივს შეძვრა მნექანაში, ქარმა თოვლი შეუყარა შეგ. თოვლის გადახვეტა არ ხერხდებოდა, რამდენსაც გარეთ ყრიდა, ქარი ათი იძღვს უკანვე აბრუნებდა.

შეეშვა ამ ცდას. ძლივს მოიხურა კარი. ძრავა აამუშავა და სიჩქარე ჩართო. გაზს მოუმატა. მანქანა ადგილიდან არ დაიძრა, კიდევ მოუმატა გაზს, უკანა თვლებმა წივილი დაიწყეს; მანქანა ბუქსაობდა.

— თფუკ, შენი! — შეიგინა ქიტამ, — კაცს ბედი რომ არ ექნება.

კარი გააღო და გადმოვიდა. მანქანა სანახევროდ თოვლში იყო დამარხული.

ძლივს მივიდა საბარგულთან, ქარბუქი ახრჩობდა, ხელები აღარ ემორჩილებოდა. ამოიღო მოკლეტარიანი ნიჩაბი და თოვლის გახვეტა დაიწყო.

ძალა მოლად გამოელია, მანქანის წინ ჩაიჩოქა და ფრთას მკერდით მიაწვა.

რაღაც მანქანა გამოჩნდა: „ადექ, ქიტა, სოხოვე მოგეხმარონ, თორებ აქ დაიმარხები“ — წასჩურჩულა თავის გადარჩენის ინსტინქტმა.

— არა, ეგენი ისინი არიან, შენ რომ ბენზინი არ მიეცი, შეედავა სინდისი.

— ამ მდგომარეობაში რომ მნახავენ, უთუოდ გაჩერდებიან, — გა-იფიქრა ქიტამ.

ძლივს აითრია სხეული, შეძვრა სალონში და ძრავა აამუშავა. თითქოს არაფერი უჭირდა. მანქანამ ჩაუქროოლა.

ქიტამ მოიკრიბა ძალ-ღონე, დიდხანს იმუშავა, თოვლი გახვეტა, ჩაჯდა მანქანაში და...

სულ ცოტალა უნდოდა, რომ გადაელახა ეს დაწყებლილი ადგილი.

სწორედ ამ დროს გამოჩნდა მანქანა, ქიტამ დაძლია მოკრძალება, იფიქრა, გავაჩერებ, მომეხმარებიან, სულაც ერთი კაცი ეყოფა და მეც

გზაზე დავდგებიო.

მანქანა მიუახლოვდა, ის იყო ხელის აწევა დააპირა, რომ გველ-ნაკბენივით უკან გადახტა და თავის მანქანასთან დაიწყო ფუსფუსი. იცნო, ის კაცი იყო, ყელის გამოწევით რომ ესვეწებოდა, მანქანის დაძრაში მომებმარეო.

ქიტა მარტო შეება სტიქიას. კიდევ გაიარა რამდენიმე მანქანამ. იქით აღარ იყურებოდა, ცოფიანივით იქნევდა ნიჩაბს და დაბადების დღეს იწყევლიდა.

— ეჭ, — გაიფიქრა, — მიტო რომ წამომეყვანა, ასე არ დამემართებოდა.

ბევრი იწვალა, ისე დასცხა, პალტო გაიხადა, ბოლოს დაღლილ-მა მანქანის კარიებთან ჩაიჩიქა, თავი მიადო გაყინულ რკინას, სიცივე ვერ იგრძნო, თვალებზე ბინდი გადაეფარა, ხელი მოისვა, თითქოს უნდოდა ბინდი გაეფანტა, ხელი ჩამოუცურდა და უღონოდ თოვლის გროვაში ჩაეფლო...

* * *

— გაყინულა ეს უბედური, აბა, ავიყვანოთ და ჩვენს მანქანაში გავათბოთ.

— არა, ბიჭო, ჯერ თოვლით მაგრად უნდა დავზილოთ...
— ოპო! თოვლმა უშველა, თვალები გაახილა, ახლა ჩქარა მანქანაში! — ბრძანებას იძლეოდა ბრგე ტანის კაცი.

გაფიჩეული ქიტა მძღოლის გვერდით გადაწეულ სავარძელზე და-აწვინეს და ზედ უხეში, თბილი ტყაპუჭი დაახურეს.

— რა მაგრად დაუმარხია ამ ოხერ ქარბუქს ეს მანქანა, კაცო!
— აბა, ოთხივემ ერთდროულად ავწიოთ და ამოვაგდებოთ საფლობი-დან, — ბრძანებას იძლეოდა ერთი...

ორივე მანქანა გზაზე იდგა, დამეს დღე გაეძევებინა და გამარჯვებას ზემობდა. უმთვარო უკუნეთში ცოფიანი ქარბუქი მძვინვარებდა.

— ვახტანგ, ჰკიოთხე ერთი სადაურია, სად წავიყვანოთ?!
— რა უნდა ვკითხო, თუ მხა სართ თვალები კი გახელილი აქვს, მაგრამ კრიჭა ისე შეჰქვრია, სიტყვა ვერ უთქვაშს.

ერთი ქიტას მანქანაში შეძვრა, პიჯაკის ჯიბეში საბუთებს და-უწყო ძებნა, მალე მობრუნდა.

— გაიგე, ვინ არის? — ჰკიოთხა ერთმა.
— როგორ არა, ქიტა ნაჭუჭაშვილია, სოფელ კლდისპირიდან.
— თვითონ ვერ შეძლებს მანქანის მართვას? — იკითხა ერთმა.

— Նյուլելո եռմ առա ხար! Հյեր յերտո, կապո ծովագուշակ առուս ցամշեթյուղո, մեռնյուց, բռմ մշեմուս նազուցյա և գիշամի հաճակ և գիշամարտուս, մտյուլո հիշենո Տօպութելու մացու ուղագա շնդա ցաւագուշակ թշրջնչյ?!

— Առաջա, կարցո ասուցո կոլոմեթրուտ շնդա քավերներդետ շյան, — հանդիշնենա յըտմա.

— Եց արայերո, հյեմո դատա, եռմ ցագոցնուա, կարցո յենո յեանց և դաց, ցազըլո և վոն դաց եցալուա, — անշացյա մեռնյօթ.

— Ֆո, եցալու յց նաշուշամշուլո Տամմացա ցածացանեցուս, — ցանեամի բանամարտուս ալմոմիննեմա.

— Ածա, ծոկեթո, ցայցոյցա, Շեցարւթեզոնց օւցու կապո, զոնց Տոյետուս Տամացոյերուս մուլցիւս ցալուսատցուս համցուն. կացւ շոշունց և անդա մուցեթմարտո, մորիս և ցա ցատացա, ցայցո եցմրոնձա!

— Ծատա և ցաթեցանցո նաշուշամշուլուս մանյանաս վամունցեցն, հյցն շյան մուցցանձու! — ծրմանցան ուժուուց յմունո մամակացո...

Մյալամյ ցադասյուլո օյու յիւրաս Տակլուս որմա մանյանամ մուցցուրա, յիւրա շյան կարցա օյու և լապարայս աներեցնեցա.

— Բանանց մանյան շյան կարցու յալու! — յութերա այտոյություլ ույթուս յմունմա մամակացմա և եցալու արաթեցնուլո յիւրա գանցինց համուցա.

ծոկեթուս մանյան շյան մուցերներնենատ, յմունու հաջուա վոնա Տացարդյուննե.

— Կարցա օյու, նաշուշամշուլո! — յցուամ յրտեմա և առանա և լամուս Տոնելուն լուցունատուուսացու Շերկունց ցահանհանցնուլո յարց- ծունու մանյանու.

ցատոմնուլերմա Տողլուս ծողլուս և ակցուլ Տասագուլուս կարցիս մուցակցնես. ծուրթյունուտ ալցեց մեծուցու կարցիս, նյուրա ըա յիւրակատ ամ Մյալամուսասո.

— Իյեմո մմառ, կարցիս բռմ համունց, մյ այ Տասէմինո եռմ առա մայքս?! — Հաշերոնձա մեծուցու.

— Ռացա ցայցիս, մալուս կարցա զուցու! Եկլա մյին ծուխարո ացանու, ցացոյցնուլցու ցարտ, լցոնու և եցալ ուղուա Տաշնե մուցցու, մյին հյցնուան և այցելո, մարդու կապո ուղագա ხար, — յութերա յմունմա.

— Տորացու շունչու յիւրա նաշուշամշուլուս ցայցարչուս! — յցենց ալ- ցունուտ տիշա յմունմա.

շունչու մուշանցնես, մեծուցու յուպմանունց.

— Ծալու կապո, ցացոյցնուլցու հյցնա ցարտ, մյին ըա մուցցունցա?! տյշնունցնու յիւրաս Տագուցարմելուա! — մամակես յրտեմա.

„რით მოხიბლა ეს გადარეული ხალხი უჯიგრო ქიტამ, მისი კაიკაცობა არავის გაუგონია, ესენი კი პირველს მის სადღეგრძელოს სვამენ, კარგი სულები არ უნდა იყვნენ!“ – დაასკვნა თავისთვის დაუხმოდ დალია...

გათენებამდე ისმოდა სასადილოდან ქეიფისა და ჭიქების ჭახუნი. ყველაზე ბევრს კი საქმის კურსში ჩამდგარი მებუფეტე მხიარულობდა...

– ნეტა ვინ იყვნენ ის კეთილი ადამიანები შენ რომ გადაგარჩინეს? როგორ დავიბენი, შინ კი ვერ შემოვაპატიუე, – წუწუნებდა თებრო, – ნეტა როგორ იმგზავრებენ ამ უხეირო ამინდში?

– კისერი უტეხიათ! – წაიბურტყუნა ქიტამ და საბანი დაიფარა.

– მაინც როგორ გადავრჩი, ბედი მქონია, – გაიფიქრა თავისთვის და ძილი დააპირა, რომ იღუმალი ხმა ჩაესმა:

– ბედი კი არა, ქიტა, იმან გადაგარჩინა, რომ ამ ქვეყანაში მარტო შენაირი უჯიგრო ხალხი არ ცხოვრობს, – კიდევ რაღაც უნდა ეთქვა სინდისს, მაგრამ ქიტას უკვე ეძინა.

ପ୍ରମିଳାରୀ

რკინიგზის სადგურიდან მატარებელი ნელა დაიძრა და ხალხით გადაჭვილი ვაგონების რახუნით მოსახვევში მიეფარა.

ვაგონში ხალხი ფუტკარივით ირეოდა. ყველა ცდილობდა მოხერ-
ხებულად მოწყობილიყო. შეხუთულ ჰაერს თამბაქოს, ოფლის და
ჭრისყის სუნი ამძიმებდა.

გაჭიანურებული მოსის გაჭირვება კარებიდან, ფანჯრებიდან, ყველა კუთხე-კუნძულიდან შემომძვრალიყო.

მატარებელმა სკოლას უმატა. ჩინქოლი მიწვ-მრწვევა, მუჯლუგუნები და გინება მიწვნარდა. როგორც მოახერხეს ისე მოეწყვნენ და ახალი ჩხერის და დავიდარაბის ნაცვლად დაიწყეს საუბარი, რომელიც ყველა მხრიდან ომს უტრიალებდა გარშემო.

1942 წლის ზაფხული იდგა. მტერი გამდვინვარებით მოიწევდა წინ. მოდიოდა დაღუპვის და უკვალიდ დაკარგვის ცნობები; გლოვის ზარი რეკლა დაღუპულ ოჯახებში. მოულონელობის ელდა ჩასარებულების გველა სახლში, ვისაც ჯერ არ მიეწოდ საზარელი ცნობა.

დღიდ სიყვარულით და მოწიწებით მისჩერებოდნენ სამხედრო ფორმანებს. განსაკუთრებით თბილად ეპყრობოდნენ ფრონტზე ნამყოფებს და თანაცვლებები შემოსავად მიღებული.

თავიანთი შვილი, მმა, მამა, თუ ბიძა ახსენდებოდათ და მათვის შენახულ სითბოს ფრონტებზე ბიჭებს უნაწილებდონენ.

შუახანს გადაცილებული ქალი სკამზე შესწორდა, კარგად გატენილი ბოლჩა გვერდით მოხერხებულად დაიდო, ამდენი ჯაფის შემდეგ შევბით ამოიხვენება, თავსაფარი შეისწორა და მის ირგვლივ მყოფთა დათვალიარება დაიწყო. მოთხოვთილი და ონტერესმოქლებული მწერა გადავლო მეზობლებს, იბოდიალა მათ ბარგზე, შემდეგ მოშორებით, ფანჯარასთან მიუკეთებულ სამხედრო პირზე შეჩერდა.

ახალგაზრდა კაპიტანი მარცხენა იღლით ყავარჯენზე იყო დაყრდნობილი, მარჯვენა ხელით ჯოხს დაბჯენოდა, მხრებით კედელს მიყუდებოდა. ფერმკრთალი იყო. ღრმა ჭრილობის მიერ მარჯვენა წარბი შუაზე ჰქონდა გაპობილი, იგივე ჭრილობა შებლს გარდიგარდმო ჰკეპთდა და მარცხენა წარბი ზემოთ ხშირ შავ თმაში უჩინარდებოდა.

მაღალ და მხარბეჭიან ვაჟკაცს კოხტად მორგებული, გახუნებული გიმინასტურა უხდებოდა. მარჯვენა ფეხზე გულმოდგინედ გაპრიალებული ჩექმა ეცვა, მარცხენაზე კი – მსუბუქი ჩუსტი. მუხლს ქვევით გალიფი შარვლის ტოტი გარღვეული ჰქონდა და გასიებულ ფეხზე დახვეული დოლბანდით იყო ლამაზად დამაგრებული.

ეტყობოდა შეწუხებული იყო, ფეხის შენაცვლებას ვერ აწერხებდა, შუბლზე სიმწრის ოფლი უბზინავდა.

დედაკაცმა გვერდით მჯდომს რაღაც ანიშნა, შემდეგ ორიგეტ ერთად გაიხედეს ჯარისკაცისკენ. მალე ყველა მას მიაჩერდა.

– მიიწმოიწიეთ, ხალხო! დავსვათ ის დაჭრილი მეომარი, – აქტიურობდა დედაკაცი. ყველა აჩოჩქოლდა ადგილის გასანთავისუფლებლად. მერე ერთხმად მიეძალნენ და კედელთან მოაწყვეს დაჭრილი. იგიც პირველი გამალიანების შემდეგ დათანხმდა. როცა, სკამზე კარგად მოწყობილს, ერთმა კაცმა ფეხი გააშლევინა და ქვეშ თავისი ჩემოდანი შეუდგა, მთლად შვებით ამოისუნთქა. ყავარჯერნი და ჯოხი კედელზე მიაყუდა, შუბლიდან ოფლი მოიწმინდა და ირგვლივ მყოფთ მადლობის თვალი გადავლო.

– სადაური ხარ, შვილო? სად დაიჭერი? – ქალმა დააყარა კითხვები.

სხვები ყურდაცქვეტილები გასუსულიყვნენ, რას უპასუხებდა.

– თბილისელი ვარ, უკრაინაში დავიჭერი, რამდენიმე საველე პოს-პიტალი გამოვიცვალე, ბოლოს სოხუმში მიმკურნალეს, ცოტა ფეხი გამიმიზეზდა, ახლა თბილისში მივიღოარ, რამდენიმე კვირა დავრჩები დედასთან და მერე ისევ ფრონტზე წავალ.

– მე მეგონა სუმთლად განთავისუფლდა-მეთქი, ისევ ფრონტზე უნდა წახვიდე, შვილო, არ გეყო რაც დღე დაგმართნია?! – შეიცხადა ერთმა მოხუცმა ქალმა.

– აქ რა ნამუსით უნდა გაჩერდეს კაცი, დედი, როცა ფრონტზე ასეთი გაჭირვებაა, მიხმარება უნდათ მათ, მტერი ძლიერი და დაუნდობელია, საუკეთესო ვაჟკაცები იხოცებიან, ახლა შინ ჯდომა სირცხვილია.

– ვაი, თქვენ დედას, შვილებო! – ამოიქვითინა ერთმა.

– რას ამბობენ, შვილო, მაშ აღარ დაადგება საშველი მათ შეჩერებას?! – საყვედურით შეხედა ხურჯინში ჩაჭედილმა თეთრწვერა მოხუცმა.

– გაანებე თავი, კაცო, რადიოს ჩვენც ვუსმენთ და გაზეთებს ვკითხულობთ, ამბობენ, მტერი განადგურებული იქნებაო და სწორეც

არის, ცოტა დრო უნდა, მოითმინეთ და მაგასაც ვნახავთ! – დამაჯერებლად ამბობდა კიტელიანი კაცი, რომელსაც ეტყობოდა რაღაც თანამდებობაზე მუშაობდა.

– შვილო, ჩვენები არ შეგხვედრია იმ ფრონტზე? გვითხარი, ვინ იყვნენ, და სადაურები, იქნებ ჩვენიც ერია ვინმე? – შეეკითხა ერთი მოხუცი ქალი.

– ყველა მხრიდან არიან, დედი, ზოგის გაცნობას ვერ მოასწრებ, რომ გაქრება კაცი...

– ვაი, თქვენს დედას, შვილებო! – ერთხმად ამოიგმინა ყველამ.

– მტერი თუ მოგიკლავს? ბუზებივით ხოცავენ იმ გარეწრებს ჩვენი ლომგული ბიჭები, მაგრამ ქაჯებივით ბევრნი არიან და აბა, რა ქნან?! – შეეკითხა ჩოხა-ახალუხში გამოწყობილი და ქამარ-ხანჯლით აღჭურვილი, გამხდარი და მამალივით გაფხორილი მოხუცი კაცი, რომლი ისთვისაც, ეტყობოდა, მაღალფარდოვანი ფრაზები და ტრაბაზი უცხო ხილი არ იყო.

– როგორ გითხრათ, ბიძაჩემო, მტერი ძალიან ძლიერი და გამოცდილია. ბუზებივით მათი გაწვეტა?.. ეს გამოთქმა პოეტებს თუ მოუხდებოდათ. მტერი გვიტევს, ჩვენ უკან ვიხევთ, ზარალიც დიდი გვაქს. არც მტერს ადგა კარგი დღე, მაგრამ ჯერ-ჯერობით ისინი გვავიწროვებენ. რაც შეეხება, მტერი შეიძლება კიდეც მომიკლავს, წყეულიმც იყოს ომი, თორემ კაცის მოკვლა რა სატრაბახოა! – მწარე ფიქრებში ჩაიძირა ახალგაზრდა კაპიტანი.

მოხუც ჩოხიანს ტრაბახის პათოსი ჩაუქრა.

ცოტა ხნით დუშილი ჩამოვარდა.

ოფიცერმა, რომელსაც სისუსტე და დაღლილობა ერთად მოერია, ჩათვლიმა, მაგრამ საუბრის საღერღელაშლილებს სულაც არ უნდოდათ მისი დაძინება, ნახეს ფრონტზე ნამყოფი კაცი და სურდათ, მისებან რაც შეიძლება მეტი გაეგოთ.

არც თუ ენაწყლიანი ჩანდა ეს ახალგაზრდა. ეტყობოდა, რაიმე ამბავს გაზით თუ ამოაგლეჯდნენ, ამბის გაზვიადება და ფერადი საფეხავებავებით შელამაზება მისთვის წარმოუდგენელი იქნებოდა. იმათ სულაც არ ჰგავდა, კარტოფილის ფცქვნის მეტი რომ არაფერი გაუკეთებიათ და დიზენტერიის გამო დააბრუნეს უკან. სახლში კი ისეთ ზღაპრებს ყვებოდნენ, ხალხს უკვირდა, ეს ნაცარქექიები ასე უწყალოდ რომ ჟუჟავენ მტერს, ის ლომბული ბიჭები რაღას იზამენ, ფოლადი რომ აქეთ ჩაგუბებული ჯანმი და ხასიათშიო. იქნება ამიტომაც იყო ასე აღღორთოვანებული ჩოხისანი მტრის ბუზებივით გაწვეტით.

ოფიცერს ოვალები ენუჭა, ეძინა თუ თავის ფიქრებში დაბორიალობდა, მძინარეს გავდა და ვერავინ ბედავდა მისი მდუმარების დარღვევას, თუმცა ცლუნება ძალზე დიდი იყო.

ნელა გაახილა თვალები და შუახნის ქალმა აღარ დაყოვნა.

- დაიღალე, შვილო?

— არ ვიცი, შეიძლება, — თავისთვის თქვა და ისევ თვალების და-
წეჭვას პირებდა, რომ:

— შვილო, იქნება მოგვიყენე იმ წევული ფრონტის აბბები? — უმ-ტყუნა მოთმინებამ მოხუც ქალს, ომში გაგზავნილ თავის შვილსა და შვილიშვილებს რომ იხსენებდა და იქიდან ყველა ცნობებს ღრუბელი-კით იშრობდა.

— შე ქალო, ხომ ხედავ, ბიჭი როგორ დაღლილია, დაისვნებს, გამოიძინებს და მოგვიყვება, აბა რას იზამს, — შეაგდო ნამუსზე ამბის მოყოლის საქმე მეორებ.

— ეხ, რა მოსაყოლი ის წყველი ამბავია, გახსენებაც არ მინდა, მაგრამ რა გაუწყობა...

— შვილო, შენ იმდენი ამბავი გექნება გადამხდარი, მის მოყოლას ერთი ღამე არ ეყოფა, იმაზე მოგვიყევი, სად დაიჭერი, — დააკონკრეტდა ამბის მოყოლის საკითხი ხურჯისის პატრონმა.

— ჯურ გვითხარი, შვილო, რა გვარი ხარ?

- (კოლ-შვილი გყავს?)

— ომში რამდენი ხანი ხარ?

კითხვები დააყარეს აქტო-იქიდან.

— ვეცდები ველაფერზე გიპასუხოთ, — დამშვიდებით ოქა ოფი-
ცერმა და დაიწყო:

— როგორც მოგახსენეთ, თბილისელი ვარ, ვახტანგ დავალიშვილი, სახლში მარტო დედა მყავს, ორი და სოფელში არიან გათხოვილი. ომის დაწყებამდე სამი წლით ადრე სამხედრო სასწავლებელში ვსწავლობდი კუევში, ორმოცდაერთი წლის აგვისტოდან კი სულ ფრონტზე ვარ. დაოჯახება ვერ მოვასწარი, თუმცა ყველა ასე ამბობს, სასწავლებლის დამთავრება ვერ მოვასწარი, თორემ იყო ადამიანი, ვისაც... ეეს! თითქოს ტყვია არ მეკარებოდა, გაკაწრულიც არსად ვიყავი. მზოგავდა წყეული, ჩემს ირგვლივ კი სიკვდილის ბორბალი ჭრიალიბდა.

ბოლო ბრძოლაში მიმტყუნა ბეღმა, რაც აქამდე დამზოგა, სულ ერთბაშად გადამიხადა, ყველაფერი კი ასე დაიწყო: მტერმა ჩვენი თავდაჯის საზი გაარღვია. უკანდახევა გვებრძანა. მოლო კვირა ძოვ-

დიოდით შეუჩერებლივ, ფეხდგომელა გვეძინებოდა. წყეული მტერი კი კუდში მოგვდევდა და მოსვენებას არ გვაძლევდა. ბოლოს, როგორც იყო, მოვწყდით მტერს, შვებით აძოვისუნთქეთ. ტყის პირას შევჩერდით შესასვენებლად, ბიჭები დახოცილებივით დაეკარნენ მიწაზე. ერთი საათიც არ იქნებოდა გასული, ჩვენთან მოხუცმა გლეხმა მოაჭენა ცხენი. როგორც ჩამოხტა, მჟაური იკითხა. ჩემთან მოიყვანეს. „სოფლის ახლოს გერმანელებმა გაიარეს, ოცამდე მოტოციკლით იყვნენ, ეტყობა სადღაც ეჩქარებოდათ, სოფლისაკენ არც მოუხედავთ. ალბათ მალე მობრუნდებიან, საშიში ის არის, რომ სანიტარული ნაწილი დგას სოფელში, ორმოცდათამდე დაჭრილია, ოცდათამდე მედდა და ჯანმრთელი ჯარისკაცებია. სოფელში რომ შემოვიდნენ, ძალიან ცუდი დღე დაადგებათო“.

სასწრაფოდ გამოვყავი მზევერავთა ჯგუფი და, მოხუცის თანხლებით, გერმანელების დასაზღვრად გავაგზავნე. ჩვენ კი სოფლისკენ დავიძიძროთ.

პატარა უკრაინულ სოფელში ისეთი მყუდროება იდგა, თითქოს სულ ახლოს ომის ქარცვებს არ გადაეძირა ყველათვე.

სოფელში შესვლისთანავე ძაღლების ყეფამ გამოაცოცხლა მიმინებული ქოხები. აღარავის ეგონა ჩეონების გამოჩენა, ყოველთვის გერმანელებს ელოდნენ, ამიტომ კარებები და ფანჯრები მაგრად ჰქონდათ ჩაჭრილი.

მიუხედავად ბრძანებისა, რომ მწყობრად და ყოჩაღად გაევლოთ, ბატალიონს დაძაბული ბრძოლისა და მომქანცელი უკანდახევის პა-ლი ღრმად ჰქონდა ჩაჭერილი. გახუნებული, ჭუჭყანი, დამტგერილი, ზოგან დახულფორმიანი, წვერ-მოშებული და ზოგი ჭუჭყან დღლ-ბანდღადებული მსუბუქად დაჭრილები, ძლივს მიათრევლნენ გადაღლი-ლობისაგან ძარღვებდაწყვეტილ თეხბებს.

სოფლებმა ჩვენი ჯარის დანახვაზე, აღფრთოვანება და სიხარული ჭარბად შეგვაგებეს. თითქოს უკანდახეული და მრავლად გვერდებნაჟერი ნაწილი კი არა, მტერზე გამარჯვებული ზეიმით შევდიოდეთ განთავისუფლებული სოფლები.

საშინელი ქარიშხლის მოლოდინში, ნაპრალში შეტუზულ თოლია-სავით შეშინებულ სოფელში, პატარა იმედის ნაპერწკალი შევიტანეთ, რომელსაც სულ მაღვე ჩაქრობა ჰქონდა დაბეგძებული.

ხალხი გარს შემოგვერტყა. გვეკითხებოდნენ, კიდევ მოდიანო? და სწავა მრავალი... როგორც გაიგეს, სინამდვილე, წუთიერი აღფრთოვა-ნება ისევ საშინელი ამბის მოლლოდინმა შეკვალა.

სოფლის სკოლის ერთსართულიან შენობას მივადექით. ათამდე საზიდარი იდგა ეზოში, ირგვლივ თეთრხალათიანი ხალხი და მხარღლივ შაშხანაგადაკიდებული მესაზიდრეები ფუსტუსებდნენ. სანიტარული ნაწილის უფროსმა, ახალგაზრდა მაიორმა ქალმა ძალიან გაიხარა ჩვენი მისვლით.

დრო აღარ ითმენდა. სასწრაფოდ მოვემზადეთ ევაკუაციისათვის. ბევრი ფაციულუცის შემდეგ, როგორც იყო გავედით სოფლიდან. სამი კილომეტრითაც არ ვიყავით მოცილებული, რომ სოფელში მტრის მოტორიზებული ნაწილი შევიდა. ამასობაში ჩვენი შზვერავები დაბრუნდნენ და არასასიამოვნო ამბავი მოიტანეს: ჩვენგან რაღაც სამ კილომეტრში მტრის მოტოციკლისტები ჩასაფრებულიყვნენ და კარგად შენიდბულები, ეტყობა, უკანდახეულ ჯარისკაცებს ელოდებოდნენ.

სოფელში შემოსულმა მტერმა ჩვენი კოლონა დაინახა და სასწრაფოდ შემოგვიტია. ფრიად როტული მდგომარეობა შეიქმნა. ერთი ასეული ჩასაფრდა და სოფლიდან წამოსულ მტერს ცეცხლი გაუხსნა. დანარჩენები ჩასაფრებულ მტერზე შეტევისათვის დავაწყვე, უკან კი დაჭრილებით სავსე საზიდორები მოვადევდა.

ერთი კილომეტრიც არ გვქონდა გავლილი, რომ არიერგარდის ასეული მძიმე ბრძოლაში ჩაება.

მტერი მიხვდა, კოლონას მარშით ვერ დაეუფლებოდა და ნაღმ-სატყორცნის ცეცხლი დაგვიშინა. ჩემს თვალწინ პირდაპირ მოხვდა ნაღმები სამ საზიდარს და დაჭრილებიანად ნაფლეთებად აქცია.

როგორც ხელის გულზე, ისე ვყავდით მტერს და ნაღმსატყორცნით გვცხრილავდა. ბევრი დაწვა სამუდამოდ იმ მინდორზე. კიდევ კარგი, არიერგარდის ბიჭებმა იმარჯვეს და ნაღმსატყორცნი ჩააჩუმეს, თორებ ჩვენგან ბევრი აღარ გადარჩებოდა.

ეტყობა ჩასაფრებულმა მოტოციკლისტებმა ვეღარ მოითმინეს და ბრძოლის ხმაზე ჩვენსკენ გამოსწიეს. კიდევ კარგი, თორემ ვერავინ გადავურჩებოდით. ზუსტად გზის მოსახვევთან შევეჩერეთ ერთმანეთს. გაჩაღდა ხელთარჩული ბრძოლა.

მტერი გავფანტეთ და დარჩენილები ტყისაკენ დავიძარით, წინ სამი საზიდარიღა მირახრახებდა.

ამასობაში, ეტყობა, მტერმა არიერგარდის ასეული გადათელა და ჩვენსკენ გამოქანდა.

ცოტანიღა დავრჩით, მაგრამ ორგანიზებულად ვიგერიებდით მტრის შემოტევას. ტყეში უნდა შევსულიყვავით, რომ ერთი მესაზიდრე წაიქცა, ვაი დედაო, დაიძახა ქართულად. უკან გამოვბრუნდი, დავიჩოქე,

სადაური ხარ-მეთქი. ხმა არ ამოუღია, დრო აღარ ითმენდა, ხელი დაგავლე მინდოდა ტყეში შემეყვანა, უკვე მკვდარი იყო, მიწაზე და- ვასვენე და...

ბიჭებს დაენახათ, რომ წავიქეცი, მოახლოებულ მტერს შეუტიეს, გერმანელები ჩაწერნენ. მარცხენა ფეხი არ მემორჩილებოდა, უმოქმე- დოდ ეგდო მარცხენა ხელიც. ორმა ჯარისკაცმა ჩემთან მოირბინა, დამტოვეთ-მეთქი, დავიღრიალე, მარჯვენა ფეხზე ავიმართე და საბო- ლოო ხელფეხმარა გადავაგდე მტრის მხარეს, თვალებში ბნელი მომე- რია და ამის შემდეგ აღარაფერი მახსოვს...

საველე ჰოსპიტალში მოვედი გონს, მითხრეს, ორმა ჯარისკაცმა მოგიყვანაო, არავის არ ანდობდნენ შენს თავს, სანამ ყველა ოპერა- ცია არ ჩაგიტარეს არ წასულან. მერე ექიმის იმედი რომ მიუღიათ, ცოცხალი გადარჩებაო, წასულან. შემდეგ კიდევ ოთხი დღე ვერ მოვ- სულვარ გონზე.

ახლა ყველა ჭრილობა მომირჩა თავში და მხარში, ცოტა ფეხი გამიჭიანურდა, ტყვიას ძვალი დაუზიანებია და...

დამთავრა თავისი მოთხრობა კაპიტანმა.

კარგა ხანს დუმდა ყველა. მხოლოდ ოხვრა და ხმადაბალი ქვითი- ნი ისმოდა, ქალები ცრემლებს იწმენდდნენ. თავისიანები წარმოედგი- ნათ იმ დახოცილ ჯარისკაცებისა და დაჭრილების ადგილზე; ტირი- ლით იკოდავლნენ გულებს.

- ვაი! დედა მოგიკვდეთ, შვილებო!
- ეხ! იმიტომ მოდის ამდენი დაღუპვის დეპეშები!
- ცუდად არის საქმე! - გულგატეხილად ამოიხრა ჩოხიანმა მოხუცმა.

- არც ისე ცუდად, ბიძაჩემო, ბევრს უკვე ვადინეთ მმარი ცხვირი- დან, სხვების დროც დადგება. გული იმაზე მწყდება, რომ ფეხის გამო ჯერ ვერ ვახერხებ შერისმაძიებელთა რიგებში ჩავდგე.

- ღმერთმა გამარჯვება ნუ მოგიშალოთ, შვილებო! - ახმაურდნენ.

ვაგონი კი თვლების რახუნით თვლიდა რელსებს.

ისევ ერთმანეთან კამათში გაერთინენ.

ამერიკა და ინგლისი არ გვეხმარებიან და ჩვენ რომ არა, გერმა- ნელები აქამდე მაგათ ბოლს აადენდა ზურგზეო. ეგენი კი სეირს უკუ- რებებს და ჩვენი სისხლის ღვრა სულაც არ აწუხებოთ.

მერე გაჭირვებულსა და დამბიმებულ ცხოვრებას მიაკითხეს. თავი- ანთ მდგომარეობაზე მოიწურუნეს. მერე ისევ ფრონტის ამბების მოყო- ლა მოუნდათ, მაგრამ მეომარს ისე ღრმად ეძინა, რომ მისი შეწუხება

ცოდვა იყო. ორთქლმავალი კი ბნელ ღამეში ჩაფლულ, მიძინებულ სოფლებს ცხოვრების მუდმივ მაჯისცემაზე შეახსენებდა და ახლა სხვებისკენ მიიჩქაროდა.

ომისგან დამშეული, გაწამებული ხალხით გაჭედილმა მატარებელმა, არანაკლებ განაწამებ და ფერდაკარგულ დედაქლაქს მიაკითლა.

ისევ ატყდა მიწევ-მოწევა, მუჯლუგუნები, ჩოჩოლი, ბარგის გათრევ-გამოთრევა, გინება, წივილ-კივილი. ასე უერთდებოდა ვაგონიდან ჩამოსულთა მასა მის მსგავს, ჭრელა-ჭრულა, დამშეულ და გაწამებულ ხალხს, ბაქნზე ყველა მიმართულებით რომ მოძრაობდნენ.

ვახტანგი ძლივს გასცდა ბაქანს, აქ შედარებით ცოტა ხალხი იყო, კადელს მიეყუდა და ფიქრს მიეცა.

სადგურიდან არც ისე შორს ცხოვრობდა. ადრე სულ ფეხით მიდიოდა სახლისაკენ, ახლა კი სიარული უჭირდა, ფეხმაც ტეხვა დაუწყო.

გაჭირვებით ჩაიარა კიბეზე, გავიდა სადგურის მოედანზე და ეტლში ჩაჯდა.

— სვანეთის უბანში მიმიყვანე! — უთხრა მეეტლეს და სავარძელში შვებით გადაწვა...

მოხუცი მეზობელი ქალი ენად გაიკრიიფა:

— დედაშენი მთელი სამი თვე ცუდად იყო, ძალიან გაჭირდა, შვილო, ცხოვრება ქალაქში. შენი უფროსი და ჩამოვიდა, — სოფელში წაიყვანა. ბინის გასაღები მე დამიტოვეს, ყოველ შემთხვევისათვის, აკი გაამართლა კიდეც.

ვახტანგი შელახლახდა დიდი ხნით ჩაკეტილ და დახუთულ ოთახში. კარებთანვე სახეზე აბლაბუდა მოედო, ხელით მოიცილა, სწოლ-თან მივიდა და დამტვერილ საბანზე მთელი სიმაღლით გაიშოტა...

— შენნაირი გამოცდილი ოფიცირები ზურგშიც ძალიან გვჭირდება. ახალგაზრდების გაწვევის ცოდნა, საშმობლოს სიყვარული და ამ საქმისადმი უანგარო სამსახური გვჭირდება, გვიჭირს, ვახტანგ, გვიჭირს! — დინჯად ლაპარაკობდა რესპუბლიკის კომისარი, — ფრონტზე წასვლას ტყუილად თხოულობ, ხომ სედავ, ჯერ აქაც ძლიერ მოძრაობ. დარჩები, საქმეშიც მოგვეხმარები და გამოჯანმრთელებული დაბრუნდები ფრონტზე. აბა, უარი არ გამავონო.

— მანც, რაში გამოვდგები, ამხანაგო, კომისარო? — შეეგითხა ვახტანგი.

— ერთ რაიონში სამხედრო კომისრად უნდა გაგაგზავნოთ. კადრის ოფიცირის გამოცდილება, შენნაირი პატრიოტი და მიუკერძოებელი

კაცი მჭირდება. არის სიგნალები, რომ უპატიოსნო ადამიანები თავს არიდებენ გაწვევას. ეს მაშინ, როცა მოხუცებიც კი მოსვენებას არ გვაძლევთ, მოხალისებთ თხოულობები ფრონტზე წასვლას.

— არა, ამხანაგო, კომისარო, მე მაგ საქმეზე არ გამოვდები. ერთი კვირა და ისევ ფრონტზე უნდა წავიდე. მე იქ ანგარიშები მაქვს გასასწორებელი.

— შეგიძლია მიიღო თხოვნად, შეგიძლია დავალებად, თუნდაც სამხედრო ბრძანებად, ბოლოს მაინც გთხოვ, წახვიდე იმ რაიონში, ჩვეული ენერგიით წაიმუშავე, მანამდე სულ გამოჯანმრთელდები. ფრონტზე წასვლას კი ყვთელთვის მოასწრებ. ახლა წადი და მოემზადე. ერთ კირაში გაემზარება რაიონში! — დაამთავრა საუბარი კომისარმა...

ძევლი ტონანახევრიანი სატვირთო მანქანა გზას ხენეშით მიიკ-
ვლევდა. ძარის გვერდზე ოოკით მიბმული და ქვეშ ნამჯაჩაფენილი
ორას ლიტრიანი საწვავის კასრი ხტუნავდა და ხმაურით ასკდებოდა
იატაქს, სადაც სამი ტრაქტორისტი იჯდა, ნჯღრევისაგან შეწუხებუ-
ლები შიშით შეჰყურებდნენ კასრს, რომ ოოკს არ აშვებოდა და ისინი
არ დაეშავბინა.

კაბინაში გახტანგი იჯდა, მანქანის ყოველი ორმში ჩახტომ-ამოხტომა მას მწარე ტკივილად უჯდებოდა. სახე დაღმენჭოდა, დაჭრილი ფუნისათვის ადგილი გურ მოუბინა.

მძღოლი ყოველივე ამას ზედავდა, თვითონაც განიცდიდა მგზავრის გაჭირებას, რაც შეიძლო ჯდომობდა ფრთხილად ევლო.

— იქნება ცოტანას შევისვენოთ? — მოკრძალებით შეეკითხა ვახტანგის.

— ჩემი გულისთვის ნუ იზამთ ამას, მე არაფერი მიჰშირს, უარესი მინახავს, როცა მძიმედ დაჭრილები ერთი-მეორის გვერდით ქაშაგიძით არიან ჩაწყობილი, უკან მტერი მოსდევს და თან ტყვიას უშენს; მესაზიდლე კი ამაზე გაცილებით უარეს გზაზე ცხენებს ჭერებით მიეროვა... — სიტყვას მძიმე ოხვრა ამოაყოლა ვახტანგმა.

მანქანა სცნეშით და თუშთუხით უყეფდა ჩოფურა კაცის სახესა-
კით ორმობით დაკაპილ აზას.

მძღოლმა დაღმართი მოქებნა და ძრავი გამორთო. მანაც რეგმა-ტიზმებით შეწუხებული მოხუცივით რამდენიმეჯერ ღრმად ამოიოხრა და გაყინდა.

— ესეც ესე, მიწოლა აღარ დაგვჭირდება, თავდაღმართზე ვდგე-
ვართ, — შესძახა მძღოლმა ძარაზე მჯდომთ. ჩამოხტა, მანქანას შემო-
ურბინა, კატანგას კაბინის კარი გაუღო, ჩამოსკლას მიეხმარა.

— აგერ ორსართულიანი სახლი, რომ დგას მოედანზე დიდ ჭადრებთან, ეგ არის კომისარიატი, — უჩვენა ხელით მგზავრობისაგან გაწამებულ ვახტანგს, — თუ გინდა გაგაცილებ! — კახური თავაზიანობით უთხრა.

— არ მინდა, მე თვითონ წავალ! აბა, კარგად იყავით, — მძღოლს ხელი ჩამოართვა, მობრუნდა, ფეხის თრევით და ყავარჯვის კაგუნით, ზურგჩანთაგადაკიდებული ოფიცერი მიადგა რაისამხედრო კომისარიატის კარებს...

მოხალისეებისგან მოსვენება აღარ იყო. ჯერ კიდევ მოუმწიფებელი ახალგაზრდები და გაწვევის ასაკგადაცილებული მამაკაცები დაუინებით მოითხოვდნენ ფრონტზე წასვლას. ისედაც ბევრი მიღიოდნენ. ყოველდღე აგზანიდნენ ახალ-ახალ პარტიებს. კომისარიატში გამცილებელთა და გაწვეულთა გნიასი იდგა.

ზოგი თავისი დიდი ხნის წასული შვილის, ან ნათესავის ამბის გასაგებად იყო მოსული, ყველას პასუხის გაცემა, გასტუმრება უნდოდა, დღე და ღამეს ასწორებდნენ კომისარიატის მუშაკები.

შესაღამოვდა. მთელი დღის დაძაბული და ნერვიული შრომის შემდეგ კომისარიატში ცოტა ამოისუნთქეს.

ვახტანგი სკამზე გადაწვა, დაღლილმა და უძილობისაგან გაწამე-



ծյուլմա տշալցեն մոլովակա սպառապահ մոլովակա ինքնառա և սեղալման սասամոցն սոտեն օշրմեն...

ռոտանու կարեն նելա զարդա և զորապամ տագո Շեյք, մեխուս մուսաբարա և սորունա գամոմեցրա զորտես զարդա մուս գամուեցա, րոմելու ելուսապրել մոմենք ըլունցեա ցեմրուու լուկմուս մուսա- թացուելուա.

զակուանցո առ ցանմրուուա.

շուբռու մուլունա և Շեզու ռոտան և կարեն նելա մոկուրա. ասյ օլցա կարցա և ան, շաբան ցամրունց առ շնունդա. ջունեն ցագրմելուա ասյու շերէնելու մոցունարունա.

մոտմինեն ցամունա շուբռու և հասկուելա. զակուանցո և կամիչ Շեշունրա, Շեյոմեյմա և օւյու ձորցանցուու մոցունարունա մուլու. շուբռու ցուցա հասկուելա, աելա շոյրու եմամալուա.

զակուանցո մմումեց անու յիշուունուն. կարեն ցաւու և կամիչ Շեշունրա, ցամունա և կամիչ Շեշունրա, տշալցեն ելուն մուսա մուսա.

— ցումենու! — մոմարտա շուբռուն.

— մոծրմանցու, դածրմանցու!

շուբռու սանմ դաշուունու, զակուանցուն մուզու, մլոյկենցուուրա մուսա մուշունու և ելու համուարուա. մերյ մուշունուն ցամունրա սկամ և օւյու դաշու, րոմ սկամս կո առա, օւյու տագու յոյեն շոյրու անցուուն.

— րանց Շեշունց են սունարու? — ցալալուուն ցաւու եմու օյունա զակուանցու.

— արագուրնչ, ծագուն, տյեղու ցաբռու մոնցու, օւյու օյազու ցածացուրուուն, րոմ զեր մոցաներն յիշունամց Շեմուշու, աելա կո տագուս սույալու դրու մոցունուու և ացեր տյեցնուն ցար, — ծոյրու նաբռունու ցանուուն շուբռուն.

— ջրոնքուն եմ առա և արտ դածրունց են սուն? — օնսիւն յիշուրա և շեյքուն զակուանցո.

— զոն մոմցա ցա ծյունուրնեն, Շենո կորում, շոյու կուշու Շյուլու մանու- նեն սամունա և առ ցամունու ամութու. դամամիշացունա և վմունա և հեմուն ցու լուկմա կուրս զամ, Շեննա կարց ծոյքենսա առ ցոյունու և ասյ, ցար հեմուն.

— ցերու և ցարցեն սուլա առ ցոյցա կուշու Շյուլունան! մյուրնա լուն տու դացունուն?

— րոցու առա, մացրա հեմու սամու առ արու, առա և առ մոր-

ჩება ეს ოხერი.

— სულ მალე კომისიაზე გაგატარებთ, გიმპურნალებთ და ალბათ, ორ-სამ თვეში მოგეცემა ომში გაწვევის ბედნიერება, — თანაგრძნობით უთხრა ვახტანგმა.

— როგორ გეკადრება, ომში ისედაც ბევრნი არიან, აქ შენაირ კარგ ბიჭებს ხომ უნდათ კარგი კაცები ყავდეთ გვერდით. პოდა, მე და ჩემი მეგობრები მუდამ შენს გვერდით ვიქნებით, ჩიტის რძეს არ მოგაკლებთ. ჩვენც ასე, გაჭიანურებული ავადმყოფობის მკურნალობას როგორმე ომის დამთავრებასთან ერთად მოვრჩებით, — ეშმაკურად გაიღიმა სტუმარმა.

ვახტანგი მიხვდა, მის წინ გაქნილი დეზერტირი იჯდა, აშკარა იყო კომისრის მოქრთამცვეს აპირებდა, რათა მერე უფრო იმედინად ეგრძნო თავი. სისხლი ეცა საფეოქელში, სახე ცოტაზე წამოუწით-ლდა, ერთი სული ჰქონდა, სცემოდა ყელში და გარეთ გაეგდო. გა-ახსენდა რესპუბლიკის კომისრის ნათქამი, უპატიოსნობი გაწვევას თავს არიდებენ.

გაგდება შეიძლებოდა, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი ჰქონდა გასაგები, ამიტომ ძლივს დაიკავა მღელვარება და სტუმარს ჰკითხა.

— კი, მაგრამ, ჯერ ჩვენ ერთმანეთი არც კი გაგვიცვნია, — თავშე-კავებულად წარმოოქმნა ვახტაგმა.

— ასე, შენ გენაცვალე! თავიდანვე ვიფირე, რომ ვაჟკაცი იქნებოდი და შენთან მეგობრობა შეიძლებოდა, — საქმე გარიგებულად ჩათვალა, თამამი და გულახდილი საუბარი დაიწყო, — მე ქტა გველუკაშვილი ვარ, უბრალო დამამზადებლად ვმუშაობ, ჩემთვის ქვაცა მაქვს და კა-კალიც. შენაირი კარგი ვაჟკაცვიბისათვს გასაყოფიც საკმარისი მაქვს, ისე, რომ არაფერს არ გაგიჭირვებ.

— ამხანაგებიც შენსავით კარგი ბიჭები გეყოლება, იქნება გამაცნო, რა სკობია, ასეთი ვაჟკაცური ხალხი რომ გეყოლება გვერდით, — შეაგულიანა ვახტანგმა.

— ისეთი ბიჭები არიან, არაფერს გაგიჭირვებენ, აი, ნახავ, გაიცნობ მათ და გვერდიდან აღარ მოიშორებ. მყინვარწვერზე გაშლიან პურ-მარილს, თუ მოინდომეს, ჩიტის რძეს არ მოგაკლებენ.

— გამაცანი შე კაცო, ვინ არიან, შეიძლება ისეთ მომენტში შემ-ხვდნენ, რომ ვერ ვიცნო ეგ კარგი ვაჟკაცები და უხერხულ მდგომა-რეობაში არ ჩავვარდე. დამაწერინე გვარი, სახელი და მერე ერთად სადმე კარგად ვიქეიფოთ!

ვახტანგმა ფანქარი და ქაღალდი მოიმარჯვა და ქიტამ დაიწყო:

— მიტო ჭამიაშვილი — ნავთობბაზის საწყობის გამგეა, — ხმადაბლა ჩურჩულით უთხრა, — ჭლექიანის ცნობა აქვს, ხი, ხი, ხი, საიმედო ბიჭია.

— მაქრო ქაფიანიძე — სასაკლაოს გამგეა, შიზოფრენის ცნობა აქვს, წყალი არ გაუვა. აბრამა მასხარაშვილი — მატყლის დამამზადებელია, — ბნედიანობას იბრალებს.

— მიხო ტომარაშვილი — რაიკოოპერატივის საწყობის გამგეა, მარცხენა ხელზე და ფეხზე ლდამბლა აქვს. ისე, რომ ყველანი საიმედოდ არიან განთავისუფლებულნი. რაკი შენი სახით კარგი მეგობარიც გვეყოლება, გვერდით, აღარაფერი გაგვიჭირდება, — დაამთავრა მეგობრების გაცნობა ქიტაბ.

ვახტანგმა ღილაკს თთით დააჭირა. ჭადარათმიანი ქალი შემოვიდა ოთახში და კარებთან გაჩერდა.

— მობრძანდით, აგერ მაგიდასთან დაბრძანდით და დაიწერეთ!

ქალმა ფანქარი და ქალალდი მოამზადა.

— ქიტა გველუკაშვილი და მიაყოლა დანარჩენი ოთხი ამხანაგის გვარი და სახელი... ხვალვე გამოიძახეთ კომისიაზე, ერთ კვირაში ფრონტზე უნდა გავაგზავნოთ! — დინჯად დაასკვნა ვახტანგმა.

ელდანაცემი ქიტა გონდაკარგულივით იჯდა სკამზე, სახეზე მკვდრის ფერი გადაჰკვროდა, ენა ვერ მოებრუნებინა.

— შენ იცი რა ვაჟკაცები იხოცებიან იქ, შე მათხოვარო! დამდგარ-ხარ და მათ ცოლ-შვილის სისხლსა სწოვ, ქეიფით და ჩიტის რძით ტრაბახობ, შე პარაზიტო! იქ მომცა შენისთანები, ალბათ ადგილზევე დაგხვრეტდი, მავრამ ახლა ჭკუის სასწავლებლად ესეც გეყოფა, გა-ეთრიე და ხვალ კომისიაზე არ დააგვიანო, თორემ დაპატიმრება არ აგცდება.

— მე შენ ვაჟკაცი მეგონე, ეს რა ჩაიდინე?!.. — ძლივს წამოდგა სკამიდან ქიტა.

— გაეთრიე! — დაიღრიალა ვახტანგმა და სამელნეს ხელი წამოავ-ლო. ქიტა სირბილით გავიდა ოთახიდან...

— აბრამა მასხარაშვილი კომისიაზე! — გამოაცხადა მორიგე თფი-ცერმა.

ოთახის კარი გააღო თუ არა, აბრამა ზედ კარებთან გაიშხლართა, ისე მოწყვეტით, რომ შუბლი დაარტყა იატაქს და სისხლმა გამო-ჟონა, პირიდან დორბლი გადმოუვიდა, ფორთხვა დაიწყო, მიესივნენ და გარეთ გამოიყვანეს. — ბნედიანია, მოაშორეთ აქედან! — იძახდა რამდენიმე ხმა.

մարդկենա զյեխու լիքաբանութ և եղլու ցածրակենութ Շեցու գոմիսու-
աչյ միեռ լորմարամշուլու, ենա նաեւըրա գարետ էլյոնդա գամոպոջուլու
և ձուրութ գածմունքուլ լույս օլուկազնա, տան տաց ապանցարեծուա.

Նայրու յացուանուց եալնես դայրուա ցերմանելուն եարտու և եղլութ-
ցարուլու մլուզ վականու մնե.

միուր քամուամշուլու օւստու եցելա այլից գոմիսուաչյ Նյու Տուեն-
լու օյուրտեա լայնու, լառնեցուլու եցելուացան ձուրութ Տուեն Տուենցա-
մոնտեցուլու ցամուցանու ցարու.

յիւրա ցեղալուցամշուլու ցուլուսրցա, կրունիեա, Տամունուլու լիքաբանու-
աչյ գուշուն արյուն, մանքուա-ցրեա լայմարտա, օւս մմոմե մծցոմարյունամի
հազարդա, րոմ մուսու հյունցենու ցարուարեա Շյումելութելու Շյոյմնա...

ածրամա մասեարամշուլու րոցորու ոչչախու շոյրունու, տամածոնեա,
լաճարիենեա լումունու Շյումելունեա լուշուն եարուս, լապարակու եասո-
ւու արյուն երտու արա էլյոնդա, պայլանու Սկցը ցածրաենունու ցանսապացունու
Շտածեցուլութենուան ցեր ցամուսյուլուցնեա, Նյուրաստան օւսենեն և
ոյուրուու կու օւս ցոմիսուն ամեցն և ասերուալութենու.

— Կարցու Տայմե կու ցոյինա յիւրամ, — տացուտունու հաօլապարակա մո-
ւում, — լույսմա ցըրար լամունուքու, կացու օւս մացրա զոյնուն լուցանու
— Նյու ցանուցուլու մայքն. օմժցն Տուենու ցամունցուն, եալնես ցըրնա,
մալու յուլութցեցասաց ամուցուլութենու. օւս զոյուրտեածուն, մերուգու-
նուն, հցենց ար ցածրացըրուսու, — Տուուլու այլիցա.

— Շեն ածրամա Շյումելու պայուր, րոցորու կունու և ասչցունուա, Վար-
ծուց ցաեւեյուլու այցն. օւս լայեւույա տացու աւացն, ցոմիսուն Վյուրենու
կոնաճամ Տամենուն ցամուցունուն, — պայլան ցածրանեարեա.

— Եյմիյ րոմ ցըրն օւսնու, — Շյումանեա ածրամա միեռն, — Եղլ-
ույեխու րոմ ականցալութենու, ցը արայցըր, մացրամ լուրենու րոմ ցածրաց-
ւունու և ցնու սկանցը րոմ ածրունութենու, ցը հաճամ մոցացնա, կացու!
— Տարեարենեն պայլան.

— արա, Նայրու յուրունու կոմիսարուաթնու րոմ ցաենա և եալնես մալուն
մշունու և այրուա ցերմանելուն արուանու, ցը րոցորուն մոցելուն? —
Տարեարու ամեռն յիւրա. — Եյրու Շեն կու ցայինցուն. — Ցուլու մույզուն
Նայրուն. Վաեւը կացու կոմիսարուան, Շյումենուն, հցեն մմակապա ցածր-
ունու, ցը հա քունու հացացնա, Շե շուլուցըր! աելու ագյուն և րոցորու
ցունու, օւս ցայինցուն պայլան, տորուն ցը օւստու աց մալուն հանս,
մալու Նյուցելա ցունունու ցունուն, ցունուն տաց. յուզելուցուն Նոմ ցըր ցա-
ծրացընենու?

— լուցըրում Նյու աս ցամարչացելուլու ցամարչարուն! — Քոյք անիու

տամաճամ.

— ամի՞ն! — დაսկածա ցցելամ.

մորամդյա ցամուպալյա և սամուսեծո և ցերո տոտու ուրիշնուղեծից դակըրգություն.

— ռաջապա շնորհա ցուղուու, տորու պայտա արու և սայմե. ღմերումանո ցըր ցագացուրիցիու!.. — դասիցու տամաճամ.

— ամեռակե, ևյու ուրոնքից վասվանա ուրնեռակա ուրնեռակա.

— մերո զոն մշումալա ելու, մաց դալուցուղուս?!

— ցեմի ցուղուու դաշուրուու և մաւալո ցայան շորիցառ, մեարմի և տացմուց էլյոնա մոեցուրուու, մացրամ ու քուլունեցու շուկա մորինա.

— ցուղու ևրուու ևցուղուու օմ ցերմանցուցիս.

— տվեց ևյու պայտակա և ցըր ալյուու, ռոմ սանամ ու վաս ուրոնքից, մանամ հցեց վոն ցացումմալցարուցիս.

— մանամդյա նոյ աշուցա ցայրուցիս!..

ասյ կամատուունից գուցեան, տան լցոնու ուրնեռակա պայտակա.

կարցա մշութարեռնուն. օւյու ածրամամ դասիցու:

— վուրաւ, մշեց ռոմ ցայտուցի սայմե, շուկա եռու ար ցաբարուցա? էռուա, մշենց շնորհա ցամուասվուրու!

— էռ, էռ, մացան շնորհա ցամուասվուրու! — ցայրու դաշուկրու և մանարիցինեցմա.

— եռու ցայց, ուրոնքից վասվանա ևցուղուու, տանաւ ցեմի տոտյու մուրիսա, մուրալուցուու կացու ինս, օյնեցա ուրուու դապացունցու ռոմ ուրոնքից վասվանա սակուրու? սայմեցուու մալուան ցադաթուրուունա. էռուա, մուցեմարու, այ ռուտցու ցարու, տոյ ցակուրուցամու կացու ելու ար ցացումարուատ. մուսիցունց այ ցուցա, ուրոնքից վասվանա շնորհա, լորու արա այս ցանցեացմա ռոմ ցայտուանու. վուրաւ, մուցեմարու և ցայմարու ելու...»

— ხա, ხա, ხաա! ռա քուցուանու ինացույյուրու! — ևոմլերու սասուատից դալցնեն.

ինցենցու և ինցենցու ծարատամցուունա, դասիցու և ցատյնեմանդյա լորու ար մշունցուցուատ...

ցանցանցու կանունեթի ոչչու. ելուն ռյուսպակա կոմուսարուաթու և մուցեցուու վակալու վակուրու և ալուրուունեցմա ցըր մալուցա.

ռաջապա ցայրացուցուունա ցրմեռա դաշուլուցու և վալու ար շուկա ցուրու կացուու ինացուան ծոլումդյա:

„ოქენი ხუთგზის დაენინებული და პრინციპული მოთხოვნა, ბოლოს და ბოლოს გათვალისწინებულია, გაწვეული ხართ მოქმედი არმიის რიგებში, ოქენის ადგილზე გამოგზავნილია ახალი კომისარი“.

კახტანგის სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, ზურგში ჯახირს, როგორც იქნა მორჩა, იწყებოდა ხიფათით საგსე, ვაჟეკაცური ცხოვრება. ერთ რამეში ვერ გარკვეულიყო მსოლოდ, რას ნიშნავდა, ხუთგზის დაჟინებული და პრინციპული მოთხოვნა? — მაგრამ ამას რა მნიშვნელობა ჰქონდა, როცა საწადლელი აუხდა.

ბლინდაჟში ტელეფონი აწკრიალდა, პოლკის მეთაური ბატალიონის მეთაურს, კაპიტან ვახტანგ დვალიშვილს სასწავლიდ თავისთან იძარებდა. ვახტანგი ერთი ჯარისკაცის თანხლებით პოლკის მეთაურის ბლინდაჟისაკენ გაემართა. თავს ძალას ატანდა, მაგრამ ისე სტკორდა ნაჭრილობები ფეხი, რომ კოჭლობას ვერ იკავებდა.

ფეხი ისევ გასიებოდა, ჭრილობას კვლავ გაეხსნა პირი, დაზიანებული ძვალი ეტყობა ამდენ წვალებაში არ მოურჩა. ჩექმაში ძლივსა დგაიძღა ფეხს.

თოვლი დნებოდა. სანგრებში წყალი იდგა. სიცივე ტალახთან ერთად მიძრებოდა ჩექმაში.

ჩვენი ჯარები შეტევისათვის ემზადებოლნენ. მოწინააღმდეგმებ არ-ტილერია წინ წამოსწია და გამუდმებული ცეცხლით ზურგის ნაწილების გადაჯდუფებას ხელს უშლიდა.

კახტანგი კოჭლობით შევიდა ბლინდაჟში. პოლკის მეთაურს მიესალმა. მან მაშინვე შეატყო მარცხენა ფეხს უხერხულად რომ სდგმდა კახტანგმა სიტყვის ოქმა არ დაცალა და პკითხა:

- ისე სასწრავოდ გამომიძახეთ, ალბათ რამე სერიოზული მოხდა?
 - კი, როგორც იქნა დადგა ჩვენი შეტევის დროც.
 - ეს ხომ კარგა ხანია ვიცით და ვემზადებით კიდეც.
 - ეგ მართალია, მაგრამ ერთი სერიოზული წინააღმდეგობა შეიქმნა, შენი პოზიციების პირდაპირ მტერმა წინვა ხაზთან თავხედურად წამოსწია არტილერია და ჩვენს ნაწილებს შეტევისათვის მზადებაში დიდ დაბრკოლებას უქმნის. შენი ბატალიონით უნდა შეუტიო და ბრძოლით ჩაატარო დაზვერვა. მოწინააღმდეგე თავს გაამჟღავნებს და ჩვენ მთავარი ძალებით გადავალოთ შეტევაზე. თუ დაიკავე მათი პოზიციები, ჩვენი ნაწილების მოსვლამდე იქ გაამგრძლო. უნდა გაუძლო. — ბატალიონის შეტევის გეგმა რუკაზე კონკრეტულად დააზუსტეს. მოწინააღმდეგის პოზიციები და საცეცხლე წერტილები ვახტანგს კარგად ჰქონდა შესწავლით, ამიტომ ამაზე დიდი დრო აღარ დაუხარჯიათ...

ყოველგვარი წინასწარი საარტილერიო მომზადების გარეშე გადა-
კიდნებ შეტევაზე. ეს ძმდენად მოულოდნელი იყო მტრისათვის, რომ
სანამ ორგანიზებულ ცეცხლს გახსნიდნენ, ვახტანგის მეომრები სანგ-
რებში შეუკვეთნენ.

გადათელეს მოწინააღმდეგის ქვეითების თავდაცვის ხაზი და შეუს-ვენებლივ ეკვეთნებ არტილერიის პოზიციებს, ხანძოკლე ხელჩაროუ-ლი ბრძოლის შემდეგ გაანადგურეს მოწინააღმდეგი.

ვახტანგმა სასწრაფოდ სანგრების გათხრა და დაკავებული პოზიციების გამაგრება ბრძანა.

სანახევროდაც არ დაემთავრებინათ შზადება, რომ მტერმა ძლიერი ცეცხლი გახსნა და კონტრშეტევაზე გადმოვიდა. მოწინააღმდეგეს სულ ახალ-ახალი ძალები ემატებოდა.

მოულოდნელი და ყოვლად გაუკალისწინებელი შეტევის შემდეგ, მტერი გონის მოვიდა და გააფთრებით შეუტია გაკადნიერებულ ბატა-ლიონს.

— უნდა გავუძლოთ, ბიჭებო, ჩვენი ჯარების შეტევაზე გადმოს-
კლამდე, — მიმართა ვახტანგმა თავის შეთხელებული ბატალიონის
ჯარის კაცებს.

„უთანასწორო ბრძოლა ერთი წუთითაც არ შენელებულა. მტერი ყოველი მხრიდან მოძვრებოდა. ვახტანგმა საათს დახედა, ორი სა-ათიდა აკლდა შეტევის დაწყებას. „ნეტავი თუ მოგვისწრებენ?“ – გაიყიდა.

ირგვლივ დახოცილები ეყარნენ. ტყვიები გაუთავდა ვახტანგს, ავტომატი მოისროლა და ბუდიდან პისტოლეტი იძრო. გერმანელები სულ ახლოს მოვიდნენ. ზესტი სროლით, რამდენიმე დააწვინა. კიდევ უნდოდა ესროლა, დახედა, პისტოლეტში ტყვიები გასთავებოდა. სამი გერმანელი მეავტომატე პირდაპირ მისკენ მიდიოდა, ვიღაცა დაჭრილ-მა ერთ მათგანს ტყვია დაახალა. გერმანელებმა იქცვი დაკარილეს.

გახტანგმა მკვდარი ჯარისკაცის შაშხანას დაავლო ხელი, ერთი ნახტომით გაჩნდა გერმანელ მეავტომატესთან და ხიშტზე წამოაგო. მეორეს გონს მოსვლა აღარ აცალა, პირველი გვერდზე გადააგდო. მარცხენა ფეხით პატარა ბორცვზე შედგა, აწევა იყო საჭირო და მეორესაც გაუსწორდებოდა ხიშტით, მაგრამ ფეხი არ დაემორჩილა, ვერ აზიდა სხეული, „ოხ, ეს წყველი ჭრილობა სად მიმტყუნა“?! გაიფიქრა, წინ მაინც წაიწია, მაგრამ ვერ მისწვდა ხიშტით მტერს, გერმანელმა უკან გადახტომა მოასწრო და ვახტანგს მკერდზე ავტო-მაზის ჭრით გადაატარა.

* * *

შეტევაზე გადასულმა ჯარებმა კარგა მანძილით წაიწიქს წინ, სროლის ხმა თანდათან სცილდებოდა ბატალიონის ბრძოლის ადგილს.

რამდენიმე ჯარისკაცი და მედდა დახოცილთა შორის დადიოდნენ და დაჭრილებს ეძებდნენ.

ერთ ადგილას შეჩერდნენ. ხუთი წითელარმიელის და ოფიცერის ირგვლივ გერმანელთა გვამები ეყარა. ოფიცერი მარცხენა ფეხზე ჩამუხლებული წინ იყო წაგარდნილი, მარჯვენა ფეხი უკან ჰქონდა გაშლილი. ორივე ხელით შაშხანა ჩაებლუჯა, ისეთი პოზა ჰქონდა, თითქოს კვლავ მტერზე იწევსო.

ერთმა ჯარისკაცმა გადმოაბრუნა მყერდდაცხრილული ვაჟკაცი. უცებ შეკრთა, მოულოდნელობისგან, ამხანაგს უთხრა:

- იცანი, ბიჭო, ეს კაპიტანი?
- სასიკვდილოდ დაჭრილი რომ გამოვტაცეთ გერმანელებს ბრძოლიდან, ის არ არის?
- ის არის საწყალი, აფსუს, რა ვეფხვივით მებრძოლი იყო?!
- შეხედე, რამდენი გერმანელისთვის უტირებია დედა! ეხ, ცოდვა არ არის მაგის სიკვდილი?!
- სახელი თუ გახსოვს?
- სახელიც მახსოვს და გვარიც, ვახტანგ დვალიშვილი, მაშინ ეგ რომ არა, ჩვენ ყველანი გერმანელების ხელში ჩავვარდებოდით; რა შეუპოვარი და ლომგული იყო, დალოცვილი...
- მიწას მივაბაროთ!
- არა, მმაო, ეს ის კაცი არ არის მარტო მე და შენ რომ დავ-მარხოთ. ეს გმირია, მტრის რისხვად დაბადებული, რომელიც თავის მოკრძალებულ სიცოცხლეს უყოფმანოდ უძღვნის დედა სამშობლოს...

* * *

ჯარისკაცებმა პეშვით მიაყარეს საფლავს მიწა, ასეულმა სამჯერ მისცა თოვების ზალპი და ამცნო ყველას, რომ გმირი დაკრძალებს.

ვახტანგის საფლავზე ჯვარი ვიღაცას გაეთალა და ზედ ერთი სტროფი ლექსი დაეწერა:

„სიკვდილმა მხოლოდ სუნთქვა მოგტაცა,
შენ უკვდავება გიდგას დარავად,
დედა სამშობლო ცრემლო გაცილებს,
სანთელს დაგინთებს დღეს და მარადჟამს!“

* * *

ომი კარგა ხანია დამთავრდა.

ქვეყნამ მძიმე ჭრილობები მოიშუშა. ცხოვრება ჩადგა ნორმალურ კალაპოტში. მაგრამ ომში დაღუპულთა სიოვნა სულ უფრო ნათლად კიაფობდა ადამიანთა გულებში.

დილა ადრიან მინდორში, ერთ კენტად მდგარ, ჩაფსკვნილ, ჯანმა-გარ და ტოტებგაშლილ მუხის ძირში, მიწაზე გაშლილ სუფრას ფეხ-მორთხმით ხუთი მამაკაცი შემოსჯდომოდა. იქვე უწესრიგოდ ეყარა თოფები, მონადირის ჩანთები, ვაზნები და სხვა საგნები.

— მოდი, ამ სასმისით, ჩვენი დდევანდელი ნადირობისა დავლიოთ!
— პატარა ყანწი ასწია თამაღამ.

— გაუმარჯოს! — ერთხმად გამოცალა ყველამ.

— გემრიელია მინდორში პურ-მარილი, — სიამოვნებით თქვა მიტო ჭამიაშვილმა და ცხვრის შემწვარი ბარკალი დაითრია.

— შენ ისეთი ჭლექი გაქვს გადატანილი, რომ სულ მინდორში უნდა ქითობდე, თუ გინდა გამოჯანმრთელდე! — სიცილით უთხრა ქიტა გველუკაშვილმა.

— მიტოს ჭლექზე გამახსენდა. მოდი, ბიჭებო, მშვიდობას გაუ-მარჯოს, ღმერთმა დასწევევლოს ომი და მისი მომგონი! თორებ, რაც ამ ომში ჭირი და განსაცდელი გამოვიარეთ, კაცი სიზმარშიც ვერა ნახავს, — ცრემლები მოუკიდა თვალებში მიხო ტომარაშვილს და გრძნობამოსულმა მოიყედა პატარა რქის ყანწი.

— ეს, ჩემო მიხო, რაც ამ ომის განმავლობაში შენ საკუთარი დრობლი გაქვს ნახვრები, რომ იცოდნენ, უსათუოდ გმირობაზე წარ-გადგენდნენ, — ახარხარდა აბრამა მასხარაშვილი.

ყველა გულიანად იცინოდა, იცინოდა მიხოც.

— ჩვენი მშობლები ვადღეგრძელოთ, ბიჭებო, ასეთი მაგრები, ვაუ-კაცები და პირიანი ხალხი რომ ვართ, სწორედ მშობლების დამსახუ-რება! — ენაწყლიანობდა თამაღა.

— მშობლებთან ერთად, მოდი წინაპრებსაც ნუ დავივიწყებთ, — თავი გამოიდო აბრამა მასხარაშვილმა.

— ბიჭო, შენ წინაპრებზე გეთქმის რამე?! საწყლებმა რომ გაიგონ, საფლავში ამოტრიალდებინ, ისეთი რამე დაბრალე მათ! არ გახ-სოვს, საბუთები რომ შეაგროვე, მამა, პაპა და პაპის პაპა ბნედიანები მყავდაო?! — არ შეარჩინა სადღეგრძელოში შენიშვნის შეტანა ქიტა გველუკაშვილმა.

თავდაუზოგავად ხარხარებდა ყველა.

ისმებოდა სასმისები.

შუადღემ მოატანა, ადგომას არავინ აპირებდა. ბახუსი დაპატრონებოდა მოქეიფეთ და ენაგახსნილნი გულახდილ ოხუნვობაში ატარებდნენ დროს.

— ომში წასულთა ხსოვნისა დავლიოთ, ისინი რომ არა, ჩვენ ეს პურ-მარილი და უღრუბლო ცა არ გვექნებოდა!

— ვინც აქ მუშტით დასდევდა ომში მიმავალთ და იძახოდა გერმანელები ხართო, ისინი არ გამოგვრჩეს, კაცო, — სიცილით შეაწყვეტინა აბრამამ.

— ვაი, შე, უბედურო, სიგიჟე მაინც რამ მოგაგონებინა, ზაქრონაგიჟარო! — ხარხარით აპეკვა მიხო.

— ამან გადაგვარჩინა, ამან მოგვაცილა გერმანელები! — სიცილით გაგუდულმა ჭამიაშვილმა დაპკრა მხარზე ხელი ზაქრო ქაფიანიძეს.

— ზაქრომ კი არა, ქიტა გელლუკაშვილმა გვიშველა, თორებ ეხლა ჩვენი ძვლებიც აღარ იქნებოდა, — სერიოზულად თქვა აბრამა მასხარაშვილმა.

— მეხუთე წერილმა გასჭრა, ბიჭებო, მეხუთემ. როგორი ენთუზიაზმით მოვითხოვდი ფრონტზე გამაგზავნეთ-მეთქი. შიში მკარნახობდა, შიში, თორებ ისე მოგვაწვა ის დალოცვილი, კენტაზე გადავრჩით, ერთი კვირაც რომ დარჩენილიყო. ჩვენი საშველი არ იქნებოდა, აბა, ჩემი კუჭი ჯარისკაცის ულუფას გაუძლებდა? — ზეიმობდა ქიტა.

— წყლულიანი კი არა, ღორის კუჭი გაქვს, ღორის, გერმანელის ტყვიას გადაამუშავებს, გერმანელი! — ხარხარებდა აბრამა.

— ქიტას გაუმარჯოს, ქიტას! — აღრიაღდა ყველა. ვახტანგურად დალიეს სასმისები და ერთმანეთს დორბლმორუელი ტუჩებით ლოშნა დაუწეუს.

შე დასავლეთისაკენ გადაიხარა.

კარგად შემთვრალ მოქეიფეებს ნადირობა მოუნდათ, თოფები მოიკიდეს და რაცრაცით სხვადასხვა მხარეს გასწიეს, თან ერთმანეთს გასახოდნენ, პირველ კურდღელს მე მოვკლავო.

ერთი საათიც არ იქნებოდა გასული, მიხო ტომარაშვილმა საზარელი ღრიალი ატეხა:

— მიშველით! მიშველეთ! ჩქარა! გველმა დამგლიჯა, — ყველა მიხოსკენ გაიქცა.

აბრამა მასხარაშვილი და მიტო ჭამიაშვილი ერთად გარბოდნენ. ბანცალით, ძლივს მიიკვლევდნენ გზას უროიან ფერდობზე. აბრამა

დაწინაურდა.

— მოიცა, კაცო, ძლივს მოვრბივარ, სული მეზუთება! — მიაძახა მიტომ.

აბრამა მობრუნდა.

მიტო ისე მირბოდა, თითქოს ნადირს მისდევსო. თოფი ორივე ზელით წინ გაწვდილი, მომზადებული ეჭირა.

უცებ მოდუნებული ფეხი წამოჰკრა პატარა ბორცვს, წინ წაქანდა და თოვგმა ორივე ლულიდან დაიგრიალა. მიტო პირქვე გაიშალა.

ძლივს წამოღვა, აბრამასთვის უნდა დაემახა, მომებმარეო, ნაბიჯი წასდგა წინ და...

აბრამა ბალახებში გორავდა, ორივე ხელი მუცელზე მიეჭირებინა, სისხლი ღვარად მოჩქერდა; აბრამას თავისი ნაწლავები ეჭირა ხელში.

რაღაცის თქმა უნდოდა, ენას ვეღარ იმორჩილებდა, მის თვალებში სიკვდილი დავლურს უგლიდა...

მიტო დანარჩენებისაკენ გაიქცა.

მიხოს მუხლს ზევით შარვალი შემოეხივნა და ნაკბენზე იჭერდა ხელს.

— ამომწოწნეთ, ხალხო! — იხვეწებოდა მიხო, — შხამი ამომწოვეთ და მეშვეოლება.

— ამოწოვე, ბიჭო! — მოუბრუნდნენ ერთმანეთს, ყველამ თავი აარიდა.

მიხო მძიმდებოდა, მალე ცნობა დაკარგა, რაღაცას ბოდავდა.

— რა თოფის ხმა იყო თქვენსკენ? — შეეკითხა მიტოს ზაქრო.

— აბრამას თოფი გაუვარდა და მუცელში მოხვდა... მძიმედ უპა-სუხა მიტომ.

— თოფი მუცელში?! — გაუკვირდა ზაქროს. მერე თავის თოფი ძლივს მიიღო მუცელზე, — აქ რა უნდოდა, კაცო?! — ეჭვით შეხედა მიტოს, — ჲო, შეიძლება, შეიძლება! — დაასკვნა და მიხოსკენ მიბრუნდა, იმას კი უკვე მიქელ გაბრიელი დაპატრონებოდა...

ზაქროს ბინაზე, სამი მეგობარი, ზომაზე მაგრად მთვრალები, იდგნენ მაგიდასთან. ჭიქის აღების თავი აღარ ქონდათ. რაღაცაზე ბურტექნებდნენ, ერთმანეთს ეხვეოდნენ და კოლექტიურად სლუკუნებდნენ; ძლივს დაიშალნენ.

ზაქრო რაცრაცით მივიდა სავარმელთან, ჩაჯდა და მაშინვე ზვრინ-ვა ამოუშვა.

მიტო სახლში ძლივს მივიდა. ხოხვით ავიდა მეორე სართულზე და ტახტზე გაიშოტა. შუაღამე გადასული იყო, ძახილი შემოესმა, აბრამა ეძახდა, გარეთ გმოდიო.

— ეხლავე, მოვდივარ, აბრამ, მოვდივარ! ხომ იცი, ჩემი ბრალი არ იყო, მე რა ვიცოდი, ჩემი ბრალი არ იყო...

ასე ბუტბუტით კედელ-კედელ სიარულით ძლივს გავიდა აივანზე.

— აქ არის ვინმე? — დაიძახა.

ხმა, ჩქამი არსაიდან ისმოდა, მხოლოდ ჭრიჭინას გაბმული ჭრიჭინი აკრობდა დამის სიმყუდროვეს.

მიტომ კედელს ხელი გაუშვა, გაპარბაცდა, თავი ვერ შეიკავა და აიგნის მოაჯირს დაეჯახა, ისე ძლიერად შეასკდა, წინ გადაქანდა და თავდაყირა გადავარდა დაბლა.

კისრით დაეცა ღობის სარს და როგორც შესაწვავი გოჭი შამფურზე, ისე წამოეგო.

ქიტა რაცერაცით მიიკვლევდა ორლობეში გზას, საიდანლაც ავი ძალლი გამოვარდა და სულ ერთიანად დაგლიჯა, შემოახია ტანისამოსი. ალარ ახსოვდა როგორ გაეშვა ძალლს და ჩამოგლეჯილ — დასის-ხლიანბული ძლივს მიღახლახდა სახლში.

დილით ზაქროს მეუღლე აღვიძებდა, მაგრამ ვერაფერი გააგებინა, ახლოს მივიდა, შეანჯღრია, დააკვირდა და წივილი მორთო. ზაქროს სული უფლისათვის მიებარებინა.

ზაქროსა და მიტოს დაკრძალვას ქიტა ვერ დაესწრო, ისე იყო დაგლევილი სიარული უჭირდა.

ერთი თვის შემდეგ ქიტა მიაბარეს მიწას, ძალლი ცოფიანი გამომდგარიყო, ქიტა ცოფის მსხვერპლი გახდა.

მეგობრების საფლავი ახლო-ახლოს იყო. ვიღაცას ღვინო, ხაშლამა, პური და მწვნილი დაეწყო. პირის პატივი უყვარდათ საწყლებს. წავიდნენ და კიდევ რამდენი ხაშლამა და მწვადი დატოვეს შეუჭმელო.

ბრძა მეჩონგურე (რომანი)

შემთხვევა ტყეში

— დავიღალე, გოგი, მეტი აღარ შემიძლია! — პატარა, გამხდარი ბიჭი, ხმელ ფიჩის კონაზე ჩმოჯდა და სიცივისაგან დაბუჟებულ ზელებს სული შეუბერა.

— ცოტაცა და მოვრჩებით, ოთხიოდე ნედლი რცხილის შეშალა დამრჩა მოსაჭრელი, კონას შიგნიდან რომ ჩაგატანოთ; შენ მანამდე ხმელები შამიგროვე, — გოგია მოჭრილ რცხილას წალდით სხეპავდა.

— უნდა ვიჩქაროთ, სანამ „ხოლერა“ სიკა აქეთკენ წამოვა, თორემ თუ მოგვისწრო, ამ ერთ ობოლ წალდსაც წაგვარომევს, შეშას ვიღა ჩივის.

— ჯორი მაინც გვეთხოვა პელო ბაბოსაგან, მე ამხელა კონა როგორ უნდა გათრიო? — პატარა, გამხდარი ბიჭი მოკუნტული იჯდა შეგროვებულ შეშებზე და თვალებში ცრემლები მოსწოლოდა. — ამას-წინათაც ძლივს მივიტანე სახლამდის და მემრე მთელი კვირა სიცხე მქონდა.

გოგიამ წალდი დაუშვა და ბიჭს დააკვირდა, შეებრალა.

— კარგი, ზაურ, შენ დაისვენე, მე მეორე კონასაც შავკრამ და... — გოგია ჩაფიქრდა. — აღმართზე ორივე კონას მე ავიტან ჯერ-ჯერით, მემრე თავდაღმართია და ხევამდე აღარ გაგვიჭირდება, თუ სოფლამდე „ხოლერა“ სიკა არ შაგვხვდა, მემრე საშიში აღარ არის; სოფელში წარომევას ვეღარ გაგვიძედავს.

— როგორ იცი, სახლში საჭმელი არაფერი ექნებათ? — ტირინლანევი ხმით ჩაილაპარაკა ზაურმა. — იცი როგორ მამშივდა?!

— ექნებათ, აბა, არ ექნბათ! — იმედის მისაცემად ჩაილაპარაკა გოგიამ, გულში კი გაიფიქრა: „ნეტავი რა უნდა ჰქონდეთ, საბოლოო ქატოს შეჭამანდი გუშინ გაგვითავდა, დედა ერთი კვირაა ავად არი, ვინ რას მოგვიტანდა“.

გოგია ზაურაზე სამი წლით უფროსი იყო, მეშვიდე კლასში

სწავლობდა, მისი უმცროსი ძმა – ზაური კი – მეოთხე კლასში. გოგიას ოჯახის უფროსად წარმოედგინა თავი, დედა ხშირად ავად-მყოფობდა და ისედაც გაჭირვებული ცხოვრება უფრო აუტანელი ხდებოდა. ამიტომ ოჯახზე ზრუნვის ტვირთი უფროს ძმას აწვებოდა ზურგზე; ყველაფერი უჭირდათ, ჩასაცმელი, დასახური, საობობი, სინათლე და სხვა ათასი რამე, მაგრამ ყველაზე აუტანელი მაინც შიმშილი იყო. უჭირდა სოფელში ბევრს, ომი ახალი დამთავრებული იყო, მართალია მამაკაცები ნელ-ნელა ბრუნდებოლნენ დაჭრილები, დასახიჩრებულები, კონტუზისაგან ნერვებაფორიაქებულები, ისინი მაშინვე ებმებოდნენ შრომაში, მაგრამ ჯერ არაფერი ეტყობოდა გაძვლტყავებულ ცხოვრებას.

ამ ორი ბიჭის მამა ოში პირველი წავიდა, საწყალი დედა წელში წყდებოდა მუშაობით, ძლიერ ახერხებდა შვილების გამოკვებას; მამის სიკვდილის ცნობის მოსვლის შემდეგ კი სულიერად გატყდა, ამას აკადმიკობაც დაემატა და შიმშილთან ერთად ჩასახლდა საბრალოს ოჯახში.

გოგიამ ჯერ ზაურის კონა აათრია აღმართში, უმცროსი ძმა გვერდით მიყვებოდა, გამოშვერილი რცხილის ტოტისთვის წაევლო ხელი და თავის წილად ეხმარებოდა. გორის თხემზე ავიდნენ. გოგიამ კონა დააგდო და ზედ მოწყვეტით დაჯდა, ზაურს მიუჯდა გვერდით.

– ცოტა ქარს ამოვიდებ და მეორის ამოსატანად ჩავალ, მანამდე შენ დაისვენე; გზაზე გეჭიროს თვალი „ხოლერა“ სიკა არსაიდან წამოგვადგეს თავზე, – გააფრთხილა ზაური და დიდი კაცივით ამოიხვნეშა. გოგიამ ცოტა კიდევ შეისვენა, მერე ადგა და თავდაღმართზე ხტუნვა-ხტუნვით დაეშვა. ფეხი უსხლტებოდა დამპალ ფოთლებზე, ტოტებს ეჭიდებოდა, რომ არ წაქცეულიყო.

ზაური კონაზე იჯდა, მოიგუნტა, სციოდა, სიციეს არაფრად ჩააგდებდა, მაგრამ შიმშილმა ცოფინი ძაღლივით შემოუტია; წამოდგა, გაიარ-გამოიარა, დამზრადლი ხელები უბეში ჩაიყო, ვერ გაათბო, ახლა სულის შებერვა დაიწყო, დაიღალა, თავბრუ დაესხა, ისევ ჩამოჯდა შეშის კონაზე, ტირილი მოუნდა. – ნეტა სახლში საჭმელი მაინც დაგვახვედრონ რამე, – ხმამაღლა მოიწუწუნა. – ვინ დაგვახვედრებს, დედა უკვე რამდენი ხანია ლოგინიდან ვერა დგება, მეზობლები გვიგზავნიან ხოლმე საჭმელს, იქნება ეხლაც გაგახსენდით ვინმეს, – იმედიანად თქვა და ფეხზე ისეთი ენერგიით წამოხტა, თითქოს უკვე დარწმუნებული იყო, რომ სახლში გემრიელი საღილი უცდიდა.

(ცხნის ფეხის ხმა გაიგონა. ელდა ეცა. „ხოლერა“ სიკა იქნება

ნამდვილად“, – გაიფიქრა და იქვე რცხილის ბუჩქს ამოეფარა. ბილიქს დაზერვა დაუწყო. სოფლის მხრიდან, ფერდობზე აუჩქარებლად ამოდიოდა ცხენოსანი. „ის არის!“ ზარივით დარეკა ზაურის თავში შიშმა. „ხოლერა“ სიკა თავის ჯაგლაგით დინჯად მოიწევდა ზევით, თან მიდამოს ათვალიერებდა.

„აუცილებლად გვიპოვნის“, – გაიფიქრა ზაურმა. – „გოგია უნდა გავაფრთხილო“. კონა ბუჩქებთან მიათრია, საგულდაგულოდ დამალა და თავქვე დაეშვა.

გოგია სვნეშით მოათრევდა მეორე კონას.

– „ხოლერა“ მოდის, დავიმალოთ, იქნება ვერ გვიპოვნოს! – მიეგება შეშფოთებული ზაური.

– სად არი? – საქმიანად იკითხა გოგიამ.

– ხეობიდან ახალი ამოსულია, ტიტველ ფერდობზე მოდიოდა, ტყიან აღმართს ჯერ არ შესდგომია, – სხაპასხუპით მოახსენა.

– მაშინ უნდა ვიჩქაროთ, თხემზე დავამალოთ კონები და ჩვენც მივეფაროთ, ის რომ ტყეში დაღრმავდება, მაშინ საჩქაროთ დევეშვათ თავქვე, იქნება ხეობის გადაჭრა მოვასწროთ, იქ კი, რომ დაგვეწიოს კიდეც, შეშის წართმევას ვერ გაგვიძედავს, ვინმე მეგვებმარება, – შეადგინა მოქმედების გეგმა გოგიამ.

– ორივემ ძლივს ამოათრეს კონა ზევით, საგულდაგულოდ დამალეს. წალდიც ჩირგვში შენიღბეს. მერე ტყისმცველის თვალით შეამოწმეს, საეჭვო არაფერი იყო, „ხოლერა“ სიკა ვერაფერს იპოვნიდა. გული საგულეს რომ დაიგულეს, გზა დაზერეს. ვერავინ შენიშნეს.

– ხომ არ მოგეჩვნა, ბიჭო?! – საყვედურის ტონით უთხრა გოგიამ.

– რაღა „ხოლერა“ სიკა მე მეჩვენებოდა, თუ მოჩვენება იყო, ბარემ მოხარშული ქათამი უფრო მარგებდა, ნამდვილად ის იყო, რაჲირველად ხომ არ მყავს ნახული?!?

– სად ეშმაქში წავიდა, ნეტავი?

– იქნება ტყეში ღრმად შევიდა.

– არა, ეშმაქია, თავს არ შაიწუხებს, სწორედ იქ ჩაუსაფრდება, სადაც ურემი უდგება, ჩამორთმეულ შეშას სატყეოს ეზოში გაზიდავს და იქიდან დაურიგებს ვისაც უნდა.

– აბა, მაშ წელან რომ თქვი, ტყეში დაღრმავდება და ჩვენ მაშინ წავიდეთო?! როგორ შამცივდა, თანაც მშია.

– შეიძლებ ეგრეც იყოს, რა ვიცი, ცოტა ხანს კიდევ მოვიცადოთ და, თუ აღარ გამოჩნდა, წავიდეთ, რაც არის, არის, საცა წვრილია,

იქ გაწყდეს! – გოგიას მმის სიბრალულმა გეგმა შეაცვლევინა და გაბედული გადაწყვეტილება მიაღებინა.

წალდი ქამარში გაირჭო, წინ წავიდა, დიდ კონას ძლივს მიათრევდა, ზაური კი უკან მიყვებოდა და, კონის სიმძმისაგან წელში მოხრილი, ძლივს სუნთქვავდა.

თავდალმართი დაიწყო, ახლა მთელი ძალით ცდილობდნენ, რომ კონას პირქვე არ წაექცია, დაბლა მოთრეული ფიჩხის წვერები შველოდათ დამუხსრუჭებაში. ქვალორდიანი თავდალმართი დიდი წვალებით ჩაათავეს. ზაურმა კონა დააგდო და ძალაგამოლეული ზედ მოწყვეტით დაეშვა, გოგიამაც მიაგდო იქვე ბუჩქის ძირას თავისი ტვირთი, ოღონდ ჯერ არ დავდა, ტყის ხმაურს დაუგდო ყური, სადღაც ახლო შაშვის ჭანჭახი ისმოდა. ცივი, ნიავი ქროდა და ლოყებზე სუსსიანად იკბინებოდა. ტანაყრილი ტყე აქ თავდებოდა. ქვევით უკვე ბუჩქნარი იწყებოდა, ცხენიანი კაცის დიდ მანძილზე შეიძლებოდა შემჩნევა.

– აბა, სად დაინახე „ხოლერა“? – ჰკიოთხა ძმას.

– ჩვენ რომ ვართ, აქედან, აგერ, ასი მეტრით იყო დაშორებული, ნელა მოდიოდა, ეხლა კარგა შორს იქნება წასული, – იმედიანად უპასუხა ზაურმა.

– ის სადღაც აქ უნდა იყოს, – ნამდვილად შეგვხვდება, უნდა ვიჩქაროთ! – დაასკვნა გოგიამ და კონა ასწია.

იმის შეგნებამ, რომ შეიძლებოდა „ხოლერა“ სიკას შეხვედროდნენ, ზაურისაც შემატა ენერგია. ორივემ გააგრძელეს გზა. დიდ მაყვლის ბარდს გასცდნენ, მის იქით ბუჩქნარიც თავდებოდა, შარშანდელი ბალახი შემორჩენილიყო ირგვლივ. ხეობამდე რვაასი მეტრიდა თუ რჩებოდა, მოკლე, ოღონდ ციცაბო თავდარმართზე ჩაივლიდნენ, მერე ფართო ქვა-ლორდით დაფარულ ხევის კალაპოტს გადალახავდნენ, მეორე ნაპირზე წყლის წისქვილს გასცდებოდნენ, წყაროს თუ მიაღწევდნენ, სადაც ხშირად იჯდა ბრძა ზოსიმე და ჩონგურზე მღეროდა, თავი ქუდში უნდა ეგულებინათ.

შაშვი სულ ახლოს აჭახჭახდა, მაყვლის ტოტზე შემოჯდა და ზედ მიყინული თოვლის ნარჩენები ჩამობერტყა.

– ვაი, რა ახლოს არის, გოგი, – ზაურმა სიხარულით წამოყვირა.

გოგიას კი ამ დროს უკვე მოეხსნა კისრიდან მისი განუყრელი რეზინის შურდული და ტყავში საგანგებოდ შერჩეულ მრგვალ კენჭს დებდა. შაშვი მიზანში ამოიღო, რეზინები მოქაჩა და ის იყო უნდა ესროლა, რაღაცაზე შეშფოთვებული ფრინველი შეფრთხიალდა და

რამდენიმე მეტრზე მოცილებით გადაინაცვლა, მიზანი მიაყოლა და მოზიდული ტყავი გაუშვა.

— ვაშა! — დაიძახა ზაურმა და შაშვისაკენ გაქანდა.

ბუჩქის ძირას ფრთამოტეხილი და გვერდდასისხლიანებული ფრინ-ველი ეგდო და შეშინებული აფათურებდა თვალებს. ბიჭი ასაღებად დაიხარა, მაგრამ შაშვი ჯერ არ აპირებდა დანებებას, შეფრთხიალდა და ბუჩქში შეძვრა.

— ოხ, შენი პატრონი! — გაბრაზდა ზაური, დაუფიქრებლად შეყო ხელი, ცოტადა დააკლდა მიწვდენას, შაშვმა უფრო მოცილებით გადაინაცვლა. აზარტში შესულმა ბიჭმა ვერც კი შენიშნა, რომ მაყვლის ბასრ ეკლებზე ხელი სუმთლად დაკაწროდა, ზოგი ეკალი კანში ჩარჩენილა.

ბუჩქს მეორე მხრიდან მოურბინა, იქ ფართე შესაძრომი ნახა, ეტყობა, ზაფხულში რომელიდაც ცხოველი ბინადრობდა შიგ.

— ეხლა კი დაგიჭირე! — დაიძახა გახარებულმა და შიშისაგან თავგზაბანეულ შაშვს ზედ დააცხრა.

გახარებული გამოძვრა ბუჩქიდან, ნანადირევი ორივე ხელით მაგრად ეჭირა; შაშვს ჭრილობაზე უბერავდა და თავჩაღუნული სწრაფი ნაბიჯით მიდიოდა. გოგის ისე მიაღვა, მაღლა არ აუხედია.

— ნახე, რა მოზრდილია, გოგი, — შაშვი მიაწოდა, მაღლა აიხვდა და სახტად დარჩა. „ხოლერა“ სიკას ცალი ფეხი მის კონაზე დაედგა და ხელში მათრახს ატრიალებდა.

— კიღევ ვინ არიან ტყეში?! — ბოროტად გაისისინა.

— არავინ, მარტო ჩვენ თრნი ვიყავით.

— რას დაეთრევით ამ ყიამათში, აღარ გეყოთ რაც აქამდე ანადგურეთ ტყე?!

— რომ გვყოფნოდა, ვის ეხალისება ამ სიცივეში კონების თრევა.

— მემრე ვისას მიათრევ, შე ქურდო, მამაძალლო! — ხმას აუწია სიკამ და მათრახი შეატრიალა.

— მამაჩემს აუგად ნუ მოიხსენებ, ის ფრონტზე... — გოგია შეყოვნდა, უნდოდა ეთქვა, ფრონტზე დაიღუპაო, დეპეშაც ხომ მოუციდათ, მაგრამ ამის სათქმელად ენა არ მოუტრიალდა, — ის ომშია, ჩამოვა და ლანბლვას არავის აპატიებს! — უფრო თამამად დაუშმატა.

— წაგიდა და დაგყარათ ლვთის ანაბარად, თქვენი აუწიოკებელი აღარაფერი დარჩა, უპატრონო ძაღლებივთ მოდებიხართ ქვეყანას და რაც არ გეკუთვნით, ყველაფერს ანადგურებთ! — „ხოლერამ“ გაბრაზებული მზერა მიაპყრო ზაურის ხელში მომწყვდეულ შაშვს.

— რა გავანადგურეთ! ვის რა დაუშავეთ! დედა ავად არის, სახლში ლუკმა პური არა გვაქეს. მამა რომ აქა გვიყოლოდა, არც ჩვენ გაგვიჭირდებოდა, ის იქ მტერს ებრძვის, ჩვენ აქ შიმშილით და სიცივით ვიხოცებით, მაშ ერთი კონა შეშა არ გვეკუთვნის, რომ ავადმყოფი დედა გავათბოთ?! — ხმას აუწია გოგიამ და თვალები მოუწყლიანდა.

— ბალოლ, შენ ძალიან გაგიტლეკნია ენა, ეტყობა ჯერ ჩემი მათ-რახის გემო არ იცი, აბა, მაიტა ეგ წალდი, აიკიდეთ ეს კონები და საყარაულოში ჩამაათრითეთ! დანარჩენს იქ გეტყვით, — სიკამ კოჭლობით მიიწია გოგიაზე წალდის წასართმევად.

გოგია განზე გაჩტა.

— უყურე ამ ნაბიჭვარს! — გაიკვირვა სიკამ. — მაიტა ეხლავე აქ წალდი! — დაულრიალა გოგიას.

— ნაბიჭვრის ხმა მესმის! — ვეღარ მოითმინა გოგიამ.

— დედას გიტირებ, სულ მათრახით აგიტყარტყარებ მაგ ზურგს!

— სიკამ მათრახი მოუქნია, გოგია განზე გადახტა.

ზაურმა შაშვი მარცხენა ხელში გადაიტანა, ქვას დასტაცა ხელი.

— არ დაარტყა, თორემ ქვას დაგაზელამ ბეჭებში, შენი... — ბიჭმა ვეღარ შეიკავა თავი და აღრიალდა.

— უყურე ამ გველის წიწილას! — სიკა ახლა ზაურს მიუბრუნდა.

— გაიქეცი, ზაურ! — დაუყვირა გოგიამ და თავისი შურდული მოიმარჯვა. — ხელი არ დააკარო, თორემ გამოგიღებ მარჯვენა თვალს, შე ქვეწის წურბელავ! — რეზინები დაჭიმა და „ხოლერას“ შიგ თავში დაუმიზნა.

ზაური კარგა მოცილებით გავიდა, გაჩერდა და ხმამაღლა მოთქვმდა:

— დედას გიტირებს მამაჩემი, ხომ არა გვინია, რომ მართლა მოკვდა, დეპტა შეეშალათ, აი, ჩამოვა, ყველაფერს მოვუყვებით და ნახე, მაგ დამპალ ფეხს თუ ძირშივე არ მოგამტვრევს!

ამასობაში კი სიკა კოჭლობით და ხტუნვა-ხტუნვით დასდევდა გოგიას, უნდოდა ხელში მოეგდო და გაემათრახებინა, მაგრამ ბიჭი მეტყირცხლად უძვრუბოდა ხელიდან. ბოლოს მაინც მისწვდა და მათრახი ზურგში გადაუჭირა.

— ვაიმე, დედავ!!!! — დაიღრიალა ტკივილისაგან სახეშეშლილმა ბიჭმა და რაც ძალი და ღონე ჰქონდა, თავქვე დაეშვა.

— გავიქცეთ, ზაურ! — შორიდანვე მიაძახა ძმას.

ზაურმა ქვა მეტყვევისაგან ისროლა და ძმას გამოეკიდა. კარგა მოშორებით რომ გავიღნენ, გაჩერდნენ. გოგიას თხელი ხალათი ეცვა,

ბამბის კურტკას ზურგზე იფენდა კონის ქვეშ. სიკა რომ გამოყდგა საცემად, ზედ არ ეცვა მარცხენა ხელში ეჭირა, ამიტომაც მათრახმა მაგარი ძალა მიიტანა. ზურგზე გრძლად პქონდა სისხლი ჩაქცეული, იღლიის ქვეშ კი, სადაც წვერი უწვდინა, კანი გასკდომოდა და სისხლი მოჟონავდა. ამის დამნახავმა ზაურმა ღრიალს უმატა.

— ნუ ტირი, ეს არაფერია, დედასთან არ წამოგცდეს! — გააფრთხილა გოგიამ და კურტკა ფრთხილად შემოიცვა.

— „ხოლერა“ დეზერტირო, დედა გეტირება, ჯერ დაბრუნდეს მამაჩემი, ამ ცემას ათმაგად გადაგიხდის, შე დამპალო შენა! — გასძახა სიკას, რომელიც კოჭლობ-კოჭლობით ბუჩქებში მიფარებულ ცხენისაკენ მიღიოდა.

— წავიდეთ დროზე, თორებ შეიძლება ახლა ცხენით გამოგვიდგეს, მაშინ კი ვეღარ გავექცევით, — გოგიამ მმას ხელი მოჰკიდა და ხეობისაკენ გაიქცა.

ორიეგმ ციცაბო თავდაღმართი ჩაირბინეს და ხეობაში გავიდნენ. თავი სამშვიდობოს რომ დაიგულეს, უკან მოიხედეს, „ხოლერა“ სიკა ცხენზე შემჯდარიყო და ტყის ბილიკს აღმა მიუკვებოდა.

— ნეტა ჩვენ შეშას რას უზამდა? — იკითხა ზაურმა.

— სადმე ბუჩქებში მიაფარებდა, ეგრე შეაგროვებს, მემრე ვინმე მეურმეს გამოიჭერავს და საყარაულოში ჩააზიდვინებს. — აუხსნა გოგიამ.

წყლის წისქვილს გასცდნენ, სოფლის შარაზე გავიდნენ. წყარო გამოჩნდა. არავინ არ ჩანდა გზაზე. შორიდან ჩონგურზე სიმღერის ხმა მოესმათ. ომიდან დაბრუნებული ბრძა ზოსიმე თავის ჭიშკართან იჯდა, ეტყობა ვერ გაძლო სახლში მარტოკა, მოუხედავად სიცივისა, მაინც ქუჩაში ყოფნა ამჯობინა, იქნება ვინმე გამოლაპარაკებოდა და გული გაერთო. იჯდა ალაყაფის კარებთან მოწყობილ ხის სკამზე და თავის შეთხულ სიმღერას მღეროდა:

— ვაი, რა ძნელი ყოფილა

გამუდმებული ბინდი ცის,

რას ფიქრობს ბედისმწერალი,

აბა, ამ ქვეყნად ვინ იცის?!

გულს სიყვარული განაგებს,

სულს ბნელი შემოსევია;

დამძიმებული ნისლები

მუდმივად შემომრჩენა.

ჩონგური ძმად გამიხდია,
წყვდიადსაც მისით გავაქრობ,
დარდს ახლოს არ გავიკარებ,
სიმების ჟღერით გავართობ.

სატრფოს ბრმა თავს არ ვაკადრებ,
მხოლოდ სიმღერით გავათბობ...
სიცოცხლეს ისე დავტოვებ,
ნატარს კეთილ კვალს დავატყობ.

ზაურმა ადამიანის სიახლოეს რომ იგრძნო, იმ დაბაბული შეტა-
კების შემდეგ მოეშვა, იმედი მიუცა და გულაჩუუქული, ხმამაღლა
აღრიაღლდა.

ზოსიმეს ჩონგური დადუმდა.

ბიჭები მის ჭიშკარს გაუსწორდნენ. ზოსიმეს ჩონგური გვერდით
დაედო, მარცხენა ხელი ისევ ზედ ევლო, მარჯვენათი ნიკაპს ისრეს-
და; ტირილის ხმაზე თავისი ამოშრეტილი თვალებით ბიჭებს მიშტე-
რებოდა.

— რათა ტირიხარ, ზაურა ბიჭო! — ისე იკითხა, სახეზე ერთი ნაკ-
ვთიც არ შეტოკებია, იჯდა გაუნძრევლად და პასუხს ელოდა.

ზაურმა მმას შეხედა.

- აკი ვერაფერსა ხედავსო, — ჩურჩულით ჰკითხა.
- ვერა ხედავს, — ჩურჩულითვე უპასუხა გოგიამ.
- მე ყველაფერსა ვხედავ, ბიჭებო, აბა, ჩამოსხედით აქ და მომი-
ყევით ვინ გაგაბრაზათ!
- ვა, ყველაფერი გაიგო! — გაუკვირდა ზაურს.
- ვინ გაგაბრაზა, ვაჟკაცო? — ზოსიმემ თავზე გადაუსვა ხელი
მის გვერდით ჩამომჯდარ ბიჭეს.

— ვინა და „ხოლერა“ სიკამ. ძლიერს მოვაგროვეთ ორი კონა შე-
შა-ფიჩხი, იმან კიდევ წაგვართვა და გოგიას იგეთი მათრახი უჭირა
ზურგში, სულ სისხლი ადინა.

ზოსიმეს ბიჭეს თავზე გაუშემდა ხელი, ერთხანს ისე დარჩა გაშ-
ტერებული.

— დედა ავად არის, ერთი ღერი შეშა არა გვაქეს, რამდენი ხანია,
საჭმელიც სულ გაგვითავდა, იმან კიდევ... — ზაურს ისევ აუვარდა
ტირილი.

ზოსიმემ ცხვირსახოცი ამოიღო და დაშრეტილი თვალის უპეუბი

ამოიტმინდა.

— სად არის ეხლა „ხოლერა“ სიკა? — ერთ წერტილზე მიშტე-რებულმა იკითხა.

— იქ, ტყეში, ცხენზე შეჯდა და ზევით წავიდა.

— ვერ გამამყვებით იმასთან?.. არა, მაიცათ, — ზოსიმემ უცებ გადაიფიქრა, — გოგი, გადაირბინე ქიტაანთას, ვირი სახლში ჰყავთ, ორთველა გათხოვონ, შები და აქ მოიყვა, უთხარი, ზოსიმემ გამამაგ-ზაგნა-თქო. მანამდე მე და ეს ვაჟყაცი რამეს მოვიფიქრებთ, — ზაურს ხელი წაავლო და სახლში შეუძლვა.

ზოსიმეს მამა ძველი მეფორნე, თუმცა მოხუცდა, მაგრამ ამ საქმეს ისევ სიყვარულით და მონდომებით ემსახურებოდა, ბრიგადის სული და გული იყო. დავალების ზუსტად შესრულება უყვარდა, ხაზს არ გაამრუდებდა, გვერდით არ გადაუხვევდა, კოლექტივიდან ხელმრუდედ წამოღებულს ფორანზე ერთ ტარო სიმინდსაც არავის დაადგებინებდა.

მეფორნე კოტე თავისებური უხიაკი კაცი იყო. მისი მეუღლე პე-ლო — კეთილი და მშრომელი ქალი, წყნარი და უპრეტენზიო, თუმცა კოტეს სასიათი არ მოსწონდა, მაგრამ რას იზამდა, ხელი ჰქონდა ჩაქნეული, ვენახიდან წალამი რომ ჰქონდათ ამოსატანი, ერთი ათჯერ ეტყოდა, მაგრამ სანამ კოტე თავმჯდომარეს არ დაეთხოვებოდა და სა-მაგიეროდ დამატებით რეისების გაკეთებას არ იკისრებდა, ვერაფრით ვერ წაიყვანდა ხოლმე თავის ოჯახის საქმეზე.

ერთხელ პელო სამუშაოდ რომ გავიდა, თავისი ბრიგადა უკვე წასული დახვდა, კოტეს ფორანზე მეორე ბრიგადის წევრები სხდე-ბოდნენ, პელოც დაჯდა.

— ვიშ, ქა, ცოტა დამაგვიადა, მოსახვევამდე გამოგყვებით, იქიდან კი ხუთასი მეტრიდა იქნება ჩვენი ბრიგადის ბინამდე, ფეხით გადა-ვალ, — გააცნო თავისი მდგომარეობა იქ მყოფთ და ფორანზე მოხერ-ხებულად მოკალათდა.

— ფეხით რაღაზე უნდა იარო, პელო, შენს ქმარს უთხარი, თქვენ ბრიგადაზე გავლით წავიდეს, — თანაუგრძნეს დანარჩენებმა.

პელომ იცოდა, კოტეს სასიათი, ვერაფრის თქმა ვერ მოახერხა, ოღონდ თავისოვის ჩაილაპარაკა:

— რა ვიცი, ქა...

მალე კოტეც მოვიდა, ფორანზე დამსხდარი ხალხი შეათვალიერა, გარშემო შემოუარა, ცხენებს საკმანზი შეუმოწმა, ცოტა იტრიალა, რაღაც არ მოსწონდა, მერე თავის ადგილთან მივიდა და მკაცრად გამოაცხადა:

- სხვა ბრიგადის წევრები ვინც სხედან, იმათ ვერ წავიყვან, ყველამ თავისი ადგილი იცოდეს!
- სხვა ბრიგადის წევრები არავინ არა ვართ, მარტო პელოა, — უპასუხეს ყველამ ერთხმად.
- პელო რა ჩვენი ბრიგადისაა, ჩავიდეს და თავისი ბრიგადის ხალხი ეძღვოს! ნირშეუცვლელად გაიმტორა კოლამ.
- ჰოდა, თავის ბრიგადაში მიდის, იქით ჩაგვატარე და...
- სანამ სხვა ბრიგადის წევრები არ ჩავლენ, ადგილიდან უეხს არ მოვიცვლი, — მტკიცედ განაცხადა კოტემ.
- რამ გაგაიქა, შე კაი კაცო, შენი ცოლი, მაინც არ იყოს!
- ცოლი სახლშია, აქ კი საქმეა და ყველამ თავისი ადგილი უნდა იცოდეს, მე მხოლოდ ჩემი ბრიგადის წევრებს ვემსახურები! — აუხსნათ თავისი მოვალეობა კოტემ.

შერცხვენილმა და შეურაცხოფილმა პელომ აიკრა თავისი გუდანაბადი და ჩამობარგდა ფორნიდან. გაბრაზებული იმ დღეს საქმეში აღარ წასულა. სახლში დაბრუნებულ ქმრისათვის ერთი სიტყვაც არ უკრძნობინებია, რომ ნაწყენი იყო, ისე ინახავდა გულში ბოლმას.

ერთხელ კოტემ მთელი დღე იმუშავა თივის ზიდვაზე. ფორანზე მაღალი ჭალები დაამაგრეს და, ალბათ, მთელი თვე მოუწევდა ამ საქმეზე ყოფნა.

საღამოთი შინ გამტკერილი და გაჭუჭყიანებული დაბრუნდა.

— დედაკაცო, წყალი გააცხელე, თავის დაბანა მინდა, ფხებმა და მტკერმა შამჭამეს! — დაუძახა პელოს და თან ფორნიდან ცხენების გამოშვება დაიწყო.

პელომ წყალი გააცხელა, გადაუნელა, ტაშტიც მოუმზადა.

კოტე კარგად რომ გაისაპნა, თვალებიც კი აღარ უჩანდა, თავზე ხელები დაიწყო და წყლის დასხმას დაელოდა, პელო არა ჩქარობდა.

— ჰა, დედაკაცო, რას გაჩერებულ ხარ, დემტვა თვალები! — უსაყველი კოტემ, — დროზე დამასხი წყალი.

— შენ ჩვენი ბრიგადისა არა ხარ, მოვიდნენ და იმ შენი ბრიგადის წევრებმა დაგისხან! — მკვანედ მიახალა პელომ, გავიდა ოთახიდან და გასაპნული კოტე თავის ბუზლუნთან დატოვა.

არა, არ იქნა მაინც მისი გამოსწორება, კოტე თავის ხასიათზე უდრებად იდგა.

იცოდა ზოსიმემ, რომ მამა თავისი ფორნით სახლში იყო, მაგრამ მისი ტყეში წაყვანაზე დაყოლიება წყლის ნაყვა იქნებოდა, განა არ ენდომებოდა პატარების დახმარება, მაგრამ თავმჯდომარის ნებართვის

გარეშე ერთ ნაბიჯს არ გადადგამდა; ამიტომაც გააგზავნა მეზობელთან ვირის ორთვალის სათხოვნელად.

ზაური რომ შეიყვანა ზოსიმებ ეზოში, კოტე თავის ფორანთან ტრიალებდა.

— დედი! — დაიძახა წმამაღლა.

— რა არის, შვილო? — აივაზე გადმოდგა პელო.

— ცოტა ხანს ჩამოდი დაბლა.

ზოსიმებ დედა განზე გაიყვანა და ჩურჩულით უთხრა:

— საწყალ დათიკოს ბიჭებისათვის „ხოლერა“ სიკას შეშა წაურთ-მევია, თან გოგიასათვის მათრახით უცემნია. სახლშიც საჭმელი არა-ფერი ჰქონიათ. ეხლა ორივეს აჭამე რამე, მამაჩემს უთხარი, უქვილი, მოკლედ, რაც მეგემხობათ, გაამზადეთ და სანამ ჩვენ ტყიდან მოვპ-რუნდებით, იგრე გადაუტანეთ სალომეს. ბიჭებმა არ გაიგონ. საწყალი ავადა ყოფილა.

— ვაი, საწყლებო! რატო არ არი მამა თქვენი აქ შვილებო, იმ ცოფიან სიკას ჭკვას არ ასწავლის! ვაი! ვაი! ვაი! — წმამაღლა წაუტირა პელომ.

— ჩუმად, ბიჭი იგრეც ძლივს დავაწყნარე, გული მაიკვეთა ტირილით! — გააფრთხილა ზოსიმებ.

პელო კოტესთან მივიდა და დაბლა წმაზე უთხრა:

— გაიგე, კაცო, საწყალი სალომეს ბიჭებისთვინ მეტყვევე სიკას უცემნია და შეშა წაურთმევია.

— სალომე ვინ არი? — უცებ ვერ მოისაზრა კოტემ.

— ვიშ, შენ კიდევ რატო იგეთი ხარ, საწყალი დათიკოს ცოლი, ჩვენ ზოსიმესთან რომ იყო იმში; ზოსიმეს თავისი ხელით დაუმარხნია.

— ჰოოო! — მრავალმნიშვნელოვნად თქვა კოტემ, — უყურე იმ შობელდაღლს, თითონ თავი დააძვრინა ჯარსა და იქ დაღუპილების ცოლ-შვილს როგორ ამწარებს!

— საჭმელიც არაფერი ჰქონიათ, ბიჭმა თქვა, რაც მეგემხობათ, გადაუტანეთო, — ფრთხილად შეაპარა პელომ, — ხომ იცი, იგრეც დაჩაგრულია, ეხლა მაგათი გაჭირვება რომ გაიგო, თავს მაიკლამს და ზედ გადაყვებათ.

— ვაი, შენ ჩემთ თაო, ვენაცვალე, ეგრეც უნდა ქნას, მა როგო. დე-დაკაცო, შენ ბალლებს საჭმელი მოუმზადე, უქვილს, ყველს, საკეცს, ფორანზე დაუდებ, მანამ ცოტა შეშასაც დავაწყობ, შენ ერთი სამი დედალი დაიჭი, ბალლებისთვინ კვერცხი გაუჩნდება, მემრე კიდე დრო და დრო მივხედოთ-ხოლმე, — აფუსფუსდა კოტე, დიდი მონდომებით

დაიწყო ფორნის დატვირთვა.

გოგიამ რომ ვირის ორთვალა შემოაჯირითა ეზოში, პელოს უკვე გამზადებული პქონდა სუფრა და ჩიხირომის ქვაბს ოშხივარი ასდი-ოდა...

ვირის ორთვალამ ხეობა გადაჭრა და ციცაბო აღმართს მიადგა.

— აქ ვეღარ ავა! — შეწუხდა ზაური.

— ავა კი არა, შაინხეწება კიდეც. — ზოსიმე ისე მიაწვა ორთვალას, ვირმა სულ სირბილით აათავა აღმართი.

— ვაშა! — წამოიძახა ზაურმა. — აქედან სულ ახლოს არის ჩვენი შეშაც, დავუდოთ და ჰაიდა, სახლისაკენ.

— ჯერ თქვენი კონები იყოს, სად წაგვივა. კარგ ადგილას მივაყენოთ ეს ჩვენი ურქი და მემრე ვნახოთ შეშის დაჭრა როგორია, — ზოსიმე ვირს ახლა წინ მიუძღვდა, ტყის გზა კარგად იცოდა, აღლო არა ღალატობდა.

ბიჭებს ხელი არ გაატოკებინა, მოზერივით ტრიალებდა აშოლ-ტილ რცხილებს შორის. ხელად გაავსო ორთვალა შეშით, თოკი მაგრად გადაჭირა, ყველაფერი რომ მოამზადა, მხოლოდ მერე სიამოვნებით ამოიქმინა.

— აგაშენათ ღმერთმა, ძლივს არ გავიყრევინე ობი! — თქვა და ბიჭების გვერდით ჩამოჯდა.

ზოსიმე საშუალოზე მაღალი, მხარბეჭიანი, ჩაკუნთული, მუხასავით ძვალმაგარი, შავგვრემანი ვაჟკაცი იყო, თუმცა თვალებდავსებულ სახეზე ნაჭრილობევები და დენთისაგან დატოვილი ლურჯი ლაქები მრავლად ეტყობოდა, მაგრამ მაინც ვერ წაეშალა მისთვის ძველებური სილამაზე, და ლაზათი. სავალდებულო სამხედრო სამსახურში მყოფს მოუსწრო ომმა და სახლში მისი მძიმე კვალდადებული დაბრუნდა. სიცოცხლეზე გულგატებილი და იმედგაცრუებული ნელ-ნელა იკრებდა ნებისყოფას, ცხოვრებისაკენ ცდილობდა მობრუნებას; თუმცა სამუდამო სიბნელის განცდა, დაუნდობლად უთუთქავდა გულს.

— გვეყოფა დასვენება, ბიჭებო, ეხლა წავიდეთ, ის თქვენი კონებიც დავაყაროთ და, ჰაიდა, სახლისაკენ მოვუსვათ, — უთხრა ბიჭებს და ჯარისკაცულ ფარაჯაში გაუყარა ხელი.

თავდალმართზე ზოსიმე უკნიდან ხელით აკავებდა ორთვალას და ისე ჩაგიდნენ ვაკემდე, ვირს ტვირთის დაწოლა არ უკრძნია.

— აი, ჩვენი კონებიც! — ზაურმა ხელები გაშალა და ხტუნაობა დაიწყო.

ის იყო ზოსიმე კონებთან მივიდა, რომ ბიჭები დაფრთხენ.

ზოსიმეს ზურგს ამოეფარნენ.

— თქვე შობელძაღლებო, კიდე გაბედეთ აქ მოსვლა?! — სანამ მათ-რახით ყავარყავარ არ აგატყავებთ არ დაიკარგებით არა აქედან?! — „ხოლერა“ სიკა მუქარით გამოვიდა მაყვლის ბუჩქს იქიდან.

— ვაიმე, გავიქცეო, გოგო! — აწრიალდა ზაური.

— თქვენ აქ დასხედით და წყარად იყავით, — ზოსიმე კონაზე ჩამოჯდა, ჯიბიდან სათუთუნე ამოიღო, შიგ ჩაკეცილ გაზეთის ფურცელს ერთი გვერდი შეახია, თუთუნი ჩაყარა და კარგა სქელი პაპიროსი დაახვავა. კვესად გადაკეთებული შაშხანის მასრას სარქველი მოხადა, პატარა გორგოლაჭეს ცერი ჩამოკრა, პაპიროსს ცეცხლი მოუკიდა და ღრმა ნაფაზი დარტყა.

— პა, თქვენი დედა კი... — გინება გინებით მიუახლოვდა „ხოლერა“ სიკა, — ეს ბრმაც წამოგითრევიათ! ჯოჯოხეთს მუგზური აკლდაო ამაზეა ნათქვამი, — დაუმატა ზოსიმეს ცნობის შემდეგ. ვირს სტაცა აღვირში ხელი, აღმართისაკენ შეაბრუნა და მათრახის ცემა დაუწყო, საწყალი პირუტყვი გაიქჩა, მძიმე ორთვალა ცოტას ააგორა ზევით, მერე თვალს დიდი ქვა გადაეღობა, ვეღარ დაძრა, რომ ზედ გადაეტარებინა, წვალობდა, სიკა კი მათრახს ურტყმდა.

— მაიცა, „ხოლერ“, ვირმა რა დაგიშაგა, მოდი, ჩამოჯექ, ცოტა ხანს ჩემ გვერდით, ვიღაპარაკოთ, რამდენი ხანია ტკბილად არ გვიჰუკჷებია, — დანჯად უცხრა ზოსიმემ, თან პაპიროსს აბოლებდა, სახეზე ნაკვეთი არ შეტოკებია, გულში კი ქარიშხალი უდუღდა.

— შენთან საღაპარაკო რა მაქვს, წადი, მონახე უსაქმურები შენსავით და აჩხაგუნე ჩონგური; მამნახა რაღა მმაკაცი! აბა, გამოეთრიეთ აქეთ! სანამ ხუთ-ხუთ მათრახს არ დაგარტყმა, აქ ხეტიალს არ მაიშლით, — ახლა ზოსიმეს ზურგს უკან მოფარებულ ბიჭებზე მიიწია.

— ბალღებს თავი დაანებე, ჩემთან იღაპარაკე, ეგენი მე წამოვიყვანე! — ისევ იმ ტონით უთხრა ზოსიმემ, საღდაც სივრცეში მიჩერებულმა ღრმა ნაფაზი დაარტყა და ნახევრად მოუწეველი პაპიროსი შორს მოისრიალა.

— შენ რა უნდა გელაპარაკო ნახევარ კაცადაც არა სარ სათქმელი, ე ბალღებს გავირეკამ, ეგრე უპატრონოდ ეგდები, მე შენ გეტყვი, გზას გააგნებ თუ კვალს, ამაღამ კიდევ მტლები შაგჭამენ და ქვეყნას ერთი მუქთამჭამელიც მააკლდება, — გაცნო თავისი გეგმა „ხოლერაშ“.

— მე რაცა ვარ, ესა ვარ, „ხოლერ“, შენ რა ხარ, ერთხელ რატო არავისა კითხავ, თუ აქამდე არ იცი! — ზოსიმე ფეხზე ადგა. ზაური ფარაჯის კალთაში ჩააფრინდა, გოგია კი განზე გასულიყო და შველი-

ვით მოზიდული, ყოველგვარ მოულოდნელობისათვის მზად იყო.

— მე ისა ვარ, რომელსაც შენი მსგავსი ფუქსავატები ფეხებზე ჰკიდია!

— რათა ვარ „ხოლერ“ ფუქსავატი?! — ზოსიმეს ხმაში კანკალი შეეპარა.

— კარგი, მაშინ შენ მითხარი, რისი მაქნისი ხარ, ან რა შაგიძლიან, ბალლებს ხელჩაკიდებული დაყავხარ სოფელ-სოფელ, შენც გამოგცლია ჭკუა, სადაც ხალხს ნახავ, ჩამოჯდები და მღერიხარ ვითომ, რაღა.

— შე კაი კაცო, სულ ოთხი თვეა რაც მოვედი ჰოსპიტლიდან, გულდამბიმბებული ძლივს ერთი-ორჯერ გავედი სოფელში და ეგ შაგ-შურდა ჩემი?

— შენ რაც გინდა ის გიქნია, მე ქვეყანა მეცოდება, ეგეოი მუქთამჭამელები და ფუქსავატები რომ უმრავლდება.

— „ხოლერ“! — ზმას აუწია ზოსიმე. — ქვეყანა რატო მაშინ არ გეცოდებოდა, მტერი შეჭმას რომ უპირებდა, მე რომ თვალები დამთხარა და ამათი მამა კიდევ... — უცებ შეჩერდა, ენაზე იკბინა, სათქმელი შეატრიალა, — ამათი მამა კიდევ ვინ იცის სად არა; ფეხში ცხენის ძუა გაიტარე და მას აქეთა ლპები, ომში რომ არ წევყვანეთ. დროზე გაიგე, რომ ქალებიც მიყავდათ საომრად, თორებ მზად იყავი საკუთარი თავი დევეკოლნა, კაცი მაინც არა ხარ და კაცობის დასამტკიცებლად ორგანო რაში გჭირდებოდა, — ზოსიმეს სახე ქანდაკებასავით უცვლელი ჰქონდა, მკერდში კი ვულკანი ბობოქრობდა.

სიკა ათი წლით უფროსი იქნებოდა მასზე და არ დავიწყდა ამ უპირატესობის გამოყენება.

— ბალლო, ცოტა ყბებს მოუჭი, თორებ არ მევერიდები შენ სიბრმავეს და აგიჭრელებ ზურგს, მემრე მიხვდები, როგორ უნდა შენზე უფროსებოან ყბაში შადგომა.

— „ხოლერ“, ბალლებზე კარგად გაგიწაფნია ხელი, ლაჩარი და არაკაცი რომ ხარ, მაგაშიც გეტეობა, თორებ სადაც სავაჟუაცო საქმე იყო, იქ გეცადნა მათრახი, თუ ბიჭი იყავ, ცხენის ძუას რაზე დაალპობინე ფეხი?! შენი დედა!..

„ხოლერამ“ მათრახიანი მარჯვენა მაღლა აღმართა.

— ეხლა გაჩვენებ როგორი ვაჟუაცი ვარ! — დაუყვირა და გაცოფებული მიეჭრა.

— არ დაარტყა, შე დეზერტირო! — გოგიამ დაიყვირა, შურდულის რეზინები მოქაჩა, რაც ძალი და ღონე ქონდა და გულდასმით დაუჭიმა.

ზოსიმემ მათრახის შხუილის ხმაზე გააქანა წელი, პაერში დაიჭირა, გამოჰკრა და უცებ გამოგლივა წელიდან „ხოლერას“ თავისი ნაცადი იარაღი. მარცხენა წელი უტაცა მაჯაში, ძალუმად დაიქნია „ხოლერა“ სიკა მუხლებზე დაამხო და მათრახი მის ზურგზე ააცეკვა. ახლა კი იგრძნო „ხოლერა“ სიკამ თუ რა მწვავე ტკივილის მიყენება



შეძლებია იმის მათრახს. ზაქრო გაცოფებული ურტყამდა, თან მარცხნა ხელს არ უშვებდა. სიკამ რამდენი გაიწია გასაქცევად, მაჯაში ისეთი საშინელი ტკივილი იგრძნო, ეგონა მომტყდაო, ამასობაში კი მის ზურგზე სისხლჩაქცეული ზოლები მრავლდებოდა და სიმწრის ცეცხლი ეკიდებოდა.

რომ დარწმუნდა, ვერ გავეშვებიო, ღრაიალით შეძრა მიდამო:

— მიშველეთ, ხალხო! ქრისტიანი არავინა ხართ, მამკლეს ეს მთავრობის კაცი!

— ოს, შე შობელძალლო, ქრისტე და მთავრობა რატო მაშინ არ გახსენდებოდა, სამშობლოსათვის თავგანწირული კაცის შვილებს მათრახს რომ ურტყამდი და ავადმყოფი დედის გასათბობად ვაივაგლახით შეგროვებული შეშას ართმევდი, რომ მემრე გეგეყიძნა და ის ფული, ყომარში დაგეტრიალებინა! — დააფლითა ზურგზე საცმელი მათრახით.

„ხოლერა“ სიკას ღრიალის თავი აღარა ჰქონდა, ვეღარც მუხლებზე დგომა შეძლო, პირქვე იყო გაშხლართული და ყოველ დარტყმაზე „გაიო“! იძახდა.

მოიოხა ზოსიმე ცემით გული, გადატეხა მათრახის ტარი და დალილავებულ ზურგზე მიაგდო.

— აბა, ბიჭებო, ეხლა კი დროა წავიდეთ! — ორივე კონა თვითონ მოიკიდა, ვირის ორთვალის უკან მიყვა.

ხეობის გაღმა რომ გავიღნენ, ცოტა ხანს შეისვენეს.

— გოგი, არა ჩანს ის შენი ძმაკაცი? — პკითხა ზოსიმემ.

— როგორ არა, ამდგარა და ცხენისაკენ მიღახლახებს, წელში სამად არი მოხსრილი.

— როგორ იცი, კიდევ გაბედავს ვინმეს გამათრახებას?

— თუ ერთ დარტყმაში, ოცდათორმეტი მიიღო, ზუსტად ვთვლიდი, არა მგონია, რომ მათრახი საერთოდ დაიჭიროს ხელში, მეც სიხარულისაგან ზურგის ტკივილმა სულ გამიარა, — მხიარულად უპასუხა გოგიამ.

— დედასთან არ წამოგცდეს, რაც მოხდა, ცოდოა, ინერვიულებს, სადარდებელი იგრეც თავზესაყრელი აქვს, — გააფრთხილა ზოსიმემ.

— ზოსიმე ძიავ, ომში მამაჩემი არ გინახავს? — მოულოდნელად შეეკითხა ზაური.

ზოსიმეს ყელში ბურთი მოაწვა, ეს იყო ბოლმა განუზომელი მწუხარების შეგრძნებისა, რომელსაც ეკრაფრით ვერ შევლოდა.

— როგორ არა, ვნახე, — გაგუდული ზმით ოქვა ზოსიმემ.

— მემრე რასა ფიქრობს, ე, ომი რომ დამთავრდა, სახლში მოსვლას აღარ აპირებს?! — საყვედური ვერ დაფარა ზაურმა, — დედაც ავად არის.

— აპირებს, აბა, არ აპირებს, — სხვა ვერაფრის თქმა ვეღარ მოახერხა, — მიდი, გოგი გარეკე სახედარი, დაგვიანდა, — მძიმე საუბარი თავიდან რომ აეცილებინა, კონებს დაავლო ხელი და წასასვლელად მოემზადა.

— თუ აპირებს, მაშ სად არის ამდენხანს, უგეთი სიზარმაცე შაიძლება, მე თვალები დამწყდა ლოდინით, რამდენი ვინმეს ჯარიდნ დაბრუნების ამბავს გავიგებ, იქით გავრბივარ. მაშ, არ უნდა იცოდეს, როგორ მემწნატრა?! — ბიჭის თვალებში ცრემლმა გამოჟონა.

— იცის, ზაურ, ალბათ, ყველაფერი იცის, — ზოსიმეს მეტი აღარ შეეძლო, ყელში მობჯენილი ბურთი ახრჩობდა. გარეკა გოგიამ ჯორი, კონებმოკიდებული ორთვალას მიყვა და შვებით ამოისუნთქა, როგორც არ იყო დროებით დააღწია თავი ზაურის გულისვამგმირავ შეკითხვებს. მისდევდა ვირის ორთვალას, მისთვის უკუნეთი იყო გამეფებული, ტვინი კი გაცხოველებით მუშაობდა და გარდასული ბრძოლების ამბებს ხელმეორედ მთელი სიცხადით უხატავდა, იქ კი ყველაფერი ფერებში ჰქონდა წარმოდგენილი და კონებწამოკიდებული ფიქრის ბილიკს მიყვებოდა.

ზოსიმეს თვალწინ წარმუოდგა ომის მძიმე წლები: ბრძოლები საზღვარზე, მომქანცველი უკან დახევა, მტრის ზურგში ხეტიალი, ალყის გარღვევა, მძიმე ბრძოლები ხარკოვთან, ისევ ალყა, ისევ თავის დაღწევა და ისევ უკან დახევა. პოსპიტალი, ახალ ნაწილში მოხვედრა. სწორედ იქ შეხვდა თავის თანასოფლელ დათას, გოგიასა და ზაურის მამას. დათა უფროსი სერეანტი იყო, ათეულს მეთაურობდა.

ზოსიმეს ნახვით ძალიან გაიხარა, გულში ჩაიკრა და მთელი ათიწუთი აღარ გაუშვა.

— საიდან გაჩნდი, ბიჭო, აქ, პა!! — დაულაგებელი შეკითხვა მისცა.

— პოსპიტლიდან.

— სულ დამაკიწყდა, რომ შენ ომაძლე იყავი ჯარში გაწვეული, მეგონა, იქნება ჩემი ცოლშვილის ამბავი იცის-მეთქი.

— მე რა უნდა ვიცოდე სოფლისა, რაც ომი დაიწყო, მარტო ერთი თვით დამასვენა ჭრილობამ, დანარჩენი სულ ცეცხლში ვარ.

— ჩვენი ნაწილი სასწრაფო სამსახური მომზადების შემდეგ გადმოისროლეს ხარკოვიდან გამოჭრილი მტრის წინააღმდეგ, მას შემდეგ სულ ფრონტზე ვართ, უკან-უკან ვიწევთ, ეს წყეული კი მოგვყენა

და აღარ იქნა მისი შეჩერება? ყოველ სამ დღეში ახალი სანგრების გათხრა გვიხდებოდა; მოდის და მოდის.

— შენ ორმაცდართში უნდა გენახა, დვარივით მოდიოდნენ, ხელებდამკვლარძულები, ომი გარობა ეგონათ; გაგიხარია მაგარი მუშტი მიღეს. რამდენჯერ შევხვდით მაგათ პირისპირ, ის ძველებური თავზედობა სადღა აქვთ, სხვის ბაღში გადაპარული ქურდებივით შშიშ-რები და მფრთხილები გახდნენ.

— რა ვიცი, შობელძალლები, ტყვიასა და ყუმბარას კი არ ზოგავენ და, რა აქვთ ამდენი, რომ ვეღარ გემეელიათ. მესამე კვირაა ამ პოზიციაზე ვადგევართ, ვერაფრით ფეხი ვერ მოგვაცვლევინეს, მაგრამ იგრე გვბომბავენ გაგვინახევრეს.

— არც ხომ ჩვენები ისერიან ბამბას.

— ბამბას კი არა გაგიხარია ბევრს ავალოკეთ მიწა, მაგრამ რა გინდა, მოდიან და მოდიან, არა თავდებიან ეგ შობელძალლები, ქაჯე-თის ციხიდან გამოჩეკილებსა გვანან, ერთს მოკლავ ათი გამოყოფს ხოლმე თავს.

— გათავდებიან ალბათ, მაშ რა მოუვათ, მაგრამ ბევრი ვაჟკაცის მზე დააბნელეს და, ვინ იცის, კიდევ რამდენს შაუმოკლებენ წუთი-სოფელს.

— ეხ, ომის მამგონის დედა ვატირე, რაში შაშურდათ ამ შობელძალლებს ჩემთვის წყნარად კვოფილიყავ სოფელში და მიწასთან ჭიდილში დავმტკბარიყავი ცოლ-შვილის სიყვარულით. აი, ამათი სიცოცხლლით ვცოცხლობ, ზოსიმე, ბრძოლის დაწყების წინ, რომ არ დავხედო, არ შეიძლება, ძალას ესენი მაძლევენ; ღმერთო, ოღონდ კარგად იყვნენ და ამაზე უარეს ჯოვონეთში ღიღინით შავალ! — და-თამ ჯიბიდან სურათი ამოიღო, ცოტა ხანს უყურა და მერე ზოსიმეს მიაწოდა, — ბოლო დროს გადაღებულია, აბა, თუ იცნოლ?! — თავის გულუბრყვილო ნათქვამზე თვითონვე გაეცინა.

წნორელი ფოტოგრაფის კაბინეტი იცნო ზოსიმე — სტანდარტული პოზაც, მაღალ, მრგვალ მაგიდასთან დათა იჯდა, ზაური მუხლზე დაესვა, სალომე მაგიდასა და მის მარჯვენა მხარის შორსი ცოტა უკან დაწეული იდგა, ცალი ხელი მაგიდაზე დაედო, მეორე კი — დათას მხარზე. გოგია მამას მარცხენა მხრიდან მისდგომოდა, მარჯვენა ხელი ზაურისთვის დაედო მხარზე, მარცხენა კი დაბლა სწორად ჩაეშვა, დათას მარჯვენა ხელი მუხლზე ედო, მარცხენა კი ზაურისთვის ზურგზე შემოედო, ყველა ობიექტივში იყურებოდა, „ზუსტად ამ მომენტში იცის ხოლმე ტარასა ფოტოგრაფიმა გაფრთხილება, „ჩიტი გამოფრინ-

դեմար“, – გაიფոյշրա ზոևսօմեր და გայღօմა.

– დაგივաշკაცებია ბიჭები, რაღა გიჭირს, თავი ქუდში გაქշს, გა-
მოუქնელი მოշვრებივით დაიწყებენ ტაბიკების მტვრევას, შენ რომ
ჩახვალ, დაღვინեბულები დაგხვდებიან; საլომეթ օկიտხოს, თორემ შენ
մარტო პամու თქმის մეტი აღარაցური დაგჭირდება, – გააմենევა ზո-
ևսօմեր დათა და სუրათი უკანვე დაუბრუნა.

– ეს, ჩემო ზოևսօმე, ბიჭებს სწორედ ეხლა უნდოდათ მამის ხელი,
– ნაღვლიანად თქვა დათამ და სუրათი უბის ჯიბეში შეინახა.

– მორჩი კაცო, ყველაფერი კარგად იქნება, შენ ის მითხარი, ჩვე-
ნები როგორ არიან, თითქმის მეოთხე წელია არ მინახია ისინი, –
შეცვალა საუბრის მიმართულება დათას ნაღველის გასაქარვებლად.

– კოტე და პელო არიან ტებილად, ერთობიან შრომაში, ჰო, მარ-
თლა, შენი მეორე დაც გათხოვდა, – უცებ მოაგონდა ახალი ამბავი.

– მართლა? – გაიკვირა ზოևսօმე და თან გაეღიმა.

– მართლა, აბა, არა ვჯერა?

– მჯერა, კი არა მაყარი შენ არ იყავი, მეორე დღეს კიდევ სმით
რომ ამოწყვიტე ხალხი?!?

დათას თვალები გაუფართოვდა, – შენ საიდან იცი?!

– ბიჭო, მაშინ მე ისევ იქ არ ვიყავი?! – სიცილი აუგარდა ზო-
ևսօმეს.

– ვაი, შენ ჩემო თაო! – შუბლზე მიირტყა ხელი დათამ, როგორ
გამოვშტერდი, სულ დავკარგე დროის გარჩევა.

– არა უშავს რა, ჩაგალთ და იცოდე, სულ სხვა ფერებით გაგი-
ფორმებ ამ ამბავს, – დაემუქრა ზოևսօმე.

– ოღონდ ვეღირსო და სამი ყანწითაც დავიჯარიმებ თავს.

დიდხანს გაუგრძელდათ საუბარი, ერთმანეთს მშობელი მხარის
სუნთქვა მოუტანეს და ტკბებოდნენ მისი სუրճელებით.

საღამოთი ცნობა მოვიდა, პოლკი ამაღამ უკან იხევს, მტერს რომ
მოწყდეს და ახალ პოზიციაზე გამაგრება მოსსწროს, ასეულმა რომელ-
შიც დათა იყო, ერთი დღელამით მტერი უნდა შეაკავოსო.

– ცუდად იქნება საქმე, ზოևսօმე, შენ ახალი მოსული ხარ. ეხლა
წავალ უფროსებთან, რომ უკანდახეულ ნაწილს გაგაყოლონ, თანაც
ვეტყვი, რომ პოსპიტლიდან მთლიანად მომაგრებული არ გამოსულ-
ხარ. აյ ხვალე ჯოჯოხეთი დატრიალდება, ბეკრს არ უნდა ჰქონდეს
გადარჩენის იმედი. – დათა ადგა.

– მაიცა, კაცო, რატო არა მკითხავ, მე წავალ?!

– ბიჭო, შენ მაინც გადარჩი, ჩემი სისხლი საკმარისი არ

იქნება?!

— ვაი, ზოსიმე მოკვდეს, ამგვარ მომენტში დაგტოვოს და უკან გაიქცეს. ეგ კი არა, სხვა ნაწილში რომ ვყოფილიყავი, ძალათ დავრჩებოდი, თუ ძმა ხარ, ამ ბედნიერებას ნუ წამართმევ! — იწყინა ზოსიმემ.

დათამ მხრები ჩაოუშვა. — ეხ, გამიხარდა შენი ნახვა, მაგრამ ეხლა ვნანობ, ნეტა სულ არ მენახე!

— რა იყო, კაცო, წინათ, მთელი ქიზიყი ერთად არ მიღიოდა საომრად?!

— ვიცი, ზოსიმე, მაგრამ იგეთი გრძნობა მაქვს დაუფლებული, რომ მინდა ყველას ჭირის წამალი მე ვიყო, ყველას მაგიერ მოკვდე, ოღონდ კარგად იყვნენ და...

— დაგსუსტებია გული, ომში კი პირიქითა ხდება.

— ეგრეა, ეგრე, რაც მე მკვდარი მინახავს, მაგრამ შინაური რომ გნახე, რაღაცა შიშის გრძნობა დამუჟღლა, წყეულია ეს ოხერი ტყვია, დანდობა არ იცის.

— ნუ გეშინა, ყველაფერი რიგზე იქნება.

— მე რა უნდა მეშინოდეს, რაცა ვარ ესა ვარ, შენ კი ჯერ ოჯაზიც არ შეგიქმნია.

— არა უშავს, ყველაფერს მევესწრებით!

— ჰო, მართლა, მაყვალა შენი შესფერისი გოგოა, სოფელშიც ყველამ იგრე იცის, ზოსიმე ჩამოვა და ცოლად შეირთავს, პირობა მიცემული აქვთო.

ზოსიმეს სახეზე სიწითლემ გადაურბინა.

— ეგ ვინა თქვა, კაცო, იმ გოგოს სახელი არ გაუტეხონ, სინდისს გეფიცები, დათიკო, არავითარი მაგის მსგავსი არა ყოფილა.

— რისა გრუცგენია, ბიჭი, კარგი ვაჟკაცი ხარ და გოგოც შესაფერისია, თქვენ შორის თუ არაფერია, ხალხმა იცის, ვინ ვისი შესაფერისია და თქვა, იგრე კი გულზე რომ არ გეჭიდექბოდეს, ეგ წითელი ფერი არ მოგაყითხავდა, — ეშმაკურად გაეცინა დათას.

— ძალიან კარგი გოგოა, ჩემი დასაწუნარი არაფერი სჭირს, მაგრამ ამ კაციჭამია ომის გზაზე დამდგარს ვინ იცის რა ბედი მელის, რათ უნდა გაუმწარდეს გოგოს სიცოცხლე.

— კარგი ბიჭი ხარ ზოსიმე, ღეროთმა სულ ბედნიერ გზაზე უნდა გატაროს, — დათამ მხარზე ხელი დაარტყა და ხვალინდელი ბრძოლის სამზადისს შეუდგნენ.

პოლკმა დამე დატოვა პოზიცია, შეთხელებულ ასეულს გასაძლი-

ერებლად ზუთი ტანკსაწინააღმდეგო თოფი და ორი ქვეითი ოცეული დაუტოვეს.

დღლიდანვე იმათ თავზე იტალიური მარკის მზვერავმა თვითმფრინავმა „ჩარჩოს“ რომ ეძახიან, დაიწყო ფრენა, თანდათან სულ დაბლა დაეშვა.

ზაქრო და დათა ერთ სანგარში ისხდნენ.

— ეტყობა შავატყო, მაგ შობელძაღლმა, რომ ცოტანიღა დავრჩით და როგორ მოურიდებლად იქცევა, — ჩაილაპარაკა დათამ.

— ყველა საზენიტო ქვემეხი წაიღეს?

— წაიღებდნენ, აბა, მაშ რას იზამდნენ, ერთი ასეულის დასაცავად მთელი პოლკის არტილერიას ხომ არ დაგვიტოვებდნენ.

— ნახე რა ახლოს დაეშვა, ეტყობა სათითაოდ გვთვლის, — მწარედ გაეღიმა ზოსიმეს. — მოკლედ, მაგრად დაგვაუთავებენ; კიდევ კარგია სანგრები გვარიანად დავაღრმავეთ.

მზვერავ თვითმფრინავს მალე მტრის ბომბდამშენები მოყვნენ და დაბეჯითებით დაამუშავეს ასეულის პოზიცია. ის იყო თვითმფრინავები გაფრინდნენ, დაჭრილების და დახოცილების აღრიცხვა ვერ მოასწრეს, რომ არტილერიის ცეცხლი დაატყდათ თავს, იმას კი ღმუილით მოყვა ტანკების და ჯავშანტრანსპორტიორების წყება.

— გაგიჟდნენ ეს შობელძაღლები, თუ რა ამბავია?! — დათამ ოცი ტანკი და ორმეტი ჯავშანტრანსპორტიორი დაითვალა. ჯერ შორს იყვნენ, ქვეითები მწკრივში გაიშალნენ ჯავშანს მოფარებულები მოდიოდნენ.

— არც ერთი გასროლა! — გასცა ბრძანება ასეულის მეთაურმა, უფროსმა ლეიტენანტმა ზახაროვმა.

მტრი გათამამდა, ეგონა ყველა საცეცხლე წერტილი ჩააქრო დაბომბვებით და სიფხიზლე მოაღუნა. ქვეითები თამამად გაიშალნენ მინდორზე.

ზოსიმეს ხელის ტყვიამფრქვევი ჰქონდა მომზადებული, დათას ავტომატი მიწაყრილზე დაედონ და ტანკსაწინააღმდეგო თოფის გათვლას აფრთხილებდა, რაც შეიძლება ახლოს მოეშვათ.

ყველა სახის იარაღიდან ერთდროულად გახსნეს ცეცხლი, ორი ჯავშანტრანსპორტიორი და ერთი ტანკი მაშინვე გაჩერდა, ქვეითები ბალაზით იცელებოდნენ, უცაბედი დაბნეულობიდან მალე გამოვიდნენ, გახსნეს ტყვიამფრქვევის და ტანკის ქვემეხების ცეცხლი.

ტანკებმა სიჩქარეს მოუმატეს. ორი დაწინაურებული ტანკი აენთო, ბრძოლის ველზე უკვე ზუთი ჯავშანტრანსპორტიორი ბოლავ-

და. ასეულის ცეცხლი საგრძნობელ ზიანს აყენებდა მტერს. ტანკები სულ ახლოს მოვიდნენ. მოწინავე ტანკი დათას ათეულის ტანკსაწინააღმდეგო თოვფმა დააზიანა. ტანკი გაჩერდა, მაგრამ ტყვიამფრქვევეს ცეცხლი არ შეუწყვეტია. ორივე ჯარისკაცი თოვფთან მიცხრილა. ზოსიმე სელფუმბარების კონას დასტაცა ხელი და სანგრიდან ამოხტა, გაჩერებულ ტანკთან მიხოხდა და გვერდიდან ესროლა ხელფუმბარა, ტანკი აბოლდა, უკან გახოხება ვერ მოასწორო, მის წინ მიწა მეორე ტანკიდან ნასროლი ტყვიამფრქვევის ტყვიებმა მოთხარეს. ტანკი პირდაპირ მასზე მოდიოდა. „გათავდა ყველაფერი“ – გაიფიქრა ზოსიმე. ამ დროს ტანკსაწინააღმდეგო თოვფმა იჭექა, ტანკი ადგილზე შეტორტმანდა და გაჩერდა. ზოსიმე ისე იყო მასზე წამოსულ ტანკზე მიჯაჭვული, მოყლი ყურადღებით, რომ ვერ დაინახა მის მიერ ანთებული ტანკიდან როგორ ამოძვრა ავტომატმომარჯვებული გერმანელი. ზოსიმე ტყვიამფრქვევი სანგართან დატოვა, მუხლებზე წამომდგარმა დანა იშიშვლა, მაგრამ ვიღაცამ გერმანელს სროლა არ დააცადა, ავტომატის მოკლე ჯერით მოცელა, იქით გაიხედა, დათა მორბოდა მისკენ და ცეცხლმოდებული ტანკიდან ამოძვრალ გერმანელებს ავტომატის ზუსტი სროლით სპობდა. ზოსიმე მოკლულ გერმანელს ავტომატი ააცალა და ტყვია დაუშინა მოახლოვებულ ქვეითებს.

ახლა ყველა და ყველაფერი ისროდა, ადამიანი ადამიანის მოსასპობად იწევდა, ბრძოლის სასწორი გაურკვევლად ქანაობდა. სულ ცოტა და ტანკები სანგრებს გადათელავდნენ, მაგრამ მოხდა სასწაული, მტრის ტანკები უკან-უკან წაგიდნენ, თან ცეცხლს უშენდნენ ასეულის პოზიციებს. გადარჩენილმა ქვეითებმა ეს რომ დაინახეს, იმათაც სასწრაფოდ დაიხიეს უკან.

მტერმა ბრძოლის ველზე რვა ტანკი, ხუთი ჯავშანტრანსპორტიორი და ათეულობით გვამი დატოვა.

დათა სანგარში ჩახტა და შვებით ამოიქმინა, – ძაფი გაწყვეტაზე იყო, ცოტადა აკლდათ, გადაგვთელავდნენ ნამდვილად, ეტყობა ჩვენი ძალები ვერ მოზომეს, ღრმად შემოსვლისა შეეშინდათ, გაგვანახევრეს, მობელმალლებმა, ამის შემდეგ კი გადარჩენის იმედზე ლაპარაკი ზედმეტია, – ჩაილაპარაკა და ცოტა ხანს სანგრის კედელზე მხრებ-მიყუდებული გაყუჩდა.

– საღამომდის თუ აღარ შემოგვიტიეს, შებინდებისას ჩვენც წავალთ და მემრე ურტყან ფუმბარები ცარიელ ადგილას, რა ენაღვლებათ, ბევრი ჰქონიათ, – თქვა ზოსიმე.

ორივე ცოტა ხანს ისხდნენ მდუმარედ, ლაპარაკის სურვილი არც

ერთს არა ჰქონდა, მბიმე განცდების ტყვეობაში იყვნენ ჯერ ისევ. ასე დღიდანს არ გაგრძელებულა, დათამ თავისი ათეული დაათვალიერა. სულ სამი დარჩენილიყვნენ. თვითონ, ზოსიმე და ერთი ჯარისკაცი, გვარად ტოკარევი, სხვებზე შედარებით უფროსი ასაკის იყო, ათეულის საჭმლით და ტყვიაწამლით უზრუნველყოფა ჰქონდა დავალებული. სხვები რომ დაიხოცნენ, დაზის ტყვიამფრქვევს მისჯდომოდა და სანამ მოწინააღმდეგის ქვეითებმა უკან არ დაიხიეს, სროლა არ შეუწყვეტია.

ასეულის მდგომარეობა მბიმე იყო, თავის შემადგენლობის ნახევარი დაკარგა დაბომბგებისა და მტრის შემოტევის შედეგად.

— საღამომდე უნდა გაყდლოთ! — ზახაროვმა ჩამოუარა სანგრებს და ყველა გააფრთხილა.

საღამომდე კი ჯერ ნახევარი დღე კიდევ იყო. ვინ იცის, რას ამზადებდა ხელმოცარული და კარგად გვარიანად შეფერთხილი მტრი.

— იმ ჩარჩოს მფრინავს კარგი დღე არ დაადგება, ალბათ მოახსენა, რომ პოლკი წასულაო, ესენიც თამადად მოგვადგნენ, ბოლოს მაინც იმან გვიშველა, რომ ეგონათ, არ წასულან და რამე ხიფათს გვიწყობენ, — დაასკვნა დათამ. — ოღონდ თუ კიდევ წამოვიდნენ, ვაი ქვასა და წყალს, პოლკის ანგარიშზე შემოგვიტევნ, მაგრამ არა მგონია დღეს სამაგისო მომზადება მოასწრონ.

მართლაც, იმ დღეს მტერი მეტჯერ აღარ გამოჩენილა, შებინდებისას კი ასეულის ნარჩენმა დატოვა პოზიცია და სიბნელეს შეერია.

მთელი დამე იარეს, ცდილობდნენ, რაც შეიძლება შორს ჩამოეტოვებინათ მტერი და დროზე შეერთებოდნენ მოავარ ძალებს. გათენებისას ცოტა შეისვენეს და მერე გზა ისევ გააგრძელეს.

შუადღე კარგა ხანს გადასული იყო, ტყვიასავით დამბიმებულ ფეხებს ძვლის მიათრევდნენ, თხუთმეტამდე დაჭრილი და მთელი სამზედრო აღჭურვილობა ზურგით მიჰქონდათ, მაინც მიდიოდნენ და მოწყალებასავით ელოდნენ როდის გაისმოდა ნანატრი ბრძანება შესვენების შესახებ. მაგრამ ასეულის მეთაური, უფროსი ლეიტენანტი ზახაროვი, განსაკუთრებით მოუსვენრობას იჩენდა და ბიჭებს წამდაუწუმ აფრთხილებდა, რაც შეიძლება ჩქარა ევლოთ. მარჯვნივ ხუთასიოდე მეტრის მოცილებით ტყეს ჩაუარეს, მერე გზამ ცოტა მარცხნივ მოუხვია და ტყე თოთქმის ზურგში მოექცა.

მოულოდნელად ტყიდან გერმანელების ჯავშანტრანსპორტიორი გამოვიდა, ეტყობა დავზერგვაზე იყო, სანამ ასეული გაიშლებოდა, ტყვიამფრქვევის ცეცხლი გაუქსნა, ტრიალ მინდორზე მოტანებულ-

ნი მძიმე მდგომარეობაში ჩაცვივდნენ, სადაც მოასწრეს იქ ჩაწვნენ და ჯავშანტრანსპორტიორს ცეცხლით უბასუხეს, ტრიალ მინდორზე დარჩენილი ჯარისკაცები მტრის ტყვიამფრქვევით იცელებოდნენ.

დათა მკვდარ ჯარისკაცთან მიხოხდა, ტანკსაწინააღმდეგო თოვე გამართა, ზოსიმე გაზნები მოძებნა და გვერდით მიუწვა. პირველი გასროლისთანავე ჩაჩუმდა მოწინააღმდეგის ტყვიამფრქვევი.



- Եթզոծա մոխզօճա, — ჩառապարակա ზռևսօմեթ.
 - Առա, ազագունէ, Շյուղլցա Նեցա րամցի ճայրոտեռ.
 - մարտլաց մալց Ծյուամբորքշեց օւսեց ամշամանակա.
 - Առ, եկլա կը արար ճաշապուղց, — ճատամ ծեչուտաճ ճաշմինա.
- Ծյուամբորքշեց օւսեց ամշամանակա և ճայրոտեռ.
- ჩիշարա, Ծյուակցն! — ծրման ზաხարովա. օմեցո Ֆյոնդա, րոմ Ծյուարուուլո օյնեծուուլա.

նաեւարո ցի առա յենդատ ցալուուլո, րոմ սամո ջաշմանցրանսկոր-
թուորո ցամովարու մուսախցեցօճան ճա Ֆամովուունեն մատնչ
Ծյուամբորքշեց օւսեց ամշամանակա և ճայրոտեռ.

Ժլուուրո ցւուելուս կյան պայլանո ჩիշոնցն.

Խովնաց մանցնա Խյուլ ակլուս օյու. Սուց Վամումարու ճատա
ճա մարշաց մոյնեցու եղլպաման Շոյ մարա՛ն հայցան. պայմանամ
մծլացրաճ ճայցմինա ճա ցերմանցու սեցուլուս նաշլեշեց ամերինի
ցայանթա.

Եյլուս ճամպաց զեր մուսիրո ճատամ, րոմ ճանարիեն ջաշմունց-
ճուաճ համոմեցրամա եյտմա մեյցումատի յը յը ուժուուլաճ ցաճագիւրու
րամուցենի ջարո, նուսօմեթ սանամ եյտուց առ մոյնելու սամացուրո,
տացուսո եյլուս Ծյուամբորքշեց առ ցայինիւրեց ամացուրուա.

Մերյ Վամուկուճա ճատա ճա Ծյուսկյեն ցամենմանցուուլաճ. Ծյուս პորաս մո-
ամբյուս տացուացա. ալարցուրու գունդանամանցուուլաճ տոյու ալարա յեն-
ճատ. ցերմանցու որո ջաշմանցրանսկորթուորու Խյուլ ակլուս մոյնուա
ճա Ծյուամբորքշեց օւսեց ամշամանակա և ճայրոտեռ Ծյուամբորքշեց Ծյուես.

մալց որո ջարուսկաց ճատուուլու սամուրու ավտոմանա-
լուու մոյմագիա.

օյաց ցամարուց նալմսամբորընց ճա Ծյուս նալմեց ճաշմունց.

— Տուրման ճացուութու! — ծրման մետայրմա.

կարցա եանս օարես. Սուց Ծյու ցատաց ճա յը յը մոնդոր-
թյ ցաշունեն, Շուրու կը սուրու ճուաճ ճա գունդանամանցրան մոհանճա.

ցերմանցուու Վոնալմուց ու ալարու օգումենյ, ջար յը յը մոնդոր-
թյ մերյ կը ցամենմանցրան ճա յը յը մոնդոր-
թյ ցաշունեն, Շուրու կը սուրու ճուաճ ճա գունդանամանցրան մոհանճա.

ամ ենուս ցամացրուամու նուսօմեթ նուրցու մոյնենճա ճատա.

— Մոյեմարյ ճակուրու Վամուց ամանամանամու! — ծրման ზախարովա.

— մականակ ամսաց սուրու լուսու գունդանամանցրան, մաշրամ առա գո-
ցնես, — մոաեսենա յը յը մոնդոր-թյ ցաշունեն.

- სანამ ჩემი ზელით არ დავასაფლავებ, ამას არსად არ დავტოვებ, — გადაჭრით უპასუხა ზოსიმემ.
- მტერი ფეხდაფეხ მოგვდევს, რა დროს ეგ არი, გინდა ტყვედ ჩაგიგდონ?!
 - მოვიდნენ და სცადონ! — ზოსიმემ ზელის ტყვიამფრქვევი ტყის-კენ მიაბრუნა. მერე დანა ამოიღო და საფლავის თხრა დაიწყო.
 - რას შვრება?! — თვალები გაუფართოვდა გაკვირვებულ მეთაურს.
 - საფლავსა თხრის, დამარხვა უნდა, — მოახსენეს.
 - ეხლავე დაანებე თავი მაგ საქმეს! — თავზე დაადგა ზახაროვი ზოსიმეს.
 - არა, ამხანაგო უფროსო ლეიტენანტო, მე ამას მტრის წასაბილ-წად არ დავტოვებ! — უპასუხა ზოსიმემ და თხრა განაგრძო.
 - ამხანაგო, — გვარით უნდოდა მოეხსენებინა ზახაროვს თავისი ასეულის ჯარისკაცი, მაგრამ ახლად მიღებულის, თანაც ქართული გვარი ვერ გაიხსნა, — ამხანაგო ჯარისკაცო, ნუ თავხედობ! ეხლავე ადექი და გამოგვყევი!
 - ან მკვდარს წამოვიღებ, ან არა და აქ დავმარხავ, — დინჯად უპასუხა ზოსიმემ.
 - არც ერთი და არც მეორე მძიმე სიტუაცია!
 - ჩემთვის მძიმე სიტუაცია მეგობრის მიტოვებაა ყვავებისა და მტრის საჯიჯნად! — ზოსიმემ ჩაიმუხლა და საფლავის თხრა განაგრძო.
 - ადექი! — დაიღრიალა ზახაროვმა.
 - ზოსიმეს ვითომ არც გაუგიაო, თხრა განაგრძო.
 - ზახაროვმა პისტოლეტი ამოიღო.
 - ადექი, თორემ ადგილზე დაგხვრეტავ! — ბრაზმორეულმა გამოსცრა.

ზოსიმე თხრას განაგრძობდა.

სამმა ზედიზედ ნასროლმა ტყვიამ მის ირგვლივ მოკაწრა მიწა.

ზოსიმეს წარბიც არ შეუხრია.

ზახაროვი დაიბნა. დათა ლომივით შეუპოვარი და უბადლო მეომარი იყო, თუმცა სიჯოუტე არ აკლდა. მისი ბრძოლაც ნახა. „იმაზე უარესი ყოფილა“, — გაითქმულა.

უცებ რაღაც მოთქმა, რისხვა, ღმუილი თუ მუქარა შერეული სიმღერა შემოესმა, ყურს არ დაუჯერა. ყელში ბოლმა მოწოლილი ზოსიმე მღეროდა:

ცუდად გიცვნივარ, უფროსო,
ვარ ამირანის ჯიშისა,

ამდენი ზანი ფრონტს მივდევ,
ფერი არ ვიცი შიშისა;

სიცოცხლეს ვეტრფით ქართველნი,
იმისი ფასი ვიცითა,
მაგრამ თუ გაგვითავჭედდა,
სიკვდილს ღიმილით ვიტვირთავთ.

ზახაროვს რაღაც გაურკვეველი გრძნობა დაუუფლა, ურუოლამ აიტანა. კაცს, რომელსაც დასახვრეტად რამდენიმე ტყვია დაახალეს, წარბიც არ შეუხრია, მუხლებზე მდგარი სიმღერით განაგრძობდა საფლავის თხრას. — აი, ჯოუტი ზალხი, — ჩაილაპარაკა. — დროზე, სუყველა მივეხმაროთ! — გასცა ბრძანება და რამდენიმე ჯარისკაცმა ერთდროულად დაიწყო საფლავის თხრა. ზოსიმებ ცოტა შეისვენა, მერე არყის ხე მოჭრა და ჯვარი გაამზადა. დათას ჯიბილან ცოლ-შეილის სურათი ამოაცალა, დიდხანს უფურა, მერე საოუთად შენახა.

ის იყო საფლავს მიწა მიაყარეს, ზოსიმებ საფლავზე ჯვარი შეასწორა. — თუ სიკოუ, დათავ, აქ არ დაგტოვებ, შენ ღირს ადგილას გადაგასვენებ, — ლოცვასავით ჩაიღუდუნა და თავის ხელისტყვიამფრქვევს დასწრება. სწორედ ამ დროს გამოვიდნენ ტყიდან გერმანელები, უშიშრად მოდიოდნენ. ეტყობა მოწინააღმდეგესთან შეხვედრას აღარ ელოდნენ.

— ოხ, თქვენი დედა! — ზოსიმებ ტყვიამფრქვევის ცეცხლი მიუშვა და იმათკენ სირბილით წავიდა.

— დამიდექით თუ ვაჟკაცები ზართ! — ყვიროდა ტყვიამფრქვევის ცეცხლით ცელავდა მოულოდნელობისაგან თავზარდაცემულ გერმანელებს.

— წინ! — იყვირა ზახაროვმა და დანარჩენი ჯარისკაცებიც მიყვნენ.

გადარჩენილი გერმანელები თავქუდმოგლეჯილები გარბოდნენ ტყე-ში...

— ბიჭებო, მგონის ჩემ სახლს გავუსწორდით, არა? — იკითზა ზოსიმებ.

— ჰო, სულ ახლოს არის.

— აბა, მაშინ ამ კონებით მე აქ დავრჩები. თქვენ ხომ არ გაგიჭირდებათ ორთვალას სახლმდე მიტანა?

— არა, რა უნდა გაგვიჭირდეს, ჯანინი ვირი ჩანს.

— ჰოდა, რახან ეგრეა, ეგ შეშა მიიტანეთ, კონებს კი ზალე გად-

მოგიტანთ, — ზოსიმემ ტვირთი ალაყაფის კარებთან მოიხსნა და ზის სკამზე ჩამოვდა.

— ეხლავე მოგბრუნდები და მეორე რეისზე წავიღებ, — თქვა გოგიამ და ვირი გარება.

ზოსიმემ გამომშვიდობების ნიშნად ზელი დაუქნიათ.

გახარებული ბიჭები კი ვირის ორთვალას ენერგიულად აწვებოდნენ.

„კობრა“ ილა

ომამდე ატკ-ში მუშაობდა მძღოლად, ერთი შურიანი და დაუნდობელი კაცი, ილა ერქვა სახელად. ყომარბაზი იყო და ვინც კი ზელში მოუვარდა, გაუფცექნელი არ გაუმგა, თუმცა, მას არასდროს შერჩენია მოგებული უული; ქარის მოტანილი ქარს მიქონდა, თანაც ილას მონაგარიც ემატებოდა ზედ. თუ მძღოლები ქანჩის გასაღებს ან ავტომობილის რომელიმე ნაწილს დაკარგავდნენ, ილასთან უნდა ექცნაო. ერთხელ თავისი გარაჟის მანქანას შეხვდა გზაზე, მუხრუჭს ეტყეუნა და ხეს დაჯახებოდა, საღამო იყო. გულწასული, დასისხლიანებული მძღოლი საჭეზე დამხობილიყო ავტომობილის კაბინაში. ილამ მიწაზე გადმოათრია, ეგონა, კვდებაო, მანქანას ყველა საბურავი დახსნა, გადარცვა თავის „ზის-5“-ზე გადაიტანა და ის იყო წავსლას აპირებდა, რომ გონზე მოსულმა კოლეგამ დაუძახა. ილა მაშინვე ჩამოხტა.

— ბიჭო, ილავ, მიშველე, ვკვდები! — შეეხვეწა მძღოლი.

ილამ მიიხედ-მოიხედა, ახლო-მახლო ადგმიანის ჭაჭანება არ იყო. თავში საბურავის დასაშლელი რეინის ძელაყინი ჩაარტყა, რომ დარწმუნდა მკვდარიაო, თავის გზას გაუდგა.

იმ მძღოლს მერე სხვები მიადგნენ, სიკვდილს ძლივს გადაურჩა საწყალი. ილას დაჭერა არ ასცდებოდა, მაგრამ არ გაიმეტა, სამაგიეროდ მთელ გარაჟში გამოაცხადა მისი ვაჟკაცობა. იმის შემდეგ ილას სახელს „კობრა“ დაემატა, ყველამ იცოდა, უნდო და გაუტანელი რომ იყო და როგორც კობრას ისე ერიდებოდნენ, რომ არ დაეგესლათ.

მოკვეთილი იყო „კობრა“ ილა, მძღოლებთან, თუმცა არც ადრე ისვამდნენ სულში, მაგრამ მას ეს სულაც არ აწუხებდა.

ორი „ძმაკაცი“ პყავდა და დამეებს ზარის თამაშს უნდებოდა. ძმაკაცები ვთქვი, მაგრამ იმათ რა ძმაკაცობა შეუძლიათ, როცა ერთმანეთს საცვლების ამარა აგზავნიდნენ სახლში და მზად იყვნენ ფულის გულისათვის ყელი გამოეღადრათ.

ვაი იმას, ვინც „კობრა“ ილას მანქანას გაყვებოდა და ორმაგად არ

გადაუხდიდა გასამრჯველოს. ბავშვებს, ქალებსა და მოხუცებსაც კი არ ინდობდა. სცემდა. ბევრი გაამწარა. მაგრამ მასაც ზედებოდა მაგარი ვაუ-კაცი და ამ სურათის მოწმებს ხშირად დაულილავებიათ იყო.

მოკლედ, ასე მიათრევდა თავის უკუღმართ წუთისოფელს ომაძე, ომის დაწყების შემდეგ კი სულ იმის შიშმი იყო ჯარში არ გამოწვიონო და აი ერთ დღეს უწყებაც მიიღო; „კობრა“ იღა მაშინვე ტყეში წავიდა თავისი მანქანით შეშახე და იქიდან წკეპლით დაზიანებული მარცხენა თვალი მოიტანა; ექმებამა ბევრი ეწვალეს, მაგრამ იმ თვალში მხედველობა ვეღარ აღუდგინეს. „კობრა“ იღა თავს იკლავდა, ეს რა დემართა, ბევრი არა მაქვს, ომში აღარ მივყავროთ; ავი ენები კი ამბობდნენ, რომ თვალი ძალათი გამოითხარა, ომში რომ არ წასულიყო.

მძღოლად აღარ გააჩერეს და „კობრა“ ილამ მინდვრის ყარაულად გადაინაცვლა, ეს უფრო სარფიანი ზელობა გამოდგა, მისი მოუპარავი არაფერი რჩებოდა, სამაგიეროდ ვაი იმისი ბრალი, ვისაც მოატანდა თუნდ ერთი თავუთავი რომ წაეჭო.

ვაჟეცაცები ომში იყვნენ, ქალები კოლმეურნეობაში დღე და დამებუშაობდნენ, ბაგშევებს საჭმელი არა ქონდათ, ხშირად თავთავს აგროვებდნენ, ტომარაში გამობერტყავდნენ, სამ-ოთხს კილომეტრი იწევდოდა, ძრე დაღერლავდნენ და ასე, როგორც გლეხები იტყოდნენ ხოლმე, იოლას გადიოდნენ.

„კობრა“ ილა სისხლს უშრობდა საცოდავებს,. შეგროვილ თავ-თავს ხომ სულ წაართმევდა ვისაც დაიტკრდა, მერე კი რჯულამდე მიყვებოდა მათრახის ცემით; მოკლედ, სოფლების საძულვილი პი-როვნება იყო; ქალები მისი სახელით აშინებდნენ ბავშვებს; დაიძინე, თორებ „კობრა“ ილა წაგიყვნსო და ეს საგმარისი იყო მიზნის მი-საღწევად.

ერთი ძმა ჰყავდა „კობრა“ ილას, მოსაკლავად არ ინდობდნენ ერთმანეთს. მამის სახლ-კარი ძლივს გაიყვეს, შუა ეზოში მაღალი ღობე ჩაატარეს. ერთმანეთს არ ელაპარაკებოდნენ, მაგრამ კვირა არ გავიდოდა, რომ გააფირებული შეტაკება არ მოსულოდათ.

„კობრა“ ილას ძმას „კიტრანა“ ერქვა, ისე მოერგო მას ეს მეტ-სახელი, რომ ნათლობის სახელი აღარავინ იცოდა. „კიტრანა“ მეორე სოფელში იყო კოლმეურნეობის თავმჯდომარედ. როგორ მოხვდა, ან როგორ შერჩა ის ამ თანამდებობას, გასაკვირია, მაგრამ ფაქტი იყო, რომ კოლმეურნეობას თავმჯდომარეობდა; გვარიანადაც ანთხევ-და შხამს.

ომი რომ დაიწყო, „კიტრანა“ არ გაიწვიეს, რადგან თავშჯდომარე იყო, მალე ჯავშანიც მიიღო. იმის მუქარას და ქადილს საზღვარი არა ჰქონდა, მე საჭირო კაცი ვარ, აქ რომ არ ვიყო, კოლექტივი და-იშლება, იმიტომ მომცეს ჯავშანი, ვაი იმის ბრალი, ვინც კარგად არ მოიქცევით, ვყელას ფრონტზე გაგრეკავთო.

ხშირად აწუხებდა რაიონის სამხედრო კომისარის, მიპქონდა სია და სთხოვდა, ეს ხალხი წაიყვა ჯარში, უვარგისები არიან, მუშაობაში ხელს მიშლიანო.

ერთხელაც მივიდა „კიტრანა“ კომისარიატში, ცხენი იქავე ეზოში დააბა და პირდაპირ კომისართან გამოცხადდა; სია გადასცა.

— ეს ხალხი წაიყვა ჯარში, არაფრით არა ვარგენან. — თითო დაუდო გვარებზე.

— აქ თუ არ ვარგენან, ომში ვის რად უნდა, — უკმაყოფილოდ უპასუხა კომისარმა.

— ომს დიდი ხახა აქვს, კარგსაც და ფინთსაც მაინლებეს.

— არ გეკადრება, „კიტრან“, ეგრე ლაპარაკი, ყოველდღე მოდის დაღუპვის ცნობები, კაცს გული გახეთქვაზე მაქვს; შენი გაქეზება გვინდა?! სოფელში კაცი აღარ დავტოვეთ, რა ჩვენ ვიწვევთ და რა მოხალისედ მიდიან. მორჩი, თუ ძმა ხარ, და მაგ სიით მეორედ აღარ მოხვიდე აქ!

„კიტრანა“ ჩალაგამოვლებული გავიდა გარეთ, მაგრამ იმედს მა-ინც არ კარგავდა, — ხასიათზე ვერ იყო, ცოტა ხნის მემრე კიდევ შეგახსნება, იქნება გამიგონოს, — ჩაილაპარაკა და ტალანტი დაიწყო ბოლოთას ცემა.

ნელ-ნელა გროვდებოდნენ ფრონტზე გასაწვევები, წასვლის დროც მოვიდა.

— რატომ აგვიანებთ ეტაპის გაზავნას?! — უთხრა კომისარმა უფ-როს ლეიტენანტს, ვისაც უნდა წაეყვანა ისინი.

— ოცდაათი კაცი უნდა წაიყვანო, ვუცდი და ერთი არ მოდის, მთაში ყოფილა, ეტყობა, ვერ მოასწრო ჩამოსვლა, არა და ნაკლებს ვერ მივიყვან.

ამ დროს ისევ მიადგა „კიტრანა“ კომისარს.

— იქნება ეხლა მაინც წაიყვანო ისინი, ჲა? — მოუძებნა სუსტი ადგილი, აგერ, კაცი აკლიათ „კიტრანა“ კი სიას აძლევთ ვინ წაიყ-ვანონ.

კომისარი ცოტა ხანს ჩაფიქრდა, მერე უცებ რაღაცა გადაწყვიტა, ხელი ჩაიქნია, თითქოს აბეზარ ბუზს იცილებსო.

- აგერ ოცდამეათე, წაიყვანე და ნულარ დააგვიანებ, პირდაპირ წადი, — ხელით აჩვენა „კიტრანაზე“.
 - მე ჯავშანი მაქს, — ფერი ეცვალა „კიტრანას“.
 - ვიცი, რაცა გავჭის, არაფერი გვეშლება ჩვენ! — უპასუხა კომისარმა და იქავე მდგომ ოფიცერს დაავალა მისი საბუთები გამოეტანა.

„კიტრანა“ დაიბნა, გაქცევა უნდოდა, მაგრამ გვიან იყო. რა ჭი-
რად მინდოდა თაგმჯლდომარეობა, რომ მცოდნოდა, იმ ჩემ მმასავით
გამოვითხრიდი ცალ თვალს, ეს ჯავშანიც ტყუილი ყოფილა, — გაი-
ფიქრა, უცებ რაღაც აზრი მოუვიდა, იფიქრა, ამით კი გადავრჩებიო.
კომისარს მიერა:

- ცენტრი მყავს აქ, კოლექტივისაა, უპატრონოდ ვერ დაგტოვებ, დაიკარგება.

— ნუ გეშინია, ცხენს ჩვენ გაგაგზავნით სოფელში, შენ მაგაზე ნუ იდარდებ, — დაამშვიდა კომისარმა და გაწვეულებით გავსებული მანქანისაკენ უბიძება.

„კიტრანა“ მანქანას უკანა გვერდიდან შეაფოთხდა. ბოლმამორუელი თვალებით გახედა ეზოში დაბმულ ცხენს, მათრახი კი ხლიდან არ მოუშორებდა.

ისე გაქრა „კიტრანა“ ფრონტიდან, ერთი წერილის მეტი არ გამო-
უგზავნია, იმითაც თავის ძმას და კომისარს აგინებდა, რომ ჩამოვალ
ორივეს დავხოცავო; ეს იყო და ეს „კიტრანას“ კვალი დაიკარგა.

— უტვინო იყო და თავისი საქმეც ეგრე დაამთავრა, — იტყოდა ხოლმე „პობრა“ იღა და ხარბად გახედავდა თავისი ძმის კარ-მიდა ძმეს...

„ხოლორა“ სიკა ზოსიმესგან გამართონახებული ძლივს შეაბობდღა ცხენს. ბეჭებზე ცეცხლი ეკიდებოდა, უნაგირზე გამართულად ვერ იჯდა, ცხენის კისერზე გადაწოლილი ცოტა შევბასა გრძნობდა, ნელა დაიძრა ადგილიდან, სატყეო სახლში მისვლისა ერიდებოდა, ტყის პირ-პირ წავიდა, მერე მინდორი უნდა გადაეჭრა და თავის სოფელში მისულიყ; იქ კი ცოლი ზურგზე რამე მაღამოს მოსცხებდა ალბათ. ჯავრით სკდებოდა, სად უნდა გაემხილა, რომ ბრმამ ესე უწყალოდ სცემა; სამაგიეროს გადახდის სურვილი თანდათან ფესვს იდგამდა იმის მრუდე სულში, უკვე აწყობდა გეგმებს ბრმა ზოსიმე როგორ გამოეჭირა სადმე და ჯოხით მაგრად ეცემა ისე, რომ წელში არ ჩა- გარდონდა, თორუმ ვინ იკის, რა დღი დაადგაბოდა.

ტყეს გასკვდა, შარა გზა სასწრაფოდ გადაკვეთა და პირდაპირ

მინდორ-მინდორ წავიდა. — „კარგია, გზაში არავინ შემხვდა“, — გაიფიქრა და წელში გამართვა სცადა, საშინელი ტკიფილი იგრძნო და ისევ გადააწვა ცხენის კისერს. წინ არც კი იყურებოდა, მიწას მიჩერებული პირუტყვს თავისი ალლოთი მიყავდა. ნამჯის მოზრდილ ზვინს ჩაუარა გვერდით:

- „ხოლერ“! — მოესმა ვიღაცის ძახილი.
- გაგიწყრა ღმერთი, საიდან გედემეყარე, შე არსახსენებელო, — ჩაილაპარაკა სიკამ და ცხენი ხმის მიმართულებით შებძრუნა.
- „კობრა“ ილა ძნას გამოსცდა და ცხენით მისკენ გამოექანა.
- გამარჯობა, „ხოლერ“! — მისვლისთანავე მიესალმე.
- გაგიმარჯოს!
- რას იღრიჯები, ავად ხომ არა ხარ?
- არა, ისე.
- რა ისე, ნაცემსა გევხარ, ე ზურგზე საცმელი ვინ შამოგახია?
- ტყეში ხო იცი, — დაიბნა სიკა.
- ტყეში რა უკან-უკან დადიოდი, წინ არაფერი გეტყობა, აქ სხვა-შია საქმე.
- გამანებე ერთი თავი! — სიკამ ხელი ჩაიქნია და ცხენს გაუჯავ-რდა. ილა უკან მიყვა.
- ძმაკაცები იმიტომ ვართ, რომ არ მეუბნები, რა შეგემთხვა?! — საყვედურით უთხრა.
- კაი ძმაკაცი ხარ, ჩემმა მზემ, ერთი კვირის წინ იმდენი ფული მამიგე, წელში ვეღარ გავსწორებულვარ, — ცხენი ააჩქარა სიკამ.
- რას იზამ, ძმაო, ყომარი თუ გინდა, ეგრეა, მე კიდევ იმ შო-ბელმაღლმა თბილისელებმა სულ გამჟუქვნეს, ჩვენ შემდეგ თელავში წასულან, იქ თბილისელები დაუსვათ მშრალზე, იმ ბიჭებს, ერთი თვის წინ ჩვენთან რომ დავატოვებინეთ ტყავი... ეგრეა, წაგება-მოგება ძმები არიან; ბოლოს ყველა თავზე ვრჩებით.
- რომელი თავნი, გავიღარცულე სახლიანად.
- ნუ გეშინია, ქონი ჯერ კიდევ საკმარისადა გაქვს, შენ ეგ მითხა-რი, ვინა გცემა?
- არავისაც არ ვუცემივარ, ტყეში დავიკაწრე, გამანებე ეხლა თა-ვი, სახლში მივდივარ, შენ ხასიათზე არა ვარ!
- მეც წამოვალ, მეგეხმარები მალამოს დადებაში.
- არა მჭირდება შენი სტუმრობა.
- „ხოლერ“, იგეთ ხასიათზე ვარ სადმე ღვინო უნდა დავლიო. ამას წინათ რაც წაგე, ხო არ მოგიტანია, იმის ანგარიშზე დღეს

შენთან თითო ჭიქა დავლიოთ.

სიკა ჩაფიქრდა, ჭეკაში დაუკადა ეს წინადაღება; ზარში წაგებული ცულის გადახდა აღარ დასკირდებოდა.

- კარგი, წამოდი, ჯანი გაგვარდეს.
 - აგაშენა! — გაუზარდა ილას და თავისი ცხენი სიკასას გაუსწორა.

სიკას თავისმა მეუღლემ ბეჭებზე მალამო მოსცხო, ტანისამოსი გამოუკვალა, თან საცვლელობდა და წყვლით გაუშალათ სურა.

— მანც ვინ გიყო, აღარ მეტყვი? — მეოთხე ჭიქის შემდეგ შეახ-სენა ილამ, — იქნება მოვახერხოთ და სამაგინორ გადაუკუსალოთ.

სიგას ესიამოვნა ეს ნათქვამი, თანაც ღვიძით ლაპარაკის საღერ-ლელი აქშალა.

- ვინა და იმ დამთხვეულმა ბრძა ზოსიმებ.
 - რომელია ეგ?
 - სევისპირში ცხოვრობს, ომიდან თვალებდათხრილი ჩამოვიდა; ჩონგურზე მღერის და ლექსებს თვითონვე იგონებს. ერთი მწარე ვი-დაცაა, გაუკენწლავი არავინ დარჩა, სოფლის ბირჟაზე გდია მთელი დღე, ქვეყანას ამასხარავებს.
 - პო, მეც გავიგე რაღაცა მაგის მაგვარი.
 - რა გაიგე, შე კაი კაცო, ერთი მოგასმენინა შენზე რაებსა რო-შამს, თვალი ძალად გამოითხარა, ომში რომ არ წასულიყო, მრუში, ქურდი და ოჩიბაზიაო, გოგო-ბიეჭბეს ერთ თავთავს არ ატანს, თვი-ოონ კი ტომრებით იპარავსო.
 - ვინ არის, კაცო, მაშ ყბები ვერ უნდა ამოვუქოლოთ?! - გაბ-რაზდა ილა.

— მეც სულ ეგ ფიქრი მაწვალებს, თვალები წაართვა ღმერთმა, მაგრამ ენით ქვეყანასა წამლავს, ძირში აქვს მოსაჭრელი მაგ შობელ-ძალებს!

— შენზე რაღას ამბობს? — მარტი თავისი ცოდვების გამომზეურება არ ესამოვნა იღას, უნდოდა, გვერდით სხვაკა ჰყოლოდა.

— ჩემშე ამბობს, ფეხში ცხენის ძუა გაიტარა, ომი რაღად უნდა, ისედაც ნელ-ნელა ლპება; ყომარბაზია და ვინ იცის კიდევ რა, — თანაგრძნობის მოლოდინში თქვა სიკამ.

ილას ლვარძლიანად ჩაეკინა:

— იგრე სწორე კი ულაპარაკნია, მაგ შობელძალლს, სულ ათია-ნებში არ უხვდორება.

– ჩემზე რომ იღრიჰები, შენ არ მოგარტყა ათიანებში?! თვალში

წკეპლა რომ იტაკე, ეგაც იმას ამბობს, განა სხვა რამეს, რაზე გეწყიონა?! სხვაზე ნათქვამი სიმართლეა და შენზე ტყუილი? – გაბრაზდა სიტა.

— ორივეზე სიმართლეს ამბობს და სწორედ მაგიტომ არის საშიში, როგორმე უნდა დავამუჯოოთ, — თქვა ილამ.

— ოოგორ დამუნჯებ, მარტო არ დადის, სულ ვიღაცა ბალი
დააცილებს, საიდან მიუდგები, თუ ხელი მოკიდა ვინმეს, ჩემ მტერს,
ვირივით ჯანიანია. კინაღამ ძვლები დამამტვრია, ვერაფრით ვერ გე-
ვეშვი, მირტყა და მირტყა მათრახი.

ილას ისევ გამოუღონა თავისმა ღვარძლიანმა ღიმილმა.

— ერთხელ დამტკიცდა მოვატანოთ საღმე და კატებით იგრე მი-
ვასიკვდილოთ, ახლოს ვერ მოგვიდგეს, მე შენ გეტყვი დაგვინახამს
თუ? ერთი მხრიდან რომ მოვცხებთ, მეორე მხარეს გავვარდეთ, იმან
კიდევ იქნიოს ჰაერში ხელები.

— აგაშენა ღმერთმა, კარგად მაიფიქრე, მაგრამ როდის გაიცლის იმ გზაზე ჩვენ რომ გვინდა, რა ვიკით? — გაიხარა სიკამ.

— ნუ გეშინაან, გამოჩენდება კაცი, რომელიც გაგვათროთხილებს, დანარჩენი ჩემზე იყოს.

ოთახში სიკას ცოლი შევიდა. დაბალი თეძობმსხვილი, მკერდათქ-
ვირებული ქალი.

ილამ ვწერიანად შეაგლო თვალი., ღვინო დაისხა და დიასახლისი ადლეგრძელა.

— შენ გავიმარჯოს, კლიტენმესტრავ! — ჭიქა ისე მოცალა, თან ქალის ნაკვთებისთვის არ მოუცილებდა ცალი თვალი. ეს იგრძნო მანაკვეთი და სასწრაფოდ გავიდა გარეთ.

— წელან ზომ ვადლეგრძელეთ, შენ რა სადლეგრძელოები დაგავიწყდა?! — უსაყვარესა სიკაპ.

— მაღლიანი ქალია, ერთხელ დღეგრძელობა არ ეყოფა! — ილამ ულვაშებზე გადაისვა წელი და დაუმატა: — მაინც რა კარგი სახელი შეურჩევიათ, კლიტურნისტრა.

— მაგის ნათლის დედა რომ ვატირე, ენა მაქვს ნაღრობი ემაგ სახელზე, რომელიდაც ბერძნულ წიგნში წაკითხნა და მე გამიხადა მაინც ჭირად თავისი უკხოური წიგნბის კონტა.

— კარგი ქალია, კლიტენმესტრა, კარგი! — დაასკვნა ილამ.

- ბიჭო!!! - ჯაგარი აუშვა სიკამ. - შენ ხომ არაფერი გაშლიგა?!?

— იგეთი რა ვთქვი, კაცო, კარგია მეთქი, ცუდი ხომ არაფერი მიკადრებია.

- ოჯახში შამოსაშვები არა ხარ, ძაღლის სისხლი გიდგა, დედა-კაცებს უსინდისოდ უყურებ! — არა ცხრებოდა სიკა.
- შენ ხომ არ დაგიპატიუებივარ, მე ჩემ მოგებულ ფულზე ვჭამე პური, დღეს შენც ჩემი სტუმარი იყავ, არ დაგავიწყდეს! — შეახსენა ილამ.
- წადი, წადი და დღეიდან შენი ფეხი აღარ იქნება ჩემს ოჯახში!
- სიკა მაგიდიდან ადგა.
- იქნება კი არა, შეიძლება სხვა რამეც შამამაძლიო! — დაიმუქ-რა ილა.
- მაინც რის იმედი გაქვს?
- მაგას ყომარი გვეტყვის. — ილამ თავისი მათრახი აიღო და გარეთ გავიდა.
- სახლამდე აღარ მისვლა! — მიაყოლა სიკამ.
- კლიტენბესტრას უთხარ, ზურგზე მალამო მაგრდა მოგცხოს, ხა, ხა, ხა!!! — ლაპარალიანად ახარხარდა ილა და ცხენს გადააჯდა.

სარებაანთ გიორგის დაბრუნება

- გიორგი დაბრუნდა ჯარიდან, გიორგი! — ვიღაცა ქალი გარბოდა სოფლის მთავარ გზაზე და ხმამალლა აგებინებდა ყველას.
- ვინ გიორგი დაბრუნდა, რომელი? აღარ იტყვი? — მააძახეს ქუჩაში გამოიფენილმა ქალებმა.
- ხარებაანთ გიორგი, ხალხო, ხარებაანთ გიორგი! — უპასუხა ქალმა და ხარებაანთ ორდობეში შეუხვია.
- გაიგეთ? ხარებაანთ გიორგი დაბრუნებულა! — შეიქმნა გადაძა-ხილ-გადმოძახილი სოფელში.
- წავდეთ, ვნახოთ, იქნება ჩვენი ბიჭებისა იცოდეს რამე! — ომში წასულთა ცოლები, დედები, შვილები და ვინ იცის კიდევ ვინ ერთბა-შად მოიგლივნენ და გიორგის ეზოს მიაწყდნენ.

გიორგი საჩებში იჯდა ძველებურ ხის ტახტზე. გახარებული ცო-ლი, დედა და შეილები ფუსფუსებდნენ მის გარშემო.

— ვიშ, ქა! — პირზე მიიფარა ხელი გიორგის დანახვით გაკვირვე-ბულმა პივრელმა დედაკაცმა, რომელმაც ამცნო სოფელს მისი დაბრუ-ნება. საჩენის ფილაქნზე როგორც შედგა ფეხი, იქვე გაშეშდა.

საღლა იყო ის მაღალი, მხარბეჭიანი, შავტუხა ვაჟკაცი; მარჯვენა ლოყა ფურიდან ნიკაპის კუთხემდე ღრმა ნაჭრილობევს გადაესერა, ქვედა ტუჩი დამოკლებოდა, დაბლა დასწეოდა, კბილები უჩანდა, მარჯ-

ვენა თვალის ქვედა ქუთუთო ჭრილობას დაჭიმა, თვალი დაჭყეტოდა. მარჯვენა ფეხის კოჭთან ტერფი შეტრიალებოდა, ფეხის გული გვერდზე იყურებოდა, მარჯვენა ხელი დამშეოდა, მოძრაობაში მარცხენა ხელს ახმარდა; იქვე იყო ტახტზე მიყუდებული ყავარჯენი.

ქალი მოულოდნელი გაშტერებიდან გამოერკვა:

- გამარჯობა, გიორგი! ეს რა უწინათ იმ მიწადასაყრელებს, იმათ!
- ამოიტირა და მისკენ წავიდა.

გიორგი წამოდგა, მარჯვენა დამახინჯებული ფეხი ფრთხილად დააღდგა აგურის ფილაქანს. მარცხენა ხელი მიაშველა მარჯვენას და ქალს გაუწოდა ჩამოსართმევად.

ნელ-ნელა მოგროვდნენ სოფლელები, გაივსო საჩენი, მერე ეზოშიც აღარ იყო აღგიღი, ხალხი ქუჩაში იყვა.

- რას ამბობს, ხალხო, ვინმერ ხმამაღლა თქვას, ჩვენც გავიგოთ!
- დაიძახა ვიღაცამ ალაყაფის კარიდან.
- იმას ამბობს, რომ გიტლერს დედა ეტირაო!
- ეგ ხომ ჩვენც ვიცით, დანარჩენი ბიჭები რას აპირებენ, არ მოდიან?

– დალოცვილო, იგრე კითხულობ, გეგონება ყველანი ერთ პოლკში იბრძოდნენ, ამხელა ფრონტზე ვინ იცის, შეიძლება ქართველი კაცი არც კი შახვედრია!

- მაშ რადა კისრისტებით მორბოდი ჩემი ბიჭის რამე ეცოდინებაო.

– ეხ, ხავსწალებული წყალს ეჭიდებოდაო, ხომ გაგიგია; იქნება შემთხვევით ნახა, ვინ იცის.

– იქნება, აბა, არ იქნება, მაგრამ ხავსწალებული წყალს როგორდა ეჭიდებოდა, იქნება ეგ მაინც აგვიზნა.

– ეხ, ემერია თაგბედი, დავიბენი, ეს ოხერი, სულ იგრე მგონია, ვინც მოდის აუცილებლად ჩემი ზაქარას ამბავი ეცოდინება-მეთქი. ვაიმე შვილო, ჩემო დამმარხველო, ჩემო ზაქო!!! – ხმამაღლა დაიწყო მოთქმა შავებში ჩაცმულმა ქალმა, – გამატარეთ ხალხო, ჩემი ზაქარას ამბავი ნამდვილად ეცოდინება, ვიცი, ის შავი დებეშა ტეუილად მამივიდა! იმას ვერ მაკლამდნენ, ავგაროზი ჩემი ხელით ჩამოვკიდე კისერზე, ვაი, დედა მოგიკვდეს შვილო!!! – ქალმა ისევ დაიწყო ხმამაღლა მოთქმა.

– ნუ ტირი, სათენიკ, რამდენსა ქონდა ის შავი დებეშა მიღებული, მაგრამ ცოცხლები დაბრუნდნენ, ზაქარაც ეგრე იქნება, – ანუგეშებდნენ აქეთ-იქიდან.

სათენიკამ გიორგის რომ შეხედა, ხმამაღლა მოთქმა დაიწყო:

— ეს რა უქნიათ იმ ხელებგასახმობებს, შვილო გიორგი, მაგრამ კიდევ კარგი ცოცხალი რომ გადაურჩი კაციჭამიებს! — აცრემლებულ-მა გიორგი მკერდში ჩაიკრა. მერე ტახტზე ჩამოვდა და ცოტა დაწყ-ნარების შემდეგ ჰკითხა:

— ზაქარა რაღას აპირებს, ბიჭო, რა დაგაბარა, მე როდისლა ჩა-მოვალო?

ხალხში აქა-იქა თაგშეკავებული ქვითინი გაისმა, ზაქარა ორმოც-დასამ წელს კურსკთან გმირულად დაიღუპა, სათენიკამ იმ სამხედრო ნაწილის მეთაურისგან სამძიმრის და გმირი შვილის აღზრდისათვის მადლობის წერილი მიიღო. იცოდა ეს საბრალო დედამ, მაგრამ გულს არა სჯეროდა, გიორგისაც ესე იმედიანად იმიტომ შეეცითხა.

— აქედან ერთად წახვედით, თქვენი ამბავი რომ ვიცი, ერთმანეთს თავს არ დაანებდით.

— ეს, სათენიკა ძალო, იქ ჩენ ვიღა გვეკითხებოდა, სულ აგვრიეს და სხვადასხვა ნაწილებში გაგვაგზავნეს.

— მაშ, იმისი არაფერი იცი, შვილო?

— არა, სათენიკა ძალო, რაც საქართველოს გავცდით, მე იმისი მნახველი აღარა ვარ.

— დედა მოგიკვდეს შვილოოო!!! — ხმამაღლა დაიწყო მოთქმა სა-თენიკამ. — დაღუპვის დეპეშა მამივიდა, გმირულად იბრძოდაო, ვად შენ დედას, შვილოო!!!

გიორგის თვალით ანიშნეს დააწყნარე.

— ნუ ტირიხარ, სათენიკა ძალო, ზაქარა აუცილებლად გადარჩე-ბოდა, ეგ დეპეშა ნამდვილად ტყუილია, შეემლებოდათ.

— ეგ როგორ შვილო?! — იმედი მიეცა სათენიკას.

— ბრძოლის დროს იგეთი არეულობაა, ძალი პატრონს ვერა ცნობს, ეტყობა ზაქარა სხვა ნაწილს მიეტმასნა, იმისმა მეთაურმა კი იფიქრა, დაიღუპაო და...

— მერე აქამდე რატო არ შეგვეხმიანა, შვილო?

გიორგი ცოტას დაიბნა, მერე უცებ მოიფიქრა:

— იქ სულ გამუდმებული ბრძოლები და არეულობა იყო, ვინ იცის რამდენჯერ მოხვდა უცხო ნაწილში.

— ეხლა ხომ დამთავრდა, შვილო, ომი რატო აღარა ჩანს.

— ბევრი არის, სათენიკა ძალო, გზაკვალარეული, უგზო-უკვლოდ დაკარგული, ალბათ, სადმე კარანტინში მოხვდა, გარკვევას დრო უნდა, გამოჩნდება ალბათ.

— გაიგეთ ხალხო, გამოჩნდებაო, — ახარა გარსშემოხვეულ ქალებს სათენიკამ. — შენ პირს შაქარი, გაიხარე და იძედნიერე, ჩემო გიორგი! — სათენიკა გამოეთხოვა გიორგის და გახარებული გაბრუნდა უკან.

— რა გითხრა, სათენიკ? — შეეკითხნენ ეზოში გაჩერებულები.

— ის დეპტშა რომ მოგივიდა ტყუილიაო, ზაქარა არ მომკვდარა, კარანტინშია და მაღლე მოგივაო, ღმერთო, რა ბედნიერი დღე გამოიხენდა! — გამატარეთ ხალხო, დროზე წავიდე იმ ჩემ ბებერს ვახარო, დადნა კაცი ჯავრით, — სათენიკამ ხმაურით და ქოთქოთით დატოვა შეკრებილები.

დაიღალა გიორგი ამდენი ხალხის პასუხის გაცემით, დაიმედებითა და ტყუილი ამბების მოგონებებით, ისინი კი გახარებული ტოვებდნენ იმის კარ-მიდამოს.

ზოსიმეს მეზობლის ბიჭისთვის ჩაევლო მარცხენა ზელი, მარჯვენაში კარგა მოზრდილი, მაგარი შვინდის ჯოხი ეჭირა, მიწაზე აკაპუნებდა დროდადრო ისე შევიდა გიორგის ეზოში.

— აბა, ერთი სახლთან მიმიყვა, გელავ, ვნახო, ის ნაომარი კაცი, — უთხრა ბიჭს და ორივე საჩეხისაკენ გაემართნენ. ხალხი უკვე წასულიყო, რამდენიმე ქალიდა ჩამომჯდარიყო გრძელ სკამზე.

ზოსიმემ როგორც შედგა ფეხი ფილაქანზე, იქიდანვე დაიძახა:

- გიორგის გაუმარჯოს!
- ბოლოში ზის, ზოსიმე ძიავ, — აუხსნა გელამ.
- ზოსიმეს სიცოცხლე! — გამოეხმაურა გიორგი.
- აბა, ერთი დემენახვე, საითა ხარ, ჩაგირა გულში, — ზოსიმე ტახტან გააჩერა გელამ.

გიორგი წამოდგა, ორივე გადაეხვივნენ ერთმანეთს. ზოსიმემ ზელების მოსმით თავიდან ბოლომდე შეამოწმა.

— ვახ, ეს რამხელა ჭრილობა დაუწენევიათ სახეზე, მარჯვენაც არ მამწონს, სხვა ხომ ყველაფერი რიგზე გაქვს? — დაამთავრა გიორგის შემოწმება ზოსიმემ.

- მარჯვენა ფეხიც მამტეხეს კოჭთან, — აუხსნა გიორგიმ.
- სულ ეგ არის?
- რა ეს ცოტაა.
- კოტა კი არა, კარგა დაუუეუჯიხართ, მაგრამ ხომ შეიძლებოდა მეტიც ყოფილიყო, მე რომ ვერაფერსა ვხედავ, უარესისა მეშინოდა,
- ზოსიმე ტახტზე ჩამოჯდა.
- ეხ, რაც ჩვენა ვნახეთ, ზოსიმე, რაღა უნდა იყოს, რომ გაგვიკ-

ვირდეს.

— გაძვირვება არა, მაგრამ ბალდამის სასმის კიდევ ერთი წვეთი მოემატებოდა, აღარ გვინდა ამდენი უბედურება, გვეყო კაცო.

— შენ სადღა დაგაბრმავეს?

— ორმოცდათხში ბელორუსიაში, ეხ, რამდენ ჭირს გადავურჩი, მეგონა, სიკვდილი გარდაუვალი იყო და მაშინაც მშრალზე გამოვედი და როცა გამარჯვებულები მივდიოდით წინ, მაშინ მიმტყუნა ბედმა.

— ეხ, ვისაც რა აწერია შუბლზე, არ ასცდება, ორმოცდახუთში დაგიჭერი, პოლონეთში ვიწერი ტყეში მოწყობილ ჰოსპიტალში, გამარჯვების დღემ იქ მამისწრო.

თუმცა ამ დღეს უკვე ველოდებოდით, მაგრამ, რომ გამოაცხადეს, ომი დამთავრდა და გერმანიამ უსიტყვო კაპიტულაცია გამოაცხადა, ხალხი სულ გადაირია, ყვიროდნენ, ერთმანეთს ეხვეოდნენ, ცეკვავდნენ, ყველა სახის იარაღიდან ისროდნენ. ერთი ახალგაზრდა ფერშალი გავიადა, გახარებულმა ავტომატი აიღო და სანამ სულ არ დაცალა ჰაერში, ისროდა. მემრე ეგრევე დაახეთქა მიწაზე კონდახით, თურმე იმ საოხროში საკეტი გაჭედილიყო, სწორედ მიწაზე დარტყმის შედევად გავარდა და სამმა ტყვიამ საწყალ ფერშალს ნიკაპიდან თავის ქალაში გაუარა. აბა, ეხლა მითხარ, ეს საქმეა?! ბედისმწერალმა ეს დააწერა შუბლზე, გამარჯვების სიხარულით მოკვდით. რას იზამ, ძმაო, ეგრე ყოფილა ეს წუთისოფერი, უნდა გავუძლოთ.

ეზოში სალომე შემოვიდა და მოკრძალებით გაემართა გიორგისკნ; ტიროლა, ცრემლებს ხილაბანდის ყურით იწმენდდა.

— ღმერთმა სულ ბედიერად გატაროს, გიორგი, სიკეთე და სიხარული შენ ოჯახს, გილოცავ მშვიდობით დაბრუნებას! — ხელი ჩამოართვა გიორგის.

— ეხ, სალომე, ამას თუ მშვიდობით დაბრუნება ქვია! — გიორგი ცოტა ხახს გაჩუმდა, უნდა ეთქვა, დათიკო ხომ არ დაბრუნებულაო, მაგრამ მის შაგებსა და ცრემლებს რომ შეხედა, მიმე წინათგრძნობისაგან გააურულა, ვერაფრის თქმა ვეღარ მოახერხა.

— ეხ, ნეტავ დათიკო მოვიდეს და ხელ-ფეხი სულ ნუ ექნება, მარტო სუნთქავდეს, იმედად ეგეც ეყოფათ ჩემ ობლებს, — სალომებ ცრემლები მოიწმინდა, — სათენიკა შემხვდა გახარებული, მითხარა, ის შავი დეპეშები სულ ტყუილი ყოფილაო, ბიჭები კარანტინში არიან და მალე დაბრუნებითანო, მართლა ეგრეა, გიორგი? იქნება ჩემი დათიკოს დაღუპვის ამბავიც ტყუილია და მეც დამიბრუნდეს ქმარი?! — სალომე ისე შეჰქუბდა გიორგის, თითქოს მისგან სიკვდილ-სიცოცხ-

ლის განაჩენს მოელისო.

ამდენ ჭირნახულ გიორგის ყელში მოაწვა ბოლმა, ხორხი ეტკინა, სიტყვის თქმა ვეღარ მოახერხა, ჩაახველა, იქვე ძღვარ სურას დასწვდა, მარცხენა ხელით და რამდენიმე ყლუპი მოსვა. ზოსიმე ქანდაკებასავით იჯდა, მოკუნტულიყო, უგრძნობელი სახით სადღაც უხილავ წერტილს მიშტერებოდა, გულში კი ცეცხლის კორიანტელი ენთო.

— გიორგი, სათენიკამ მართალი მითხრა? — გაუმეორა კითხვა სალომებ.

— ეგრეა, ეგრე, სალომე, — მოერია თავს გიორგი, — მალე ყველა დაბრუნდება, ეხლა კარანტინში ძალიან ბევრი არიან, საქმეებს გაარკვევენ და...

— შენ ხომ არსად მოგიკრავს თვალი, გიორგი?

— პირველად ერთად ვიბრძოდით, მემრე მე დავიჭერი და მას შემდეგ აღარ შემზვედრია, ის იგეთი ვაჟკაცია, მტერი ვერაფერს დააკლებს, ეფუძვივით იბრძოდა, — გაამხნევა გიორგიმ.

— სიცოცხლე იმან შემინარჩუნა, — ყრუდ წამოიწყო ზოსიმე, — მტრის ტანკისტს უნდა დევეცხრილე ავტომატით, მე დანის მეტი არაფერი მქონდა, დათამ გადაატარა ზედ ავტომატის ჯერი.

— ვამე, შენც აქა ხარ, ზოსიმე, იგრე დავიბენი, ვერც კი შეგამჩნიე, ღმერთმა გაგახაროს, რაც შენა გლოცავ, ჩემი ბიჭებიც ხომ სულ შენ ხსენებაში არიან. ჩენებ დაჩაგრულ ოჯახს ხსნად მეევლინე. თუ მე ვერ შევძელი, ბიჭები დაგიფასებენ ამაგს, თუ არა და, ღმერთი არ დაგიკარგავს მაგ სიკეთეს, კეთილო კაცო.

სალომე ცოტა ხანს გაჩუმდა, მერე დაუმატა: — თუ დათიკოსთან ერთად ომბდი, რატო ერთხელ არ წამოგცდა?

ზოსიმე უხერხულად შეიშმუშნა.

— რა ვიცი, მემრე დავშორდით, მას შემდეგ აღარ მინახია და არ მინდოდა შენთვის გული გემეტება.

— ცოცხალი იქნება, ზოსიმე, დათიკო?

— მაგარი ქალი ხარ, სალომე, გული არ გაიტეხო, ვაჟკაცები გვიძრუნდებიან, ყველაფერი კარგად იქნება, — მრავალმნიშვნელოვნად უთხრა ზოსიმე.

— შენ რას იტყვი, გიორგი? — სალომე ვერ დაკმაყოფილდა ზოსიმეს პასუხით.

— ცოცხალი იქნება, აი, ნახავ, სულ მალე დაბრუნდეს.

— კარანტინშია აღბათ, არა?

— ეგრე იქნება, ეგრე.

— ღმერთმა გაგახაროს, გიორგი, როგორც ეხლა შენ მე გამახარე. ჩემი ბიჭები ხომ ცას ეწევიან. კარგად იყავით. ჩვენი ჭირი გვაწუხებს და ოჯახთან მარტო ყოფნა კი არ დაგაცადეთ, — სალომე გახარებული წავიდა.

ზოსიმე ისევ ისე იჯდა მოკუნტული.

— რა მოიკუნტე, ბიჭო, ავად ხომ არა ხარ, სულ კანკალებ, — გაუკვირდა გიორგის.

— ეს, საწყალი სალომე, დაიჯერა, დროებით მაინც იყოს იმედით, მემრე ბიჭები წამოიზრდებიან და იქნება მწუხარებაც ნელ-ნელა გა-ხუნდეს, — ჩაილაპარაკა ზოსიმებ.

— შენ როგორ ლაპარაკობ, ხომ არაფერი იცი?

— საწყალს დაღუპვის დეპტა მოუვიდა.

— მემრე რა, რომ მოუვიდა, განა ყველა მართლდება?!

— ეს, გიორგი! — ხელი ჩაიქნია ზოსიმებ.

— რა იყო, კაცო, რა გული გაგტეხია!

— ხომ არავინ გვისმენს?

— არა, ქალები სუფრას აწყობენ.

— ვიცი, რაც არის იმის თავს, მაგრამ ვერ მითქვია, სანამ ბიჭები დაიზრდებიან, იმედით იყვნენ, მემრე კი მე თვითონ გავვები და ვაჩვენებ მამის საფლავს, მინდორში დავკრძალეთ, თან გერმანელები მოგვდევდნენ. ის ადგილი კარგად ვისწავლე, რუკა მაქვს სპეციალურად გაკეთებული ადვილად მისაგნები რომ იყოს. როგორც კი საშუალება იქნება, აუცილებლად გადავასვენებ სადმე ძმათა სასაფლაოზე, — ზოსიმე დადუმდა.

— ვაი, შენ ჩემო თაო, რა უბედურება დატრიალდა ჩვენს ირგვლივ, მე კიდევ გავიტლიკე ენა და ყველასა ვპირდები, დაღუპული ვაჟკაცების დაბრუნებას, ჩასაქვავებელი არა ვარ ეხლა მე?! — გული მოუვიდა თავის თავზე გიორგის.

— ჩასაქვავებელი კი არა, სწორედ როგორც საჭირო იყო, იგრეთქვი, გაუშვი საწყალ სათენიკას სიკვდილამდე ქონდეს იმედი, რომ ზაქარა დაუბრუნდება, დაე ყველა ფრთიტიდან ჩამოსულს სიხარულით ელოდებოდეს, რომ მისი შვილის ამბავი შეიტყოს, რა დაშავდება ამით? დაე ყველა ადამიანმა იმედით იცოცხლოს ამ ქვეყნაზე.

— სწორეს ამბობ, ზოსიმე, მგონის ევრე უფრო სჯობია, ცრემლი და გლოვა იგრეც ახრჩოს საცოდავ ჩვენ ხალხს, სჯობია იმედი ქონდეთ, თუნდაც ის აუხდენელი იყოს.

ქალებმა პატარა მაგიდა გააწეეს.

— მოდი, ეხლა თითო ჭიქით დავილოცოთ, ზოსიმე, სადღეგრძელებელი ბევრი გვყავს, ეტყობა შესანდობარიც არანაკლები. ბიჭები ერთმანეთს ვაბარებდით, ვინც გადარჩება, პირველ რიგში ომში დაღუპულთა შესანდობარი დალიოსო.

გიორგიმ მარცხენა ხელით დაასხა ხელადიდან ჭიქებში ღვინო.

— მოდი, დათას თამაღლით ომში დაღუპული ბიჭების შესანდობარი იყოს, — ჭიქა ხელში აიღო და ფეხზე ადგა.

ზოსიმემ ზუსტად მოძებნა თავისი ჭიქა, მუჭაში დაიჭირა, ცოტა ხანს ასე დარჩა გაშტერებული, მერე თვითონაც ადგა და გიორგის დაურტყა ჭიქა.

— ეხ, ძალიან არ მესიამოვნა დათას დაღუპვის ამბავი, ლომივით იყო დალოცვილი, შეუპოვარი და უთქმელი. ხომა ვთქვი, პირველად ერთად ვომობდით, ძნელი დრო იყო მაშინ, სულ უკან ვიხევდით, ის კი მტერზე ჯიღურ იწევდა, უკანდახევა არ უნდოდა, ტყვიის წვიმაში წარბს არ შეიხრიდა, კონტრშეტევაზე პირველი მიდიოდა. თითქოს ტყვიაც ერიდებოდა, უხორცოსავით იყო. ბოლო ბრძოლაში მე დავიჭირი, უკან ვიხევდით, ტყვია მუცელში მომხვდა, მალ-მალე გონსა ვკარგავდი. სამი კილომეტრი მატარა ზურგით, სანიტარულ ნაწილს ჩამაბარა. თურმე თვითონაც ფეხში იყო დაჭრილი ყუმბარის ნამსხვრევით, ჩექმის ყელი გაგლეჯოდა და იქიდან სისხლი უონავდა. ექიმებმა დაინახეს და ძალათ შეუხვიეს, თორმე არა კისრულობდა. იმ ღამეს მედსაბატში დარჩა, ჩემი ოპერაციის ამბავი შეიტყო, ექიმებს ეთქავთ აუცილებლად გადარჩებაო. დილით მოვიდა, მახარა კარგად იქნებიო, გემემებშვილობა და კოჭლობით გაიპარა თავის ნაწილში, თუმცა ექიმები არ უშვებდნენ; აი, რა კაცი იყო დათა.

— დათას შესანდობარი იყოს, ცოლ-შვილი უცოცხლოს, შვილებიც მამასა გვენან, არ მააკლდება ქიზიყს დათას ჯილაგის ვაჟკაცები! — ზოსიმემ ჭიქა გამოცალა, — მიაგებოს, — თქა და ტახტზე დაეშვა...

სოფელში სანამ ძახილს დაიწყებდნენ, ხარებაანთ გიორგი დაბრუნდაო, ბიჭები საწყობის გამგე — „გველიხეს“ ეხვეწებოდნენ, ბეღელში შეგვიმგო და ჩიტები დაგვახოცინეო.

— არა, თქვენ ეხლა წვავებს ვერ გაგათელინებთ! — გადაწვეტით უთხრათ „გველიხებ“.

— შიგ ე, ბუნა რომ დაფრინავს, რამდენ ხორბალს შაჭამენ, აქეთ უნდა გვეხვეწებყოდე, ჩვენ კიდევ გეხვეწებით და არ გვიშვებ, — დაასაბუთა თავიანთი თხოვნის საზოგადოებრივად გამართლებულობა ბიჭების ატაბანმა, „ნაპოპაინმა“ შოთამ.

— არა, მაწყდით აქედან! მეორეთ არ დაგინახოთ საწყობის ტერიტორიაზე, თორუმ ვაი თქვენი ბრანი! — დამტექრა „გველიზე“.

— ვითომ ტერიტორიაზე რაღატო არაო?! — გამომწვევად კითხა გაბრაზებულმა „ნაპოპიანმა“ შოთამ.

— იმიტომაო! — აგდებით უპასუხა „გველიზე“.

— ვააა! — დამცინავად გაიკვირვა „ნაპოპიანმა“.

— ვა და ბაბუაშენისა! თუ გამოგიქანე ეს ჯოხი, ვა-ს ხელში და-გაჭერინებ! — აიჯაგრა „გველიზე“ და რცხილის მოკლე ჯოხი ხელში შეატრიალა.

— წამოდით, ბიჭებო, თორუმ მაგას ჭკუა არ დაუმლის! — ურჩია ბიჭებს და საკმარის მანძილზე მოსცილდნენ, რომ ნასროლი ჯოხი არ მოსწეოდათ.

— აბა, ერთხმად! — უდირიჟორა ბიჭებს „ნაპოპიანმა“ შოთამ და ყველამ ერთად დაიძახეს: — ვააა!!!

— აბა, დამიდევით, თუ ბიჭები ხართ! — „გველიზეს“ ბაბუაში მოეტეხა მარცხენა ფეხი და გვარიანად დამოკლებოდა, ახლა ხტუნ-ვა-ზტუნვით გამოუდგა ბიჭებს.

— „გველიზე“ რატო მაშინ არ დარბოდი, როცა ომი იყო, გეშინოდა ფრონტზე არ მოხვედრილიყავ?! — მიაძახეს ბიჭებმა და ადგილი იცვალეს.

„გველიზე“ აქოშინებული გაჩერდა.

— „გველიზე“, განა არ ვიცით რატო არ გვახოცინებ ჩიტებს, მარცვლის დანაკლისს მემრე ვეღარავის გადააბრალებ! — ყვირილით აუხსნა საქმის ვითარება „ნაპოპიანმა“ შოთამ.

„გველიზემ“ ჯოხი ხელში შეათამაშა.

— ნაპოპიანო, ჩამიგარდები ხელში და მემრე სხვა ჰანგზე ამღერდები, დედას გიტირებ!

— „გველიზე“, ხორბლის დანაკლისი თაგვებს დააბრალე, ჩვენც დაგიდასტურებთ, ოღონდ ჩიტები დაგვახოცინე, — ერთხმად სთხოვეს ბიჭებმა.

გასუქებულმა და ღიბიანმა „გველიზემ“ ვეღარ მოითმინა და ბიჭებს კარგა მანძილზე სდია რცხილის ჯოხით, მაგრამ რას დაიჭერდა სირბილში გაწაფულებს, თავისი გრძელმოკლე ფეხებით; დაიღალა, ისევ აუტყდა ქოშინი.

ბიჭები ისევ გაჩერდნენ შორიახლოს, გელას უცებ გაახსენდა, ერთხელ ბირჟიდან სახლში რომ მიყავდა, ზოსიმეს მოუყვა, „გველიზემ“ როგორ წაართვა ნახევარი შოთი პური, დედაშენს გუშინ ზედეტი

მივეციო. კოლმეურნეობა ერთ პერიოდში იძულებული იყო პური თვითონ გამოეცხო და დღეში თთო ნაჭერი სამუშაოზე გამოსულებისათვის დაერიგებინა. საწყალი ქალები კი თავის წილს დაშეულ შვილებს უტოვებდნენ. თავმჯდომარე ხოსრომ შეძლო რეზერვების გამონახვა და დაადგინა, რომ ვისაც მცირეწლოვანი შვილი ყავდა, თთო ნაჭერი იმისთვისაც მიეცათ. „გველიხე“ საწყობის გამგე კი ათასნაირ ხრიკებს პოულობდა, რომ ეს დავალება არ შეესრულებინა და საწყალი დამშეული ადამიანების, ისედაც მცირე ულუფა მიეთვისებინა. ერთი ამ ეპიზოდთაგანი მოუყვა ზოსიმეს გელა. — წურბელაა ნამდვილი, — ჩაილაპარაკა ზოსიმე და ზედვე ექსპრომტად ლექსი დააყოლა:

შე „გველიხე“, ოინბაზო,
მასხარავ და ყომარბაზო,
ყველაფერში წილს რათ იდებ,
გვპარავ, ძღები, ზომას არ გრძნობ;
ჩვენი მამები ჩამოვლენ,
რომ ეგ ქონი სულ გაგაძრონ.

გელამ სწორედ ეს ლექსი თქვა ხმამაღლა. ბიჭებს ძალიან მოეწონათ და ერთად დააგუგუნეს:

შე „გველიხე“, ოინბაზო,
მასხარავ და ყომარბაზო...

„გველიხეს“ სიბრაზისაგან ცეცხლი მოეკიდა, მაგრამ გამოდევნება გადაიფიქრა, აზრი არა ჰქონდა, მაინც ვერ დაეწეოდა, გინებითა და ჯოხის ქნევით გაბრუნდა უკან.

სულ ხუთი იყვნენ „ნაპოპიანი“ შოთა, რომელსაც ეს სახელი იმიტომ შეარქეს, რომ ტუჩების კიდეები სულ სველი ჰქონდა და დაშაშრული; ლაპარაკის დროს დორბლი მოადგებოდა ხოლმე და ბაზალასავით ნაპოპები უჩნდებოდა. გელა, ზოსიმეს მეზობელი, ზაურის ასაკისა იყო, ერთ კლასში სწავლობდნენ, ედიშერა ხარებაანთ გიორგის ბიჭი, გოგიას ასაკისა იყო, ნაპოპიანი შოთა კი მასზე ორი წლით უფროსი, თანაც კოლმეურნეობის ერთად-ერთი მანქანის მძღოლს, ელამ სოკრატას ეხმარებოდა ხოლმე, ხშირად მიყვებოდა რეისებში, მანქანის ტარებაც იცოდა და ბიჭებში სატრაპაზო ჰქონდა.

— ხარებაანთ გიორგი მოსულა! — თოფვით გავარდა ეს ხმა. ედიშერა დაბნეული იდგა, უცებ ვერ მიხვდა თუ სიხარულისაგან მოუვიდა, ადგილზე გაშეშდა.

— ბიჭო, რა ლენჩივით დამდგარხარ, არ გესმის? ხარებაანთ გი-

ორგი მოსულაო, ხარებანთ გიორგი მამაშენი არ არის! — აუცილებელი შეთაბ.

— ვაძებ, მამაჩემი მოსულა! — უცემ იყვირა ედიშერმა და სახლი-საკინ გაზრინდა, დაარჩენებიც ჟეპან მიყვნენ.

თვალებით ჭამდნენ ბიჭები სახენაიარევ გიორგის და თავიანთ მა-
მებზე ოცნებოდთნენ.

— ბიჭებო, არსად წახვიდეთ, გავიქცევი, ზოსიმე ძიას ვახარებ, იქნება აქ წამოსვლა უნდა, მოვიყვან და... — გელა ზოსიმესთან გაიქცა, ზოსიმე რომ მოიყვანა, ისევ ბიჭებს შეუტრთდა.

ისინი ხარებანთ გიორგის ნახვთ და ედიშერის ბეჭნიერებით გახარებულები სახლის უკან დამსხდარიყვნენ და ხმამაღლა ოცნებობ-დნენ:

— მამაქემი მშენებლობის ბრიგადაში მუშაობდა, მთელ გზებს ისინი აკეთებდნენ, აյ რომ ყოფილიყო, ეხლა ყველა გზაზე ასფალტი იქნებოდა, სოფლის ხევზეც დიდ ხიდს გააკეთებდა, ღვარის მოვარდნის დროს რომ გაღმელები აქვთ ვედარ გამოდიან. იცით რამწელა წყალს გამოიყვანდა? ყველა უბანში საკუთარი წყარო გვექნებოდა, იცი რამდენი რამე შეეძლო? — ყველა უცნებაში გართული შოთა.

— მასაჩემი კოლექტივში იგეთ ძროხებს მოიყვანდა, ერთი მოიწვევა-ლიდა იმდენს, რაც ეხლა მთელი ბრიგადის ძროხები იწველიან, მემრე სოფელში ჩამოივლიდა, ჩვენ ნაღიტა საქონელს სულ საყასბოში ჩააბარებდა, ყველას ორ-ორ ძროხას ჩამოურიგებდა, მემრე გენახა, ყველი, კარაქი, რძე, ერბო, — ამბობდა გოგია.

ამ დოკუმენტის მოვლენა გელაცია და გვერდით მიუწვდოთ.

— იმდენ ხორბალს მოიყვანდა, სახლებში ამბარი ყველას გასუბული გვექნებოდა, პური რამდენიც გინდა, ყოველ დღე თონეში სულ ახალ-ახალს გამოაცხობდნენ. შოკოლადი ხომ ნუ იტყვი, ბზესავით ეყრდნოდა.

— როგორია შოკოლადი? — იკითხა გელაძე.

— გრძელი, თეთრი, თეთრი, როგორც ბამბის ქულა, ხელს რომ
დააჭერ, ბამბასავით იკეცება, იმხელა პური შეგიძლია მუჭამი დაიჭი-
რო. — აახსნა შოთამ.

გოგიას და ზაურს ეჭვი შეეპარათ, მათ ერთხელ ჭამეს შავი და ძალზე ტკბილი კამფეტი, შოკოლადიაო, უთხრეს, მაგრამ შედავგბა ურ აბითის, იწნება შოთაშ ნამდვილი შოკოლადი სხვა იცისო.

— მამაჩემი აქ რომ ყოფილიყო, ჩვენ სოფელში აეროდრომს ააშენებდა (გალას მამა მთრინავი იყო) სუკვერას საკუთარ თვითმდრიღი

ნავებს ჩამოურიგებდა, ქალაქში მატარებლით აღარავის გაუშვებდა, სულ თვითმფრინავით გადააფრინდა. მაგრამ არა უშავს, ჩამოვა და ყველაფერს მოასწრებს, — დაასკვნა გელამ.

ისხდნენ ბიჭები სახლის უკან და მამის სითბოს მონატრებულები ოცნებებით იკლავდნენ სურვილს.

სოფლის ბირჟაზე

— გელა, ბიჭო, გაკვეთილები ისწავლე? — პკითხა თავის ალაყაფის კართან მჯდარმა ზოსიმებ.

— რაღა დროსია, ზოსიმე ძიავ, თანაც დღეს კვირაა, დრო ბევრი მაქს.

— აბა, მაშინ, თუ არ გეზარება, სოფლის ბირჟამდე მიმაცილე, პატარას წავისაუბრებ და მემრე მე თვითონ გადმოვალ.

— ბიჭებთან ვიქნები მეც, როცა სახლში დაბრუნებას დააპირებ, დამიძახე და ერთად წამოვალთ.

— კარგი მაშინ, რახან ყველა საკითხი მოგვარებულია, წასვლადა დაგვრჩენია, — ზოსიმებ ლიმილით წავლო მარცხენა ხელი გელას, მარჯვენაში კი ჩონგური და ჯოხი ერთად დაიჭირა და გზას გაუდგენ.

სოფლელებს თავშეყრის ადგილი ცენტრში პქონდათ მთავარი გზის პირას. სოფლის მაღაზიის გვერდით მოწყობილ გრძელ სკამზე, დიდი ჭადარის ქვეშ იკრიბებოდნენ, როცა თავისუფალი დრო პქონდათ; ხანშიშესული მოხუცები, მშრომელი კაცები; გოგობიჭებს მათთან მისვლა ეკრძალებოდათ, მხოლოდ იმ შემთხვევაში მივიდოდნენ, თუ რომელიმე გამოიძახებდა; ისინი იქავე სოფლის კლუბის ბაღში თამაშობდნენ.

— გამარჯობათ, ხალხო! — მიესალმა ზოსიმე ბირჟაზე შეგროვილ კაცებს.

— ზოსიმეს გაუმარჯოს! სადა ხარ, ბიჭო, დღეს რომ არ გამოჩნდი, მოვიწყინეთ უშენოდ, — უსაყველურეს ხანშიშესულმა კაცებმა, — აბა, ჩაიწერამაიშით, შუაზე ჩავსვათ! — ახოჩქოლდნენ კიდეებისაკენ გაიწიეს და ზოსიმე გრძელი სკამის შუაში დასვეს.

— წელს კარგი მოსავალი უნდა გვქონდეს, ზამთარი სუსნიანი იყო, ჭიაღუას სულ მოსპობდა, გაზაფხულიც გვიან მოვიდა, კვირტის გამოტყუება ვერ მასწრო, ხილი თავზე საყრელი მოვა, — თქვა გამოცდილმა, მცხოვანმა მოხუცმა ლაზარებ, რომელსაც ყველა ლაზარე

პაპას ებაზოდა.

— აგაშენა ღმერთმა, ლაზარე პაპავ, შენი ნათქვამი არ გამტყუნებულა. რაღა ეხლა ასცდება მიზანს, — დაეთანხმნენ დანარჩენები.

— კარგა ხანია ეგეთი სუსხიანი ზამთარი არა გექონია, ძლივს გავატანეთ გაზაფხულმდე.



- ჩვენ ძლივს გავატანეთ და „ხოლერამ“ კი გვარიანად მაითბო ხელები, ყიდა და ყიდა ტყე, მაგ შობელძლმა.
- ორგორ აუწია ფასი, კაცო! ერთ ურეში სხვა წლებთან შედარებით ორმაგს ითხოვდა, გაგვლარცლა მაგ ამოსაგდებმა!
- ნეტა რას უშვრება ამდენს?
- რას უშვრება და „კობრა“ ილასთან და კიდევ ვიღაცა მაგასავით ბნელ ხალხთან თურმე ზარსა თამაშობენ, რაც ჩვენა გვძარცვავს, სულ იმათ აყრის.
- მაგ ოხრებს აღარ გამოუჩნდათ პატრონი? ამბობენ, ეკლესიაში თამაშობენ ხოლმეო.
- შეიღებო, მაგ საქმეზე დამდგარ კაცს კარგი ბოლო არა აქვს, კისერის თვითონ მაიტესვენ; მაგათ არც ცოლი იცან, არც შვილი, არც ამხანაგები და პატიოსანი შრომა, თავიანთი თავის უბედურები არიან, ღმერთიც გამწყრალი ყავთ, — დაასკენა ლაზარე პაპამ.
- ეგ მართალია, ზოსიმე, რასაც ამბობენ, მათრახით მაგრა სცემა?
- ჩემი ცემა რათ უნდა, თავისი მრუდე ჭკვა სცემს, — მოერიდა პირდაპირ პასუხის გაცემას ზოსიმე.
- ზოსიმე რად გინდა, კაცო, მე თვითონ ვნახე უბნის რწმუნებულს რომ ეუბნებოდა, მცემა და უნდა ვუჩივლოო.
- იმან რაღა უთხრა?
- გირჩევნია წყნარად იყო, თორემ მაგას ვერაფერს დააკლებ, თვალები სამშობლოსათვის შეუწირია, შენ კი ცოდვებს მოგიჩხრეკავენ და მე ვეღარ გიშველიო.
- დახე, რა ჭკვიანი ყოფილა, თანაც ეტყობა კარგად არიან. „მე ვეღარ გიშველიო“. ე!
- პო, ეგრეა, მინახავს, როგორ ქეიფობენ მეტყვევის სახლში.
- „ხოლერა“ განსაკუთრებით ჩვენ გვაძრობს ტყავს, თავის სოფლებს უფრთხილდება.
- რას ამბობ, კაცო, აბა, იმათა კითხე, სისხლი გამოგვწოვაო, მოსაკლავად არ დაინდობენ.
- მოკლედ, უვარგისი კაცი ყველგან უვარგისია, — დაასკვნეს ბოლოს.
- ზოსიმე „ხოლერაზე“ არაფრი ღექსი არ იცი, რომ გვიძლერო?
- რატომაც არა, თუ სურვილი გაქვთ, ვეცდები რამე მოვიფიქრო.
- აბა, შენ გახარებას, ცოტა გაგვამხიარულე, — წააქეზა ლაზარე პაპამ.

ზოსიმემ ჩონგური მოიმარჯვა, სიმებს ხელი ჩამოკრა, ზოგი და-ჭიმა, ააწყო და სიმღერის მელოდიაზე ააჟღერა, ცოტა ხანს ესე უგ-რავდა, მერე დაამღერა:

როცა მტერმა ჩვენი ზეცა
მეხთატეხით შეძრა,
„ხოლერა“ სიკა გაიქცა
და სოროში შეძვრა.

— ხა! ხა! ხაა! — ახარხარდნენ მსმენელები. — ვა, რა მაგრა თქვა კაცო!

— დააცათ, დააცათ, ხალხო, გავიდეს ბოლოში, — თან გააფრთხილეს ერთმანეთი.

ზოსიმე აგრძელებდა დაკვრას, რომ მიჩუმდნენ, ისევ დაიმღერა:
განსაცდელმა მოითხოვა
კაცის თავზე ხმალი,
შეიყარნენ ვაჟაცები,
რწმენა მარცვლეს ხვალის.

— ჰაი, დედასა! — წამოიძახეს აქეთ-იქიდან.
მტერზე რისხვით შეიმართნენ,
ქედი ჰქონდათ ხარის,
კედელივით აღიმართნენ
გაამაგრეს მხარი.
ბევრი სისხლი დაიღვარა,
ცრემლმა დაწვა თვალი,
აფთარს კი ჰასხეს
ტყვია, როგორც წყალი.
ოთხში ამოიღეს ტიკად
ვეღარ შეჭამს მწვანილს,

— ვენაცვალე! რა მაგრად თქვა?! მწვანილს კი არა, კაკლის მურა-ბა მოგვთხოვა. ხა! ხა! ხაა! — ისევ ახარხარდნენ მსმენელები.

ეს „ხოლერა“ სიკა დარჩა
თავის ბედზე მწყრალი;
ფეხში ძეა გამოსვლია,
ზეზეულად ლპება,
სამშობლოს იმის მსგავსებზე
სინანული რჩება.

— აგაშენა ღმერთმა! რა სწორე თქვა, კაცო!
— ამბობენ, ფეხი აღარ ურჩებაო!

- აზია მაგაზე! სამშობლოსი და ხალხის მოღალატე წურბელა არავის შეენანება.
- ნუ გეშინია, არც მაგას ებრალება არავინ.
- პოდა, ბარი-ბარში ვიქენებით, შეუძლია მიძაღლდეს.
- ზოსიმე, ეს ლექსი ახლა მაიგონე, თუ დიდი ხანია ფიქრობდი?
- სწორე გითხრა, „ხოლერა“ სიკა იმის ღირსი არ არის, რომ მაგაზე დიდი ხანი ვიფიქრო.
- აბა, თუ ეხლა უცბად გალექსე, ერთი კიდევ თქვი და, თუ მოახერხე, მაშინ მართლა დაგიჯერებთ.
- ვისზე ვთქვა?
- ისევ „ხოლერაზე“.
- კარგით, ვეცდები.
- ზოსიმე ისევ გამართა ჩონგური.
- ისევ გაისმა ნაცნობი მელოდია.
- ზოსიმე უკრავდა და თან აზრებს აწყობდა. ჩონგურს ჟღერა დაუდაბლა და დაიწყო:

„ხოლერა“ სიკა ჩიოდა
ჩათავდა ომის მეხიო,
მე კი ქუსლებიდან ვცვდები,
ვერ მოვირჩინე უქხიო.
რატო „კობრა“ ილასავით
არ ამოვიგდე თვალიო;
ერთ ფეხზე ცარსკი მაცვია,
მეორეზე მდის წყალიო;
ომიდან ბევრი დაბრუნდა
მაგარი, როგორც სალიო,
მე კი საფლავში ჩამყვება
იმ ცხენის ძუის შარიო.

- ხა! ხა! ხააა!!! — სიცილით ცა შეაზანზარეს მსმენელებმა, კარგა ხანს ვეღარ დაწყნარდნენ. ხმაურზე ახლო-მახლო სახლებიდან გამოვიდნენ გლეხები, მაღაზიის ნოქრები და მყიდველებიც მიემატნენ მათ, ბოლოს სოფლის კლებიდან და ბიბლიოთეკიდანაც გამოიშალა ხალხი.
- რა ამბავია? — იკითხეს.
- ბირჟაზე ბრმა ზოსიმე ზის, ლექსებს თხზავს და თანა მღერის „ხოლერა“ სიკაზე, უმღერია ეხლა, — მიიღეს პასუხი.

ბირჟა ხალხით გაივსო.
 – აბა, ზოსიმე თუ მოახერხებ „კობრა“ ილაზე გვიმდერე რამე.
 – ეგ რომელია? – იკითხა ლაზარე პაპაშ.
 – წნორელია, მინდვრების ყარაულად დაუნიშნიათ, ცხვირიდან
 შხამი გადმოსდის, – მიიღო პასუხი.

ზოსიმემ ისევ ჩამოპერა ჩონგურს:

– ომში რომ არ წასულიყავ,
 თვალი წეპლით მოიხაზე,
 შე მრუშო და ყომარბაზო,
 ეგ რა ტვინით მოისაზრე?!
 ბალღებს ერთ თავთავს არ ატან,
 არ გაწუხებს როგორ უჭირთ;
 ქურდობით და ავკაცობით
 ხარობ, გამოივსე კუჭი.
 ეხლა ცხენით დაჯირითობ
 კაცობაში ყალბი, ფუჭი,
 თავზე მამალ ბუზს არ ისვამ
 ნაცარში ტილს თვლიდი უწინ.
 ბიჭები მობრუნდებიან,
 ეგ ქადილიც გეგექცევა,
 ღვარძლსა და შხამს ვერ დაანთხევ,
 სულ ჯიგარში ჩაგექცევა.

– ვაშა!!! – დაიქუხა ბირჟამ, – შენ გენაცვალეთ, ზოსიმე, რა
 პირდაპირ მოახვედრა, კაცო!!! – დიდხანს ხმაურობდნენ და არჩევდნენ
 „კობრა“ ილას ლექსს. – ზეპირად უნდა ვისწავლოთ, აბა, ზოსიმე,
 ერთი გაიმეორე დავიხსომოთ, რამდენიმე მოემზადა მეორედ მოსასმე-
 ნად, რომ ზეპირად ესწავლა.

– მოიცათ, კაცო, ეხლა მაგის დროა?! – ჯერ კიდე ბევრი აქვს
 სამღერი.

– ზოსიმე, საწყობის გამგე „გველიხეზე“ გვითხარი რამე.
 – „გველიხეზე“ უკვე მოუგონია ლექსი, გოგო-ბიჭები გზა-გზა
 მღერიან.
 – ახალი თქვას რა გაუჭირდება?
 – ვთქვა? – იკითხა ზოსიმე.
 – თქვი, თქვი!.. – ახმაურდა ყველა.
 ზოსიმემ დაიწყო:
 საწყობში თაგვი გააქრე,

- შიგ აღარ უშვებ ბეღურებს,
გაიბლინდე და გასუქდი,
ყველა ხელებში შეგურებს.
ხალხს ლუკმას ისე ააცლი,
ცოდვით არ დაიდაგები,
ვირთხა ხარ კაცის სიფათით
არამი ლუკმა ნაგემი.
- კიდევ ერთხელ გაიხარეს მსმენელებმა და ახმაურდნენ.
— მაგას ამაზე მეტი ბრალდება რაღად უნდა, მიუტანოთ ხოსრო
თავმჯდომარეს და მააშორებს იქიდან.
— უგრეც იქნება, დავიხსომოთ ბიჭებო და ხოსროს გადავცეთ, ნამ-
დვილად გამააგდებს.
— ხოსრო თავმჯდომარეზე თქვი, ხოსიმე, ხოსროზე.
— არა, ხოსრო პატიოსანი მშრომელი კაცია, ის ამათთან სახსენე-
ბელი არ არის, — იუარა ხოსიმე.
— ჰოდა, როგორიც არის, შენ იგრე თქვი, — დააძლეს ერთხმად.
ხოსიმე დაიწყო:
— ჩვენო ხოსრო თავმჯდომარევ,
პატიოსნად ირჯები,
უბრალო ხარ, მართლის მთქმელი,
შენ არ გაიბლინდები.
რა ვუყოთ, რომ შრომის ნაყოფს
ვირთხები ხან ირგებენ,
დროდადრო ხომ შენი სუსხის
გაკვეთილსაც იგებენ.
— კარგად თქვა!
— უგრეა, ხოსრო ნამდვილად იმსახურებს, მაგრამ მოკლედ მოჭ-
რა ხოსიმე.
— არა უშავს, მემრე დავაგრძელებ, —შეპირდათ ზოსიმე, ყველა
ახარხარდა.
— ელამ სოლომონაზე თქვი, სოლომონაზე.
— რომელ სოლომონაზე?
— კოლექტივის მძღოლზე, ეგ ერთი მანქანა გვაქვს და იმაზეც
ელამი სოლომონა გვიზის. სულ კანკალით ვსხდებით ზედ, გვეშინა,
სადმე არ გადაგვეაროს.
— ჰოოო, გავიგე, გავიგე, — ზოსიმე ისევ ჩამოჰკრა ხელი ჩონ-
გურს:

- მანქანა რომ მარცხივ მიდის,
 შენ მარჯვნივ რად იყურები?!
 ბოძი გზაზე გადმოსულა,
 შიშობ, ოფლში იწურები.
 ვინც ეგ ჭირი გაგიჩინა,
 ნეტავ, რატომ იბეჩავა?!
 წადი, გამართე ურემი,
 ღღე და ღამე ზიდე ჩალა.
 კიდევ გაიხარეს მსმენელებმა.
 ახლა უკვე ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ზოსიმეს ლექსების ზეპი-
 რად დახსომებაში.
- კარგი, ეს ყველა ჩაგუთვალოთ, მაგრამ აბა, „ოხვრა“ ვანო-
 ზე თუ მოახერხებს რამეს, იმაზე კეთილი კაცი სოფელში ხომ არა
 გვყავს.
- თუ „ოხვრა“ ვანოზეც მოახერხე კარგად თქმა, მაშინ მართლა
 მოლექსე ყოფილხარ, შვილო ზოსიმე, — დაასკვნა ლაზარე პაპამ.
- მეშინია, ლაზარე პაპავ, იმისი ღირსი რომ არ გამამივიდეს,
 მაგრამ მაინც ვეცდები, — თქვა ზოსიმემ და ცოტა ხნით ჩონგურის
 დაკვრის შემდეგ დაამღერა:
- ვისაც რა ჭირი აწუხებს,
 ერთად ზურგზე აკიდე,
 მალომოდ და ლოცვად იქეც,
 გაილიე, გაიყიდე,
 სადაც ცრემლი მოსწყდა თვალებს,
 სულ წვეთ-წვეთად გულზე მოგხვდა;
 ყველას წყლული გტანჯავს, გტკივა,
 მიტომ გქვია, ვანო „ოხვრა“.
- აა, მეშინ! — შეაქმ ლაზარე პაპამ ზოსიმე და შსარზე ხელი დარტყმა.
 — კიდევ გვითხარი, ზოსიმე, — ეხლა ერთმანეთზე მოითხოვეს
 ლექსების შეთხზვა.
- ეყოფა, დაისვენოს, ხუმრობა ხომ არ არის, იგონებს და თან
 მღერის, შეეშვით! — დაადგინა ლაზარე პაპამ.
- შეკრებილი ხალხი ხმაურით და ყაფანით ნელა-ნელა გაიფანტა,
 ისევ ძეველი ბირუსი წევრები შმორჩნენ გრძელ სკამს.
- ხარებაანთ გიორგი ნახეთ, ხალხო? — იკითხა ერთმა.
 გამოირკვა, რომ ბევრს ჯერ არ ყავდა ნახული.
- რას ამბობს, მაგარი ბრძოლი იყო?

— ზომ იცით, როგორი კაცია, ზემეტი ლაპარაკი არ უყვარს, ის კი არა, თითო ოროლა სიტყვას ძლივს ამოაძრობს კაცი პირიდან; ისე კი, კარგად არის ნაუეუფი.

— ვეკითხები, გერმანელი თუ მოგიკლავს-მეთქი, გაიცინა. წყეული ომის მამგონის დედა ვატირე, კაცი რომ კაცის კვლასა ტრაპაზობსო. ჩვენც ვესვროდით და ისინიც გვესროდნენ, რა სატრაპაზოა, თუ ვინმე მოკვდებოდაო,

— უთქვია, ბიჭები ყველანი დაბრუნდებიანო, მართალია?

— ეს, მაგან რა იცის, ვინ დაბრუნდება და ვინ არა, კაცს არ შეხვედრია, ხალხი კიდევ ბუზივით იხოცებოდა, მაშ, არავინ მოკვდა?

— ნუ გაამტუნებ გიორგის, — წყნარად დაიწყო ზოსიმე, — იმან ყველაზე კარგად იცის, რა ჯოჯოსეთიც ტრიალებდა ფრონტზე, მაგრამ რა ექნა, საცოდავ ქალებს იმედი მისცა, დაე, იმედით იცხოვრონ ერთ ხანს; ვინ იცის, იქნება ეგრე უფრო ჯობია, თორემ მე რაც სიკვდილი ენახე, რომ ჩამოვიარო და ყველას ოჯახებს მოუკითხო, რა შვებას მოვგვრი ამით, ნელ-ნელა მოუშუშდებათ ჭრილობა და მემრე საქმე გვაჩვენებს, როგორ უფრო სჯობია.

— მართალი ხარ, მართალი! — მიაძახეს აქეთ-იქიდან.

— შენ თუ ნახე, გიორგი, ზოსიმე?

— ვნახე, როგორ არა, პირველსავე დღეს ვიყავი მასთან.

— რაო, მაგარი ბრძოლები იყოო?

— თქვე დალოცვილებო, რაც იყო, იქ არ ვიყავი?!

— ჰა, მართლა, გერმანელები ცხვრებივით არიან, უნდა მისდგე და ქლიტოო, მართალია?

— მაგას ის იტყვიდა, ვინც ომი არ იცის რა არის. ცხვრებივით კი არა, ჭიჭიანები არიან, ომის საქმის ცოდნა და გამბედაობაც არ აკლიათ. მაგარი ვაჟებაცებიც ბევრი ყავდათ, მაგრამ დააყენათ იმ სულელმა გიტლერმა ავკაციობაზე და საქმეც ეგრე წაუვიდათ, თორემ მათზე ცხვრებივით არიანო, ამის თქმა ნამდვილად სირცხვილია.

— შენ თუ მოგიკლავს გერმანელი?

— თქვე კაი ხალხო, ომის დაწყებიდან ორმოცდაოთხი წლის ზაფხულამდე სულ ფრონტზე ვიყავი, მარტო ერთი თვე მომიწია პოსპიტალში ყოფნა, დანარჩენი ერთი დღე არა ვყოფილვარ ზურგში, როგორ იცით, ეგ შეკითხვა მეგადრება? მაგრამ მთელი ამ ხოცაულების ცოდვა-ბრალი იმას მოეკითხოს, ვინც ხალხებს ამ საშინელ ომში უბიძგა, თორემ თუ ვინმე მომიკლავს, რაც დრო გადის, უფრო მძიმე ტვირთად მაწვება გულზე ის ცოდვა; თუმცა რა ჩემი ბრალი იყო, ომი

ომია, მაგრამ მე ზომ ადამიანი ვარ... – ზოსიმემ თავი ჩაღუნა.

ყველანი დადუმდნენ, ზოსიმეს სიტყვამ იმოქმედა მათზე, ამის შემდეგ შეკითხვა, რამდენი გერმანელი მოკალიო, ძალიან უხერხულად ქლერდა.

– ომის მომგონი ამოწყდეს, ადამიანს რომ მზეცად აქცევს და ადამიანის სისხლს ასმევს! – ლოცვასავით ჩაიღუდუნა ლაზარე პაპამ.

ისევ გამეფდა სიჩურე.

ზოსიმემ ნელა ჩამოკრა ჩონგურს ხელი, ყველანი სმენად გადაიქცნენ.

დაბალ ხმაზე დაიწყო სიმღერა:

– გიტლერმა დაიტრაბახა:

წინ მე რა დამიდგებაო,

ჭკუა მაქვს ქვეყნის სამყოფი

რჩევა და დარიგებაო,

საფრანგეთი ზომ გავთელე,

ინგლისსაც თავი სძვრებაო,

რუსეთში მკვდარი ვამრავლე,

მრავალი ყვავი ძღებაო;

მსოფლიო ჯიბეში მიღევს,

მოვსპე ხალხების წყებაო,

ვის კარიბჭესაც მივადექ,

სუსველა პირქვე წვებაო;

არიელებს მოვამრავლებ

სხვას ყველას დამიწებაო.

გეგმები სულ ჩაეფუშა,

გაუწყდა ხარბი ლაშქარი,

შემოეძარცვა მასავით

სისხლით დამთვრალი აშქარი.

იქ ანტონესკუ ატირდა,

აქ მუსოლინი კანკალებს,

გებელისი კვერცხს ვეღარა დებს,

გაბერწებული კაკანებს.

სტალინმა მაგრად გაპარსა

თავისი ბასრი მახვილით,

ბერლინისაკენ გააგდო,

ვაის და უის ძახილით.

გარბის, გასცვივდა ნაძარცვი,

ქუსლები ხვდება კეფაზე,
წეტუტუნებს, პირშავად არის
ხარბი აფთარი ყეფაზე.
უტვინო იყო, აზრებმაც
წალმა-უკულმა აწვალეს,
ცარიელ თავის ქალაში
ახლა ნიავი წანწალებს.

- ყოჩაღ, ზოსიმე, ყოჩაღ! როგორ იმახსოვრებ ამდენს, კაცო?!
— იმახსოვრებს კი არა, თვითონ იგონებს.
— პოდა, ხომ არა წერს კაცო, რომ წაიკითხოს და გაიხსენოს,
რაც ლექსი შეუთხზვია, კველა ზეპირად ახსოვს.
— ვაჟეცი შენა ხარ, ზოსიმე, ბრძა კაცი აქეთ გვამხნევე.
— ეს,ჩვენ კი გვამხნევებს, მაგრამ „ხოლერა“ სიკას მსგავსები
მათრახის დარტყმას რომ მოუნდომებენ, მარჯვენა არ უნდა მოტყდეს
ძირში?!

- რა გინდა, ხომ ჩაუტარა ლირსეული გაკვეთილი.
— იქნება ვერ მეერეოდა, კაცო, მაშ უნდა დაეკრა ამ ქვეყნის წინ
ვალმოზდილ და სოფლის სათაყვანებელ კაცისათვის?!
— გაიგო, ხალხო, ფარა მობრუნდა, წალმა მიდის, კოჭლი ცხვრე-
ბი ისევ ბოლოში მექქევიან, ბიჭები ბრუნდებიან ჯარიდან, დედა
ეტირება „ხოლერას“ და მაგის მსგავსებს!

ზოსიმე დალვრემილი უგდებდათ ყურს, გული უკვდებოდა, რომ
შესაბრალებლად ჰქონდა საქმე გამხდარი. დედას უტირებდა „ხოლე-
რას“ და იმის მსგავს ათს ერთად, მაგრამ რა ქნას, ეს დაწყევლილი
სიბრძავე ფეხებს უბორკავს. გულის ჯავრის გასაქარვებლად ჩონგურს
ჩამოკრა ხელი და სიძლერა დაიწყო:

- როცა ომი მმენვარებდა,
ხალხებს უპირებდა შეჭმას,
ლაჩარი და არამზადა
დედაკაცის ტყავში შევრა.
ბევრი გმირი შეიჭამა,
სისხლიც ბლომად დაიღვარა,
ხმალი გაცვდა მტრის კაუვაში,
მაჯაც ერთობ დაიღალა.
მტერი მოკვდა, ამოვარდა,
სიცოცხლე კი უხვად ძარცვა;
საღი ყლორტი შეაცალა

Տամშոծլոս Եյս մշշաճ մօցարևա.

Եղթազ օմ ծովեծուան ըրտաճ

մյց ծրմոլամի մովեկալոտ,

ռա զոթոլց! յե ռա շնաեց!

լահրուս Նյոմիս մովեսՇարո.

„քոծրեծի“ դա „եռլուրցի“

Տեզուս շնոմի ևմովյն միշանոլս,

ծեժաշրջեծ գամյշրալան,

զորյեծ ձարհատ մոյդան.

— Ծյուոլաճ չապրոծ, Ցուսոմե, արց ըցրեա Տայմե, ցորդա Տանս մուցաճ, ռա դղեմո ჩապուզոնցին ըցենո!

— մյց զուո, ռոմ շմալուո մշայանամու շշունու դագուոնցին, Ֆուճա, օմ դրոշչե զամծոծ, տորոյմ ծեժաշրջեծ շպայ ծրունդեծիան դա մացատ մույնցատ պարուցա ծացաշչե դածմա.

— ծացա արամու, զորտեծի արան, յաբիւ շնճատ մացատ, յաբիւ!

— զամուտերուան յաբիասաց, դապատ, Տալես, չյեր Ցուսոմյեսցան նայեցու Նյուրցի ար մորիենուատ, — պայլամ գաուոնա.

— մոծլումածլոցի, Ցուսոմյես յրու Տոմլուրաճ արա լուրան, ռա ուցան ամուս յասո.

— յե, յապեծո, ռալա յասո մայվէ մյ, Տախլուրաճ այսամճյ Այսարա ծովիս գաֆմովյացան եռլումյ.

— ռատա, մարտու յարցաճ դագուսառ?!

— ըց Ռուցա Տեզա արացունա մյացէ, Տոյցելուց Նյեպուրաճ զուո, արց յրուու որլուց ար մյժլուցա.

— Ֆուճա, ռա ցինճա, Շյ յաս յապո, լամյ Տոյցելում ჩիշենիչյ յարցաճ դագուսառ, շնաեւսա ծարաց, տունու, Բալումիս Նյուուցի դա զոն ուցուս, յուց Տեզա ռա.

— Տեզա օւսա, ռոմ շնելուա յուցյու, Տյուլ Տատուառ յավորի յուցո, ռամճենու լացյութուու Տամամյլուց. մամահեմո չյերա մումուճա, մեմրյ Ռոմ նասա, օմաշչե յարցաճ մյոնճա գանելուուլու, շնայկուրճա. Շյինամլաս արացուս դաշնեցի, Ռյմոնի Տոմ հիմու Տայմյա. մոյլուճ, პորցելու յայուրինուս յաշաճա.

— Ֆուճա, ռա ցինճա, ռանչյ դարծոծ, Շյ յաս յապո, Տյուտու յապուս Տեզա Տայմիս յաշտուցա Շյամլուա, մյեթո ռա Տեզա ռալա լացրիա?

— յե, ոյշեն դալուկուուցի, մարտու յց արուս? — Ցուսոմյի տացո իակյուճա.

— յարցի, Շյ յաս յապո, դալոնինցի ար ցուեցի, ჩիշն Շյնու մյեցուտ

ვართ თუ გულზე რამე ჯავრი გვაქვს, ვფიქრობთ, ზოსიმეს ვნახავთ და გაგვამხნევებსო.

— ომში იყო და ვერ გვითქმევინებია რამდენი გერმანელი მოკლა, აქ არის და ბრძან კაცი ჩვენ გვამხნევებს, რა გაგიკვირდათ, დალოცვილებო, თუ ცოტა ხანს მოიწყინა! რატო ის არ გიკვირთ, სოკრატა მასწავლებელი რომ იძახის, ათასი გერმანელი მოვკალიო, მემრე თვლა ამერიკა სულ, აღბათ, სამი ათასი მეყოლება მოკლულიო.

- ვა, ეგ რომელი სოკრატა?
- ისტორიის მასწავლებელი, კაცო.
- ამდენი როგორ დავხოცეო?
- როგორ და ჩვეულებრივად, გერმანელი მივიდა, უთხრა, მომკალიო, მაგანაც მოკლა.
- თუ ამდენი შეეძლო მაგ დალოცვილს, მაშ ამოდენა ვაჟკაცები რაღაზე გავაწყვეტინეთ. გეგვეგზავნა ასი სოკრატა და ომიც მოგებული გვექნებოდა.
- ასეს როგორ გააგზავნიდი, როცა სოკრატა მარტო ერთია.
- მაინც როგორ ვახერხებდიო, არ ამბობს?
- ზღაპარივით ამბებსა ყველა თურმე.
- მანც როგორს.
- აი, თუნდაც ერთი ამნაირი რამ უთქვია: სნაიპერი ყოფილა თურმე, დაუკალებიათ, რომ მტერს საქამრეს ზევით დაუმიზნე და აუცილებლად მოკვდებაო, პოდა, ეგაც თურმე უმიზნებს საქამრის ზევით და ისვრის. მემრე შეტევაზე გადასულან თურმე, სოკრატას რაც მკვდრები უნახავს, ყველას საქამრეს ზევით ქონიათ ტყვია მოხვედრილი, მაგასაც ჩაუკალია, რომ მე დავხოცეო.

- დანარჩენები ფეხებში ესროლნენ?
- ეგ კიდევ არაფერი, თურმე ერთხელდ ტყვია გაუთავდათ, მტერი კი ისვრის და მალე შეტევაზე აპირებს გადმოსვლას, სოკრატას ჭეკვიანური აზრი მოსვლია, ამოუწევნია სანგრიდან ნიჩაბი, რამდენი ტყვია მოხვდა და დაბლა ჩამოვარდა, სოკრატამ აიღო, თოფი გატენა და მტერს ესროლა, ეგრე გაწყვიტა თურმე მთელი ბატალიონი.
- ბიჭო, რომ ტენიდა, დენთი არ უნდოდა?
- შენ მაგის მეტი გასაკვირი ვერაფერი დაინახე?! — სიცილი დააყარეს დანარჩენებმა შემკითხველს.
- ზოსიმე რამე გვითხარი, სოკრატაზე, თორემ შენცა და ჩვენც ძალიან მოვიწყინეთ.

ზოსიმემ ჩონგურის სიმებს ჩამოკრა ზელი:

სოკრატა მასწავლებელმა
ტრაბაზით სულ გაგვაძრუა,
ქარის ქროლვაზე მუშაობს,
მისი ტვინის ტარაბუა.
აზრები რომ აერევა,
და სიზმრებიც მოყირჭდება,
გულუბრყვილო მოსწავლეებს
ზღაპრებს მართლად მოგვიყვება.

სიცილმა ისევ გადაუარა ტალღასავით სოფელს.
— ალბათ ზოსიმებ ისევ რამე თქვა სასაცილო, — გადასძახეს ეზო-
ებიდან ერთმანეთს ქალებმა.

— თურმე ერთხელ დესანტში ყოფილა, მტრის ზურგში უნდა
გადაესხათ, ფრონტზე რომ გადაიფრინეს საზენიტო არტილერიას
თვითმფრინავისთვის ერთი ფრთა მოუგლებდა. თურმე ვარდებიან,
სოკრატას მარჯვენა ხელი გაუყვია გარეთ, ვითომ ფრთა და თვითმფუ-
რინავი გაუწონასწორებია;

— ვა! — წამოიძახეს პირდაღებულმა მსმენელებმა.

მემრე მეორე ფრთაც მოსბრომია, სოკრატას ახლა მარცხენა ზე-
ლი გაუყვია, დაკლომის დროს შეუნიშნია, რომ თვლებიც მომძრალი
ქონია, ფეხებით ჩაუნგრევია იატაკი, გაქცეულა და თვითმფრნავი მშვე-
ნივრად დაუსვია საჭირო ადგილას.

— ვახ! რა ცუდადა ქონია საქმენ საწყალს.

— კი მაგრამ, კაცო, ეგ ომში როდის იყო, სულ თურქეთის საზღ-
ვარზე იდგა მაგათი ნაწილი.

— არა, ბიჭებო, მთლად ეგრეც არ არის, ჩემთან ერთად იყო ნო-
ვოროსიის კთან. მაგრა დაგვბომბეს მტრის თვითმფრინავებმა, საწყალი
უგონოდ იყო, მიწიდან რომ ამოვთხარე, მტრის ავიაბომბს დაემარხა,
მაგარი კონტუზია ჰქონდა, თუმცა ერთგანაც არ იყო გაკაწრული.
სანიტარულ ნაწილს იგრე ჩაგაბარე, გონს არ მოსულა. თურქეთის
საზღვარზე ეტყობა ჰოსპიტლიდან გამოწერის შემდეგ გააგზავნეს. იგ-
რე ყოფილა ეხლაც შემინებული, ჭექა-ჭეხილი რომ იწყება, სახლში
მაგიდის ქვეშა ძვრება, ეტყობა, თავში რომელიდაც ძარღვი გაუწყდა,
რა ვუყოთ, მაგაზე მეტი უბედურების მომსწრე არა ვართ? — თქვა
ერთმა.

— ვაი, რომ იმ დასაქცევი ომის კვალი კარგა მანძილზე გაგვივება!

— ამოიგმინეს დანარჩენებმა.

ხოსრო თავმჯდომარე

შეადლე გადასული იყო. კოლმეურნეობის თავმჯდომარემ, ხოსრომ, კოლმეურნეობის კანტორასთან მიაგდო გაოფლილი ცხენი, აღვირი ყარაულს გადასცა.

— ბიჭო, გატარ-გამოტარე, ქარი ამოილოს, მემრე კარგად აჭამე, სალამოზე მინდვრები უნდა მოვიარო, ცოდვაა, ძალიან დიდი ჯაფა ადგა, გზაში არ დამივარდეს.

ხოსრო სამოც წელს მიღწეული კაცი იყო, მაღალი, გამხდარი და ცოტა მხრებში მოხრილი, დაუზარეული, დღე და ღამე კოლექტივის საქმეში იყო თავჩარგული. მართალი და პატიოსანი კაცი კოლწევრებს უყვარდათ და პატივს სცემდნენ.

ხოსრომ კიბე აიარა და ცოტა ხანს აივანზე გაჩერდა. ახლა შენიშნა უკან მებაღე ვანო მოსდევდა. ვანოც მისი ასაკისა იყო, მაგრამ წელში კოხვეს ნიშანივით მოხრილი, ზურგზე მიღებულ ჯოხზე ქონდა ყოველთვის ორივე ხელი გადაკიდებული და ისე დადიოდა, მიწას მიჩრებული. ვანო სოფელში სიკეთის ეტალონი იყო, სულ ერთი ხელი ქონდა ჩასაცმელი, რადგან ზედმეტს ვერ ირჩენდა, ვინც კი შეეცოდებოდა, მას აძლევდა. ეგ კი არა, თავისთვის ისაც არ ემტებოდა, რაც ეცვა, ჭამით ხომ პირში ლუკმას არ ჩაიმდებდა, სანამ გაუწვდებოდა ყველას გაუნაწილებდა. ომის დატრიალებულმა უბედურებამ ხომ მოსპო კაცი. თუ ვინმეს დაღუპვის ამბავს გაიგებდა, სულ ოხ შვილო! ვაიმე შვილო! აფხუს შვილო! და ვინ იცის, კიდევ როგორი მოთქმით და ოხვრით მოიკეთავდა გულს, სოფელში ამიტომ „ოხვრა“ ვანო შეარქეს.

სწორედ ეს ვანო ადიოდა კიბეზე ხოსროს სანახავად.

— რას შაუწუხებიხარ, ვანო? — რიხიანად გადმოსძახა ხოსრომ.

ვანო ძლივს გაიმართა წელში და ხოსროს შეხედა.

— ვა, ეგ როგორი ქუდი დაგიხურავს, ვეღარ გიცანი, სულ გამოცვლილხარ! — გაკვირვებულმა თავისი აზრი პირდაპირ უთხრა.

ხოსრო თავისძლენი კახური ნაბდის ქუდით დადიოდა, ხალხმა თვალი ისე მიაჩვია, ხოსრო სხვანარი ვერც კი წარმოედგინათ, თითქოს ქუდთან ერთად დაიბადაო.

— რა ვიცი, კაცო, უფროსებმა გვითხრეს, ეგ ქუდი აღარ გიხდებათ და რომელ თავმჯდომარესაც კახური ქუდი გვეხურა, დაგვავალეს, ეგეთი გვეშოვნა. სიღნაღელ მექუდეს შავაკერინე და დღეს დავიხურე.

მათ მაღე დათება ბრიგადირი შეუერთდათ, კანტორაში ყოფილი-ყო და ხოსროს ხმაზე აივანზე გამოვიდა, ის ხოსროზე ექვსი-შვიდი წლით უფროსი იყო.

— ვახ, ხოსრო, მშვიდობაში ახალი ქუდი! სხვაგან ხომ არ გადა-გიყვანეს კაცო, ე, რანაირად მორთულხარ? — მიახალა მისვლისთა-ნავე.

— მოკლედ, ეს ქუდი ჩემ ჭირად დავიხურე, ეხლა აუხსენი ყვე-ლას, რატომ და რისთვის.

— თვალები რაღაც გადმოკარკლული გაქვს, ცუდად ხომ არა ხარ, — დაკვირვების შემდეგ შეეკითხა დათება.

— ცუდად კი არა, თავი მისკდება, იგრე მტკივა, რა ეშმაკი მეცა, თავის დღეში არა მტკივებია კაცო.

— აბა, ერთი ქუდი მაიხადე, იქნება მეგეშვას, — ურჩია დათებამ.

ხოსროს ჭკუაში დაუჯდა და მარჯვენა ხელით ქუდის მოხდა და-აპირა, აქაჩა ზევით, მაგრამ ისე მაგრად ეხურა, ცალი ხელით ვერ მოერია, მარცხენაც მიაშველა და ძლივს აიძრო თავიდან.

— უჰჰჰ! — ამოიქშინა, — ცოტა შემეშვა, ხო იცი.

ხოსროსთვის ქუდს ისე მაგრად მოეჭირა, თავზე მრგვალი წითე-ლი ზოლი ეტყობოდა, მის ორივე მხარეს კი კანი შეშუპებოდა.

— აბა, ერთი მათხოვე ეგ ქუდი, — დათებამ გამოართვა, ხელში შე-ატრიალა, მწვანე, გრძელ ოთხკუთხა კიკარტიანი და სწორი მაღალი შუბლიანი ქუდის სარჩულზე ხელოსნის გვარი ეწერა, „სიღნაღელი ავეტიკა დაბალოვი“, დათებამ ხოსროს უკანვე დაუბრუნა ქუდი.

— თავი დაგიამდა?

— ვახ, კაცო, საკვირველი არ არი? ქუდი რაც მოვიხადე, მთლად გამიარა თავის ტკივილმა, ცოტა აი, აქ მეწვება, — ხოსრომ წითელ კანზე მოისვა ხელი.

— რა ჯავრი ჭირდა შენი იმ ავეტიკა დაბალოვს, ამ დღეში რომ ჩაგაგდო? — ღიმილით ჰკითხა დათემა.

— შენ რას იცნობ იმას?

— როგორ არ ვიცხობ, მამაცხოვნებულმა ორი ნომრით პატარა ქუდი რომ შაგიკერა, ზომა არ იცის? კიდევ კარგია სისხლი არ მე-გეწამლა,,

— ვახ, ქუდის გამო მტკიოდა ნამდვილად თავი! — შეიცხადა ხოს-რომ.

— არა, ძმაო, ქუდი იმიტომ არის მოგონილი, რომ თავი არ აგ-ტკივდეს, თუ თვითონ არის თავის ტკივილი, ვის რათ უნდა ეგეთი

ქუდი, — გაიცინა ვანომ.

— ვახ, ეს რა დემემართა, — ახარხარდა ხოსრო და აყვა დათებაც.

— ე, ჯიბგირებო, არსად არა თქვათ, რაც დემემართა, ხომ იცით, თავი მემეჭრება! — გააფრთხილა ხოსრომ დათება და ვანო.

— რას ამბობ, ხოსრო, ცხოვრებაში ეგეთი ამბავი განა ბევრი შეხვდება კაცს, ამას რა დამამალინებს, ერთი სული მაქვს, როდის მოვხვდები ბირჟაზე და მოყოლით ვისიამოვნებ, — სიცილით უთხრა დათებამ.

— მეც გითხარი, რაღა შენა გცოდნია და რაღა საქართველოს რა-დიოს, — გაწყრა ხოსრო.

— ეგრეა, ეგრე! — არ შეეპუა დათება, — კაცს რომ „გველიზე“ ეყოლება კოლექტივში საწყობის გამგედ, რა გასაკვირია, ორი ნომ-რით პატარა ქუდის ქვეშ გაიჭეჭყოს თავი. რამდენი ხანი ვითმინე, ვითმინე, დღეს კი აღარ ჩავიდა ყელში და მეცოდები, რომ ყველაფერი როგორც წესია, გითხრა, ან შენ ვერაფერი გაგიგია, ან კიდევ ძალათ იბამ თვალებს, — დათება აღარა ხუმრობდა.

— ერიჲა! აქ რაღაცაშია საქმე, აბა, წამოდით, სკამზე ჩამოვსხდეთ, ცოტა უფრო გრილი შებლით გავარჩიოთ საქმე.

ხოსრო დიდ ოთახში შევიდა, სადაც ორი მოანგარიშე იჯდა, თავისი კაბინეტი არა პქონდა. ერთ დიდ მუჟაოს საქაფლალდეში ჩაეწყო ყველაფერი, რაც სჭირდებოდა და მოანგარიშე ქალების ოთახში ინახავდა. შიგ კოლწევრების სია, გამომუშავება, შემოსავალი, გასავალი, განაწილება და მრავალი სხვა ცნობა იდო, რომელსაც დრო და დრო აახლებდა.

ახლაც ხოსრო გრძელ მაგიდას გვერდიდან მიუკვდა, დათება და ვანო მოპირდაპირე მხარეს დასხდნენ.

— აბა, ეხლა მოყევი, წელან რას ამბობდი „გველიზეზე“? — მიუბრუნდა დათებას.

— იმას ვაბობდი, რომა ეგ კაცი ამ კოლექტივში არ უნდა მუშაობდეს, თავსა გაჭრის შენცა და მთელ სოფელსაც.

— რა ჩაიდინა?

— რა, განა ერთხელ ჩაიდინა? საწყალ ქალებს კილოგრამობით რომ ერგებათ დამშეული შვილების გამოსაკვებად, ყველას წილში უდგება, თან აქეთ ამაღლის. აღარ გითხარი, ადრე რომ დავადგინეთ, ვისაც უჭირდა იმათი შვილებისათვის ყვოელდღე თითო ნაჭერი პური მიგვეცა, მაგან თავის სასარგებლოდ გამოიყენა, საწყალი ქალები თავიანთ ლუქმას უტოვებდნენ შვილებს, თვითონ კი მშივრები მუშაობდ-

ნენ. სანახევროდ არ აძლევდა რაც ეკუთვნოდათ. სხვა პროდუქტებზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. ეშმაკმა იცის, სად აქრობს. ეხლა იგრე ალარა ჭირს და მაგან მადას უფრო მოუმატა, სათესლე სიმინდი სულ გაუოხრებია, თანაც რაც მერგებოდა, იმას სამი ტომარა აკლია. ჩემი ბრიგადის ხალხით გავწმინდე თესლი, გავამზადე, ტომრებში ჩავყარე, ყველას პირი მოვკარი და კუთხეში მივაწყე, დღეს უნდა გემეზიდნა, მაგას კიდევ ნაგვიანით შეუცვლია, ის გაწმენდილი კი სულ გაუქვრია. სამი ტომარა რომ არა კლებოდა, რას გავიგებდი, ნაგავს მივიტანდი ბრიგადაში, მემრე მე ვიღა დამიჯერებდა, დავეჭვდი, გავხსენი ერთი ტომარა და პირკატა მეცა, მემრე სხვებიც ვნახე და ყველა ერთიანად წაუბილწია, მაგ შობელძალლს!

— ეს რას ამბობს, ვანო?! — ბრაზისაგან გაფითრებულმა ხოსრომ ინსტინქტურად იკითხა, თითქოს გამოსავალს ეძებსო.

— რას ამბობს და იმას ამბობს, რომ ავი და მამაძალლია, მთელი ომის განმავლობაში წურბელასავითა წოვა საცოდავი ქალების სისხლი, უნამუსო და ავაზაკია, ყველაფერს ეგრე უცებ როგორ ჩამოთვლის კაცი, რაც მაგას ცოდვები მოუძღვის, — კერი დაუქრა დათებას ნათქვამს ვანომ. მისი სიტყვა კი არასოდეს ტყუიდა.

ხოსროს უნდოდა ქალებისათვის ეკითხა, მართალია თუ არაო, მაგრამ გადაიფიქრა, ვანოს სიტყვას ქალების დადასტურება არა სჭირდებოდა, სხვა ვისზეც გინდა შეპარებოდა ეჭვი, ვანოს ამას ვერავინ აკადრებდა, ხალხის ცხროვრებით ცხოვრობდა, თუ რამე ებადა, ისიც გაჭირვებულებისათვის გაენაწილებინა, რასაც ხედავდით, იმის მეტი არაფერი ჰქონდა, და მაინც კმაყოფილი იყო, თუ სოფელი წელში გაიმართებოდა.

— გოგო, შენ გაზრდას, ერთი იმ საწყობის გამგეს დაუქახე! — უთხრა მოანგარიშე გოგოს.

— ომიდან დაბრუნებული ბიჭებიდან, თქვენი აზრით, რომელი გამოდგება საწყობის გამგედ? — შეეკითხა ორივეს.

— მინდორში რომ ვერ გამოდგება, იგეთი უნდა იყოს, თორემ საღ-საღამათი ვაჟეკცის საწყობში მოცდენა როგორ შეიძლება! — გამოთქვა თავისი აზრი დათებამ.

— ხარებაანთ გიორგი არ გამოდგება? — იკითხა ხოსრომ.

— ხარებაანთ გიორგი ნამდვილად კარგი კაცია, მაგან იქით თუ არ გადააყოლა, არავის დააკლებს, — მოიწონა კანდიდატურა დათებამ.

— შენ რას იტყვი, ვანო?

— გიორგი ნამუსიანა, მაგრამ მაგას საწყობში რა გააჩერებს, ვერ-

ცხლის წყალივით არის, შრომით გაუმაძლარი ვაჟკაცია.

— ეს, საწყალს, ცალი ხელი და ფეხი დაზიანებული აქვს, ვნა-ხოთ, ჯერ საწყობში დაიწყოს და თუ არ მოეწონა, აქ არა ვართ.

— თუ ხელი მოკიდა, მაგას რა ჯობია, ხალხი გაიგებს, როგორია პატიოსანი კაცი საწყობში.

— დათებ, საღამოზე შეეხმიანე, თუ არ დაიზარებს, ხვალე კანტო-რაში გამაიაროს, ცოლ-შვილი ალბათ უკვე მაისურვილა, თუ არა და სულ თვალწინ არ ეყოლება?

ამ დროს ოთახში „გველიხე“ შემოჩმახუნდა, გასუქებულს და ღი-პანს კიბეზე ამოსვლაში ქოშინი დამართოდა, ეტყობა იჩქარა, ძლივს ქმინავდა.

— ეგ რა მოგსვლია „გველიხე“, რად იჩქარე! ე ძლივს რომა სუნ-თქავ, უნდა დაგვლუპო? თავს გაუფრთხილდი, კაცო! — შეიცხადა ხოსრომ.

„გველიხე“ სერიოზულად მიიღო მისი თანაგრძნობა, შეიფერა და თავი გამოიდო:

— ეს, ნეტა რომ მე თავს არა ვზოგავ, ოღონდ საქმე გაკეთდეს და ჭირსაც წაუდია ჩემი თავი.

— არა, არა, შენ თავს არ უფრთხილდები, ეგრე არ შაიძლება! — არა ცხრებოდა ხოსრო.

— თავის მოვლა რას მიქვია, ნეტა ხალხი იყოს კარგად, ჩემი თავი იყოს კველას სანაცვლო.

— ბიჭო, დამიჯერე, ცოტა ჭამას მოუმატე, თორემ ძალიან დასუსტდი, ჭლექი არ დეგემართოს!

„გველიხე“ მიხვდა, რომ ხოსრო ამასხარავებდა და გაბრაზდა:

— მე რა ვქნა, ეგეთი ორგანიზმი მაქვს, ერთი კვირაც რომ არა ვჭამო, მაინც ვსუქდები, ამიტომ მასხარად მიგდებ?!?

— შენ რომ კაცმა ყური გიგდოს, იმიტომა ჭამ, რომ არ გასუქდე, საწყალი წითელარმიელის ცოლ-შვილის უღუფასაც იმიტომ იყრიდი კუჭში, გასუქებისა რომ გეშინოდა? შე შობელძალლო! სულ ეგრე უკუდმა უნდა იყო აწყობილი?! სათესლე სიმინდი რაღატო მააპარე და დანარჩენი კიდევ რად გამოცვალე, ეგაც ალბათ იმიტომ, რომ გვიფრთხილდებოდი დიდი მოსავალი არ მიგვეღლ და სიხარულით გულები არ გადაგბრუნებოდა?! რა უყავ სიმინდი, შე არგასაზრდელო!

— აყვირდა ხოსრო.

— მაგას თუ გაზრდალა აკლია და... — ჩაილაპარაკა დათებამ.

— არ აკლია კი არა, გაუზრდელია, ადამიანად თორემ პირუტყვო-

ბაში ბადალი არა ყავს, რა უყავი სიმინდი?! – ხოსრომ ვანოს ჯოზი გამოსტაცა ხელიდან, „გველიხეს“ თავზე დაადგა.

– რა უყავი სათესლე სიმინდი, შე გამჩენძალლო! თუ არ იტყვი, აქედან ცოცხალი ვერ წამიხვალ.

– იქავე არის, საწყობში, არსად არ წამიღია, – აკანკალებული ხმის უპასუხა „გველიხეზ“.

– სად უნდა წეგელო? რას უპირებდი?!?

– არაფერს, იგრე ვიხუმრე.

– იხუმრე? აი, მე კიდევ როგორი ხუმრობა ვიცი, – ხოსრომ მაგარი შვინდის ჯოზი გადაუჭირა ზურგზე.

– ვაიმე, მამკლა! – აყვირდა „გველიხე“.

ხოსრომ დაუნაცვლა მეორედ.

– ეს კიდევ ტომრების მოპარვისათვის, – დააყოლა.

„გველიხე“ მიხვდა, რომ საქმე ცუდად იყო, გაბრაზებული ხოსრო სულს დაალევინებდა, თუ არ გაუცლებოდა და უციბ კარებისაკენ გაიქცა. ხოსრო გამოუდგა და სანამ ოთახიდან გავარდებოდა, კიდევ ერთი დარტყმა მოასწრო.

– ეს ხალხის მონაგარის მითვისებისათვის! – დააყოლა. ჯოზი კუთხეში მიაგდო და ხელები მოიფშვნიტა.

– რამდენი სხვის ქონებისაკენ წაგიცდეს ხელი, ზურგის ტკივილმა შეგახსნოს, რომ არამი ლუკმა ბოლოს გამწარდება ხოლმე! – მივიდა და მაგიდასთან დაჯდა.

– ჩემმა ჯოხმა რამხელა სასიკეთო სამსახური გაგიწია, შენ კიდე ეგრე უგძმურად მაიშორე?! – ვანო ადგა, კუთხეში მიგდებული ჯოზი აიღო.

– არც შენა ხარ, ვანო, მართალი, მთელი ბალი ვიღაცა ოხრებსა და მამაძალლებს შააჭამე, არც ეგეთი გულგეთილობა შაიძლება, კაცო! – უსაყველურა ხოსრომ.

– ვის შავაჭამე, ოხერს და მამაძალლს, ერთი მითხარი, – გაბრაზდა ვანო.

– ვისა და... – ხოსრო ჩაფიქრდა, – ჰო, ვისა და რომელ ბრიგადასაც მოუნდება, მოდიან და კრეფავენ თურმე.

– თურმე კი არა, ეგრეა. მინდორში მუშაობენ დღე და ღამე. ათასში ერთხელ თავიანთი მონაგარით ყელი რომ გაისველონ, ცუდა? გეგმას ორმაგად გისრულებ, პამიდორი და კიტრი მილპება, ეხლაც იმაზე მოვედი, რამე გამოგზავნეთ და წაიღეთ მეთქი. რა გაკლიათ ჩემგან?! სხვებივით მოელ ბაღს რომ არა ვყიდი და სოფელს რომ არა

ვღალატობ, იმიტომ არა ვარ მართალი?!

— არა, ვანო, შენ მაგაში ვერ დევემდურები, — ხმას დაუწია ხოს-რომ, — მაგრამ ამბობენ, რომ თურმე სოფლის უქნარა ხლხი გაწუ-ხებს და გპარავს ბალს.

— ხდება ხოლმე, ზოგიერთი წუწყი იპარება, როგორ არა, მაგრამ ეგ საქმეს ვერაფურს ავნებს.

— თუ გინდა მინდვრის ყარაულს გავაფრთხილებ, მოგეხმაროს ხოლმე.

— ვინ არის ეგ მინდვრის ყარაული?

— „კობრა“ ილას ეძახიან, იმისი შიშით მინდორში ჩიტი ვერ გა-დაფრინდება.

— შენ იცნობ, რა კაცია ეგ „კობრა“ ილა, თუ სხვისი გაღმოცე-მით ამბობ?

— მეც ვიცი და სხვებსაც უთქვიათ, რომ მინდორში ძერასავით დადისო.

— ძერა არ არის წიწილებს რომ იტაცებს, საერთოდ მტაცებელი რომ არის დაგავიწყდა ძერა? სხვისთვის არ ემეტება, თორემ, გაგიხა-რია გაძარცვა მინდორი.

— რას ამბობ, კაცო, ჩენი მინდორის ყარაულობაში მეც ვურიცხავ შრომადლებს, სხვა თავმჯდომარებიც კმაყოფილები არიან.

— ძალი იყოს მაგის კმაყოფილი!

— მაშ არ გინდა, რომ შენ ბალს უყარაულოს?

— ჩემ ბალს ეგ კაცი ჩამოაცილეთ და ყარაული სულ არ დაჭირ-დება. გამიოხრა ბალი, როცა იცის სოფელში წამოვედი, ურმებითა მპარავს, თოფში ვაზნას არა ვდებ საერთოდ, მაგრამ მაგისთვის კარ-ტეჩი მაქვს დამზადებული, სათოვეზე თუ დავიჭირე, მოგჭამა ჭირი, ერთი კობრით ნაკლები იქნება მცურავთა რაოდენობა!

— მაინც რადა სარ ეგრე გაბრაზებული მაგაზე?

— ხომ გითხარი, ქურდი და მამაძალლია-მეთქი, ბალი მაგან გამი-ჩანაგა, ეს არაფერია, შეიძლება ყურადღებაც არ მიმექცია, მაგრამ რაც მაგან სოფლის დამშეულ გოგო-ბიჭებს დღე დააყარა, თავთავის აკრეფაში, რა დამავიწყებს. რაც შეგროვილი ჰქონდათ იმ დამშეულ ბავშვებს, ხომ სულ ართმევდა ტომრიანად, საწყლებს მათრახით უჭ-რელებდა ზურგს, თავთავი კი ნაკვეთში დალპა და გაოხრდა, ვის რა სარგებლობა მოუტანა?! თვითონ არის ქურდი და ავაზაკი, ხორბალს ძნებით იპარავდა, როგორც მგელი დააყენო ფარაში ძალლის ადგილას იგრეა მაგისი საქმე, თანაც ვიღაცა ბნელსა და ავაზაკ ხალხში აქვს

კუდი გაბარებული; თქვენი მიკვირს, თავმჯდომარეები ან ძალიან ბე-ცები ხართ, ან არადა წილში ხართ მაგასთან!

— ო, ეს უკვე მეტისმეტია!

— თუ მეტისმეტია, შვილოსა, ის შრომადლეები, რასაც მაგას აძლევ, გააორმაგე, სოფელში გამრავლდნენ ომიდან დაბრუნებული ბჭიები, ერთ რომელიმე პატიოსან კაცს ჩააბარე ეგ საქმე, რომელსაც ფიზიკურად შრომა უჭირს, რომ მეც დავისვენო და ხალხმაც.

— ვნახოთ, მოვიფიქრებთ.

— ჰო, შენ ნახე და მაიფიქრე, მე კა საღამოსთვის ერთი ფორანი გამამიგ ზავნე, დაკრეფილი პამიდორი და კიტრი მიუჟდება, — „ოზვ-რა“ ვანო ფეხზე ადგა და ჯოხი ჩვეულებისამებრ გაიდო წელზე.

— დამზადებასთან როგორა გაქვს საქმე?

— დამზადება ორმაგად შაკასრულე, ეხლა სოფელში ამაიტათ, კიდევ ბევრი მაქვს დასაკრეფი, კარგა ხანს არ მოგვაკლდება, — ვა-ნო ოთახიდან გვერდიგვერდ გავიდა, ჯოხებული კარებში რომ არ გაჩხირულიყო...

„ნაპორიანმა“ შოთამ ოხვრა ვანო როგორც დაინახა, კოლექტივის კანტორაში, მაშინვე ედიშერა და გოგია მოძებნა.

— ბიჭებო, ვანო კანტორაშია ამოსული, ეტყობა, რაღაცა საქმე აქვს, ხოსრო თავმჯდომარეს ელოდება, წავიდეთ, საზამთრო მოვპა-როთ, ვერაფერს გაიგებს, — აგულიანებდა ბიჭებს შოთა.

— არა, ვანო პაპას საზამთროს ვერ მოვპარავთ! — იუარეს ედიშე-რამ და გოგიამ.

— ვერაფერს გაიგებს, ბაღში არავინა ყავს დატოვებული. ორი-სა-მი საზამთრო აგარჩიოთ, იქავე შევჭამოთ და წამოვიდეთ, რას გაგვი-გებს?! არადა სისხლივით წითელი გული აქვთ, შაქარზე ტკბილია: ამას წინათ ელამი სოლომონას მანქანით ვიყავი პამიდორის წასაღე-ბად, მაშინა ვჭამე, ეხლაც პირში მაქვს იმისი გემო.

ცოტნება ძალიან დიდი იყო, ბიჭებმა ნერწყვი გადაყლაპეს, ამ დროს ზაურიც გამოჩნდა.

— შენ არ გინდა საზამთრო, ზაურ? — შეეკითხა შოთა.

— როგორ არ მინდა, აბა სად არი? — გაუხარდა ზაურს.

— სად არის და „ოზვრა“ ვანოს ბაღში.

— ეხ! — ხელი ჩაიქნია ზაურმა. — ეგ მე რას მარგებს.

— მივიდეთ და შავირგოთ, თუ ხელს არ გაატოკებ, ვინ მოგ-ცემს?!

— წავიდეთ, თუ დაგვიჭირა ვანო პაპამ, მაინც არა გვცემს, —

თქვა ზაურმა.

— არა გვცემს, მაგრამ ნამუსიც ხომ კარგი საქონელია, — შუბლი შეკრა გოგიამ.

— რა მოხდა, საზამთრო მინდა, ხილია, სხვა ხომ არაფერი, წავიდეთ რა?! — გამოიდო თავი ზაურმა.

— წავიდეთ და წავიდეთ! — ხელი ჩაიქნიეს ედიშერმა და გოგიამ.

ბაღში ბოლოდან შეიპარნენ. საზამთრო რიყის ქვასავით იყო გაშლილი.

— თქვენ ნუ მოწყვეტავთ, მე ავარჩევ! — გააფრთხილათ შოთამ. — უბრალოდ მკვახე არ გამოიდეს, ცოდვაა; მე დედლებს ავარჩევ.

მაღლე შოთამ სამი მოზრდილი საზამთრო მოაგორა. და ღობის ძირში კვინლის ბუჩქთან მოიკალათეს.

— ეგ დედალი რაღაა? — გაიკვირვეს ბიჭებმა.

— ეგრე ემახიან, აი, აქ, — შოთამ ხელი დაადო იმ ადგილას, სადაც საზამთროს ყვავილის ადგილი ჰქონდა, — თუ დიდი მრგვალი ხალი აქვს, დედალია, თუ პატარა წერტილივითაა — მამალი.

— ვთქათ, ეგრეა, მერე?

— მერე ისა, რომ დედალი უფრო მწიფე და გემრიელია.

— აბა, ვნახოთ, როგორი პროფესორი ხარ, — თქვა ედიშერმა და დანა ჩაურჭო გასაჭრელად, საზამთრო შხუილით გასკდა. — ვაა! რა მაგარია! — გაუხარდათ ბიჭებს.

— ქერქები არ მიმოფანტოთ! უნდა დავმალოთ, — გააფრთხილა ბიჭები შოთამ.

ვანო სოფელს გამოსცდა და თავდაღმართზე ჩვეული ნაბიჯებით დაეწვა არხისაკენ, სადაც ბაღი ჰქონდა.

„ბიჭები დაბრუნდნენ, ფიქრობდა, მეც მემეშველებიან, ეხლა რა ბაღი გვაქვს, ათი ამღნის მოყვანა შეიძლება, მერე ყველა ოჯახს გაეუნაწილებთ, ბალღები გაიხარებენ, ხალხიც კმაყოფილი იქნება, აბა ეს საქმეა? ყველასა გონია ბაღი გვაქვსო და ბრიგადებშიც ძლივს ვაგზავნი, ისაც ჩემი გაიქირობით, თორემ ვინ მაძლევს უფლებას! ჩვენი მეზობლების დაქირავებულ მებალებივთ უნდა ვიყო, სულ რომ ქურდობით გააქრეს. ნეტავ ხალხი როგორ ითმენს? არა, ეტყობა თავმჯდომარე უწყობთ ხელს, თორემ იმათი გაჩერება როგორ შეიძლება? ღმერთმა დალოცოს ხოსრო, ნამდვილად პატიოსანი კაცია, ერთი კია, ყველა თავისი მსგავსი გონია, ცხვირწინა ყავდა ვირთხა და ვერაფერი გაუგო; გაგიხარია, კარგი გაკვეთილი კი ჩაუტარა, იმ „გველისეს“ თავის სიცოცხლეში არ დაავიწყდება“.

ასე ფიქრში გართული მიუახლოვდა ბაღს და ჩვეულებისამებრ ჯერ შემოუარა გარშემო, ფრთხილად, უხმაროდ მიღიოდა.

— ერთი კიდევ შევჭამოთ რა? — მოესმა ბიჭის ხმა.

— კარგი! გეყოფა! ვანო პაპამ არ მოგვისწროს! — გააფრთხილა მეორემ.

— არა უშავს რა, საღაც ამდენი, ის ერთიც იქ იყოს! — „ნაპოპიანი“ შოთას ხმა იცნო ვანომ. დააცადა, სანამ საზამთროს მოწყვეტავდა, მერე უჩუმრა მიეპარათ ბუქებიდან გამოვიდა და ზაურს წაავლო ხელი.

— ვაიმ! — დაიყვირა ბიჭმა.

დანარჩენები თავქუდმოგლეჯილები ეცნენ ღობეს.

— ნუ გეშინია, შვილო! ვანო პაპა ვარ, არ შეგეშინდეს, გენაცვალქ! — დაუგურგულა ვანომ.

ბიჭი ცოტა დაწყნარდა.

— შენ რომელი ხარ, კაცო, რატო ვერ გამიხსენებიხარ.

— ზაურა მქეია, სალომესი ვარ.

— ვაი, შენ ჩემო თაო, დათიკოსი ხარ, შვილო?

— ჰო.

— რა უთქვია გიორგის, მალე მოვაო, არა?

— ჰო, კარანტინშია და მოვაო.

— მოვა, შვილო ზაურ, მოვა. დედა ხომ კარგად არის, რაღაც ამ ბოლოს დაავადმყოფდა ეგაც.

— ეხლა კარგად არის, ვანო პაპავ.

— საჭმელი როგორა გაქვთ, შვილო, ძალიან ხომ არ გიჭირო?

— ადრე გვიჭირდა, ეხლა ზოსიმე ძია გვეხმარება.

— ეგ რომელი, ბრმა ზოსიმე?

— ჰო, ისა.

— ღმერთმა უშველოს, ღმერთმა! კარგი ვაჟეაცი არის, ბრმაცა სჯობია „კობრასნაირ“ ათას თვალხილულს. ის ბიჭები ვიღა იყვნენ, შვილო, ზაურ?

— ერთი ჩემი ძმა გოგია იყო, მეორე ედიშერა, ხარებაანთ გიორგის ბიჭი, მესამე კი შოთა, ათ „ნაპოპიანს“ რომ ეძახიან, მბლოლი სოლომონას თანაშემწე.

— აი, ეგ არის ყველაზე ონავარი. ალბათ სადმე ღობეს იქით გელოდებინ. გაიქცა და ყველა აქ მამიყვანე, უთხარი, ვანო პაპას საქმე აქვს, საზამთროს დაკრეფა უნდა და დახმარება გთხოვათ-თქო. არ გაიპაროთ, თორემ ძალიან მაწყენინებთ! — აბა, გაიქცი! — ვანომ ზაურს ზურგზე მოუსვა ხელი, — მე ქოხთან ვიქნები, დროზე მოდით.

ბიჭები გზის პირას, აკაციის ჩრდილში შეყუეულიყვნენ და დიდი ბჟობა ჰქონდათ, როგორ მოქცეულიყვნენ.

ზაურის გამოჩენამ ძალიან გაახარათ.

— რა გითხრა? გიცნო? ხომ არ გაიგო ჩვენ ვინ ვიყავით? — და-აყარეს კითხვები.

— მეც მიცნო და თქვენცა, დამაბარა, საზამთრო უნდა დავკრიფო, ბიჭებსა სთხოვე, მოვიდნენ და მომებმარონო.

სამივემ ერთმანეთს შეკითხვის მზერა ესროლეს.

— არა! — გადაჭრით თქვა შოთამ. — ეხლავე მოვუსვათ სოფელში. რამდენიმე ხანი მოვერიდოთ, მემრე სულ გადააგიწყდება.

ბიჭები წასასვლელად წამოიშალნენ.

— მე მივძრუნდები და ვეტყვი, რომ არ წამოხვდით! — ეწყინა ზაურს.

— შენ ხომ არ გაგიქდი?!

— მე კი არა თქვენ გაგიქდით, ყველაზე შემეგითხა, ვინ იყვნენო, არაფერი ცუდი არ უთქვია, პირიქით, დემებმარეთო და თქვენ მშიშ-რებივით გარდიხართ?!

— უნდა მივიდეთ! — თქვა გოგიამ, ედიშერმაც დაუკრა კვერი.

— მივიდეთ და მივიდეთ! — ხელი ჩაიქნია „ნაპოპიანმა“ შოთამ, — ოღონდ თუ უკუღმა დატრიალდა საქმე, ჩემი ბრალი არ იყოს.

ბიჭებს ვანო ქოხში ელოდებოდათ. თავჩალუნულები დამნაშავესა-ვით მიადგნენ და შორიახლოს გახერდნენ.

— გამარჯობათ, შვილებო! რა შორიახლოს დგეხართ, მოდით, აი კუნძებზე ჩამოსხედით.

ბიჭები უხმოდ დასხდნენ.

— თქვენში ყველაზე კარგად რომელმა იცის საზამთროს ცნობა?

— შოთამ.

— მაშინ ეს შოთა წავიდეს და ოთხი კარგი საზამთრო შეარჩიოს.

— ზაურმა გვითხრა, საზამთროს კრეფავს და უნდა დევებმაროთო, — ჩაილაპარაკა შოთამ.

— ჰოდა, სწორე უთქვია, მიდი, შეარჩიე!

შოთა შეუდგა საზამთროების არჩევას.

— მამაშენი როგორ, ნაჭრილობევები ხომ არ აწუხებს? — შეე-გითხა ედიშერს.

— არა, ცოტა ხელი უბუჯდება ხოლმე, ექიმს უთქვია, სისხლის მოძრაობა ნელ-ნელა აღდგება და გაიმართებიო.

— ფეხი ხომ არ აწუხებს?

- არა, მიწაზე კარგად ადგამს, ოღონდ, ტერფი აქვს ამობრუნებული, არ გასწორდება, უთქვიათ.
- არაფერია, ნელ-ნელა მომაგრდება, — იმედი გამოთქვა ვანომ. შოთამ საზამთროები მოაგროვა.
- ეხლა აიღე, აგერ ის კალათი, — ვანო პაპამ ბოძზე ჩარჭობილ ლურსმანზე ჩამოკიდებულ მოზრდილ კალათზე მიუთითა. — წადი და ყველაზე კარგი პამიდვრებით გაავსე.
- შოთა შეუდგა საქმეს.
- სწავლის საქმე როგორა გაქვთ, შვილებო, ხომ არა ზარმაცობთ? — გამომცდელი თვალი მიაპყრო სამიერე.
- ვცდილობთ, — იყო მოკრძალებული პასუხი.
- როგორ თუ ცდილობი!
- არა, მაგრამ მთლად გამართულები ვერა ვართ.
- ოოო! ეგ კი არ მემეწონა! აი, შენ ედიშერ, მამა რით უნდა გაახარო? კაცმა კინდალ სული ფრონტზე დატოვა, თქვენ რომ ბედნიერები ყოფილიყავით, ეგ არის მამის ამაგის დაფასება? თუ იცი, როგორ ატანგ გულს შენი სიზარმაცით?! განა შენი მამის შვილს ეგ ეკადრება?!
- ედიშერი ფეხზე წამოდგა და გაჭიმულმა ფიცივით თქვა:
- ვანო პაპავ, დღეის შემდეგ სულ მოწინავე ვიქნები!
- აი, გენაცვალე! მჯერა, რომ პირიანი ბიჭი იქნები, ზარებანთ გიორგის სხვანაირი შვილი არც ეყოლება!
- ჩვენც კარგად ვისწავლით, ვანო პაპავ! — გოგია და ზაური დარცხვენილად წამოდგნენ.
- კარგად უნდა ისწავლოთ, კარგად, თქვენ გენაცვალოთ ვანო პაპა, დათიკოს შვილებს სხვაფრივ არც ეკადრებათ! — წამოდგა, ორივეს ხელები მოხვია და მიიხუტა, მერე ისევ თავის კუნძხე ჩამოჯდა,
- ოხ, ღმერთო, მაშ შენ სამართალი გაქვს?! — მკერდზე დაირტყა მუშტი, — ჰაი, გიდი ვაჟკაცო! — ვანო მოწყვლიანებული თვალებით მიწას მიაჩერდა.
- წელში გადრეკილმა შოთამ ძლივს მოათრია მძიმე კალათი.
- უხ, კაი ბარაქიანია! — ამოიხენება და კუნძხე დაეშვა.
- ძნელი იყო არა? — ჰკიოთხა ვანომ.
- ძნელი რომელია, წელი მამწყდა.
- უფრო ძნელია, შვილო, მოყვანა, მაგრამ შენ ოფლდადენილს რომ შეჭამ, იმაზე გემრიელი არაფერია. დაიხსომეთ ეს ყველამ და ცხოვრებაში ეგრე იარეთ! თუ ჩემი ნახვა მოგინდეთ, ბაღის ბოლოდან ნულა შამოხვალთ, ამის შემდეგ ხომ გეცოდინებათ სწორი გზა? — ვანო ბიჭებს

დააკვირდა, ოთხივე თავშაბუნული იდგა. — პო, ეხლა აიღეთ სათითაო საზამთრო, მაგ კალათის ტარებაში ერთმანეთს მიეხმარეთ. გაინაწილეთ, ოღონდ, თუ არ დაგეზარებათ, როგორმე მეხუთე საზამთროც იტვირთეთ და იმ კაცურ კაცს, ზოსიმეს მოუტანეთ, — ვანომ ქოხიდან თავისი შერჩეული საზამთრო გამოიტანა და ბიჭებს წინ დაუდო.

ხვეწით და დიდი გაივაგლახით ძლივს აიტანეს სოფელში მბიმე ტვირთი ბიჭებმა და პირდაპირ ზოსიმესთან გასწიეს.

ზოსიმე თავის ალაყაფის კარებთან იჯდა და ღიღინებდა, ქოშინით სულშეგუბებულმა ბიჭებმა მის წინ თავიანთი ნადავლი რომ დააწყეს,

— ეს რა ამბავია, ბიჭებო! — ზოსიმე ერთ საზამთროს მოკიდა ხელი, ასწია, ყურთან მითიტანა, ორივე ხელი მოუჭირა, — მოწეულია, — ჩაილაპარაკა, — მაგრამ ამხელა როგორ ატარეთ?!

— ეგ რაა, აი ესა ნახე! — შოთამ ვანო პაპას მიერ შერჩეული საზამთრო მიაწოდა.

— ოპო, კაი ბარაქიანია! დაიხოცებით ამის თრევით.

— დავიხოცეთ კი არა, სიქა გაგებვრა, ნეტა ბაღში გადაპარვა სულ არ მოგვსვლოდა აზრად, — სინანულით თქვა შოთამ და სკამზე ჩამოვალდა.

— რაო? ბაღში გადაპარვაო? სწორედ გავიგონე? — ზოსიმე საზამთრო მიწაზე დადო.

ბიჭებმა დაწვრილებით მოუყვნენ, რაც მოხდა, ზოსიმე ყურადღებით უსმენდათ, ხანდახან თავს გააქევდა ხოლმე უქმაყოფილოდ.

— მე თუ დამიჯერებთ, არ მოგვსვლიათ კარგი საქმე! — ჩაილაპარაკა და მიწაზე ჯოხის კაკუნი დაიწყეო.

— ვიცით, რაც ჩავიდინეთ და შენთან იმიტომ მოვედით, რომ გვირჩიო, როგორ მოვიქცეთ, ამ საზამთროებს სახლში ვერ მივიტანთ, რაც სირცხვილი ვჭამეთ, არ გვეყო, ახლა კიდევ სახლში გაიგონ? — შეწუხებული ტონით თქვა შოთამ.

— სახლში უთქვენოდაც გაიგებენ და უფრო უარესია. ამიტომ სიმართლის აღიარება სჯობს. მანამდე კი, ზაურ შენ გაზრდას, მიღი პელო ბაბოს უთხარი, გარეთ, ეზოში სუფრა გაგვიშალოს, ერთად ვიქეიფოთ, დანარჩენი საკითხებიც იქ გადავწყვიტოთ.

ბიჭებმა თავიანთი ტვირთი ალაყაფის კარების შიგნით შეზიდეს, ამ ხმაურზე გელაც გამოვიდა სახლიდან.

— ვა, რამხელა საზამთროებია! — გაუკვირდა ბიჭს. — სად იყო?

— ვანო პაპას ბაღიდან მოვიტანეთ.

- სუყველა იყავით?
- ჰო, ოთხივე.
- ნეტა მეცა ვყოფილიყავი!
- ეს, გელავ, ნეტა ჩვენც არა ვყოფილიყავით, იგეთი დღე დაგვადგა, მიწა რომ გაგვხეთქოდა, ის გვრჩია.
- მოიპარეთ?
- მოვიპარეთ კი არა, თვითონ გამოგვატანა, მაგრამ სირცხვილით დავიწვით.

— ვააა!!! — გაიკვრება გელამ.
 — აბა, ბიჭებო, მოდით სუფრასთან! — მიიპატიუა პელო ბაბომ...
 ზოსიმემ მეხუთე ჭიქა დალია, ერთხელ კიდევ გაიხსენა ოშმი დალუპულები და ცარიელი მაგიდაზე დაარტყა.

— თქვენ თითო ჭიქა გეყოფათ, მეტი საჭირო არ არის. ეხლა თუ დამიჯერებთ, ეგრე აჯობებს, ქიტაანთ ვირის ორთვალა გამოართვით, ზედ დააწყეთ ეგ თქვენი ტვირთი და ნამუსიანად გაინაწილეთ, კარგი იქნება თუ გელასაც გაიხსენებთ, იგრე როგორც პატიოსან მონადირე-ებსა სჩვევიათ. სახლში კი არც ერთმა არ გაბედოს ტყუილის თქმა. როგორც იყო, დაწვრილებით მოუყევით მშობლებს; ეგ თქვენსთვის კარგი გაგვეთილი იქნება.

მალე შოთამ ქიტაანთ ორთვალა შემოაჯირითა ეზოში. თავიანთი ტვირთი ორთვალაზე დაფუნილ ბალაზე დააწყეს, ოთხივე დასხდნენ და ადგილიდან დაძრეს.

— გელავ, ეგ საზამთრო და პამიდორი რო აწყვია ღობის ძირში, შენია, სახლში წაიღე, — მიაძახა შოთამ და ვირი ააჩქარა.

ზოსიმე ბრიგადაში

ცხელი ზაფხული იდგა. დიდი და პატარა სამუშაოდ იყო გასული. მთელი კვირა რჩებოდა ხალხი მინდორში. სოფელში მარტო ბავშვები და მოხუცებიდა იყვნენ.

ზოსიმე ისე შეეჩერა ბრმად სიარულს, რომ გამყოლი აღარ სჭირდებოდა, პირიქით, უმოთვარო ღამეში ის აცილებდა სხვებს. შრომაშიც გაიწავა, ვენახში კოტეს ხელს აღარ ატოკებინებდა, სახლშიც ხომ ყველაფერი წესრიგში პქონდა, მაგრამ ეს რა იყო მისოვის, ჯან-ღონით სავსე ვაჟკაცი მოცდენას ვერ ეგუებოდა.

სიხარულით ცას ეწია, როცა მამამ ხოსროს დანაბარები გადასცა. გამოვიდეს ბრიგადაში,. იქნება რამე ნახოს თავისი შესაფერისი, თუ

არა, ხალხთან ყოფნა გაართობს, ყველა გამჩიარულდება, ხომ იცი, როგორ უყვართ მაგასთან ყოფნაო.

— ზვალევე წავალ! — გაუხარდა ზოსიმეს, — თორემ ეგრე უსაქ-მობით დამიგროვდა ნაღველი.

— დათებას ბრიგადაში ახალგაზრდების რგოლი შეუქმნიათ, სულ გასათხოვარი გოგოები არიან, ხოსრომ დააკალა, ზოსიმე თუ დათანხ-მდება, მაგ რგოლში ჩარიცხეთო, მაყვალაც იმ ბრიგადაშია, — სხვათა შორის დაუმატა კოტემ.

ზოსიმეს ელდა ეცა. რაც დაბრუნდა, სულ იმას შიშობდა, მაყვა-ლას არ შეხვედროდა, თავმოყვარე ვაჟების ვერაფრით დაერწმუნები-ნა თავი, რომ შეიძლებოდა მაყვალას მისთვის უღელი გაეწია. არა, ზოსიმე არ დაუშვებს, რომ ტკირთად გაუქდეს საოცნებო არსებას. ბრიგადაში გასვლა გაუხარდა, მაგრამ მაყვალასთან მოსალოდნელმა შეხვედრამ ააფორიაქა.

— კარგი გოგოა მაყვალა, მშეგნიერი, მშრომელი და პატიოსანი, რამდენიმეჯერა მკითხა, ზოსიმე როგო არისო, ოხ, ღმერთო, ერთი მაგნაირი რძალი რა მოუხდებოდა ჩვენ ოჯახს! — კოტემ ისე თქვა, რომ ზოსიმე მიახვედრა, მეც რაღაც-რაღაცები ვიციო.

— რა მარტო მაყვალაზე ლაპარაკობ, სხვა აღარავინ არის იმ ახალგაზრდების რგოლში? — საყვედურით უთხრა ზოსიმემ.

— სხვებიც ბევრი არიან, შვილო, მაგრამ ეგ გამზრდელლოცგი-ლი, ჯიგარზე უფრო ძალიან მეჭიდება, იგრე მგონია, თითქოს ჩვენი ოჯახის წევრი იყოს, რა ვიცი, ქალები ამბობენ, ზოსიმე იგრე უყ-ვარს, ბრმა კი არა, ხელ-ფეხიც რომ არა ქონდეს იმის გარდა, სხვა არავინ უნდაო, თუ ეგრეა, შვილო, ვენაცვალე უფლის მადლსა!

— იმას უნდა, მაგრამ ახლა მე მკითხონ, მინდა ვინმეს ბრმა გა-ვუხდე ტკირთად! — ზოსიმემ ბოლმით დამძიმებული თავი ჩაღუნა, — თანაც მაყვალას! — ისე დაუმატა, რომ კოტესათვის ყველაფერი ნათე-ლი გახდა, მისი შვილის გულში რა ცეცხლი ტრიალებდა. თვითონაც ეტკინა გული, ნელა ადგა სკამიდან და ხმადაბლა ჩაილაპარაკა:

— გამოხვალ ბრიგადაში და დარწმუნდები, რომ არც იგრეა საქმე, როგორც შენა გვინია, ხალხისათვის და ქვეყნისათვის საჭირო ხარ, შვილო, ბევრი კარგი საქმის გაკეთება შეგიძლია, გული ტყუილად გაქმს გატეხოლი; მაყვალასათვისაც ღირსეული საქმრო იქნები.

— არა, მე ბრიგადაში არ გამოვალ! — ნერვიულად იყვირა ზოსიმემ.

— გამოხვალ, შვილო, გამოხვალ, სწორედ ეგ შენი ყვირილიც იმა-სა მოწმობს, რომ იმ გოგოს მიმართ გულგრილი არა ხარ, გამოხვალ

და, დამიჯერე, კმაყოფილი დარჩებით, – კოტე ოთახიდან გავიდა.

ზოსიმე ადგილიდან არ განძრეულა. იჯდა და იწვოდა როგორც
სანთელი. რამდენი უოცნებია მაყვალაზე, ჯარში დღეებს ითვლიდა, ჩა-
ვალ და მაშინვე ცოლად შევირთავო, გოგო მისი სიყვარულით დნება,
მას კი ვერ გაუტენდა უსინათლო თავი მის ლირსად ჩათვალოს.

მეორე დღეს დილით ადრე, სანამ კოტე ფორანში ცხენებს შეძამდა, ზოსიმებ თავისი ბარგი გაამზადა და დახვეული ნაბადი ფორანზე დაიღ.

კოტეს გაუხსარდა, „გადაუწყვეტია წასვლა“, – გაიფიქრა და გაღი-
მებულმა ცხენების შეკაზმა დაიწყო.

კოლმეურნეობის ეზოში გოგოები ნელ-ნელა მოგროვდნენ. ზოსიმე გრძელ სკამზე იჯდა და ჩონგურს უკრავდა.

— გოგოებო, ზოსიმე გამოსულა, წამოდი ვკითხოთ, ჩვენ რგოლში იმუშავებს ნამდვილად, — წამოიძახა ერთმა.

კისკისით და ხმაურით შამოეხვივნენ ზოსიმეს.

— გამარჯობა, ზოსიმე! — სათითაოდ ართმევდნენ ხელს.

ზოგადი ხმის ამოულებლად ჩამოართვა ხელი. „ნეტა მაყვალა რომელი იქნება, იმისი ხმა არ გამიგია“, — გაიფიქრა ზოსიმე.

— ჩვენთან ხომ არ მოდისარ, ბიჭო?

— რა ვიცი, დათებას ბრიგადაში ახალგაზრდული რგოლია და იმათთან იქნებით.

— ვაშა! ჩვენ რგოლში ყოფილა ჩარიცხული! — სიხარულით ცას ეწიენენ გოგოები.

ამ დროს დათება ბრიგადირი გამოჩნდა.

— რაღაც აგვიანებ, დათება ბრიგადირო, დროზე წავიდეთ, ისეთი კაცია ჩემთან სულ ორ-ორ ნორმას გავთოხავთ, დროზე წავიდეთ! — მიესივნენ გოგოები.

— დღოზე რას წახვალით, ის დამთხვეული ელამი სოლომონა გუშინ გამძლარა და ავათ არი, კაცი გავაგზავნე იმ „ნაპობან“ ბიჭთან, თუ გამოვიდა და მოახერხა მანქანის დაქოქვა, იმას გავყვიტით, თუ არა და წვალებდე აქ დარჩენა მოგიწევთ.

— ვაძიებ, რას ამბობ, ეხლა მოცდენა შეიძლება?! ნახეთ ის „ნაპო-
პიანი“, როგორმე ჩაგვაგოროს ალაზნამდე.

— ცოტა მათმანეთ, ყველაფერი გაირკვევა! — დათება ბრიგადირი კანტორისაკენ წავიდა.

გოგოები ისევ ზოსიმეს შემოეხვივნენ და შეეხვეწნენ:

— ზოსიმე, რამე სიძლერა გექნება მოგონილი, სანამ მანქანა მოვა, გვასწავლე, ერთად ვიძლეროთ.

ზოსიმე ჩაფიქრდა. მერე დაბალ ხმაზე წაიღიღინა:

ნუ იფიქრებ, სიცოცხლევ,
ჩემზე ავს და ძვირსა,
არ გამხადო, პატარავ,
მე დალატის ღირსად.

- მოგწონთ, ეს გოგოებო? – იკითხა.
- ვაიმე, რა ძალიან კარგია!!! – ჭაში შემოკრეს გახარებულმა მსმენელებმა.
- მაშინ თუ ეგრეა, ბოლომდე ვიმდერებ და მემრე ერთად ვცა-დოთ.

ზოსიმემ სიმღერა გააგრძელა:

ვერ შეგძლი მენახე,
ტყვედა ვყავარ ჭირსა,
არ გამწირო უბრალოდ,
მძიმე სენი მჭირსა.
იქნებ ჩემთვის გაცივდი,
გული გექცა სხვისად,
ვერვინ ნახო, გჯეროდეს,
ჩემი ჩრდილის ღირსად.
შენზე ფიქრით ოცნებამ
დილის ნამი დალია;
სული გაწამებული
სიყვარულით მთვრალია.
რა ვუყოთ, რომ ამჯერად
ბედი ჩემზე მწყრალია,
გვალვას ოფლით დავაცხრობ,
კვლავ ვახარებ მწვაიანს.
დღეს ლოცვებით გითესავ
ულამაზეს ყვავილებს,
ყველას გზაზე დაგიფენ,
თან ერთსაც არ წავიღებ.
ნუ მიწყრები, პატარავ,
სიყვარულის მწირსა;
სინანულად გექცევა
ის, რაც ეხლა გწყინსა.
ჩემი სიტყვის თუ გჯერა,
იას უთხარ ლექსი,

ՐՈՎԱ մեսացը ցածրությօն,
մուս շնա մշտուն.

— Կարցիա, პորզելագ ցւեսմուն, Շենո Շետե՞նյուլու Նռևոմի՞?

— Առա, Տաժմէ ցաշոցը ալծատ, — մոշակալութիւն տէքա Նռևոմի՞, զեր ցածրությա, Ռոմ ցույզա, Բիմուառ.

— Տաճ ցայցիծու, Ռովա դղյակ է პորզելագ օմլեր, ամուս Շեմջաց Շեյցուլու Հապճալու զուսաց ցոնճա, ամյամագ յու Նռևոմիս մոշակալու յը լոյցիուց դա Տոմունի՞! — Հասեցնես ցոշութիւն.

„Նապատաճնի՞“ Մուտամ տշալութիւն ցամուաճու մշտուն պահանջ պահանջանա ցաշոցիս կածունու կարես դա Տափու մուշչա. մանյանա Տէյցուալուրագ տաշալութարտնչ ոյս դայնեցնյուլու, Ռոմ դաշուրենիւն դայունուոյու. Ըստագորա դա Ռամունի՞ Հունու Բախցալութիւն Շեմջաց մրացմա մշտառի դասիցու. Ըստագորա ծրուցագորա ցածրություն մուշչա դա Այսանցնյուլ ցոշութան Տաչունու մայպես մանյանա.

— Ես, „Նապատաճնի՞“, Շենց նախոր-նախոր?! — Գամասեարացը ցածունու Տայեկնյուրնչ ցափումնյուլու Մուտա ցոշութիւն, — Ես, Տաժմէ առ Ամոցապուրկաց լուսուն վագանա!

— Լուսուն վագանա ոյս, Մուտամ օցու կարցագ Բախույնյուլունու էպամուռուն մինուլուտան շրտագ մուրտմբա, — Գանումա Մուտամ.

— Վաս! մանյանա Քարցա օցու դա օցու, Եթ լուսուն կամա Տաճա օւժավու ներդա՞ — Գանգուրցը ցոշութիւն.

— Տէքեն ցար տէքուտ դա մյու ու առ Յոյնեցուու, ցնախավուտ, Ռոշոր Բախցութագուտ ալաթանչ.

— Իս օմեդունագ արու, Ես Շաբա ալաթանչ Քցոնու տազո, առա Տչու կայ նապատիւն մայնինդու?

Մուտամ վալութիւն մասերունա ցուրու ալար առեռա, Տայեկնյուրութան Բախունիւն դա ցրմելու Տայամասակը ցայցու.

— Նռևոմի մուազ, Շեն այս Տար? ալաթանչ Նռմ առ մուճուսար?

— Կո, մոշուար.

— Մամոն Բամուու, ցածունու մերութան կարցագ ակալ.

Նռևոմի Բոնա մարցենա ցուտեցիւ դաշչա; Տայամենիւ կարցա ոյս ցամարույլու ծարա.

Ցոշութիւն կմայրուտ դակացը ազգուլցիւ.

— Բաշութա, դատեն մուց? — Քցուտես Մուտամ ծրուցագորս.

— Բաշութա! — ծրուան դատեն ծրուցագորմա.

Օս ոյս Մուտաս մանյանա շնճա դայմրա ազգուլութան, Ռոմ Եթոնցա- Կիւնչուտ դա մախուլու ցամույցու մատկը „Ցոշութիւն“.

- მაიცათ, მეც მოვდივარ! — ხელებს იქნევდა.
- დათებას მხრიდან მივიდა, კაბინის კარებთან.
- ალაზანზე მიდიხართ, დათებ?
- ჰო.
- მეც წამოვალ, ტომრების დანაკლისი მაქვს, იქ თქვენ ბრიგადაში იქნება ნამდვილად.
- შე დალოცვილო, ეშმაკებს ატანდი ტომრებით და ჩემ ბრიგადაში საიდან იქნება!
- რა ვიცი, კაცო, ტომრები რაღა გახდა, ეგ დალოცვილი, ნეშვი რომ ნემსია იმასაც ითხოვს ხარებაანთ გიორგი, მოიტაო.
- მაშ როგორ გვინია, კოლექტივის ქონებას გაფრთხილება უნდა, შვილისა, ყველა შენსავით პარიპარალე ხომ არ იქნება?!
- არა, მაინც წამოვალ, ვნახავ, იქნება იყოს რამე, — გადაწყვეტით თქვა „გველისებ“ და ძარისაკენ შეეტრიალდა.
- „გველისებ“, აბა ერთი მიაწექ, მანქანა არ იქოქება, უნდა დავაგოროთ, — კაბინიდან დაუძახა შოთამ.
- „გველისებ“ მანქანის გვერდს მხარი მისცა, მთელი ძალით მიაწვა, მაგრამ ძვრა ვერ უყო.
- არა ტოკდება, ეს ოხერი! — ხენეშით თქვა და შუბლზე მომდგარი ოფლი მოიწმინდა.
- კიდევ ცოტაცა და დაგორდება. — გამოსძახა შოთამ. „გველისებ“ კიდევ მიაწვა მონდომებით, მანქანა დაგორდა და ცოტა ზანში ათუხ-თუხდა ძრავი.
- ის იყო „გველისებ“ უკანა გვერდიდან ძარაში შედგა ფეხი, რომ ისევ ჩაქრა ძრავი.
- კიდე უნდა მოწოლა! — დაიძახა შოთამ.
- „გველისებ“ ისევ ჩავიდა დაბლა.
- ზოსიმეც წამოხტა ადგილიდან, კაბინის მხრიდან გადავიდა, საფეხურზე რომ დადგა, შოთამ შეაჩერა:
- ზოსიმე ძიავ, არ ჩახვიდე, ეხლავე დაიქოქება.
- „გველისებ“ მთელი ძალით მიაწვა, მანქანა უცებ გამოეცალა ხელიდან, დაგორდა და ძრავიც ამუშავდა, სიჩქარეს უმატა.
- მოიცათ! დაბლა დავრჩი! — ყვირილით გამოუდგა „გველისებ“.
- გამოუდექ, „გველისებ“, თუ დევწევი! — მიაძახა შოთამ და სიჩქარეს მოუმატა. „გველისებ“ მიხვდა, რომ გაამასხარავეს, გაბრაზებული გაჩერდა, ქუდი მოიხადა და დაბლა დაანარცხა.
- გააჩერე! — ფოლადის ხმით უბრძანა ზოსიმემ.

Ռոտամ մանյան նեղ-նեղա ցահիւրա, մշերովքեծ առա գյուղնեա.

— Հատա յին ը՞! — ցայնչպրա թուսոմե.

— Տողլուս Շուրծեղա ոյո, թուսոմե մոազ, Տա՛յոծմո հութեծ առ ցահուցինցծա.

— Շուրծեղա րոմ ոյո, ցալուամ զուցոտ, մաշրամ յեղա Շաբա Շայի ցուլուա դա առ ցակաժրեծ Շուելուս դաշերա! — թուսոմե օյց տացուս աջգոլնչյ մոտացածա.

Ռոտա մանյանուան համոեցա դա մախուլու դասի՛ցո:

— Խոճու, յ, խոճու! ցեղուուցուո, — „Ցայլուինչյ“ դամահեծ ցեղար ցածեա, առա դա օմուսո նամցուուո Տակելու մշոնո նատլուասաց ալար աեւուզա.

„Ցայլուինչյ“ շաբա ալար մուշեցուա, կոշկուոծա-կոշկուոծուո մուգուուա Տա՛յոծմուսայն.

Ռոտաս մանյան շրյուցուո մոյացա.

— Նեղա օարյ, նեղա! — Ծրուածածրու այրուեսուլեծա դատեա.

Տոկմա մուրատուս Շյեցեծ առ օւուու, րոշորու մուշոնցեծուու ցնուս օմ մեարյնչյ մուգուուա. առց արացյուրու Խալուեծուուա Շուն, Տանձասան շրյուց ցամոհնեցուուա, մաշու դատեա ռոմաց Տոյցեսի թլցյ ոհենդա.

— Ապա, Շյբ օցո, նեղա, Ծրուեսուլալ! ցաննչյ դասի՛ո, — Տոկմա դարու-ցեծա տացու աեւթրեծա.

Ռորս ծեցերու „Ցուս-5“ ցամոհնեա, Տվրացա մուգուուա, շաբա մժուրուս կորուանցելսա Ծրուուցա, Ռոտաս Տան մարցենուու, Տան մարչացնուու մոյացա մանյան, Շեմեցուու մանյանու մծուումա ռոմ յս դանասա, օցոյիրա, ալ-ծատ մուշրալուա, մանյան ցահիւրա, համուուու դա ցայրուու դագա, ռոմ ցայնշուուրունցին, նեղա այնիօ դա ցահիւրատ.

— Համուու դածլու! — Սուերա Ռոտաս.

Ռոմ դանասա Տաշուստան յս პատարա Տոկմա, ցայցարուա:

— Շյ լուուրուանո, ռոմ մուգուսար ցարուցարումո, Շյնո ցնա առ յն-դա օւուու, հիմեսանչյ ռոմ մուշուուտուո՞! — ցայցարանցա Ռոտաս.

Ամուս ցամշոնյ դատեա համոեցա մանյանուան դա մծուուս մոյշուրա ցյուրուուու:

— Շյն ցնա յոն մոշուրա, Շյ ցարուցանամուո? ցնաց ցալուասուա դա կա-լուու, մուշունչյ ալար առո կյերծու Տաշուտրեծ դա Շյն յոն Տար, հիմո ցնաառ, ռոմ օմանո, ցամուշեա Հալա անալու ցնուս մշմալույ, Եռու առ ցեմլեծա, ռոմել յեցանամու ցեռալու՞!

Մծուումա մերյեծ ասիւրիա, շաբա դասիսա, Շեմերա տացուս կածնամու դա Շեմինցելումա դամրա մանյան աջգուուան.

— ვერ ჩავუტარე კარგი ლექცია, გზა ჩემიაო, ე, ამის შემდეგაც მიისაკუთროს ხალხის ქონება, — ბუზღუნ-ბუზღუნით დაუბრუნდა თავის ადგილს დათება.

ზოსიმე გულიანად იცინოდა.

ბრიგადაში მოგვიანებით ჩავიდნენ.

— აბა, ცოტა შეისვნეთ და მემრე პირდაპირ ბოლო, კუთხის ნაკვეთში წადით, შუადღის შემდეგ კიდევ შეგეხმიანებით, შოთავ, შენჯობია ჩემთან წამოხვიდე, უკან მარტო ვერ გაგაგზავნი, საღამოზე სახლში წამსვლელი ვინმე იქნება, ბარებ ცოტაოდენი ხორბალიც გააყოლე, — დათება ისევ ჩაჯდა კაბინაში და მინდორში გასული ხალხის შემოსავლელად წავიდა.

გოგოება ბარგი საველე ბინაში შეიტანეს, თვითონ კი დიდი ცაცხვის ჩრდილში გაშალეს წამოღებული პურ-მარილი.

— პური ვჭამოთ და მემრე შევუდგეთ საქმეს, თორემ საღამომდის, ვინ იცის, შეიძლება აღარ მოგვიწიოს დასვენება, — თქვეს და მხიარულად შეუდგნენ სადილს.

ზოსიმეს ყველა თავის გვერდით ეპატიუებოდა. მხიარულობითა და კისკისით აიკლეს მინდორი.

— ვიშ, ქა, ეტყობა, ახალგაზრდები ჩამოვიდნენ, — გადასძახეს ერთმანეთს სიმინდის ყანაში მომუშავე ქალებმა.

— ზოსიმე, აბა, ერთი ჩვენ ხოსრო თაგმვადომარეზე ლექსი რომ იცი, ჩვენც გაგვაგებინე, გეხვეწებით! — სთხოვეს გოგოებმა.

— თქვენ იმდენს იზამთ, იქნება ბრიგადიდან მაახსნევინოთ ჩემი თავი, — ღიმილითა თქვა ზოსიმე.

— ნუ გეშინაან, შენისთანა ვაჟკაცებზე აქეთა აქვს სახვეწი, გაამნევეს გოგოებმა.

ზოსიმემ ჩონგური აახმიანა:

— დღე და ღამე არა გძინავს,

პატიოსნად ირჯები;

უბრალო ხარ, მართლის მთქმელი,

შენ არ გაიბრინები.

ფრონტის ბიჭებს რომ მიიღებ,

ჯაფა მაშინ მოგიწევს;

ქუდი ზოგჯერ მოიხადე,

როცა მაგრად მოგიჭერს.

გოგოების ხარხარმა მინდვრებს გადაუარა.

— ვიშ, ქა, რა დღეში არიან, ეგ გასაწყვეტლები! — ყანაში მომუ-

შავე ქალებს გული აღარ უდგებოდათ საქმეზე.

— ზოსიმე ჩამოსულა, ბრძა მეტონგურე, ეტყობა რაღაცას უმღერით და...

— წავიდეთ, ჩვენც მოვისმინოთ, არ გვეყო ამდენი შრომა? ამბობენ ყველაფერზე შეუძლიან ლექსის გამოთქმაო.

— ეგრეა, ეგრე, მაგრამ წასვლა არ იქნება, დათება დადის მანქანით, მაინც მოგვაპრუნებს უკან.

— ოხ, ეგ ყორნის კუდი, საიდანლა გამოტყვრა!

— არა უშავს რა, ზოსიმე დიდხანს დარჩება აქ, ჩვენც შევესწრებით მისი სიძლიერების მოსმენას, — საუბრობდნენ ქალები ყანაში.

ამასობაში ცაცჭვის ჩრდილის ქვეშ კი ზოსიმეს სხვებიც ეჯიბრებოდნენ ლექსების თხზვაში, კაფიაობა გაუმართათ.

— ზოსიმე, ვინ როგორი ვართ გვატყობ? — შეეკითხა ერთი თამაში გოგო.

ზოსიმემ ჩონგურზე დაამღერა:

თვალში სხივი რომ გამიქრა,

განა გულიც მოკვდა?

ნუთუ ჩემი სიყვარულის

ვარსკვლავი ცას მოსწყდა?

გოგოებო, სილამაზეს

მე თქვენს ხმაში ვწედავ,

მაგრამ რა, რომ ვერა ვწვდები

მთლად შემჭამა სევდაძ.

ამ დროს ერთმა გოგომ, რომლის ხმას ზოსიმე მაყვალასას ამს-გავსებდა, მიუმღერა:

თვალის ნათელი წაგაროვეს,

გულის ცეცხლი ვერ ჩაგიქრეს;

ანგელოზებმა დაგლოცეს

და სიყვარული ჩაგითქვეს.

ზოსიმემ მაყვალას სიახლოვე იგრძნო და ცეცხლი მოეკიდა.

ვახ, რა წამლად მომევლინე,

მე შენ ნათქვამს შავხარი;

გოგოვ, სახელი მაჩუქე,

მაგ ენაპირს შაქარი!

ქალებმა ერთად მიუმღერეს:

თვალდავსებულო ვაჟკაცო,

ჟანგი არ მოგეკიდება,

თამამადა თქვი სათქმელი,

ქალი არ მოგერიდება.

ზოსიმე:

მე კადნიერი არა ვარ,

რომ ვაჯირითო ფიქრები,

უღლის გამწევად ვინც მენდოს,

მისი ერთგული ვიქწები.

უკურნებელი სენი მჭირს,

ვის გავუხადო სათრევად,

მარტო ვიქწები დარჩენილ

დღეთა ჩინგურზე საოვლელად.

სიყვარული კი ვისიც მაქვს,

ამ დაჭრილ გულზე წერია;

უიმედობა ღადარზე

ათასჯერ უფრო მწველია.

მიმსგავსებული ხმა:

შენ დარდს ნუ ეჭმევინები,

გულში დატოვე ადგილი,

ვინც იქ დაიდებს ბინასა,

ბედნიერია ნაძღვილი.

ზოსიმე:

თუმცა უკუნეთ ბნელში ვარ,

არ მიჭირს თქვენი დანახვა,

ყველას გიკრეფავთ ყვავილებს

და გეფერებით ხანდახან.

ზოსიმემ მაყვალას მიმსგავსებული ხმის მისამართით ვერ გაბედა
ამის თქმა და ყველაზე გადაიტანა.

ქალები:

ბიჭო, ნუ გათამამდები,

ამდენში ერთი იქმარე,

დაუდგი ტრფობის კარავი,

ჩვენ გაწბილებას ვიმწარებთ.

ზოსიმე:

თქვენ გენაცვალეთ, ქალებო,

გამიქრეთ დარდის ყულაბა,

რომელს გუნდიგარ მითხრას, რომ

შავირგო როგორც მურაბა.

ქალები:

ადექი, ყველა აქა ვართ,
ჯანი და ღონე შენშია;
წაიყვა, შენად ჩათვალე,
ვინც რომ მაიგდო ხელშია.

ზოსიმე:

ამ უსასრულო მინდორზე
ჯეირანივით იქროლებთ,
გინდათ, რომ გმაპამპულოთ,
თქვენ დაგიჭერავთ ვითომ მე?

ქალები:

შენ ჯავრი წუ გაქვს, გამაგრდი,
უიმედობას შეეშვი,
ვისაც თავისად უნდიხარ,
თვითონ მოგივა ხელებში.

დათებას ხმაური შორიდან მოესმა, მობრუნდა და, რომ მიუახლოვ-
და, თვითონაც გალექსა დავალება:

ქალებო, მორჩით ყაყანი!
მზებ აიკეცა კალთები,
ვიცი, ჩაგვასწრებს მთის გაღმა,
სანამდე გაიმართებით.
ადექით! ერთი საქცევის
გათოხნას კიდევ მოასწრებთ,
ბევრი არ დაგვრჩა, საქმესაც
მალე კუთხეში მოვამწყვდევთ;
ადექით, დროზე, ქალებო,
ბევრი სიმინდი მოვა წელს!

ქალები:

არ დაგვაცადა გართობა,
დათა ყვავივით დაგვჩხავის,
თვითონ ფეხებს ძლიერ დაათრუვს,
ჩვენ გაგვიხუნა თავთავი.

ზოსიმე:

წადით, ქალებო, ყანაში,
მე კი სიმღერით გაგართობთ,
აქ ცაცხვის ჩრდილში დაერჩები,
საჭირდევე და სანავთო.

ქალებმა თოხები აიღეს, მაგრამ სანამ წავიდოდნენ, ზოსიმეს შემოეწვინენ ისევ.

— დათება ბრიგადირზე რამე იძლერე და წავალთ, თუ არა ადგილიდან არ დავიძრებით! — ულტიმატუმი წაუყენეს.

— ოღონდ ყანის გაუთოხაობას მე ნუ დამაბრალებენ და ჯანი გაკარდეს, ვიტყვი რაღაცას.

ზოსიმემ ჩორნგური ისევ აამეტყველა:

პე, დათება ბრიგადირო,
ქალებიღა დაგრჩენია,
ვაჟკაცებად დაგიტვირთავს,
ომს მოუკვდა გამჩენია!
შენც საბერეს მოუხრისარ,
წლებითა ხარ ნაცემია,
გასაჭირი რაც რომ გადგათ,
იმ დღეთაგან ნაწველია;
მაღვე ყველას ეშველება,
მტერი უფლის ნაწყევლია.

— შენ გაიხარე, ზოსიმე, არ მოიწყინო, მაღვე მოვბრუნდებით! — გოგოებმა ხელის ქნევით მიატოვეს ზოსიმე ცაცხევის ჩრდილში.

ზოსიმე მარტო დარჩა, მხოლოდ ცაცხვების ფოთლების შრიალი და ბეღურების ურიაშული ისმოდა. ცხელი ნიავი დათარეშობდა მინდორში.

ზოსიმემ ჩორნგური გამართა და, თავისთვის ფიქრებში წასულმა, დაბალ ხმაზე დაიწყო სიმღერა:

ვაი, რა მნელი ყოფილა
გამუდმებული ბინდი ცის,
რას ფიქრობს ბედის მწერალი,
აბა ამ ქვეწად ვინ იცის?!
გულს სიკვარული განაგებს,
სულს ბნელი შემოსევია,
სიცოცხლის არარაობა
მუდმივად შემომჩევია.
ჩორნგური ძმად გამიხდია,
წყვდიადსაც იმთ გაგართობ;
დარდს ახლოს არ გავიკარებ,
სიმების ქლერით გავაქრობ,
სატრფოს ბრძა თავს არ ვაკადრებ,

ზოლოდ სიძლერით გავათბობ...

ზოსიმეს სულ ახლოს მოესმა მსუბუქი ფეხის ხმა.

— რომელი ხარ? — იკითხა.

პასუხი არავის გაუცია.

სახესთან იგრძნო ქალის ნაზი სუნთქვა, მერე კი თბილი და ფაფუქი ტუჩების კოცნამ გააბრუა.

ზოსიმე უცებდ დაიბნა.

მოვარდნილი სისხლის ნაკადმა გულს ბაგა-ბუგი დააწყებინა.

მერე გაშალა მძლავრი ხელები, ქალს წელზე მოხვია და მეტდში ჩაიკრა.

— ვინა ხარ, გოგო? — ჩურჩულებდა ვნებით დამთვრალი ზოსიმე. უნდოდა ეკითხა, მაყვლა ზარო, მაგრამ ვერ გაბედა, იმის თქმას დაელოდა, გოგო კი ხმას არ იღებდა, იბრძოდა უხმოდ, უნდოდა გაშვებოდა, მაგრამ რას გაეშვებოდა.

— რომელი ხარ, გოგო, ნუ მამკალი, მითხარი შენი სახელი! — ზოსიმემ მარცხენა ხელი კისერზე მოხვია და მარჯვენა ყურის ძირში მოუთათუნა, ხელში ხალი მოხვდა, ელექტრონივით დაუარა ტანში ამის გაგებაშ.

— ისა ხარ, გოგოვ, ის, ვინც ჩემ სიცოცხლეს მირჩევნა, — ამო-ილურლუდა და ყურის ძირში აკოცა.

გოგომ ძალუმად გაიბრძოლა, ხელიდან გაეშვა და გაუჩინარდა.

ზოსიმე წამოდგა, მოძებნა სცადა, მაგრამ ამაოდ, ვერავითარი ხმაური ვერ მოხვდა მის სმენას. ისევ დაეშვა თავის ადგილზე და ღილინი და-იწყო, სვეროდა, რომ ის სულ ახლოს გაყუჩებული იყო და უსმენდა.

ნიავი იყო თუ თვითონ

ზეცის ღიმილი მესტუმრა,

გოგო, რა ცეცხლი შამინთე,

ვშიშობ, დავიწვა მე სრულად.

ხმა ამოიღე, გავიგო, რომელი გვარის შვილი ხარ,

არ შამატოვო ფიქრების ეს მწარე გასაჭირი ხვალ.

ჩემთვის ამ ბნელა უკუნში

შუქურ ვარსკვლავად ანთხხარ,

მაჩუქე შენი ტკბილი ხმა,

უთქმელად რატომ დადიხარ?!

ზოსიმე დადუმდა, გაყუჩდა და სმენად იქცა, ჩიტების ჟღურტული და ცაცხვის ფოთლების მრიალი ისმოდა მხოლოდ, მორიდან კი ქალების მხარული გადაძახილის ხმა ხვდებოდა სმენას.

- ეხ, ვიცი აქ სადღაცა ხარ, რადგან არა ჩნდები, მაშინ მე ვიტყვი
ჩემ სათქმელს, — ზოსიმე ისევ აიღო ჩონგური და სიძლერა დაიწყო:
- გოგოვ, ციდან მომევლინე,
გაზაფხულის ქარივით ხარ;
მოგეხვიო, ჩაგეხუტე,
ყურის ძირში ხალი ვიცან.
- უფალსა ვთხოვ, არ დაგპარგო,
მოიგონა ქალი ვინცა;
სალოცავად გაგიხადო,
მე სიცოცხლის ხალისს ვფიცავ!
- სამუდამო ბნელეთის გზა
ოცნებებით გამინათე,
გულის კვნესა მომაცილე,
გოგოვ, ხელი გამიმართე.
ჩონგური შენთვის ავწყე,
სიძლერას შენს კოცნას ვარქმევ,
თუ არ მნახავ, არ გამათბობ,
ამ სულს რაღა ჭირად ვათრევ.
გოგოვ, ციდან მომევლინე,
მაკოცე და მოკალ გული,
ეგ ტქბილი ხმაც გამაგონე,
სიყვარულით მოქარგული.

სიძლერა დაამთავრა, ჩონგური მიაგდო გვერდზე და ღრმად ამო-
იოხრა.

უცებ სულ ახლოდან ვიღაცა მოწყდა ადგილს და გაიქცა.

- ის იყო, ის, — ჩაიღლაპარაკა ზოსიმე, — ეტყობა ცაცხვს ამოფა-
რებული მისმენდა. — რაღაც არნახული სიხარული იგრძნო, ადგა და
თითქოს კველაფერს ხედავსო, მინდორში თამამად წავიდა, მიღიოდა
გულგაღელილი და თავის ბოლო სიძლერას მღეროდა.

გზაზე დათება ბრიგადირი შემოხვდა.

- საით გაგიწევნია, ზოსიმე? — ხმამაღლა შეეხმიანა შორიდან.
- შენი ნახვა მინდოდა, დათება ბრიგადირო, — რამე საქმე დამა-
ვალე, ოორებ ეგრე უსაქმოდ სახლშიც ხომ ვიჯექი.
- რაც გინდა, ის გააკეთე, ჩემო ზოსიმე, შვილო.
- კაცური საქმე გამომიჩინე რამე.
- აბა, როგორ გითხრა, ხვალ ახალი ბირნისთვის საძირკველის
გათხრის დაწყებას ვაპირებ, გამოხრელი კი არა მყავს, შენ შეძლებ?

- თქვენ მარტო მოხაზუთ და კანაფი გააბით, დედას უტირებ, ორ სამ დღეში ჩაგაბარებთ, — გაუხარდა ზოსიმეს.
- კიდევ რა გაქვთ გასაკეთებელი? ბინის აშენებაში ჩემი იმედი გქონდეს.
- ერთი კვირის წინ ბოძებისათვის ორმოების მოთხრა მინდოდა, ვერ მოვიცალე, მასალა კი უკვე მოტანილი გვაქვს, საყარაულო კოშკი უნდა დავდგათ.
- აგაშენა ღმერთმა, ეგაც ჩემი საქმეა, — კიდევ რა არის გასაგეთებელი? — არ კმაყოფილდებოდა ზოსიმე.
- კარგი კაცო, ჯერ ეს გავაკეთოთ და გზადაგზა კიდევ ბლომად გამოჩნდება.
- მე სიმინდის თოლნაც შემიძლია, აი ნახავ, ხუთი კაცის საქმე თუ რა გავაკეთო, სიმინდი უკვე გაზრდილია და აღარ შემეშლება, — იმედიანად თქვა ზოსიმე.
- ღმერთმა გაგახაროს, შვილო, ნეტა ყველა შენსავით მონდომებული იყოს, — გაიხარა დათებამ...
- შესალამოვდა. მთელი ბრიგადის ქალები გამოვიდნენ ნაკვეთებიდან და ბინაში შეერთვდნენ.
 - ზოსიმე სად არის? — იკითხეს გაკვივრებულებმა.
 - დათება ბრიგადირი და ის ახალი ბინის საძირკველსა გეგმავენ.
 - ოქროს მარჯვენა აქვს, მაგ დალიცვილს, იქნება მაგან მაინც გვაღირსოს ახალი ბინა.
 - ზოსიმე თუ მოიწადინა, არავის მოასვენებს და საქმეს ბოლომდის მიიყვანს.
 - აფხუსი არ არის, მაგას თვალის ჩინი არა აქვს?!
 - ნუ გეშინაა, ბევრ თვალებიანებზე კარგად ხედავს.
 - ამ ლაპარაკში იყვნენ ქალები, რომ დათება ბრიგადირი და ზოსიმეც მოვიდნენ.
 - ზოსიმეს გაუმარჯოს! — ახმაურდნენ ისინი, ვინც მოსვლისას ვერა ნახეს.
 - იცოცხლეთ, ქალებო, გაგიმარჯოთ!
 - ზოსიმე, ეგრე შეიძლება, შე კაი კაცო, ჩამოხვედი და მარტო იმ ეშმაკ ციკრიკელა გოგბისათვის მღერიხარ, ჩვენც მოგვასმენინე შენი სიძლერა.
 - შენ გაიხარე, დათებ, ვინა თქვა, ქალებო, დათება უჟმურიაო, ნახე, როგორ გამოასწორა ზოსიმეს მოსვლამ?
 - არ გამოსწორდება და ლექსი ზედა აქვს, რა გაუჭირდება თუ.

— დაწყნარდით ქალებო, დაწყნარდით, ერთი უკვე მოუსწრია, წელან იმ ახალგაზრდა რგოლის ეშმაკებმა გოგონებმა მახარეს, ნუ გეშინიათ, არც თქვენ მოგაკლებთ გალექსვას.

ქალებმა თავი წესრიგში მოიყვანეს, დაიბანეს, ივახშმეს, ახლა ვყელა ეზოში შეიკრიბა, ზოსიმე ჩაისვეს შუაში და მხიარული ზუმრობა გააჩაღეს.

— რას აკეთებდი, ზოსიმე, ცაცხვის ძირში რომ იჯექი? — კითხეს ახალგაზრდული რგოლის გოგოებმა.

— ჩემებინა გოგოებო და სიზმარი ვნახე.

— მოგვიყევი რა?

ზოსიმემ ჩონგური აიღო და დაამლერა:

ან დავიბადე ახლიდან,
ან აღსასრული მესტუმრა,
ან საკმეველი ვიყნოსე,
ან ამბროზია მესხურა;
სიცოცხლის სუნთქვა ვიზილე,
თუ იყო ტკბილი ზმანება,
ამბავს მოვყვები, მისმინეთ,
ახსნა ნუ დაგეზარებათ:
ფერია გამომეცხადა,
თვალთა ნათელი შემძინა,
ნეტავ არ გამღვიძებოდა,
სულ უსასრულოდ მეძინა;
აზრი ერთი მაქვს და ერთიც
მახლავს ფიქრი და მიზანი:
დამებინოს რომ მეორედ
ვიზილო მე ის სიზმარი.

ისევ იმ მიმსგავსებულმა სმამ უპასუხა:

სიზმარი ცხდად გექცევა,
თუ გაიხარე ძალიან,
ის ფერია კვლავ გიზილავს,
ახლა თუ არა სცალია;
რა იცი შენი ნათქვამით
რა სიხარული აჩუქე,
გნახავს, მოგირჩნს ჭრილობას
თუ კიდევ სადმე გაწუხებს.

ზოსიმე ახლა კი ყველაფერს მიხვდა და უფრო გულიანად აახმი-

ანა ჩონგური:

დღერთო, დიდება შენს სახელს!
 და ახდენილო ოცნებავ,
 ვიცი, ვიწამე, რომ მნახავს,
 უჩემოდ ალარ მოცდება.
 დარდები გადავიყარე,
 დროებით დამსვა მარტო მან,
 შორს არ წასულა, აյ არის
 მძღვლად მან ხალი დატოვა.

ქალები ერთხმად ახარხარდნენ.
— ზოსიმე, შენ ნამდვილად რომელიღაც გოგოზე ხარ შეყვარებული, ნეტავ თუ ის არის, რომელსაც შენ უყვარხარ, და ჩვენ კველამ ვიყით, გაკითხულო საქმე, შემოდგომაზე ქორწილს ვინ გაიქვევი.

— ქალები, ოღონდ ვინც მინდა იმან... — ზოსიმეს სიტყვა გაუწყდა. ცოტა ხანს ეგრე მდუმარედ დარჩა, — ოხ! — ხელი ჩაიქნია, — მე არავინ არ მინდა, თავს არავის გავუხდი ჭირად! — მოიღორუბლა და ჩონაური კულტურული დადო.

ქალებმა დაწყინარება დაუწყეს, მაგრამ ზოსიმე ხასიათზე ვეღარ მოვიდა. დაიკარგა მხიარული განწყობილება. ცოტა ხანს სიჩუმე ჩამოვარდა. საქმეში დათება ბრიგადირი ჩაერია:

— რა მოიწყენთ, ქალებო, სადაც ზოსიმეა, იქ მოწყენას რა უნდა?! თავის თავზე ჰქონია ამბავი გალექსილი, მოდი, ვთხოვოთ, ზოსიმეს მოვაკიყეს.

ქალები ისევ ახმაურდნენ.

— ზოსიმე, არ გეკადრება დანაღვლიანება, შენნაირ ვაჟების ეგ არ შეშვენის, ჩვენ, პირიქით, შენი იმედი გვაქვს და თუ ეგრე ყურები ჩამოყარე, რა გამოვა, იგრე დარდი და მწუხარება გვაკლია?

- სწორე ხართ, ქალებო, სწორე, ხანდახან მემერევა ხოლმე, ეს ოხერი ჯავრი და თავს ვეღარ ვერევი; ამიერიდან ეს აღარ მოხდება,
- ისევ ჩვეულებრივ მშიარულ ხასიათზე დადგა ზოსიმე.

— აა, ეგრე, მოგიხდა, ააა, ეხლა იმ შენი ამბავის შესახებ გვითხარი. — სოხუმის ქალებმა.

ზოსიმებ ჩამოჰკრა სიმებს ხელი, ცოტა ხანს აქდერდა ჩონგური, ჩაფიქრებული უგდებდა ყურს მის მელოდიას, მერე დაბალ ხმაზე გადაიყვანა დაკრა, თითქოს ჩერდებაო და გაბეჭდალდ დაიწყო სიძლორით ამბის თხრობა:

წუთისოფელს ვინ გაუგო,

როგორ არის მოქსოვილი,
 უბუღმართად აქვს ფიქრები
 და მიზნები მოწყობილი.
 რძედ არაგის შერგებია,
 ძუძუ მისი მოწოვილი,
 ცოტა თაფლი, ბევრი ცრემლი
 აქვს ცურებში მოწოლილა.
 ბოლოს ყველას გაუწილდეს
 იმისაგან მოთხოვნილი,
 მომისმინეთ თუ არ გჯერათ
 ამ ჩემ თავზე მოთხოვნილი:
 ალალი ბიჭი ვიყავი,
 ქიზიყის გულში გაზრდილი,
 მიყვარდა შრომა, მამული,
 მეჯავრებოდა ქადილი.
 მზე მხოლოდ ფხიზელს მიცნობდა,
 ვერ მნახა ჩაძინებული,
 ღიმილს ვჟანტავდი სხივებად,
 მოწყენა გაძვირებული.
 მძულდა ავი და ბოროტი
 ღალატით დამძიმებული,
 სხვის ნაოფლარზე გაზრდილი
 ორპირად გაცინებული.
 მქონდა ღამაზი ოცნება,
 მომავალს რწმენით ვუმზერდი,
 თვითონვე ვთხზავდი ლექსებს და
 ახალ ცხოვრებას ვუძღერდი.
 გულის სწორს შორით ვეტრფოდი,
 ვერ ვუბედავდი გამხელას,
 ის იყო ჩემი სიცოცხლე,
 დილით თვალების გახელა.
 კავკასიონზე შემომჯდარ
 მზეს გაოფლილი ვხვდებოდი,
 ძილს თავს არ ვაცემინებდი,
 დაწოლილ გვერდზე ვდგებოდი.
 მიყვარდა მართალი კაცი,
 მძულდა ფლიდი და მკვეხარა,

სიცოცხლით სავსე დღე მეღგა,
 მკერძოზე ვარდები მეყარა.
 ვაპირებდი, რომ სატრფოსთვის,
 გამენდო გულის ნადები,
 უტყუარ ერთგულებაში
 სინდისი მყავდა თავდები.
 ბედნიერების ბურანში
 ოცნების კოშკის ვაგებდი,
 ოჯახურ იდილიას კი
 ლამაზ ფიქრებში ვბადებდი.
 თურმე სხვა ბილიკს ვახვევდი
 ამ ჩემი ბედის სართავზე,
 ვაი რომ ბოროტება დუღს
 ზოგჯერ გრილსა და საღ თავზე.
 ადამიანთა სიძულვილს
 ადამიანი ქადაგებს,
 მოსპობს უამრავ სიცოცხლეს
 და შესაჭმელად ქადად დებს.
 სიცხეს გაუჩენს სამყაროს,
 ციებით შეაჟრიალებს;
 სულ უკან-უკან ატარებს
 და წინსვლას შეაგვიანებს.
 მგლის ჯიშის დაუნდობლობა
 ცხვრებზე ადრიდან ვიწამეთ,
 მაგრამ ისიც ვერ გააბნევს
 ამდენ ოხვრას და სიმწარეს.
 გამხეცებულ ადამიანს
 სისხლით მოურწყავს გუნება;
 მგელი სხვასა ჭამს, ის თვისას,
 სატანას ემსახურება.
 მე რომ ოცნებას ვძლანდავდი,
 ბედი ბრაზობდა, წყრებოდა;
 ევროპას ცეცხლი ეპიდა,
 ყოფნა-არყოფნა წყდებოდა.
 გაცოფებული ვანდალი
 სპობდა დიდსა და პატარას,
 ყბადაფჩენილი ღრიალით

სისხლის მდინარემ ატარა.
 მე ჯარში ვიყავ, ქვეყნის წინ,
 ვალს პატიოსნად ვიხდიდი,
 დრო ცოტა დამრჩა, სახლისკენ
 წამოსასვლელად ვიცდიდი.
 მწველი სურვილი თან მახლდა,
 სიცოცხლის სწორის ნახვისა,
 მას ჩემად ვთვლიდი და თვითონ
 ვასულდგმულებდი თავს მისად.
 არ დამაცადა წყეულმა,
 რომ სატრუთ კიდევ მენახა,
 დაგლიჯა ჩვენი საზღვრები
 და ოცნებებიც შელახა.
 ბევრი სიცოცხლე ჩააქრო,
 ტყვიას გულები შეახმა,
 იმ დღეთა უბედურება
 გაუჭირდება ენამ თქვას.
 მე იქ ვიყავი, როდესაც
 დინგი შემოყო ღობეში,
 ბევრი სახლ-კარი გასრისა,
 ვინც დარჩა, ეხლაც გოდებს წინ.
 ვიზილე ცოფი მუხთალი,
 გზას როგორ უბამს ხის ტვინსა,
 ვისმინე ცოდვის უღრიალი
 ტანტე დაკრული ხიშტისა.
 ვიყავით შაშხანით ხელში
 მათზე შეტევით მისული,
 ბევრი გავგზავნეთ მიწაში
 შემოსული მტრის სული.
 მაგრამ ლომგული ბიჭების
 დედაც მრავალგან ატირდა;
 იქო მსუსხავი გამოცდა,
 სამშობლოს ტყვია აწვიმდა.
 მოდგა ურიცხვი ლაშქარი,
 ღვარივით გადაგვიარა;
 რაც არ იკადრა ნადირმა,
 იკისრა ადამიანმა.

ითელებოდა მის ფეხქვეშ
მოხუცი, ბავშვი, მშობელი,
უდაბნოდ იქცა ქალაქი,
მთლაად აღიგავა სოფელი.
ბრძოლებით უკან ვიხევდით,
ომი მკვდრების ძნებს მთად დგამდა;
მტერი კვალდაკვალ მოგვდევდა
ქუსლებზე ფეხებს გვადგამდა.
ბოლოს მოგვიგდეს ალყაში,
ტანკების ძალით გაგვწირეს,
ბრძოლებში დაღლილ-დაჭრილნი
ხელში ჩაგვიგდეს, დაგვცინეს.
მახსოვს, დაკითხვა მომიწყო
ერთმა უნგრელმა კაპრალმა,
გერმანელობა იტვირთა
თავის ჯილაგზე გამწყრალმა.
კაპრალი
შენ რუსს არ გევხარ, ყმაწვილო,
რათ გახდი მათი დამცველი?!
გადაგიგდია სამშობლო,
წინაპარი და გამჩენი.
ზოსიმე
მე ქართველი ვარ, მისმინე,
გიჯობს სიმართლე ვაიგო,
რაც გამოფურთხე ამ წუთში
შენი პირითვე აიღო!
კაპრალი
ტყუილად ფიცხობ, ბეჩავო,
ტვინი გაქვს გალაყებული,
შენ უცხო ტომის მონა ხარ,
მათ სუფზე დანაყრებული.
ზოსიმე
შენ ქართველი ვერ გიცვნია,
მისი ფიქრები საით დის;
ჩვენ იდეალად ქცეულა
თავისუფლების რაინდი.
კაპრალი

ույ շրջ արօս, մա՛՛ ռոշեծն
յմիսանցոցիտ րադոմա?!
տպուռն ուսալոն տավմո վեա,
ճայ, ոռմոն մարդոմա.

Կոևմիյ
հվեն մթրած դաժոնմո զգետվոլեա,
ամոտ մոնենցից յրտո զգայվե,
զոնց շոլալանոն վմոնդա ոյուս,
զաօ, ցայնցրյը լմերտո մաս!

յաձրալո
Նեցա ենա ցայվե ճա Նեցա հյուլո,
րոյսէ բանո մուրմանցենենսար?!
ճայորացեծուլ մեռմրած
օմուս եարծ մովաս ելունդոսար.
շոչմո շնինեար, ցորա ցրմենծ,
մենոյմո եար սագոլած,
յելա ցոեմարցեն, եալու քո
ցամոցացուրտենց ազուլած;
դուս ձադյանոա, մերնմենյ,
մալու ցայցա նագորած.

Կոևմիյ
հվեն յրտո հնմենա զովամետ,
ճուզ ճա մուրյ առ զուցոտ,
տացունցոլոցիտ սաենելած
ելունդսաց յրտած ցացովածոտ.
Շյն շնցրյուլու եար, տացս օցուն,
րած ցերմանցոլոծ, առ զուր,
սամմոնծլու ցացուունուա,
ցակ, սորուխուունուսցան ճացոված!
հվենս լուցուն Շյն ցեր ցացեն,
նցասբոյցս իրուունու ճացոմլուս,
յելա ցալալցեն նյուլուն,
մալու նյուգարաս ցացոմլուս.

յաձրալո
Ցելուրու քացասուլուն,
տյեցեն եալեռնա զոնա տյեցե,
սաերիոնցելանց ցացակրաց,

ზვალე როგორც კი ინათებს.

ზოსიმე

მიტმასნებიხარ ვანდალებს,
ძველი კულტურის მძარცველებს,
რასაც ეგენი სჩადიან,
სრცხვილით მგელს ვერ აჩვენებ.
ველურს ვერ გაკადრებ, ვიცი, რომ
თქვენთვის ეგ სიტყვა ქებაა,
სკილა, კარიბდა, კერბერი,
წყეული სულის შვებაა.

თქვენგან სიკეთეს არ ველი,
ეს ქარგახანი ვიცი მე,
სახრჩობელაზეც, ჯალათო,
თქვენ გასაგმირად ვიცინებ.
კაპრალი

წყეულო მონავ, სასჯელი
შენივე სიტყვით თავს იდე,
აღსასრულისთვის გამზადდი,
უფალი ღმერთი ადიდე.

ზოსიმე

წაგიბილწიათ ზატი და
შეგირცხვენიათ ღმერთები,
თაგს არ იცოცხლებს არც ერთი,
თქვენ რომ კაცებად ეთვლებით.
კაპრალი

გაათრიეთ ეს თავზედი!
ჩვენს ძლიერებას ტალახს სცხობს,
ზვალე გავიყვან მინდორზე
და ჩემი ხელით დავახრჩობ.

ზოსიმე

იმავე ღამეს შევძელი
ტყვეებთან ერთად გაპარვა,
მე და კაპრალი ამჯერად
ბედმა დროებით გაგეყარა.
კვლავ შევუერთდი ჩვენ ჯარს და
გულს მოვაცილე ბარდი მე,
კაპრალს დავზერვაზე შევხდი

ზედმეტი სისხლი ვადინე.
 გულურასავით შეკრული
 ზურგით ვატარე დაჭრილი,
 უფროსს მივგვარე მოენედ
 თავსედობისგან დაცლილი.
 თურმე შეიქმნა ის ბოლოს
 ნათელი რწმენის მსურველი,
 ფაშისტის ტყავი გაიძრო,
 გახდა ნამდვილი უნგრელი...
 კიდევ ბრნბოლები, კვლავ ალყა,
 მტრის მარწუხების გარღვევა,
 თანამებრძოლთა სიკვდილი,
 წმინდა სიცოცხლის ამღვრევა.
 ზურგით ვატარე ცხედარი
 თანასოფლელი ვაჟკაცის,
 მწარე დღეებში დავმარხე,
 იმისგან წსნილად თავსა ვთვლი.
 ჩემზე მოსული ტანკისტი
 ზუსტი გასროლით მოცელა,
 ვაი, რომ ვერა ვუშველა,
 მისი სიკვდილის მოწმე ვარ.
 ბრძოლა გასწორდა, მომხდურმაც
 მაგარი მუშტი იგემა,
 რაც ადრე ჩვენ დაგვაწია,
 ბოლოს მას თვითონ ირგებდა.
 ვერეკებოდით, გარბოდა,
 სისხლიან ნატარს ტვოებდა,
 დღეს გაგვასწრებდა, ხვალე კი
 განკითხვას თვისას ჰპოვებდა.
 ბელორუსიას ეუწიე
 შურისბიების წადილით;
 ორმოცდაოთხში მეწვია
 უბედურება ნამდვილი:
 პატარა ქალაქს ვუტევდით,
 იყო სროლა და ზანზარი,
 მიწა კვნესოდა, ბორგავდა,
 სისხლით და ხორცით მაძღარი.

ფრთხილად მივდივარ, მტერს ვექბა,
 ავნესით გათანგულ მინდორზე,
 ვიხილე, დანაღმულ ველზე
 ქალი და ბავშვი მირბოდნენ.
 ომში მეომრის სიკვდილი
 კანონია და წესია,
 იმ საბრალოთა დანახვა
 ელდის დეპეშად მეწვია.
 გავიქეცი, რომ ორივე
 ნაღმისგან გადამერჩინა,
 საწყლების ცოდვის დანახვას
 დადარზე შეწვა მერჩია.
 ქალი დავაგდე მიწაზე,
 ბავშვიც ვისროლე ავ სულად;
 წინ ავეთარე ორივეს,
 მაშინ იელვა კაფსულმა.
 ნაღმმა იჭექა და ცეცხლიც
 შემომრჩა მზერის სახსოვრად,
 დაგეპარგე თვალთა ნათელი,
 სიცოცხლეს შევრჩი მათხოვრად.
 ერთ თვეს სიკვდილის ტყვე ვიყავ,
 დაგლეჯილი და მჭლე ღონზე,
 ის დედაშვილი მივლიდნენ,
 სანამ მოვედი მე გონზე.
 სიცოცხლეს შერჩა ყვავილი,
 ახლად გაშლილი, ნათელი,
 რომ არ მეშველა მე მათვის,
 კაცად არ ვიყავ სათქმელი.
 მარტო იმასა ვწივივარ,
 სიკვდილმა რად მიმატოვა!
 ტანჯვად მიქცია სიცოცხლე,
 მუდმივ ბნელეთში მარტო ვარ.
 სანამ ვიქნები, ვეცდები,
 ვაკეთო შეგძლო მე რაცა;
 დავლოცავ დიდს და პატარას,
 არ შეეღებოთ ბნელად ცა.
 რაც კი ლექსები ავაწყე,

ბოროტთა წყენად მითქვია,
სიბნელე როგორ გამტეხავს,
რწმენის ქარები მიქრიან.
ომში ვიარე ერთგულად,
ბევრი წვალება მოვსვი მე,
დღეს კი სიკეთეს უმღერის
ხალხის ბრძა შვილი ზოსიმე.

ამბის თხრობა დაამთავრა, ჩონგურს საბოლოოდ ამოკრა ხელი, გვერდით დაიდო და გაირჩნდა. მსმენელები სიტყვის თქმას ვერ ახერხექდნენ, ისხდნენ გაჩუმებულები და ზოსიმეს მონაყოლის შთაბეჭდილების ტყვეობისათვის ვერ დაეღწიათ თავი.

— ყოჩაღ, შვილო ზოსიმე. პირდაპირ გასაკვირია, ამდენს როგორ ახერხებ, შენ ცველა ჩვენგანზე კარგა ხედავ და კარგაცა გრძნობ; გაიხარე, შვილო, გაიხარე! ნუ დაღონდები, შენ ქალი რაში მოგერიდება, სოფლის ნაქები ვაჟუაცი ხარ, აარჩიე, რომელიც გინდა, — დათებამ გასათხოვარ გოგოებს გადახედა.

— არჩეულიცა ყავს და ქორწილზეც დაგვპატიჟებს შემოდგომაზე,
— ახმაურდნენ ქალები.

ყომარბაზები

„კობრა“ იღა საღამოთი ნასვამი მივიდა სახლში. შებინდებული იყო, ცოლი ეზოში ტრიალებდა.

— მოდი, დედაკაცო, ერთი გეგეთამაშო, — იღამ ხელები მოხვია და ბილწი ფათური დაუწყო.

— რასა შვრები, კაცო, გაგიჟდი?!
— ვა, როდის აქეთ განდი, ეგეთი მორიდებული? ხომ არ გინდა სახრით აგიჭრელო ზურგი.

— მაიცა, კაცო, სუსველანი სახლში არიან, გოგო-ბიჭები, შენი დეიდაშვილი ელენე აქ არი, დღეს მოვიდა, ერთი კვირა აპირებს დარჩენას ჩვენთან, ხორბლის ყიდვა უნდა და იქნება იღა დამეხმაროსო.

— მე რა უნდა დევებმარო რა, წავიდეს ბაზარში და იყიდოს.
— იყიდის, კაცო, მაგრამ წალება ხო უნდა, თელავიდან ჩამოვიდა ქალი, იქნება შენ გადაუტანო, ცოდოა, საწყალი ქვრივად დარჩა, ოთხი შვილი ყავს, რჩენა უჭირს.

— მე რა ვქნა, რა მე გავაჩენინე თუ.
— რას ამბობ, კაცო, აგრემც გავერები! ეგ როგორ ამოგივიდა პირიდან, დეიდაშვილი მაინც არ იყოს!

- რაო, რამდენი მინდაო?
- სულ ოთხი ფუტის ფული აქვს, ძალიან უჭირთ, ბავშვები ნახევარზე მშიგრები მყვანანო საწყალმა; იღავ, ხორბლით სავსე გვაქვს მარანი, ავდგეთ და ერთი ხუთი ტომარა გავატანოთ, მაღლია, კაცო, სხვა ხომ არ არის, შენიანია.
- ხომ არ გაგიყდი?! გავატანო განა ლილახნობაა, მე მუქთად არავის არაფერს არ მივცემ.
- კაცო, სხვაც არა იყოს რა, ტილმა და თაგვმა შეჭამა, იმდენია, გეღარც კი ვუვლით, გაფუჭებას მიცემა არა სჯობია?!?
- ეგ რას მაძლევს?! რომ ჩემებულია ცარიელი.
- თავისთვის რა აქვს საცოდაეს, შენ რა უნდა მოგცეს, იქნება საწყალს ძალზე რომ გაუჭირდა, იმიტომაც მოვიდა, იღა დამეხმარებაო.
- დევეხმარები მე მაგასა, წადი, ლოგინი გამიშალე!
- არა ნახავ, კაცო?!
- ვნახავ არა, ახლა კიდე!
- ვიშ, ქა, ეგეთი უჯიგრო ადამიანი არ მინახია! — ქალი ნაწყენი გაბრუნდა.
- ჯიგარს გაჩენებ მე შენ, კარგა ხანია სახრე აღარ მოგხვედრია და ეტყობა ზურგი აგქავდა! — შეუღრინა იღამ.
- შუაღამე გადასული იყო, იღას რომ გაეღვიძა.
- გძინაგს, დედაკაცო? — ჰეთხა ცოლს.
- არა, ეხლა დავწექი, ამდენი საქმე ძლივს მოვათავე.
- საქმე შენც ეხლა, მთელი ქიზიყის მინდვრები გაქვს საყარაულო ჩემსავით.
- რა ვქნა, შენ წვრილმანი გეჩვენება, მე კი მთელი დღე მუხლის ჩახვრა არ ვიცი.
- მე გეუბნები არ ჩახარო მეთქი?
- კაცო, რატომ აგრე ლაპარაკობ, საქმეა და არ გავაკეთო? ამდენი რამე გვაქვს.
- რომა გვაქვს ვისი ბიჭობაა? აბა მე არ ვიყო.
- ვინ გეუბნება, შენი დამსახურება არ არისო, კარგი მომნაგრეხარ, მაგრამ ცოტა გაჭირვებულ ნათესავებსაც რომ დაეხმარო, რა უჭირს შენ მაინც იმდენი გაქვს რომ...
- აბა, აბა! ზღვა კოვზით დალეულაო, ხომ გაგიგონია.
- რა იქნება, კაცო, იმ საწყალ ელენეს ხუთიოდე ტომარა ხორბალი მივცეთ, თუნდაც სესხებით, ცხოვრება სიკეთისაკენ იცვლება, მალე თავზესაყრელი იქნება ყველაფერი, აი, მაშინ ჩაგვასესხოს.
- რა ჭკვიანი ხარ! ძვირობაში წაიღოს და იაფობაში ჩაგვასესხოს არა?
- ეხ, რას გეხვეწები, შენ ხომ ვერ გაგავებინებ!

- რა იქნა, არ წავიდა?
- სად წავა, ხვალ ბოლბისხევის ბაზარზე უნდა წავიდეს, ხორბლის საყიდლად.
- აბა, მაშ სად არის?
- აქ ხომ არ იქნება, კაცო, მეორე სართულზე, ბაღჩის მხარეზე, ცალკე ოთახში გაფუფინე ლოგინი.
- ვა, პატივი კი არ მოგიკლია.
- სტუმარია, კაცო, მარაში ხომ არ დავაძინებდი.
- კარგი, კარგი! დაიძინე, მე გავალ ცხენს მიუხედავ და მემრე პირდაპირ მინდორში უნდა წავიდე, ბევრი საქმე მაქვს.
- არა ნახავ, კაცო?
- რა ნახვა უნდა, ღმერთი გიშველის.
- ილავ, ერთ ტომარას მაინც გავატან.
- აბა, აბა, თავი ხომ არ მოგბერებია! — შეუღლრინა და გარეთ გავიდა.

ცოტა ხანს ეზოში იტრიალა, ცხენს ქერი დაუყარა, შემოიარა ყველა კუთხე-კუნჭული, მერე ისევ ოთახში შევიდა; ცოლს ღრმა ძილით ეძინა.

ფრთხილად გამოვიდა და მეორე სართულზე ფეხაკრეფით ავიდა. ოთახის კარი უხმაუროდ შეაღო და ელექტრისტან შევიდა.

მშენიერი ქალი იყო ელექტრი, ეტყობა, დასცხა ზეწარი გადაეძრო და პერანგის ამარას ეძინა.

შიშველი, საგაე მკერდი სუნთქვის დროს ენებიანად აუდ-ჩამოუდი-ოდა, ილამ საწოლთან ჩაიმუხლა და მკერდზე ხელი აუსვა. ელექტ უცებ გამოეღვიძა, ვერ მიხვდა, რა მოხდა.

— ოხ, ილავ, შენა ხარ? — ინსტინქტურად მოძებნა ზეწარი და დაიფარა.

— ჰო, გვიან მოვედი და ვნახო-მეთქი, რა კარგი გამხდარხარ, გოგო.

— ეხ, რაც მე გაჭირვება მაქვს, ან ესეთი როგორა ვარ.

— ნუ გეშინა, არაფერს გაგიჭირვებ, შენ მე გამიგონე! — ილამ ზეწარი გადაუწია და მკერდზე მოუცაცუნა ხელები.

— რას შერები! გაგიჟდი?! — გაუბრაზდა ელექტ.

— სუ, ნუ გეშინან, არავინ გაგებს, — ილამ ელექტ საწოლზე მიაცურა, გვერდზე მიუწვა და ლოშვნა დაუწყო.

ელექტ ახლა კი საბოლოოდ მიხვდა მის ვერაგობას, მუ ვეფხვივით გაიძრმოლა, ილა იატაგზე გადმოაგდო, წამოხტა და რაც ძალა და ღონე ქონდა, ცემა დაუწყო. ცხვირპირიდან სისხლი ადინა.

— ჩუ, არავინ გაიგოს! — ეხვეწებოდა ილა.

— გაიგოს კი არა, რომ შემძელოს აქვე სულს დაგალევინებდი,

შე ბინძურო და გარეწარო! – ელენემ ერთი კიდევ გაუტყლაშუა სახეში თავისი შრომისაგან დაქორებული სილა და დაუეუილი იღა კინწისკვრით გააგდო ოთახიდან.

კიბეზე რომ ჩაირპინა, მეუღლე თავისი ოთახის კარებთან იყო მიყუჟული და ხელში შვინდის ჯონით ელოდებოდა. „ერთი მოვიდეს, ეგ გათახსირებული, ან მოგლავ, ან შევაკვდები და საბოლოოდ დავისვენება!“ – ფიქრობდა ქალი.

ილას კი იქითაც არ მოუწედია, თავლიდან გამოიყვანა ცხენი, შეჯ-და და მინდვრისკენ გააჭერა.

არ გასულა ნახვარი საათი, ელენემ კიბეზე ჩამოიარა და ალაყა-ფის კარებისაკენ გაემართა. ილას ცოლი გადაუდგა წინ.

– სად მიხვალ, ქალო, ჯერ არ გათენებულა, ვისთან უნდა მიხ-ვიდე!

– ვისთან მიმესვლება, როცა საკუთარმა დეიდაშვილმა არ მიმიღო.

– რა ქნა, ელენე, არ მეტყვი, წადი ხორბალს არ მოგცემო?

– ხორბალი კი არა, ბილწია, მრუში, უსინდისო და უხსენებელია, სახელიც სწორი შეურქმევია ხალხს.

– ვაი, მამიკვდეს თავიით!!! – სახე ჩამოიკაწრა ილას ცოლმა. – არ მინდა არა, მაგასთან მე აღარ ვიცხოვრებ! არ წახვიდე, ელენე, ერთი ურემთი ხორბალი უნდა გაგატანო.

– არ მინდა თქვენი ერთი მარცვალიც, უნამუსობით და ავაზაკო-ბით ექნება შეძენილი. შენ კი მაგის ხელში ან კობრად უნდა იქცე, ან არა და მაგ კეთილი გულის ადამიანს აუცილებლად დაგესლავს!

– ელენეს უკან აღარ მოუხედია, ისე გავიდა ეზოდან...

„ხოლერა“ სიკმ შუადღემდე არ მოისვენა, ტყეში შემოპარულებს ეძებდა. შემოღომა იყო და ხალხი ზამთრისთვის შეშას იმარაგებდა. სიკას იმედი ჰქონდა, რომ გვარიანად მოითბობდა ხელს. შეარჩია კარ-გი ადგილები, სადაც დააჭრევინებდა კლიენტებს, მაგრამ, როგორც ევონა ისე არ მოხდა, მასთან წინასწარ სავაჭროდ არავინ მივიდა, ალაზნის ჭალაში გადმოვრდნილი წყლისაგან გამხმარი ტყეს გა-კაფვა გადაწყვიტეს და ხალხს ბილეთით უფლება მისცეს შეშა დაემზადებინა. ახლა ის დრო აღარ იყო, ბავშვები და ქალები მისი ტყიდან ზურგით რომ ეზიდებოდნენ კონებით შეშას, სიკა კი ცეცხლს ანთებდა მათ და იმავე ცეცხლზე თბებოდა. სოფლებში მამაკაცები მომრავლდნენ, ურმებით, ორთვალებით, ავტომობილებით ეზიდებოდ-ნენ ალაზნიდან მნელად დასამზადებელ სქელ მორებს, მის ტყეს კი სტუმარი ძალის შეუთხელდა. სიკა ნემსის ყუნწში ძვრებოდა, რომ ალაზნის ტყეში გადაეყვანათ ტყისმცველად, უფროსებიც პირდებოდ-ნენ, მაგრამ ამ შემოღომაზეც თავის ძველ ადგილზე დარჩა და ბოლ-მისაგან იხრჩობოდა.

— ადრე ფიჩისითვის ან ვენახის ამოსაყენებლისთვის მაინც მოდიოდნენ, ეხლა რა ღმერთი გაუწყრათ, პირი შეკრეს თუ რა არის! — ლვარძლიანად ლაპარაკობდა თავისთვის.

შიმშილმა შეაწუხა. იმედოვნებდა, ტყეში ვინმეს გადაეყრებოდა და მადიანად მოულხნდა; ყველასა ქონდა ხოლმე მეტყევესთან შეხვედრის შემთხვევამი, კარგი საგზალი გამზადებული.

— არ მომკლეს შიმშილით, შობელმაღლებმა?! — დუდუნებდა სიკა.

შუადღე გადავიდა, თავისი დაცვის ობიექტი სულ შემოიარა, მაგრამ საკილო კერაფერი ნახა.

— გაწყვეტა თქვენი! — იწყევლებოდა და გაჯავრებული ცხენს დეზებს ურტყამდა.

ჩორთით გავიდა პატარა ღელის პირას. აქედან უკვე სხვისი ზონა იწყებითდა. „ნეტი იქით როგორა აქვთ საქმე?“ — გაიფიქრა და გაღმა გადავიდა; საურმე გზას მიყვა.

— ოპო, ახალი ნატარია, ფორანი უნდა იყოს, — თვლების კვალი კარგად დაათვალიერა.

სიღრმეში შევიდა. ცულის კაკუნი მოესმა.

— აკი ვერ გიპოვნიდით, გამოგიჭირეთ?! — გაუხარდა და ცხენი ააჩქარა.

პატარა მწვანიანზე ფორანი იდგა, იქვე ორი ცხენი ბალახობდა. სიკა ცხენიდან ჩამოგიდა, ალვირი აყარა, საბალახოდ გაუშვა და იქავე ჩამოჯდა. არავით ჩანდა. გაცხოველებით მუშაობდნენ. „ორნი ჩანან“, — ცულის კაკუნზე დაასკვნა სიკამ.

კუჭმა ისევ შეახსენა თავი, წვა იგრძნო. ფორნის ძირში ჩაიხედა, ხურჯინის ყურიდან ახლადგამომცხვარი შოთის პურები ამოჩრილიყნენ, იქვე სველი დოქი იდგა, „ეტყობა დვინოა“, — გაიფიქრა. დოქს სიმინდის ფურების საცობი მოხადა, დვინის სუნმა სასიამოვნოდ შეულიტინა ცხვირში. ვეღარ მოითმინა, მიიყედა და კარგა ხანს სვა. მშიერზე უცებდაურბინა დვინომ ძარღვებში, გამოაცოცხლა. შოთს წვერი შეატეხა, გაგბია „ალბათ ყველიც ექნებათ“. მეორე ყურში ჩაყო ხელი, მოხარშული ქათმი წამოედო ხელზე, სასწრაფოდ ამოიღო და ბარკალი მეჯიანად შეახლია, ისე ჭამდა, სულმოუთქმელად დალეჭვასაც ვერ ასწრებდა; ხელად გაათავა, დვინო მოუწნდა, დოქს გადმოიღო, მოიყედა, ახლა ძარაში აღარ ჩადგა, გვერდით მოიდგა; ხურჯინიც გადმოიღო და იქვე მწვანეზე ამოალაგა შიგთავსი. სამი მოხარშული დედალი, ბლომად ცხვრის ყველი, მოხარშული ღორის შაშხი, შემოდგომის სქელკანიანი დაშაქრული პამიდორი, ბოლოვკი, მწვანილი, ახლადგამომცხვარი შოთის პურები და მოზრდილი დოქსთ დვინო.

— აი, პურ-მარილი მესმის! — სიკამ ხელები დაიკაბიწა და თავის გაწყობილ სუფრას მიუჯდა, დედალს მეორე ბარკალმენჯიც შეახლი-

ჩა. — ვახ, ეტყობა მარილი დაავიწყდათ! აბა, ერთი ვნახოთ, ხურჯინის ყურში ძირამდე ჩაყო ხელი, ბოთლი მოხვდა, ჩარექიანი ბორჯომის ბოთლი ჭაჭის არყით იყო სავსე. სიკამ დაანჯღრია. — ჯაჭვი გაიკეთა ბიჭო, ეტყობა ორნახადია, — ეგრევე მოიყუდა, გულმუცელი დაეწვა, — უჰ! ცეცხლი ყოფილა, არაყი კი არა! — სასწრაფოდ ღვინით გაიგრილა ჩათუთქული ჯიგარი.

— მარილი მაინც ვერ ვნახე, — ისევ ჩაყო ხელი. პატარა ხის კოლოფი და ქვაბი მოძებნა, ამოილო ორივე, ხაშლამა და მარილი! — ტაში შემოკრა სიკამ.

— ეხლა კი არის ნამდვილი მეფური პურმარლი! — ხელები სიამოვნებით მოიფშვნიტა და გაწყობილ სუფრას მიუჯდა.

ტყეში შეუსვენებლად აკაკუნებდნენ.

კოტები და დათება ბრიგადირმა შეშის დაშადება დაამთავრეს, ცოტა შეისვენეს, ქარი ამოილეს.

— აბა, ეხლა გავზიდოთ, დაუდოთ ფორანზე და შებინდებამდე მოვასწროთ ბრიგადიმდის მისვლა, — დათება ბრიგადირმა გრძელი შეშების კონა ამოიდო იღლიაში და ფორნისაკენ გასწია, მასავით დატვირთული უკან მიყვა კოტე.

სიკა კარგა შეზარხოშებული იყო, თავზე რომ დაადგნენ. ერთი დედალი უკვე ძვლებზე დაეყვანა, ახლა მეორის ბარკალს ისე ეთამაშებოდა, როგორც გამძლარი კატა დაჭერილ თაგვს.

— რომელი ხარ კაცო?! — გაკვირვებით კითხა დათებამ.

— რომელი ვარ? ვრას მცნობთ? ამ ტყის ბეგი და ბატონ-პატრონი სიკა არ გაგიონიათ? — ენის ბორიტკით თქვა დაუბატიშებელმა სტუმარმა.

— ო, „ხოლერ“, შენა ხარ? ველარ გიცნი, რა წვერი მოგიშვია, ვინმე ხომ არ მოგიკვდა? — დამცინავად კითხა დათებამ.

— მომიკვდა აბა, რა არი, მთელი დღე დავდივარ ტყვეში და თქვენს მეტი ვერავინა ვნახე, ეს საქმეა?!?

— საქმეა მაშ რაა, შენც მაგიტო არა ხარ, რომ ტყეში არავინ შაიპაროს?

— თუ არ მოვლენ, ის დალოცვილები, მე რით ვიცხოვრო? ეგრე რომ გაგრძელდეს, მშიერი მოკვდები.

— შენ რა, სახელმწიფო ხელფასს არ გაძლევს? — გაიკვირვა დათებამ.

— შენც ერთი, მთვარიდან ჩამოფრენილი ხომ არა ხარ, ხელფასზე ნაცხოვრები კაცი ვინა ნახა!

— რა ვიცი, აბობენ, ჯამაგირით ვინცა ცხოვრობს, მსუქნად არიანო, მე კოლექტივი შრომადლენებს მიწერავს, მთავრობის ჯამაგირის გემო არ ვიცი, — თავი მოიმიამიტა დათებამ.

— ჯამაგირის გემოს გაიგებ და ნოყიური საჭმლისას კიდევ დაკარ-

გავ, სულს ვერ შეინარჩუნებ სულს, თუ სხვა რამე საკბილო არ მოძებნე. დღეს შენ მამცემ რაც დაგიჭრია იმისას, ხვალე სხვა და ეგრე გავალოთ იოლას, შენ შეშის შაირგებ, მეც პატარა ხელს მოვინაცვლებ; თორებ ამ ტყეში შეშის მოჭრა კატეგორიულად აკრძალულია.

— შეშის მოჭრა აკრძალულია, ყარაული კი იმიტომ დაუყენეს, რომ გაყიდოს, რაღაც მცირე ხელფასი აქვს და ხელი მოითბოს? — გაეცინ დათებას.

ამასობაში კოტე მუშაობდა, მთელი დაჭრილი შეშა ფორანთან მოაგროვა და ისიც იქვე გაჩერდა.

— შენ რომელი ხარ?! რაღაც ვერა გცნობ! — სიკამ თვალებმოჭუტულმა შეხედა.

— სამაგიეროდ მე კარგადა გცნობ! — ცივად უპასუხა კოტემ.

— მიცნობ, აბა, მაშ როგორ, თქვენ ამდენი ხართ და მე ერთი, ყველასა გვირდებით. დასხედით, თქვენც გატეხეთ თთო ლუქმა, — სიკამ როიგე მიიპატიუა სუფრაზე.

— ჭამე, ჭამე, ჩვენ გვეჩარება, საღამომდე ბრიგადაში უნდა ვიყოთ, მანამდე დავუდებთ, — უპასუხა დათებამ და ფორანზე შეშის დაწყობას შეუდგა.

— ეგრე ქენით, ეგრე ჯობია, საქმეს წინ წაიგდებთ, — თქვა სიკამ და დოქი მოიყედა.

სანამ დათება და კოტე ფორანზე შეშას უდებდნენ, სიკას ქეიფი არ შეუწყვეტია, როცა თოკები გადაუჭირეს და ცხენების შებმა დაიწყეს, სიკა სლოკინით ადგა, თავისი ცხენი მოიყვანა, ნარჩენების ალაგება დაიწყო.

— თქვენ მაიც სახლში მიდიხართ, ამას მე ჩავიყრი, იქნება ვინმე დამშეულს გედევეყარო, სიკას თანხმობისთვის არც დაუცდია, ქათამნახვარი, ხაშლამა, მწვანილი, ყველი და ნახევარი ბოთლი არაყი თავისი ხურჯინის თვალში ვადაბარგა, დოქს უტრიალა, — ამასაც წავიღებ, — თქვა და ხურჯინში ჩასაღებად ასწია.

კოტემ და დათებამ ერთმანეთს გაკვირვებულებმა გადახედეს.

— ეგ დოქი გვჭირდება, წყლისთვისა გვაქვს, ღვინო თუ გინდა, გადაისხი რამები, — ბრაზნარევი კილოთი უთხრა კოტემ.

— თქვენ სხვასაც იშოვთ, არ შეეპუა სიკა და დოქი ხურჯინის მეორე თვალში ჩაიდგა.

— შენ რა მასხარად გვიგდებ, თუ თვალში გეცოტავებით! გეუბნები, დოქი გვჭირდება-მეთქი! — გაბრაზდა კოტე.

— დოქი კი არა, შეშის ფული გამოუშვით! მე ბევრი ლოდინის დრო არა მაქვს.

— შენ შეშა ვინ მოგცა, ფულს რომ თხოულობ?! — მოთმინების ფიალა აევსო დათებას.

— ტყეც ჩემია და შეშაც, თუ ძალიან გააჭირებთ საქმეს, ერთ ღერ-საც არ გაგატანო! დაგილალამკე და ორივეს სატყეოში მიგრეკამთ.

— ეტყობა ეს ჩვენი ღვინო შეწზე არამია, ძალიან გაწყინა, ჩამოდ-გი ეხლავე დოქი დაბლა! — შეუტია კოტებ.

— ფული გამოუშვით, თორებ აქცს შეგიყენებთ! — დაიმუქრა სიკა.

— ვისი დაცვის ტყეც არის, იმ მეტყვევებ გამოგვიშვა, შენ საიო კუდილლია ხარ! იმას არც ფული უთხოვთ და არც შენსავით უნამუ-სოდ არ გამომძლარა სხვის ლუკმაზე.

სიკა ცოტა შეყოვნდა, რამდენი ხანია ამ ტყეში შესვლის უფლება აუკრძალა ზონის მეტყვევმ.

— იმან რომ არ გამოგართვათ, მე მითხრა, ნაცნობები არიან, მე-რიდება, ფული ვთხოვო და გამამაგზავნა, შენ გამაართვიო, ეხლა გაიგეთ?

კოტებ და დათამ ერთმანეთს გადახედეს.

— ის ერთი იყო ნამუსიკანი, კაცო, და თუ ისიც ეგრე წახდა, აღარა ყოფილა თქვენი საშველი.

— თქვენ ნამუსიანიათ თქვით, აბა, ისა ღვერავს ხალხს, თორებ მე რა მიჭირს.

— დღემდე არ გაგვიგონია ცრუ და მავნე ყველა იმისი კმაყოფილი იყო, შენი შსგავსი უნამუსო რომ ეყოლება გვერდზე, გაფუჭდება, მაშ რა მოუვა.

— ვინა? ლაზარეა პატიოსანი? — გაიკვირა სიკამ.

— ჰო, ეგრე იცის ქეყუნამ, შენსავით ქრიი-ოხრებსა და ბავშ-ვებს ტყავს კი არ აძრობს, ვისაც ტყეში ურმით დაიჭერს ხოლმე უნებართვოდ, ვინც ყველაზე გაჭირვებულება არიან, ჯერ იმათონ გაატანს შეშას ჩამოსარიგებლად, მეტრე კი აღარც თავისთვის ეტყვის უარს, რადგან გაჭირვებულებს დახმარა, ფულის გამორთმევა ლაზა-რე მეტყვესაგან პირველად ეხლა გავიგეთ.

— გაიგეთ და გამოუშვით კიდეც, მაგ ზღაპრების ლაი-ლაის შეეშ-ვით, ლაზარეზე ხარბი მეტყვევე ამ შხარეში არ არის. მე კი ქერივ-ობ-ლების დახმარების მეტი არაფერი გამიკეთებია, ის თქვენი სოფლელი ბრძაც იმიტომ მიმეტყეპინა, რომ ორი საცოდავი ბიჭი დაჭირნა და შეშის წართმევას უპირებდა.

კოტებს სისხლი აუგარდა თავში. — მაგრამ ავუჭრელე ბეჭები მათ-რახით, ზერგზე ორი კონა ავკიდე და ვუთხარი, ამ ბალლებს სახლამ-დის მიუტა, თორებ ცოცხალი არ გადამირჩები-მეთქი.

— მიუტნა?

— არ მიუტანდა და სიკას სად წაუვიდოდა, გაგიხარია, სულ ძუ-ლით წაიღო, ბოდიშებიც იხადა.

— იცნობ შენ იმ ბრძას?

- ვიცნობ რომელია, ხომ გეუბნებით, ჩემი შიშით ეხლაც კანკალებს.
- იმის მამას თუ იცნობ.
- ერთი იმის მამის ყველაფერიც! – სამსართულიანი გინება დააყოლა სიკაბ.
- მე ვარ იმის მამა, შენი ყველაფერი და შენი ამ ტყეში ჩამოტესლებელიც! – კოტემ ვეღარ მოითმინა და სიკას ისეთი მაგარი სილაგააწნა, ბალახებში კოჭურივით გააგორა.
- სიკა ძლივს წამოდგა, ცხვირიდან და ტუჩებიდან სისხლი ჩამოსდომიდა.

კოტე სახრით იწევდა, მაგრამ დათება იჭერდა.

- არამი იყოს ჩერი პურ-მარილი მაგ გველის გალაყებული თესლიდნ გამოჩეკილზე! გამიშვი, უნდა გადავუყარო ყველაფერი! – ყვიროდა კოტე, დათება ძლივს აკაგებდა.

სიკა ცხენთან მივიდა, ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოილო და პირის მოწმენდა დაიწყო.

- თქვენი თავისთვის თუ კარგი გინდათ, ფული გამოუშვით, თორემ სამართალში ამოგაყოფინებთ თავს! – დაიმუქრა.
- მაგ არაკაცისაგან ყველაფერია მოსალოდნელი, – თქვა დათებამ. ჯიბეში ხელი ჩაიყო და ერთი წითელი სამთუმნიანი აძლილო.
- ხეხთფუჟ! – დააფურთხა და სიკას გადაუგდო.

სიკამ აიღო, ფურთხი მოწმინდა და დინჯად დააყოლა: – ეს არ ეყოფა, ერთი ამნაირი კიდევ უნდა.

- უნამუსო ვირზე შესვეს, ნეტა ერთი გამაჭენაო, ამ არამზადის საქმეც ეგრეა, – დათებამ მეორე სამთუმნიანი აძლილო, კიდევ დააფურთხა, ის იყო სიკასთვის უნდა გადაეგდო, რომ კოტემ გამოსტაცა ხელიდან, – მაიტა აქ, – უთხრა და ორჯერ გვარიანად დააფურთხა,

– ეს მეორე წინა სამთუმნიანზე რომ გამომრჩა, იმისა იყოს, – და როგორც აბეზარ ძალლს ხორცის ნაჭერი, ისე მიუგდო სიკას ფული.

– ეხლა საითაც გინდათ, იქით წადით! – სიკამ ფული აიღო, გაწმინდა და ჯიბეში შეინახა.

- ვაა! ეგეთი გათახსირებული კაცი ჩემ დღეში არ მინახავს! – გაიკვირა კოტემ, სახრე მოიმარჯვა და ცხენები გარეკა...

– რა მალე მორჩენილხართ, – ტყიდან გამოსულებს ცხენზე ამხედრებული ლაზარე შემოხვდათ, – ვიფიქრე, მივალ, მივეხმარები, არ გაუჭირდეთ-მეთქი.

- მალე კი არა, ლაზარე, რაც შენი დავალებით იმ „ხოლერამ“ დღე დაგვაყენა ნეტა შემაზე სულ არ გვეფიქრა.

– რაო? დავალებითო? რა „ხოლერა“ რის „ხოლერა“, ხალხო, ერთი წესიერად ამიხსენით რაშია საქე? – გაიკვირა ლაზარემ.

- დათებამ დაწვრილებით մოუყვა რაც გადახდათ.
- სად არის?! — ხმის კანკალით օკითხა ლაზარემ.
 - არ გინდა, ლაზარე, ჩემებანაც მოხვდა, ეყოფა.
 - სად არის, მითხარით, სანამ ჭკუიდან არ გადავსულგარ! — იღ-რიალა ლაზარემ.
 - იქავე დაგტოვეთ, ალბათ უკან მოგვდევს.

ლაზარემ თავგამეტებით გააჭენა ცხენი ტყიսაკენ.

- აბა, კოტე, მიაბრუნე ფორანი, მივემველოთ, თორემ რაღაც უბედურება დატრიალდება, — უთხრა დათებამ კოტეს და ლაზარეს თვალი გააყოლა...

შებინძებული იყო. სოფელში შემოდგომის ცივი ნიავი დაწანწალებდა. ხალხი სახლებისაკენ იჩქაროდა, თითო ორոლა ნახირს ჩამორჩენილი ძრისა ღობის ძირებში ბალახის ძებნით აუჩქარებლად მიდიოდა ბინისაკენ, ეტყობოდა, რომ იქ ხბო არ ელოდებოდათ, გულგრილად იყნენ. ისმოდა საძებნად გამოსული პატრონების ძახილი და ძრახობა.

სოფლის ბოლოს ჩადგმულ ხის პატარა სატყეო სახლის აივანზე ორნი ისხდნენ, მაგიდაზე ერთი ბოთლი ღვიძო და ცოტა მისატანებელი ეწყოთ, დალევას არა ჩქარობდნენ; ისე ծեղლოდა, ერთმანეთის დანახვა უჭირდათ, ლამპას მაინც არ ანთებდნენ.

- სად დაიგარება, კაცო, მთელი დღე ვერ მოვახერხე იმის დაჭერა, რა აირია ქვეყანა, ყველა იღრინება, იმუქრება, იმ კრიკალივით მოხრილმა მებაღემ „ოვხრა“ ქვია თუ ოხრობა, კინაღამ თოვი დამცა, გათახსირებული ხარ ჩემ ტერიტორიაზე ფეხი არ დადგაო. ერთი კი ვიფიქრე, მოდი აქავე მივახრო-მეოქი, მაგრამ ხალხი ირეოდა და მოვითმინე, თუ იგეთ ადგილზე გეღღეყმრები კი, ცოცხალს არ გავუშვებ, სულს გავაფრთხობინებ; პატიოსანის სახელი აქვს სოფელში, რაც ზედ აცვია იმის მეტი არა აბადია რა, უპატრონობა, იგრე მიძაღლდება, კაცის შვილი არ იქნება მაგისი მოქითხავი.

— შენი ამბავი რომ ვიცი, თუ გულში ჩაიდე, შეუსრულებელს არ გაუშვებ, ის ურჩევნია, ოხვრაა თუ რაღაცა პანაშეიდი წინასწარ გადაიხადოს, — ცხენივით ახვი ხვინდა მეორე.

- კიდევ დიდხანს ველოდოთ? — იკითხა პირველმა.
- ვიყოთ აქ, რა გვეჩერება, სანამ კარგად არ დაბნელდება, ეპლესისკენ მაინც ვერ წავალთ და ჩვენც ვისხდეთ აქ, — დინჯად უპასუხა მეორემ.

ვიღაცა ცხენოსანი მიადგა მეტყევის სახლს, ცხენი აიგნის სვეტზე მიაბა და უნდიღილ ნაბიჯით, კოჭლობით, ავიდა კიბეზე.

- რომლები ხართ? — ծեղლში მსხდომნი რომ დაინახა, ხმამაღლა იკითხა.

— ნუ გეშინიან, „ხოლურ“, „კობრა“, „კობრა“, — დროულად

შეეხმიანა დამხცური, თორემ სიკა უკან გაბრუნებას აპირებდა.

— ბნელაში რას უსხედხართ, ხალხო!

— ოთახი დაკეტილი იყო, ლამპა კიღევ არა გვაქვს.

— ე, კარები გადარაზულია, უჯრა კიღევ კელაპტრებით სავსე მაქვს. რა შენ პირველად ხარ თუ, — უსაყვედურა სიკამ.

ოთახში შევიდა, კელაპტარი აანთო და მაგიდაზე დადგმულ ჭიქა-ში ჩაყუდა.

— გაიცანი, ყომარის ოსტატი, ფუმფლობის რისკა, — გააცნო ილამ მეორე სტუმარი, — თელავიდან არის გასტროლებზე ჩამოსული.

— „მაჟალო“, — ამაყადა თქვა თავისი სახელი უცნობმა ხელის ჩამორთმევის დროს.

სიკა დაუინებით დააკვირდა, გაბრტყელებულ სახეზე მიტყლაპნილი ცხვირი დიდი ნესტრობით, წინ წამოწეული შუბლი და სადღაც სიღრმეში ხშირ წარბების ქვეშ ჩამამლული თვალები ბოროტად ციმ-ციმებდნენ. „აბა, ეს იქნება ღვთისაგან მოძულებული, აი“, — გაიფიქრა სიკმ და დაჯდა.

— შენი სიფათი არ მომწონს, სადმე მკლავი ხომ არ გაშალე? — ჰკითხა ილამ.

— გავშალე და როგორ, ორნი დავიჭირე, ტყეში შეშასა ჭრიდნენ, კაი პურ-მარილი ქონდათ, სულ მშრალზე დავსვი, ფულიც დავაყრევინე, მათ შორის ერთი, მეფორნე, იმ ბრმა მეჩინგურის მამა ყოფილიყო, მაგრამ ის შობელძალი მეტყველე ლაზარე მამვარდა, მოკვლას მიპირებდა, ჩემი ზონა იყო, შენ რათ გამართვი ფულიო, ის ორნიც უკან გემეეყოლებინა თუ გამიჭირდეს, დემებმარეთო. გიყვარდეს მე იმას დღე ვაყარე მათრახით, მაგრამ ორნიც მიეშველნენ და თითო ოროლა მეც მამხვდა, პურმარილი აქ მამქონდა, მაგრამ იმ ჩხუბში ხურჯინანად დავგარგე.

— ფული ხომ არ დაკარგე, ფული.

— არა, მაგრამ სულ ნაკურ-ნაკურ დაიფლითა, ჯიბეში გდებისაგან.

— ჯიბეში გდებით როდის იყო, რომ ფული იფლითებოდა?!

— ეტყობა იმ გათახსირებულ ლაზარეს ხელი მოუხვდა და... — სიკა დაიბნა.

— ეტყობა, ეტყობა, — ყველაფერს მიუხვდა ილა.

— მე რაღაც-რაღაცები მაქვს წამოღებული, ისა ვჭამოთ და მემრე წავიდეთ ეკლესიაში.

— ეგრე აჯობებს, — კვერი დაუკრა „მაჟალომ“...

ეკლესის ჩრდილოეთ კედელთან მოეწყვნენ.

— ამაზე მუდრო ადგილი მთელ ქვენიერებაზე არ იქნება, — სიამოგნებით თქვა ილამ.

— ამ სოფელში არავინ გვჭვს ჩვნი ამფსონი? — იკითხა „მაჟალომ“.

— ეხ, არა კაცო, ძალიან უვარვისი და გაუტანელი ზალხია, ერთი კარგი ბიჭი გვყავდა, საწყობის გამგე „გველიზე“, მაგრამ იგრე აიძულეს, საწყობიდან გამააგდეს, ეხლა თოხი უჭირავს და ბრიგადაში უბაგუნებს, ძლივს ჩავითრიეთ თამაშში, მაგრამ შიშით ჩვენსკენ ვეღარ იყურება.

— ჰმ, არ არის კარგი! — მრავალმნიშვნელოვნად თქვა „მაჟალომ“ და შერჩეულ ადგილზე თათარი მლოცველივით მოიკეცა.

გათენება მოახლოვდა, სოფელში მამლების ყივილი გახშირდა. მოთამაშები კი ისე იყვნენ აზარტში შესულები, ვერაფერსა გრძნობდნენ. ბარძავებზე ხელის დაკვრით ხორცები დაილილავეს.

„კობრას“ ბედი უღიძოდა, ორივეს გააძრო რაც ქონდათ.

„მაჟალო“ თამაშიდან გაგიდა.

„ხოლერა“ ვერ ისვენებდა, აზარტს აეტანა, მზად იყო სული დაეგირავებინა ეშმაკთან, ოღონდ ეთამაშა და მოეგო.

— მაიტა, კიდევ გავაგოროთ! — მოითხოვა მორიგი წაგების შემდეგ.

— რაზე მეთამაშები, აღარაფერი დაგრჩა და.

— რაზეც გინდა, ოღონდ მეთამაშე!

— რაზე ვეთამაშო, „მაჟალო“?

— აბა, მე რა ვიცი, რა აქვს.

— ჰა, რას გაიძეტებ?

— ყველაფერს, ოღონდ მეთამაშე, — სურვილისაგან კანკალებდა „ხოლერა“.

— შენ ხომ იცი, ეს კაცი ვინ არის! — ხელი გაიშვირა „კობრამ“ „მაჟალოსაკენ“, — უფროულოების რისხვაა, არ შეასრულებ და საკუთარი თავით აგებ პასუხს.

— ეგრეა, აბა, სხვანაირად რომ იყოს, რაზე ავდგებოდი თამაშიდან, წავალ, რასაც ვიშოვი ერთ ხუთ დღეში დავბრუნდები და ნალდზე გავაგრძელოთ.

— ვინც დაპირებულს არ შეასრულებს, რა მოუწევს? — გამიზნულად შეექითხა „კობრა“.

— რა და აი, ეს! — „მაჟალომ“ მოკლე ხანჯალი ამოაძრო უბიდან და რბილ მიწაში ჩაარჭო. — მე ვიქნები თუ სხვა, ვინც წაგებულს არ გაანაღდებს, სიკვდილი! — ეგეთია ჩვენი წესი.

— გაიგე? — მიუბრუნდა „კობრა“ „ხოლერას“.

— გავიგე, რა, უბირო როდის ვიყავი! თქვი, რაზეც გინდა გეთამაშები, სამ დღეში თუ წავაგე მიიღებ, მეტი რა ვქნა?!?

— კარგი! — ადგილზე შესწორდა „კობრა“.

— რაზე ვითამაშებო?

— კლიტენმესტრაზე.

— როგორ თუ კლიტენმესტრაზე? — გაუკვირდა „ხოლერას“.

- როგორ და იგრე, თუ მოვიგე, ერთი დამით დამითმობ.
- ოხ, შენი დედა!.. – ხოლერა ყელში სწვდა „კობრას“. „მაჟალომზ“ ძლივს გაშველათ.
- რას მეჩხუბები, კაცო, – თავი იძართლა „კობრამ“, – თვითონ შემიჩნდა, რაზეც გინდა შეთამაშეო, მეც უთხარი, არ უნდა და ნუ უნდა, მე რა ვაძალებ?!
„ხოლერა“ ფერწასული იჯდა, რაღაცა წინათვრმნობა კარნახობდა, მიდი, ნუ გეშინია, მოიგებო.
– კარგი, გთამაშოთ! – უცებ გადაწყვიტა.
– პირი პირია, „მაჟალომ“, იცოდე, თუ წააგო კლიტენმესტრა ამ სამ დღეში უნდა ჩამაბაროს.
– ვერ ეღირსები მაგას! – დაიყვირა „ხოლერამ“.
– გესმის? – მიუბრუნდა „კობრა“ „მაჟალოს“.
– აბა, „ხოლერ“, გამტყუნება არ იყოს! – წაისისინა „მაჟალომ“.
– ვერ ეღირსება იმიტომ, რომ ვერ მოიგოს.
– მაიტა ზარები! – დაიყვირა „ხოლერამ“...
უკვე მტრედისფრად ინათა, სამივენი რომ წამოიშალნენ, „ხოლერას“ ადამიანის ფერი აღარ ედო.
– წვალზევით კლიტენმესტრას მინდორში ბინაში მომიყვან, ჩემს გარდა არავინ იქნება, დილით ისევ გაგატან, – ბოროტი ღიმილით უთხრა „კობრამ“.
– ოხ, შენი! – მიიწია „ხოლერამ“.
– აბა, ეხლა, ევეოტები არ იყოს, წააგე და შეასრულე კიდევ! – შუბლი შეიკრა „კობრამ“.
– ხუთ დღეში გესტუმრებით, მეემზადეთ, – გააფრთხილა „მაჟალომზ“ და ფერდობზე დაეშვა.
– ჩვენ რა გამზადება გვინდა, ჩამოხვალ და გაგპარსავთ, ცოტა ბლომად წამაიღე, ხშირ-ხშირად რომ არ იარო, – დამცნავად მიაყოლა „კობრამ“.
– ვნახოთ, ვნახოთ! სულ ეგრე არ იგალებ, – დაუბრუნა ხურდა „მაჟალომზ“ და გახშირებულ ბუჩქებს მიეფარა...
ბნელოდა, შეშით დატვირთული ფორანი ბრიგადაში რომ მივიდა. ქალებს უკვე ემინათ თავიანთ ოთახებში, ზოსიმე შეეგება მოსულებს, იმთ ხელი არ გააქნევინა, სულ თვითონ დაცალა და შენობის კუთხეში დააწყო.
დათებამ ლამპა აანთო და სუფრის გაშლას შეუდგა.
– ვივახშმოთ და მემრე დავიძინოთ, თორებ დღეს ლუკმა არ ჩაგვიდვია პირში, იმ დასაქცევმა „ხოლერამ“ რა პურმარილი ჩაგვიძრა, კაცო!
– ჩვენ თავს ვინა ჩივის, ლაზარესთან მინდოდა ერთი ლუკმა გაგ-

ვეტეხა, როგორ მოიწამლა პატიოსანი კაცი!

ამ ლაპარაკში იყვნენ დათება და კოტე, ზოსიმემაც ფორნის დაც-ლა დაამთავრა და შეუერთდა მათ.

— მიდი, კოტე, ამააღაგე იმ დასაქცევი „ხოლერას“ ხურჯინიდან რაც გადარჩა, — უთხრა დათებამ.

— „ხოლერას“ ხურჯინი რათ გინდათ, დღეს ქალებმა კარგი საჭ-მელი მომზადეს, თქვენთვის შენახული არის, — ზოსიმემ კარადა გამოხსნა და ლობიოს ქვაბი გადმოიღო, — გაცივდებოდა, მაგრამ არა უშავს, გემრიელია, ცალკე კირკაჟია მომზადებული, კარგი პამიდორის მწინილი და ღვინოც არის.

— აბა, თქვენა ყოფილხართ თავადებივით, — გაიხარა დათებამ.

— კოტემ მაინც შემოათრია ხურჯინი და ამოალაგა ის, რაც „ხო-ლერას“ გადაურჩა.

— მაგ ხურჯინიდან ვერაფერს ვერ დავადებ პირს, ბინძური კაცის ხელში ნაჭერია, — თქვა დათებამ.

— არც მე მიმდის გული, მაგრამ შემეცოდა გზაში გადასაყრელად, ეს დოქიც სულ დააბინძურა იმ შობელძალლმა, დორდლიანი ტუჩებით პირდაპირ მოიყენებდა ხოლმე.

— არაფერი არ არის საჭირო, თქვენთვის გამზადებული ღვინო აგერ არის, — ზოსიმემ სავსე ხელადა დაღვა მაგიდაზე.

სამივე დასხდნენ. დათება და კოტე მადინად შეექცეოდნენ. ზოსი-მემ ჭიქები მოძებნა და ღვინით შეავსო.

— ამ სასმისით ლაზარეს გაუმარჯოს! — ჭიქა ასწია დათებამ.

— გაუმარჯოს! გაუმრჯოს! — მართლა რომ კაცური კაცი ყოფი-ლა, მაინც რა დღე დააყენა იმ არსახსენებელს კაცო, ჩვენ რომ არ მიგვესწრო, მოკლამდა ალბათ. ხურჯინი წაართვა, ფული დაუხია და გადაუყარა, დახრჩიბას უპირებდა და შეესრულებდა კიდეც.

— შენ ეგა თქვი, პურის ჭამაზე უარი რომ გვითხრა! რახან ამ გათახსირებულის ხელში ჩაგაგდეთ, პურის ჭამის ღირსი არა ვარო, ხურჯინი უკან დამიბრუნეთ, როცა ვნახავ, დანარჩენ მეტყველებთან ერთად უნდა დავჭრა და თავზე დავყაროო.

— კაცი ყოფილა, ძმაო, კაცი, რასაც მაგაზე ადამიანობას ლაპარა-კობენ, სულ მართალი ყოფილა.

სამივემ გამოცალა ლაზარე მეტყვევის სადღეგრძელო.

კიდევ კარგა ხანს ისაუბრეს, ის ხელადა სულ დალიეს და დასა-ძინებლად დაწვნენ.

დილით ზოსიმე მამას სახლში გაყვა.

— დიდი ხნით არ დამტოვო, ზოსიმე! ხომ იცი, უშენოდ ბრიგადა-ში მუშაობას მაღლი არა აქვს, მეც ნახევარი ბრიგადირი ვარ შენ თუ გვერდით არ მიღეხარ, — დაუბარა დათებამ, — ერთი კვირა დაისვენ

და შემეტებმიანე.

- შეიძლება უფრო ადრეც, არ მიგატოვებ, ნუ გეშინია!
- ცოტა ხანს გაანებე თავი, დათებ, უნდა დავნიშნო ბიჭი, სარძლოც კარგი ვიშოვნე და მეტი რაღა მინდა, საქორწილო ღვინო უკვე მომარაგებული მაქს; ერთი ჩვენებურად უნდა მოვილხინოთ, — მხიარული ღიმილით უთხრა კოტებ.

— აბა, ჰა, ოღონდ ეგ საქმე გადაწყვიტეთ და ამ სიბერეში მაყრობა უნდა ვიკისრო.

- იქნება! იქნება! — მიაძახა კოტებ და ცხენები გარეპა...

„კობრა“ იღა მთელი დღე ვერ ისვპენებდა, საღამოთი „მაჟალო“ უნდა ჩამოსულიყო, ერთი სული ჰქონდა შეხვედროდა და კიდევ გაეძრო ტყავი. „ხოლერა“ სიკას ინტერესი აღარა ჰქონდა, როგორც იყო ხომ ჩაიგდო კლიტენმესტრა ხელში. ის ღმევ გაახსენდა „ხოლერაშ“ მოტყუებით რომ მიუყვანა მინდორში და მიუგდო, ტუჩები ხარბად მოილოკა.

— ეხლაც რომ იყოს, უარს არ ვიტყოდი, — ჩაილაპარაკა, — ვნახოთ, თუ კარგად წავიდა საქმე, ერთხელ კიდევ მოუუგებ, მეტრე კი „ხოლერას“ გარეშე თვითონ ქალი დამიწყებს ძებნას, — დააწყო გეგმები „კობრამ“.

„ოხერა“ ვანოს ჯავრი ჰქონდა. „უპატრონოა, რომ მივახრჩო და საღმე ღობის ძირში მივაგდო, კაცის შეილი არ იქნება მაგის მომკითხავი, მგლები იგრე შეჭამენ, ვერც გაიგებენ ვინ იყო“, — ფიქრობდა „კობრა“ და ვანოს ნაბაღარს მგელიგეშვდ შორიახლოს უტრიალებდა. უნდოდა, მომენტი ენახა და ანგარიში გაესწორებინა, მთელი ზაფხული ისე გავიდა, მისი ბაღიდან ერთი საზამთრო რა არის, არ იცის, პირიქით, რამდენიმეჯერ თოფით გამოუვარდა, აქ ახლოს მოსული არა გნახო, თორებ დაგცემი; სხვა მებაღეებმა კი აავსეს, როცა სურვილი ჰქონდა შედიოდა, კრევდა, თანაც იმათი ყველა შავი საქმეები იცოდა, ღამ-ღამიბით ვისი ტრანსპორტით აგზავნიდნენ ნაპარავ საზამთროს და წილში უდგბოდათ; ვანოს კი რას დააკლებდა, როცა ერთსაც არავის არ გაატანდა უკუღმართად, პირიქით, თავისთვისაც კი ენანებოდა, რომ შეეჭამა, ზედ დაკანკალებდა ბაღს და ხალხისათვის არა ზოგავდა.

— რა ბაღი ჰქონდა, ავ თვალს არ ენახვებოდა, როგორ დამსვა მშრალზე, მაგ შობელდაღლმა! — კბილებში გამოსცრა „კობრამ“.

მთელი დღე ვანო ნაკვეთში მუშაობდა, ასუფთავებდა, სასუქის შესატანად ამზადებდა, ჩქარობდა, რომ მოხვნა მოესწროთ.

შესაღამოვდა. თავისი ჯოხი გაიდო ზურგზე, გადაჰყიდა ზედ ხელები და წელში კითხვისნიშანივით მოხრილი ქოხისაგნ წავიდა. ამ დროს უკანიდან ვიღაცა ცხენოსანი წამოეწია.

— რომელი ხარ? — იკითხა ვანომ, მთელი დღე შრომისაგან დაღლილს ჯოხის ჩამოლება და წელში გასწორება დაეზარა, ნელა მიდიოდა მიწამდე თავდახრილი.

ცხენოსანი ჩამოქვეითდა, უცებ სტაცა ჯოხს ხელი, გამოაძრო ზედ გადაკიდებული ზელებიდან.

— ვინა ხარ, შე ოხერო?! — სცადა ვანომ წელში გამართვა, თავი ასწია მაღლა.

მის წინ ჯოხშემართული და საზარლად დაღრეჯილი „კობრა“ იდგა.

— უხ! შე უხსენებელო! — წამოიძახა და „კობრაზე“ მიიწია.

— ესეც შენ, ხალხისათვის თავდადებულო მათხოვარო! — გამეტებით მოუქნია ჯოხი.

ვანომ თავის მორიდება სცადა, საფეთქელში დამიზნებული ჯოხი თავში მოხვდა და უგონოდ ჩაიკეცა. გახეთქილი თავიდან სისხლმა იჩქევა.

— ესეც შენ! — „კობრამ“ მეორედ ზურგში დაარტყა ჯოხი, ცხენს შეაჯდა და მეტყევის სახლისაკენ გააჭინა.

„ხოლერა“ სიკა, „მაჟალო“ და ერთი მისი მხლებელი ბიჭი უკვე კარგა ხანი ელოდებოდნენ.

„კობრა“ ჯოხის კაკუნით ავიდა აივაზზე, „ხოლერა“ განზე გაიხმო და ჯოხი აჩვენა. — ერთი სოფლის დარდი უკვე გავაგზავნე მარილზე, გინდა გამყოლად ის მეჩონგურე მივაყოლოთ? — თან ვანოს ჯოხი აჩვენა.

— თუ იმის ჯავრს ამოვიყრი, მაგას რა ჯობია, მაგრამ მანამდე შენ უნდა გადაგიხადო სამაგიერო.

— რა გინდა კლიტენმესტრაზე კიდევ უნდა მეთამაშო? — ჩემგან რას მოითხოვ?

— შენი დაგვაჯული ცოლი, გზაზე რომ ეგდოს ზედ არ შავხედამ, მე ვიცი, რაც უნდა მოვითხოვო!

— აბა, აბა, ზედმეტი არ მოგივიდეს, თორემ!

— თორემს მოგცემ მე! — ვალში არ დარჩა „ხოლერა“.

ეკლესიის ჩრდილოეთის კედელთან ახლა ოთხნი ისხდნენ. „მაჟალოს“ მხლებელი ბიჭი თამაშში მონაწილეობას არ ღებულობდა, ის, ეტყობა, თანამგრძნობად იყო წამოყვანილი.

შუალამე გადავიდა. „კობრას“ ბედი არ სწყალობდა, ზედიზედ აგებდა. „ხოლერამ“ ამჯერად დაიბრუნა რაც წაგებული პქონდა და „კობრაც“ დატოვა მშრალზე. ბოლოს სახლში მიტანილი ორი ჭოხა ხორბალი და ცხენიც მოუგო.

— მოიტა, კიდევ ვითამაშოთ! — აზარტის ცეცხლი ეკიდა „კობრას“.

- მორჩა, შენ მეტს აღარ გეთამაშები. ნაღდი გამოუშვი! — გადაწყვეტით უთხრა „ხოლერამ“ და „მაჟალოს“ მიუბრუნდა.
- გამწარებული „კობრა“ თითებს იჭამდა.
- „მაჟალომ“ ხოლერას „კობრასაგან“ მიღებული ნადავლი სულ მოუგო.
- გადამიბარებია შენთვის ის ორი ტონა ხორბალი და ცხენიც, —



გულგრილად უთხრა „ხოლერამ“.

„კობრამ“ ვეღარ მოითმინა.

— მეთამაშე რაზეც გინდა, სულ ერთია, ვეღარ მამიგებ.

— გეთამაშო? რაზეც გინდა? — ღრმააზროვნად უთხრა „ხოლერამ“.

— კარგი, გეთამაშები, ოორნდ, პირობა ხომ იცი, ვინც არ შეასრულებს... „ხოლერამ“ „მაჟალოს“ გადახედა.

— მაგას ლაპარაკი არ უნდა! — დაეთანხმა „მაჟალო“.

— მიდი, მიდი! რაც გინდა იყოს! — ხელისკანკალით მისწვდა „კობრა“ ზარებს.

— შენ გოგოზე, ნათელაზე მეთამაშე, — ცბიერი ღიმილით უთხრა „ხოლერამ“;

„კობრა“ ჯონნაკრავივით წამოხტა.

— გაგიჟდი?! ჯერ მოსწავლეა!

— ჰოდა, მე ეგეთები მამწონს! — ტუჩები მოილოკა „ხოლერამ“.

— ოხ, შენი! — მუშტი შემართა „კობრამ“.

— აბა, აბა! ცოტა ფრთხილად მოსახვევში, არ გადაბრუნდე! — აიჯაგრა „ხოლერა“. — კლიტენმესტრაზე თავი გამაიდე, შობელძაღლო!

— შობელძაღლო და შენ კეთილებიც... — მიაყოლა მრავალსართულიანი გინძა „კობრამ“.

— კარგი, მეთამაშე, შენ ვერ მომიგებ, მე კი კლიტენმესტრას მეორედ ჩავიგორებ!

თამაში განახლდა...

— ხვალე მამიყანე შენი ნათელა მეტყევის სახლში, მეც ჩავიკოკლოზინო პირი, ხა! ხა! ხა! — სიხარულით ცას ეწია „ხოლერა“, ადგა და თავის ცხენისკენ წავიდა კოჭლობით.

— დედას გიტირებ! — გაისისინა „კობრამ“.

— ცხენს ეხლავე მომცემ თუ?... — შეეკითხა „მაჟალო“.

— სამ დღემდე დამაცადე, ცხენსა და ხორბალს ერთად გაგატან, — უთხრა „კობრამ“. გულში კი გაიფიქრა: „მანამდე რამეს მოვიფიქრებ, იქნება ორივე გავასაღო“.

— „ხოლერ“ არ გინდა იმ შენ მტერმოყვარე ბრმა მეჩონგურეზე ჯავრი ამოგყარო? — დაუძახა უკვე ცხენზე შემჯდარს.

— ეხლა იგრე ვარ გახარებული, ყველაფერზე თანახმა ვარ! — მხიარულად უპასუხა „ხოლერამ“.

— მაშინ წამოდი, იმათ მსარეს გავიაროთ, ამბობენ ძალიან ადრე დგება და ღამიანად გამოდის სამუშაოდო, იქნება შემთხვევით გედევე-ყაროთ, ჯოზებით მივასიკვდილოთ და მემრე სადმე შენ ტყეში დავფლათ, — „კობრას“ გეგმა უკვე შედგენილი ჰქონდა, თუ ზოსიმეს

ვერ შეხვდებოდნენ, სულაც არ დარღობდა, მთავარი იყო „ხოლერა“ ტყეში გაეტყეუბინა როგორმე და იქ „გაესაღებინა“, როგორც თვითონ იტყოდა ხოლმე.

წინასწარ გამზადებული თავისი ჯოზი მისცა „ხოლერას“, თვითონ კი ვანოსეულა დაიტოვა.

— სამ დღეში შეგეხმიანებით, — მიაძახა „მაჟალომ“, თან ნადავლს ჩანთაში აწყობდა.

— შენ იცი, არ დააგვიანო! — დამცინავად უპასუხა „კობრამ“.

ზოსიმებ სახლში ველარ გამლო დიდხანს, დაიბანა, გამოიცვალა საცმელები და, ახლა დილაბნელზე კანტორაში მიდიოდა, რომ რომელიმე ტრანსპორტს ბრიგადაში გაყოლოდა.

ორი ცხენოსანი მის დანახვაზე ჩამოქვეითდა, ცხენები მოშორებით დატოვეს და უქმოდ მიუჰლოვდნენ.

— რომლები ხართ? — ჩვეული ტონით იკითხა ზოსიმებ.

— შენი სიკვდილი მოდის, შე არამზადავ! ამ ჯოზით ერთი სოფლის დარდი „ოხვრა“ ვანო გავაგზავნე მიქელგაბრიელთან, ეხლა შენ მიგაყოლებ ზედ! მარცხნიდან მოუარე! — უბრძანა „კობრამ“, „ხოლერას“ და ზოსიმეზე მიიწია. ზოსიმებ მხარზე გადაკიდებული ზურგჩანთის მოხსნა მოასწრო და თავისი განუყრელი ჯოზით დასახვედრად მოეშადა, მის ფხიზელ სმენას არ გამორჩენია თავდაშსხმელთა მცირე მოძრაობაც კი.

იმათ სიფხიზლის მოსაღუნებლად ეშმაკურად იკითხა:

— ხომ ვეღარ გაგექვეით, ის მანც მითხარით, რომლები ხართ, იმქვეყნად ვანოს ამბად რა მიუვტან?

თავის გადაწყვეტილების უტყუარ შესრულებაში დარწმუნებულმა „კობრამ“ თავსედურად უთხრა:

— მოახსენე, „კობრამ“ იმავე ჯოზით დამალევინა სული, შენ რომ გაგიხეთქ თავიო! — და თან მოუქნია კიდეც ვანოსეულა ჯოზი.

ზოსიმებ დროზე იგრძნო საშიშროება და მარჯვნივ გადახტა. იქ „ხოლერა“ დახვდა და გაბედულად დაპკრა ჯოზი ბეჭებში, ზოსიმებ მწარე ტკივილს ყურადღება არ მაიქცია და სანამ „ხოლერა“ მეორედ დაუნაცვლებდა, ისეთი მაგრად დაპკრა მხარში თავისი მძიმე შვინდის ჯოზი, რომ იქავე დაამხო. ტკივილისაგან გონებააბნეული „ხოლერა“ ოთხზე იდგა და ხოხვით ცდილობდა ბრძოლის ველს გასცლოდა.

„კობრამ“ დრო იხელთა და ზოსიმეს თავში დაუშვა ჯოზი. სხვას ეს დარტყმა უგონოდ დააგდებდა მიწაზე, ზოსიმებ გაუძლო, თავბრუს-ხვევის მიუხედავად თავისი ჯოზი დაახვედრა მეორე მოქნევას და საბედისწერო დარტყმა აიცდინა. ახლა მის წინ ერთი მოწინააღმდეგელა იყო. „ხოლერა“ წყობილებიდან გამოსული, მარჯვენა ხელს ვეღარ იმორჩილებდა, მუხლებზე დამდგარი მომენტს უცდიდა როგორმე აქა-

ურობას გასცლოდა.

„კობრამ“ ერთხელ კიდევ მოასწრო ზოსიმესთვის თავში მოერტყა ჯოხი, მაგრამ სწორედ ამ დროს უწვდინა ზოსიმემაც და მარჯვენა მხარეს შუბლში მოარტყა თავისი ჯოხის წვერი. „კობრა“ დაბარბაც-და, თავბრუ დაქვია, ჯოხი ხელიდან გაუვარდა. ჩამოდენილმა სისხლ-მა ის ერთადერთი თვალიც დაუბრძავა, ხელებით სისხლის მოწმენდა დაიწყო და შეშინებული არეული ნაბიჯით ცხენისაკენ გაიქცა.

ზოსიმე გონს კარგავდა, მუხლი ეკვეთებოდა, იქვე ჩაჩოქილ „ხოლერასაკენ“ გარაცრაცდა, „ხოლერას“ ეგონა, ჯოხის დასარტყმელად მოდისო, წამოხტა და თავდავიწყებით გაიქცა ცხენისაკენ, ნატკენ ფეხს გაბედულად ადგამდა, ტკივილს აღარც კი გრძნობდა, სწორედ ამ დროს, როცა გაბედულად დააღგა ფეხი, ჩირქის დენით და აგადმყოფობით შეჭმულმა ძვალმა ვეღარ გაუძლო და კოჭითნ გადაუტყდა. საზარლად დაიღრიალა. მაგრამ იმის შიშმა, რომ სოფლელები გამოვიდობნენ და შეიძლება დაეჭირათ, ძალა შესძინა, ცხენამდე მიკინკილდა, ზედ ვაი-ვაგლახით შეაბიბრდა და წყევლა-კრულვით გააჭუნა სახლისაკენ.

ამ დროს „კობრა“ უკვე კარგა შორს იყო გასული, ერთი მიზანი ჰქონდა, როგორმე გასცლოდა ამ დაწყევლილ სოფელს.

ზოსიმეს სისხლი ღვარივით ჩამოსდიოდა სახეზე, თავბრუ ეხვეოდა, ცდილობდა გამაგრებულიყო, მაგრამ გონი დაკარგა და იქვე ღობის კუთხეში უგონოდ ჩაიკეცა.

უკრძანებლობის ბურანში მიმაგლის ყრუდ ჩაუსმა ვიღაცის ყვირილი:

— ხალხო! გამოდით! ვიღაცას ჩვენი ზოსიმე მოუკლავს!..

„კობრა“ იღა თავის დეიდაშვილ ელენესთან მომხდრი ამბის შემდეგ პირველად მივიდა დღისით სახლში. თავგაჩეხილი შევიდა ოთახში და დაიყვირა: — დედაკაცო, დროზე მომიტა ცხელი წყალი! — და ტკივილისაგან სახე დაეღრიჯა.

— შეგხვდა შენი ჭკუისა, შე მიწის ტყვევ! რატო მაწანწალა ძალ-ლივით არ დაგალევნა სული იმ მარჯვენა დალოცვილმა! — წყევლით აიკლო ოთახში შემოსულმა ცოლმა.

— შენ სიცოცხლე ხომ არ მოგმულება?! — გაისინა „კობრამ“.


— მომბულებია შენ მაყურებელს, ან რადა ვარ ცოცხალი ამდენ ხანი! — ქალი მაინც გავიდა და წყლის გაცხელება დაიწყო.

„კობრას“ სახლში გული არ გაუჩერდა, თავი შეიხვია, მერე ზევი-დან დიდი ცხვრის ტყავის ქუდი დაიხურა და მინდორში წავიდა, აინტერესებდა, ზოსიმე გადარჩა თუ მოკვდა. რამდენიმე მის სოფლელს შეხვდა, ცრემლიანი თვალებით ყვებლინენ, ვიღაცა გარეწარს სოფ-ლის საყვარელი ბრმა მეჩინგურე მოუკლავსო ამ დილით. „კობრამ“ სიმოვნებით მოიფუნიტა ხელები.

— ესეც ეგრე, იმ „ხოლერას“ კი სხვა დროს გავუსწორდები, — ჩაილაპარაკა, მაგრამ მაშინვე გაახსენდა, რა წააგო იმ ღამით და გუნება ისევ მოელრუბლა.

საღამოთი კიდევ შეხვდა ერთ ზოსიმეს სოფლელს, იკითხა ამბავი: მძიმედ არის, მაგრამ ექიმებს უთქვიათ, შეიძლება გადარჩესო, რკინა-საგით ბიჭია, გაუძლებს, რაც მაგას ჭირი აქვს გადატანილი. ეგ რა არის, იტყვის ვინ იყო ის ცოდვიანი და ვაი იმისი ბრალი, სახლკარი-ანად გადაეწვავთ, გულზე ხელი დაირტყა ამბის მომყოლმა.

„კობრას“ ცივმა ოფლმა გამოჟონა შუბლზე. „მართლაც რკინასა-



ვით არის ეგ შობელძაღლი, რა დარტყმას გაუძლო, ხარს წააქცევდა, ვაიმე! გამოკეთდება და ცუდად წამივა საქმე, ახლა ვანოს ამბავიც დაემატება, იქნება უკვე თქვა, წაგიდე „ხოლერა“ გავაფრთხილო არა-ფერი წამოსცდეს“ – ამ ფიქრებში გართული „კობრა“ „ხოლერას“ სახლს მიადგა და ხმამაღლა დაუძახა.

კლიტენტესტრამ ფანჯრიდან გამოიხედა:

– ოხ, შე მოძალადევ! არ გეყო იმ ღამეს ჩემი სისხლის დალევა, რომ მცემე და ძალით დამიმორჩილე?! გაჩვენებ სეირს! – ჩამოვიდა ეზოში, დიდი ცხვრის ნაგაზი აუშვა და ცხენიდან ჩამოქვეითებულ „კობრას“ მიუსია. სანამ ის ძალს იგერიებდა, ქალს ბრაზი უფრო მოერია და გაცოფებაში გადაიზარდა.

– ქვეწარმავალო! შენ აქედან ცოცხალი არ უნდა წახვიდე! – კიბეზე აირინა და კედელზე ჩამოკიდებული თოფი ჩამოხსნა. სანამ დაბლა ჩამოვიდოდა, შარვალჩამოფლეთილი და ბარკალდასისხლიანებული „კობრა“ თაგქევე მიაჭინებდა ცხენს.

– დედაკაცო, ხომ არავის უკითხივარ? – ცხენიდან ჩამოუსვლელად ჰკითხა ცოლს.

– ახსოვხარ კი ვინმეს, შე უბედურო! დაუქბენავ, დაუგესლავი არავინდა დაგრჩა, ჩვენ ეზოს კეთრიანებივით ერიდება ხალხი, ვინ გიკითხავდა!

– მილიციიდან ხომ არავინა ყოფილა-მეთქი, – „კობრას“ ხმას ბზარი შეპაროდა.

– აბა, სად არიან ის დალოცვილები, რატო არ ჩნდებიან, რომ დაგაფარონ მძიმე ლოდი მაგ სამიწე გულზე.

„ხოლერას“ ხმა არ გაუცია, ცხენი ისე გააბრუნა უკან.

– რაღაცას ჩაიდენდა, ეგ დასაწვავი; ნეტა არ იქნება გაირისხოს ამ ქვეყნიდან! – ქოქოლა მიაყარა კვალზე და სახლში შებრუნდა.

„არაფერი არ გამოიდის, ხვალე „ხოლერა“ ნათელას მომთხოვს, კლიტენტესტრას შემდეგ არ დამინდობს, ნეტა დამიჭირონ მაინც, არა, არა! ვანოს სიკვდილს არ მაპატიებენ, ჩაქერლავს ხალხი, შეიძლება უკვე იციან, – მთელი ღამე იჯდა „კობრა“ თავის ვენახში და საზარელი მომავლის გახსენება გულს უხეთქავდა, გამოსავალსაც ვერ პოულობდა.

„თავი უნდა ჩამოვიხრჩო“ გადაწყვიტა გათენებისას. ცხენს აპეური შეხსნა და ატმის ტოტზე ჩამოვიდა. ყულფი გაუკეთა, თავთან მოიზომა, დაბალი ეჩვენა, დაამოკლა, ვეღარ შესწვდა, ქვა მოძებნა, ზედ შედგა და თავი გაუყარა ყულფში, ცოტა ხანს ეგრე იდგა. „არა, თავს არ დავიხრჩობ, გავიქცევი, ვერ მიპოვნიან, მემრე კი გადავიწყდებათ და...“ – თავის გამოძრობა სცადა ყულფიდან, უცებ ქვაზე აცდა ფეხი და თოკს ჩამოვიდა, ქვას ძებნა დაუწყო და ამ გაფაციცებულ ფეხის

ქნევაში უფრო შორს გადაუგორდა; ყულფი ყელში წაეჭირა. ფეხის წვერებით სცადა მიწამდე მიწვდენა, მისწვდა კიდეც, მაგრამ ძალა ვერ მიიტანა, თოვგა ძალუმად მოუჭირა ყელში და სული შეუგუბა; ფართხალი დაიწყო, მაგრამ ამჯერად უკვე ინსტინქტი მოქმედებდა მხოლოდ, „კობრას“ უკვე დაბინდოდა გონება.

მზე კარგა მაღლა იყო ამოსული, რომ მეზობელ ვენახში მომუშავე გლეხმა კიდევ ერთი პლანის თოხნა ჩაათავა და უკან გამობრუნდა, რომ ახალს შესდგომოდა.

— რა ვქნა, კაცო, დღეს მთელი დღე ეს „კობრა“ ილა იმ ატმის ქვეშა დგას გაჭიმული, ნეტა რას აკეთებს ამდენ ხანს? წავიდე, შევეხმიანო, მაგრამ ავი კაცია მაგასთან ლაპარაკი არა ღირს, — ახალი პლანის თოხნა დაიწყო, რომ ჩაათავა და მობრუნდა, „კობრა“ ისევ იმ პოზაში იდგა.

— ეხ, რაც არის არის, მივალ, ერთი ვკითხავ, ლოცულობს თუ სარი აქვს გადაყლაპული, — ეგრევე თოხგადაკიდებულმა გასწია მისკენ.

„კობრა“ თითქმის სწვდებოდა ფეხით მიწას, მაღალ ბალახებში არ ეტყობოდა, რომ ჩამოკიდებული იყო; ენაგადმოგდებული და თვალებგადმოკარგლული მისჩერებოდა გლეხს.

— გიჟია ოხერი?! მე რას მეღრიჯება! — თვალი მოარიდა გლეხმა და ისე მიუახლოვდა.

რამდენიმე წუთის შემდეგ მისმა ყვირილმა შეძრა იქაურობა:

— მიშველეთ, ხალხო! აქეთ წამოლიც! აქეთ! „კობრა“ ილას თავი ჩამოუხრჩია!!!

იმ ამბის შემდეგ კლიტენმესტრა „ხოლერა“ სიკას გაეყარა. ხმას აღარა სცემდა, „ხოლერაც“ სახლში აღარ შედიოდა.

უგემოობებილი და დაუეუილი რომ მიადგა, კლიტენმესტრა ჯონით გამოუდგა და ამ სიგიურმდე მისულ ქალს ძლივს გაექცა იქიდან, პირდაპირ თავის ექიმბაშთან მივიდა, მერე კი საავადმყოფოში დაწვა. ერთხელაც არ მოუკითხებია კლიტენმესტრას. ჯერ ფეხი მოკვეთეს, მაგრამ ძვლის დაშლა დაწყებული პქონდა. არაუერი ეშველა, სამი თვის შემდეგ მიაბარა სული მიქელგაბრიელს, მანამდე კი „კობრას“ რაც მოუგო ბოლო თამაშის დროს, ყველას დიდი ეშხით უყვებოდა.

მესამე დღეს ჩამოაკითხა თავის „მონაგარს“, „მაჟალომ“, რომ გაიგო, „კობრაბ“ თავი მოიკლაო, გაუკვირდა, ჩემი დღენი ყომარსა ვთამაშობ და ესეთი გახრწილი კაცის შემხვედრი არა ვარ, კიდევ კარგი, რომ იმდენი ნამუსი მაინც შერჩა, თავი მოეკლაო, თქვა და გაბრუნდა უკან.

ზოსიმე საღამოთი მოვიდა გონს და მაშნევე „ოხერა“ ვანო გაიხსენა.

— სასწრაფოდ ნახეთ, ხალხო, ის არსახსენებელი, ტრაპახობდა,



მოვკალიო!

- ნახეს, ზოსიმე, ნახეს! — ჩაესძა მაყვალას ნამტირალევი ხმა.
- როგორაა?
- ექიმებს უთქვამთ, ცოცხალი გადარჩებაო, — ნამტირალევი ხმით უთხრა მაყვალამ.
- მე სადა ვარ ეხლა?
- სახლში ხარ, ზოსიმე, შენს სახლში, — ალერსით უპასუხა მაყვალამ.
- შენ დიდი ხანია ხარ აქ?
- როგორც გავიგე, ჯერ იქავე მოგისწარი, სადაც ის ამბავი მოხდა და მას შემდეგ აღარ მოგცილებივარ.
- ამიერიდან აღარ მომცილდები, სულ ჩემთან იქნები, ჩემო სიცოცხლევ! — ზოსიმემ ხელები გაშალა და აცრემლებული მაყვალა მკერდში ჩაიკრა.

25.09.1985 წ.

სარჩევი

მცირე წინასიტყვაობა	3
მოთხრობები	5
უფლის სამსჯავრო.....	5
უიღბლო.....	67
ადამიანი და ძაღლი.....	94
უჯიგრო ქიტა.....	120
კომისარი	128
რომანი	150
ბრმა მეჩონგურე.....	150
შემთხვევა ტყეში.....	150
„კობრა“ ილა.....	177
ხარებაანთ გიორგის დაბრუნება.....	184
სოფლის ბირჟაზე.....	195
ხესრო თავმჯდომარე.....	209
ზოსიმე ბრიგადაში	222
ყომარბაზები.....	247

Гиви Сомхишвили

СУД ГОСПОДЕН

გივი სომხიძეილი



უცალ სკარფენი